3/р

ბოლშევიკი

№ 3—4 მარტი—აპრილი № 3—4

1933

თბილისი

ბაზ კომპარტიის გამოცემა



ბოლშევიკი

№ 3—4

საქ. კომ. პ. (ბ) ც. კ.-ს ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური ორგანო

Ყ 9377

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ფ. მახარაძე—მარქსიზმი და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა . 3
2. მარსელ კაშენი — ორმოცდაათი წელი მარქსის გარდაცვალებიდან 16
3. მ. ტოროშელიძე—კარლ მარქსის სოციალისტური მოძღვრება . 21
4. კ. ორაგველიძე—მარქსი როგორც ეკონომისტი . . . 34
5. ფ. იმედაძე—მარქს-ენგელსი ნაციონალურ-კოლონიური საკითხის შესახებ 47
6. პ. შარია—მარქსის ისტორიული ადგილი 63
7. ი. ვაშაყმაძე—კ. მარქსის ფილოსოფიური მოძღვრება . . 73
8. ალ. ერქომაიშვილი — მარქსიზმ-ლენინიზმი ომის შესახებ. . 90
9. გ. მგალობლიშვილი—1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ . . 106
10. აკ. ჭოჭუა—ჩვენი უახლოესი ამოცანაა — გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად. 119

გაზეთ „კომუნისტი"-ს გამოცემა

ტ ფ ი ლ ი ს ი—1 9 3 3

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა, ტფილისი, კაბოს ქ., № 68.
შეკვ. № 1217. მთავლიტი—613. ტირაჟი 4000.

შ. მახარაძე

მარქსიზმი და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა

მარქსიზმის საერთაშორისო მნიშვნელობა—ეს მეტად მიმზიდველი თემაა. ამ თემის ყოველმხრივ გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მარქსმა, ფრიდრიხ ენგელსთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ სოციალიზმს. ამასთანავე ერთად, მარქსი იყო მუშათა კლასის ბრძოლის ორგანიზატორი საერთაშორისო მასშტაბით. ის მუშაობდა სოციალიზმის საკითხებზე არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც.

მან მოახდინა მრავალი აღმოჩენა. ამ აღმოჩენებმა დააგვირგვინეს ის შენობა, რომელსაც **მეცნიერული სოციალიზმი** ეწოდება. მეცნიერული სოციალიზმი შემთხვევითი როდი მოვლინებულა. ენგელსი თავის „ანტი-დიურინგში“ სწერდა: „სოციალიზმი ახლა არის არა ამა თუ იმ გენიალური ჰკუის შემთხვევითი აღმოჩენა, არამედ ორი ისტორიულად წარმოშობილი კლასის—პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ბრძოლის აუცილებელი შედეგი“.

მეორე მხრით, მარქსმა წამოაყენა დებულება, რომ „კაცობრიობა ყოველთვის ისახავს მხოლოდ იმ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტაც მას შეუძლია. რომ თვით ამოცანა იბადება მხოლოდ იქ, სადაც მისი გადაწყვეტის პირობები უკვე არსებობს, ან ეს პირობები, ყოველ შემთხვევაში, თავისი განვითარების პროცესში იმყოფებიან“.

იმ მიზნით, რომ ბოლო მოუღოს ყოველგვარ ჩაგვრას, მუშათა კლასი ამყარებს თავის დიქტატურას. აი სწორედ მუშათა საკითხის გადაწყვეტის ასეთი დასაბუთება მოგვცა მარქსისა და ენგელსის გენიალურმა შრომებმა, რომელთა შედეგად ჩვენ გვაქვს მეცნიერულად დასაბუთებული სოციალიზმი.

ახლა ვიკითხოთ—როგორი იყო ის წინაპირობები, რომელთაც ისტორიულად შესაძლებლად გახადეს მარქსისა და ენგელსის მიერ მეცნიერული სოციალიზმის დასაბუთება, მუშათა კლასის განთავისუფლების მეცნიერული დასაბუთება? ენგელსი ხომ ამბობდა, რომ ეს შემთავევითი აღმოჩენა არ არის.

ჩვენ შევეცდებით აღვნიშნოთ აქ უმთავრესი ამ წინაპირობათაგან. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რაგინდ უტოპიური და მცდარი უნდა ყოფილიყო დიდი უტოპისტების სოციალიზმი, მაინც ეჰქვს გარეშეა, ინგლისისა და საფრანგეთის XIX საუკუნის დასაწყისის სოციალისტური ლიტერატურა იყო უმნიშვნელოვანესი წყარო, საიდანაც მარ-

ქსმა და ენგელსმა ბევრი რამ ამოიღეს კაპიტალისტური საზოგადოების კანონების აღმოსაჩენად და დასასაბუთებლად. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ფრ. მერინგის სიტყვების თანახმად („გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორია"), — „მარქსი და ენგელსი თავიანთ სულიერ წინაპართა შორის ასახელებდენ არა მარტო კანტს, ფიხტის და ჰეგელს, არამედ აგრეთვე სენ-სიმონს, ფურიეს და ოუენს. მათ გერმანული ფილოსოფიის, ფრანგული რევოლუციის და ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის სკოლა გაიარეს."

ამ მხრით უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ადამ სმიტის და დავით რიკარდოს მიერ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების დამუშავება. მათ გამოიკვლიეს ის კანონები, რომლითაც ბურჟუაზიული საზოგადოება ვითარდებოდა; ამასთანავე ამ კანონებს ისინი მარადიულ და ურყევ კანონებად სთვლიდენ. მართალია რიკარდოს მიერ შემუშავებულ შრომის ღირებულების თეორიას არ შეეძლო აეხსნა, თუ საიდან იბადება კაპიტალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კლასიკურმა ბურჟუაზიულმა ეკონომიამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ კაპიტალისტური წარმოების ბუნების გამოსაცნობად.

შემდეგი ფაქტორი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერული სოციალიზმის შექმნის საქმეში—ეს არის გერმანული იდეალისტური ფილოსოფია.

როგორც ვიცით, ენგელსი თანამედროვე პროლეტარიატს პირდაპირ გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის მემკვიდრეს უწოდებდა. პირველი მეხედვით ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიასა და თანამედროვე პროლეტარიატს შორის თითქოს საერთო სრულიად არაფერია. მაგრამ გერმანულმა ფილოსოფიამ, ისევ და ისევ მარქსის მეოხებით, რომელმაც ჰეგელის ფილოსოფიიდან დიალექტიკური მეთოდი ამოიღო და იგი თავისებურად გამოიყენა კაცობრიობის ისტორიის გაშუქებისათვის,—ამ ფილოსოფიამ დაუფასებელი სამსახური გაუწია მეცნიერულ სოციალიზმს და მაშასადამე, თანამედროვე მებრძოლ პროლეტარიატსაც.

ჰეგელის იდეალისტურმა ფილოსოფიამ მოგვცა კვლევის უნივერსალური მეთოდი, მეთოდი, რომლითაც შეიძლება გაშუქებულ იქნეს მხოფლიო განვითარების საკითხები; ეს არის, სახელდობრ, დიალექტიკური მეთოდი, რომელიც მეტაფიზიკურ მეთოდს უპირისპირდება.

მეტაფიზიკური მეთოდი იხილავდა საგნებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მათ უძოაობაში, ხოლო დიალექტიკური მეთოდი იხილავს ამ საგნებს ერთმანეთისაგან დამოკიდებულებაში და მათ მოძრაობაში. დიალექტიკური მეთოდისათვის არ არსებობს არაფერი მუდმივი და უძრავი. მაგრამ ეს ზოგადი ცნება, რომელიც ფილოსოფოსებმა ჯერ კიდევ უძველეს დროში მეიმუშავეს, არაფერს იძლეოდა კონკრეტული მსოფლმხედველობისათვის, ისტორიისა და ბუნების ყველა მოვლენების მეცნიერულად შესწავლისა და გახსნისათვის.

ჰეგელი ბუნებისა და ისტორიის ყველა მოვლენებს იხილავს მათი წარმოშობის და გაჩრობის თვალსაზრისით. მაგრამ ჰეგელის და საერთოდ ყველა იდეალისტების უბედურება ის იყო, რომ ისინი გამოდიოდნენ აბსოლუტური სულიდან, აბსოლუტური იდეებიდან, რომლებიც სრულიადაც არ ვითარდებიან, არამედ თავიდანვე არსებობენ და ქმნიან ნამდვილ ქვეყანას, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ. ასე რომ, ეს გახმარტება, არსებითად რომ ვსთქვათ, ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ჰეგელი დიალექტიკაზე ლაპარაკობდა.

საჭირო იყო დიალექტიკის გამოყენება ისტორიისა და ბუნების მიმართ, მისი გადმოტანა ნამდვილ ქვეყანაში და არა იდეალისტურ, არარსებულ ქვეყანაში. სწორედ ეს გააკეთა მარქსმა, და ამგვარად დიალექტიკური მეთოდი მან გამოიყენა იმისთვის, რომ აეხსნა როგორც ისტორიული მოვლენები, ისე მთელი ბუნება. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, რომელიც მარქსმა აღმოაჩინა.

ამის გარდა, XIX საუკუნის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ ბურჟუაზიის ხელისუფლების დამყარებამ და კაპიტალისტურის წარმოების აყვავების დაწყებამ მშრომელ მასებს ვერაფერი ბედნიერება მოუტანა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად, მოხდა სულ საწინააღმდეგო, ე. ი. მუშების ექსპლოატაცია კაპიტალისტურ მრეწველობაში და ამასთან ერთად მათი გაღატაკება კიდევ უფრო გაძლიერდა. ამავე დროს, მეორე პოლუსზე ხდებოდა სიმდიდრისა და ფუფუნების განუზომელი ზრდა. ამ კონტრასტს შეუძლებელია ზოგიერთები არ ჩაეფიქრებია და არ მიექცია მათი ყურადღება შექმნილ მდგომარეობაზე. და ჩვენ ვხედავთ, რომ XIX საუკუნის დასაწყისის ყველაზე უფრო გამოჩენილმა და გენიალურმა ადამიანებმა დაგვიხატეს მუშათა კლასის აუტანელი მდგომარეობა და იწყეს სხვადასხვა გეგმების შედგენა მუშების სიღატაკისა და სიმშილისაგან გადასარჩენად. ესენი იყვნენ დიდი უტოპისტი-სოციალისტები: სენ-სიმონი და შ. ფურიე საფრანგეთში და რობერტ ოუნი ინგლისში. მაგრამ ამ უტოპისტ-სოციალისტებმა მოგვცეს მხოლოდ ერთი რამ: კაპიტალისტური ექსპლოატაციის მართლაც და გენიალური კრიტიკა; ხოლო მათ ვერ შესძლეს მოენახათ სწორი გზა მუშათა საკითხის გადასაწყვეტად. ისინი ფიქრობდენ, რომ კაპიტალისტები ისეთივე კეთილი ხალხია, როგორც თითონ ისინი, რომ კაპიტალისტებს მუშებისათვის სიკეთე სურთ და ამიტომ საკმარისია ვურჩიოთ მათ, თუ როგორ დაეხმარონ მუშებს, და ისინი ამას სიამოვნებით გააკეთებენ. ამდენად გულუბრყვილონი იყვნენ ეს უტოპისტები. მეორე მხრით, მათ არ სწამდათ მუშათა კლასის ძალა, სრულიად უარყოფდენ და მხედველობაში არ იღებდენ კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობას. არა, ამ გზით როდი ფიქრობდენ ისინი მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ სულ სხვა გზით: უნდა დავარწმუნოთ კაპიტალისტები და სახელმწიფოების მმართველნი, რომ საჭიროა მუშების დახმარება, მათი სიმშილისა და სიღატაკისაგან გადარჩენაო; მეორე მხრით, ისინი მოითხოვდენ

სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოებების და კოლონიების მოწყობას, თანაც ხელუხლებლად სტოვებდენ ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლებს. სწორედ აქედან გამომდინარეობდა ყველა მათი პრაქტიკული წინადადებების და გეგმების უტოპიურობა.

მიუხედავად ამისა, დიდ უტოპისტებს მეტად თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით არა მარტო იმ მხრით, რომ მათ თავიანთ თხზულებებში მოგვცეს ნამდვილი კრიტიკა მუშათა კლასის შემაძრწუნებელი მდგომარეობისა XIX საუკუნის დასაწყისში, არამედ იმ მხრითაც, რომ მათი მუშაობით სოციალისტური და კომუნისტური იდეები მასებში პოპულიარული გახდა.

დასასრულ, ყველა ამ წინაპირობებთან ერთად, XIX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში მოხდა ისეთი ამბები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ პროლეტარიატის ისტორიაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს **მუშების აჯანყება ლიონში 1831 წელს, ჩარტისტების მოძრაობა** ინგლისში 1835-1846 წლებში და **სილეზიის** (გერმანია) **ფეიქართა ბუნტი** 1844-1845 წ. მუშათა ყველა ეს, ჯერ კიდევ ჩანასახი ფორმის, მღელვარებანი და აჯანყებანი მოწმობდა იმას, რომ ახლო მომავალში აღმოცენდებოდა და განვითარდებოდა მუშათა რევოლიუციური მოძრაობა, რომელსაც დასჭირდებოდა ხელმძღვანელობა, რომლისათვისაც სწორი გზა უნდა მიგვეცა.

ასეთი იყო საერთოდ ის ისტორიული მოვლენები, რომლებიც მეცნიერული სოციალიზმის შექმნისა და დასაბუთების წინაპირობებს წარმოადგენენ. მაგრამ მეცნიერული სოციალიზმის შესაქმნელად საჭირო იყო არა მარტო გენიალური ჰკუა, არა მარტო გენიოსი უბრალო, არამედ საჭირო იყო ისეთი გენიალური ადამიანი, რომელსაც ექნებოდა უნივერსალური, ყოველმხრივი ცოდნა, რომელიც არ მარტო მთელი მაშინდელი მეცნიერების დონეზე იდგომებოდა, არამედ ამასთანავე აღჭურვილი იქნებოდა უნარით წინ წაეწია მთელი ეს მეცნიერება, მოეხდინა მასში ახალ-ახალი აღმოჩენები და სხვ.

ასეთი იყო სწორედ კარლ მარქსი და მისი გენიალური მეგობარი ფრ. ენგელსი. ამოცანა, რომელიც მათ დაისახეს, იყო სამსახური მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. მაგრამ ამ ამოცანას ისინი სულ სხვანაირად მიუდგენ, ვიდრე უტოპისტები. საჭირო იყო არა სხვადასხვა ფანტასტიური გეგმების გამოგონება, არამედ ნამდვილი ფაქტების შესწავლა და მათი მეცნიერული ანალიზი. მარქსმა და ენგელსმა, რომელნიც შეიარაღდენ მთელი მაშინდელი ცოდნით ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სხვ. სფეროში, ჯერ კიდევ ახალგაზრდებმა იწყეს მეცნიერული სოციალიზმის საფუძვლების ჩაყრა.

რომ დაახლოვებით მაინც წარმოვიდგინოთ უტოპიიდან მეცნიერულ სოციალიზმზე გადასვლა, ჩვენ მოვიყვანთ ერთ-ორ ადგილს მარქსის ადრინდელი თხზულებიდან, რომელიც მან ჯერ კიდევ 1846 წელს დასწერა. ეს არის „ფილოსოფიის სიღატაკე“, რომელიც შეიცავს პრუდონის და სა-

ერთოდ მაშინ გაბატონებული ყველა უტოპიური, ანარქისტული და წვრილბურჟუაზიული თეორიების კრიტიკას და რომელშიაც, მეორე მხრივ, მოცემულია მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი დებულებანი.

მარქსმა გაარჩია ყველა უტოპიური და ანარქისტული თეორია და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „ვიდრე პროლეტარიატი ჯერ კიდევ საკმარისად განვითარებული არ არის, რომ კლასად ჩამოყალიბდეს... პროლეტარიატის ეს თეორეტიკოსები რჩებიან მხოლოდ უტოპისტებად, რომელნიც იგონებენ სისტემებს და ეძებენ გამანახლებელ მეცნიერებას. მაგრამ იმდენად, რამდენადაც იწყება პროლეტარიატის ბრძოლა, მათთვის აღარ არის საჭირო ეძებონ მეცნიერება **თავის თავებში**: საკმარისია გაითვალისწინონ ის, რაც მათ თვალწინ ხდება, და იყვნენ ამის გამომხატველი. რაკი მეცნიერებას ეძებენ და მხოლოდ სისტემებს აშენებენ.... ისინი სიღატაკეში ხედავენ მხოლოდ სიღატაკეს და ვერ ამჩნევენ მასში რევოლუციურ მხარეს, რომელიც ძველ საზოგადოებას ყირამალა გადააბრუნებს. ამ მომენტიდან მეცნიერება ისტორიული მოძრაობის შეგნებულ პროექტად იქცევა; იგი აღარ არის დოქტრინერული, იგი რევოლუციურად გახდა“.

აქ მარქსი საბოლოოდ ათავისუფლებს სოციალიზმს ყოველგვარი უტოპიზმისაგან, აქ მან მოგვცა გადასვლა მეცნიერულ სოციალიზმზე. მაგრამ მარქსის, იმ დროისათვის ჩამოყალიბებულ შეხედულებათა განსაზღვრისათვის არა ნაკლებ დამახასიათებელია შემდეგი სიტყვები, რომლითაც ზემოაღნიშნული წიგნი თავდება: „ანტაგონიზმი ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის—**არის კლასის ბრძოლა კლასის წინააღმდეგ**... სოციალისტური მოძრაობა არ უარყოფს პოლიტიკურს, რადგან არ არსებობს ისეთი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც იმავე დროს სოციალური არ იყოს, მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც კლასები არ იქნება, სოციალური რევოლუციები აღარ იქნება პოლიტიკურ რევოლუციებად, მანამდე კი საზოგადოების ყოველგვარი რადიკალური გარდაქმნის წინ სოციალური მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა იტყვის: „ბრძოლა ან სიკვდილი; სისხლიანი ბრძოლა ან არყოფნა. ასეთია საკითხის დაუნდობელი დასმა“ *)

ამგვარად, უკვე „ფილოსოფიის სიღატაკეში“ ჩვენ ვპოულობთ მეცნიერული სოციალიზმის უმთავრეს დებულებას, რომლებიც შემდეგ განვითარებულ იქნა მარქსის ყველა თეორიულ შრომებში („კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „კაპიტალი“ და სხვ.).

ვნახოთ ახლა, როგორია მარქსიზმის საერთაშორისო მნიშვნელობა. უნდა ითქვას, რომ მარქსიზმმა თავის გაჩენის პირველი დღიდანვე საერთაშორისო ხასიათი მიიღო. მარქსმა იმ თავითვე დააყენა საკითხი არა რომელიმე ერთი ქვეყნის, რომელიმე ერთი ერის მუშათა კლასის, არამედ ყველა ქვეყნის მუშების, მთელი მსოფლიო პროლეტარიატის განთავისუ-

*) ბრჭყალებში მოთავსებული უკანასკნელი ფრაზა ეკუთვნის ცნობილ ფრანგ მწერალ ჟალს—ჟორჟ-ზანდს.

ფლების შესახებ. როცა მარქსმა თავისი რევოლუციონური პროპაგანდა დაიწყო, იგი გარშემორტყმული იყო ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი და შვეიცარელი მუშებით. ამასთან ერთად, დევნის გამო მარქსს უხდებოდა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადასახლება: გერმანიიდან საფრანგეთში, საფრანგეთიდან ბელგიაში, ინგლისში და სხვ.

ეს იყო ის პერიოდი, როდესაც სოციალისტურად გახწყობილი ადამიანები, რომელნიც ჯერ კიდევ ვერც კი ერკვეოდნენ, თუ რა არის სოციალიზმი, მაგრამ რომელთაც სოციალისტური და კომუნისტური იდეები იტაცებდა,—დადიოდენ თითქმის მთელს ევროპაში, აწყობდენ წრეებს, საზოგადოებებს და კავშირებს, რომლებშიაც შედიოდენ სხვადასხვა ქვეყნის და ერის მუშები (უმთავრესად ხელოსნები). ასეთ პირობებში სხვადასხვა ქვეყნის მუშები ბუნებრივად შედიოდნენ ერთ ძმურ კავშირში და მათი ბრძოლა საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ ბუნებრივად თავისი სახელმწიფოს ფარგლებს სცილდებოდა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა სხვათა შორის, „კომუნისტების კავშირი“, რომლის სახელითაც მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს **„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“**,—მსოფლიო სოციალისტური ლიტერატურის ეს უდიდესი ძეგლი, რომელშიაც მოკლედ ახსნილია კაცობრიობის მთელი წარსული ისტორია და დასახულია მუშათა სწერთაშორისო მოძრაობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი.

საქმე ის არის, რომ პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზია ხდებოდა გაბატონებულ კლასად ევროპის თითქმის ყველა უმთავრეს ქვეყნებში და ამერიკაში, ეს ბრძოლა ვერ მოქცეოდა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, პირიქით, იგი მოწყობილი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო მასშტაბით. პროლეტარიატის ბრძოლის სწორედ ასეთი ხასიათი ინსტინქტიურად იჩენდა თავს. მაგრამ მხოლოდ მარქსმა განჭოხატა და დაასაბუთა ყველა ქვეყნის და ყველა ხალხის მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის იდეა. ამავე დროს ყველა სხვა სოციალისტური თეორიები, გარდა დანარჩენი შეცდომებისა, თავისი მოქმედების სფეროს ზღუდავდენ ცხოლოდ ერთი განსაზღვრული ქვეყნის ან ერთი განსაზღვრული ხალხის ფარგლებით.

მარქსისა და ენგელსის მეცნიერულ სოციალიზმს, რა თქმა უნდა, ამ გზით წასვლა არ შეეძლო. და მართლაც, პირველსავე უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ჩვენ ვხედავთ, რომ ავტორები ლაპარაკობენ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებზე, რომ ისინი ბიმართავენ ყველა ქვეყანას, მთელი დედამიწის პროლეტარიატს მოწოდებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

აი როგორი იყო მეცნიერული სოციალიზმის ავტორების პირველი მიმართვა. ამ სოციალიზმის პირველი ლოზუნგი, მისი პირველი ძახილი იყო პროლეტარების ბრძოლის ორგანიზაცია საერთაშორისო მასშტაბით.

ამ იხრით მეტად დამახასიათებელია „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შემდეგი სიტყვები, სადაც ლაპარაკია კომუნისტების როლზე და

ამოცანებზე: „კომუნისტები,—ვკითხულობთ ჩვენ ამ მანიფესტში,—არ შეადგენენ განსაკუთრებულ პარტია, რომელიც სხვა მუშათა პარტიებს უპირისპირდებოდეს

მათ არა აქვთ მთელი პროლეტარიატისაგან განსხვავებული ინტერესები.

ისინი არ აყენებენ განსაკუთრებულ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ათ სურდეთ პროლეტარული მოძრაობის ჩამოყალიბება.

კომუნისტები სხვა პროლეტარული პარტიისაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ, ერთი მხრით, სხვადასხვა ერების პროლეტარების ბრძოლაში ისინი აყენებენ და იცავენ პროლეტარიატის იმ ინტერესებს მთლიანად, რომლებიც ეროვნებისაგან დამოუკიდებელი არიან; მეორე მხრით, იმით, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, რომლებსაც პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ბრძოლა გაივლის, კომუნისტები მუდამ მთლიანად აღებული მოძრაობის ინტერესს წარმოადგენენ.

ამგვარად, კომუნისტები პრაქტიკულად — ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო გაბედული, ყოველთვის წინმიმსწრაფი ნაწილია; თეორიულად, მათი უპირატესობა პროლეტარიატის დანარჩენი მასის წინაშე არის პროლეტარული მოძრაობის პირობებისა, მიმდინარეობისა და საერთო შედეგების გაგება".

აქედან სჩანს, რომ მეცნიერული სოციალიზმი თავიდანვე ხაზს უსვამდა პროლეტარული ბრძოლის საერთაშორისო ხასიათს, რომ ეს ბრძოლა არ უნდა შეზღუდულიყო ერთი სახელმწიფოს ან ერთი ეროვნების ფარგლებით, რომ მას მხედველობაში უნდა მიეღო ყველა ქვეყნის და ყველა ერის მუშათა ინტერესები. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავდა მუშათა პარტიის განვითარების უარყოფას თვითეულ ცალკე ქვეყანაში. მაგრამ ეს მუშათა პარტიები უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ საერთაშორისო ორგანიზაციად.

ასე ჩაეყარა საფუძველი სხვადასხვა ქვეყნის მუშათა გაერთიანებას. მაგრამ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" შედგენის მომენტისათვის მუშათა პარტიები ცალკე ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არსებობდენ. მიუხედავად ამისა, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" წინასწარ სწყვეტდა ამ პარტიების შექმნას და განვითარებას, ხოლო ამასთან ერთად მათ გაერთიანებასაც.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გამოცემის შემდეგ მარქსიზმის საერთაშორისო ხასიათი სულ უფრო მეტად აშკარავდებოდა, რაც სჩანს მარქსის ყველა წერილიდან და ყველა მიმართვიდან.

1848 წელს მარქსი, გერმანიის მუშების სახელით, ესალმება პარიზის მუშების გამოსვლას. და შემდგომ, თუმცა მუშათა საერთაშორისო ორგანიზაცია ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ მარქსი თითქოს მუშების ამ ორგანიზაციას ასახიარებდა. ხოლო, როდესაც 1864 წელს მარქსის ინიციატივით მოეწყო მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა, ე. ი. I ინტერნაციონალი, მარქსი ამ ორგანიზაციის სულის ჩამდგმელი გახდა. ის ხელმძღვანელობდა არა მარტო ამ ამხანაგობის ბიუროს მუშაობას, არამედ მის ცალკე სექციებსაც. მარქსმა შეადგინა I ინტერნაციონალის წესდება,

მისი ყველა ცალკე სექციების სტატუტები, მრავალი მიმართვა და ცირკულიარი. ცნობილია, რომ მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ბიუროში წარმომადგენელი იყო რუსეთიც მარქსის სახით.

მუშათა ეს პირველი საერთაშორისო ამხანაგობა, რომელსაც მარქსი ხელმძღვანელობდა, ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მუშათა მოძრაობას ყველა ქვეყანაში, აძლევდა რჩევას სხვადასხვა ქვეყნის მუშებს და უწევდა მათ არა მარტო მორალურ, არამედ მატერიალურ დახმარებასაც. მუშათა საერთაშორისო ამხანაგობას აინტერესებდა არა მარტო მუშების მდგომარეობა და მუშათა მოძრაობის სვე-ბედი (მაგალითად, გაფიცვები), არამედ იგი თვალყურს ადევნებდა აგრეთვე რევოლუციურ მოძრაობასაც მონარქიული და ბურჟუაზიული მთავრობების წინააღმდეგ, თვალყურს ადევნებდა რევოლუციურ და რეფორმისტულ-დემოკრატიულ მოძრაობას იტალიასა, პოლონეთსა, ირლანდიასა, რუსეთში და სხვ.

პირველმა ინტერნაციონალმა, რომელიც ლონდონში იმყოფებოდა, უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ევროპისა და ამერიკის მუშებში. ბურჟუაზიულ მთავრობებს იგი თავისთვის საშიშარ ძალად მიაჩნდათ. ამით აიხსნება, რომ ბურჟუაზიული მთავრობები სდევნიდენ თავის ქვეყანაში როგორც მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის სექციებს, ისე ამ სექციების ცალკე წევრებსაც.

იდეები მუშათა საერთაშორისო, ინტერნაციონალური სოლიდარობისა და მათი გაერთიანება თავისი ინტერესების დაცვისათვის, რასაც პირველი ინტერნაციონალი ქადაგებდა, უდიდეს თანაგრძნობას იწვევდენ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მასებში. როდესაც საფრანგეთის მუშებმა — პირველი ინტერნაციონალის წევრებმა 1870 წელს იგრძნეს ომის საფრთხე საფრანგეთსა და გერმანიას შორის, მათ მაშინვე გამოუშვეს მიმართვა ორივე ქვეყნის მუშებისადმი, სადაც კიცხავდენ ორივე ქვეყნის მმართველი მტაცებლების ამ დანაშაულებრივ ავანტიურას, რომ ამით თავიდან აეცდინათ სისხლის ღვრა ორ მოძმე ხალხს შორის; ისინი ამბობდენ, რომ მუშებისათვის არ არსებობს საზღვრები, რომ ყველა ადამიანები ძმები არიან.

ინტერნაციონალი მარქსს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც მთლიანი, შეკავშირებული და ცენტრალიზებული ორგანიზაცია; ამასთანავე, ცალკე ქვეყნებში ინტერნაციონალს ჰყავდა სექციები, რომელნიც ძირითადად მას ექვემდებარებოდენ.

მაგრამ, როგორც ვიცით, თვით პირველ ინტერნაციონალში იყვნენ ცენტრალიზმის მოწინააღმდეგენი. ესენი იყვნენ სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული და ანარქისტული პარტიები, რომელნიც იცავდენ ფედერატიულ პრინციპს ინტერნაციონალში, რაც არსებითად თვით ინტერნაციონალის გაუქმებას ნიშნავდა.

მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მარქსის ცენტრალიზმის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე ინტერნაციონალში იყო ცნობილი რუსი ანარქისტი — მ. ბაკუნინი. ეს-მით უფრო დამახასიათებელია, რომ რუსი „ნაროდნიკული" სოციალისტები, რომელნიც საერთოდ თეორიაში მარ-

ქსის ავტორიტეტს თაყვანს სცემდენ, საქმით თავის თეორიას იცავდენ, იმ თეორიას, რომლის თანახმად რუსეთი სოციალიზმამდე თავისი საკუთარი, დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებული გზით უნდა მისულიყო. თუ რამდენად აერიათ გზაკვალი რუსეთის „ნაროდნიკებს“ (და არა მარტო რუსეთის) სოციალიზმის საკითხებში, ამას, სხვათა შორის, გვიჩვენებს ერთ დროს ცნობილი „ნაროდნიკი“-მწერლის მიხაილოვსკის შემდეგი სიტყვები: „მუშათა საკითხი ევროპაში რევოლუციური საკითხია, რადგან ის მოითხოვს პირობების (!) გადაცემას მომუშავის ხელში, ახლანდელ მესაკუთრეების ექსპროპრიაციას. მუშათა საკითხი რუსეთში კონსერვატიული საკითხია, რადგან აქ საჭიროა მხოლოდ შრომის პირობების შენარჩუნება მომუშავის ხელში, ახლანდელი მესაკუთრეებისათვის მათი საკუთრების გარანტია“ (ამოღებულია პლეხანოვის წიგნიდან „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“).

რუსეთის „ნაროდნიკები“ (და განა მარტო რუსეთის!) არა თუ ვერ ხედავდენ პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლას, არამედ ისინი არ სცნობდენ ამ ბრძოლას და არავითარ მნიშვნელობას მას არ აკუთვნებდენ. და მხოლოდ შემდეგ ლენინმა და ბოლშევიკებმა ბოლო მოუღეს ამ უტოპიურ, წვრილბურჟუაზიულ და ანარქისტულ შეხედულებებს, ამ ნაციონალურ შეზღუდულობას და თავისთავადობას.

პირველი ინტერნაციონალი, როგორც ვიცით, დაიშალა უმთავრესად იმის გამო, რომ, ერთი მხრით, იმ დროს ცალკე ქვეყნებში არ იყო განვითარებული მუშათა სოციალისტური პარტიები, ხოლო, მეორე მხრით, თვით ინტერნაციონალის შიგნით ადგილი ჰქონდა კინკლაობას და ინტრიგებს, რადგან ინტერნაციონალში, გარდა ისეთი პარტიებისა, რომელნიც მთლიანად მარქსის მოძღვრებას აღიარებდენ, იყვნენ აგრეთვე ისეთი სოციალისტური სკოლების წარმომადგენელნიც, რომელნიც მარქსიზმს ებრძოდენ (პრუდონისტები, ანარქისტები და სხვ.).

პირველი ინტერნაციონალის არსებობის დროის განმავლობაში მუშათა საერთაშორისო ურთიერთობა იმდენად განვითარდა, რომ მომავალში უცენტროდ არსებობა უკვე შეუძლებელი იყო. ასეთ ცენტრად, ცენტრალურ პუნქტად, რომელსაც მიმართავდენ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მოძრაობის მოღვაწეები, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ კარლ მარქსი, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ყველას მიერ ცნობილი ბელადი. და მართლაც, რევოლუციური მუშათა მოძრაობის ყველა ძაფები სხვადასხვა ქვეყნებში ამ დროიდან მარქსისაკენ მიიმართებოდა. რომ ამ საგანზე დიდხანს არ შეეჩერდეთ, უმჯობესია მოვიყვანოთ ერთი ადგილი ფრ. ენგელსის წერილიდან, რომელიც მან მისწერა ზორგეს მარქსის სიკვდილის მეორე დღეს: „პროლეტარიატის მოძრაობა, — ვკითხულობთ ამ წერილში, — მიდის წინ თავისი გზით, მაგრამ აღარ არის ის ცენტრალური პუნქტი, რომელსაც გადამწყვეტ მომენტებში ბუნებრივად მიმართავდენ ფრანგები, რუსები, აძერიკელები, გერმანელები, და ყოველთვის იღებდენ მისგან ნათელ, გაუბათილებელ რჩევას, რომლის მიცემაც შეეძლო მხოლოდ ყოველმხრივი ცოდნით შეიარაღებულ გენიოსს“.

ეს მართლაც ასე იყო. ამას მჭერმეტყველურად გვიმტკიცებს მთელი ის უდიდესი მიწერ-მოწერა, რომელიც მარქსის სიკვდილის შემდეგ დარჩა და რომლისაგანაც დღევანდლამდე გამოქვეყნებულია მხოლოდ მცირე ნაწილი. ეს მიწერ-მოწერა შეიცავს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათის ძვირფას მითითებებს, განმარტებებს და მრავალ რჩევა-დარიგებას. მარტო ამ მიწერ-მოწერითაც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა იყო მარქსი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის.

მარქსის მეთხებით ყველა ქვეყნის მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის იდეები, საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ მათი საერთო ბრძოლის ორგანიზაციის აუცილებლობის იდეები უაღრესად პოპულარული გახდა ევროპისა და ამერიკის ყველა მთავარი ქვეყნის მუშათა წრეებში. აძიტომ პროლეტარიატის საერთაშორისო ორგანიზაციის (II ინტერნაციონალი) განახლება 1889 წელს სრულიად ბუნებრივი იყო. მაგრამ II ინტერნაციონალი თითქმის თავიდანვე შემცდარ გზას დაადგა. ის არ იყო მოქმედების ორგანიზაცია, როგორც მარქსის პირველი ინტერნაციონალი. მან დაივიწყა პირველი ინტერნაციონალის ტრადიციები. მთელი მისი მუშაობა ძდგომარეობდა იმაში, რომ გამოქონდა რეზოლიუციები, რომლებიც არავისთვის სავალდებულო არ იყო. ის სულ უფრო მეტად ეფლობოდა ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის ჭაობში. ამის გარდა, II ინტერნაციონალის რიგებში სულ უფრო მეტად თავს იჩენდა შოვინიზმის აშკარა ნიშნები, დიდმყპრობელური ტენდენციები, განსაკუთრებით კოლონიების მიმართ და სხვ.

II ინტერნაციონალის უდიდესი გამოცდა იყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, რომელიც 1914 წლის აგვისტოში დაიწყო. ომის დასაწყისშივე II ინტერნაციონალი ხუხულასავით დაიშალა. მარქსიზმის ყველა დებულება, მარქსის პირველი ინტერნაციონალის ყველა ტრადიცია, ყველა ქვეყნის მუშების კლასობრივი სოლიდარობის იდეები დავიწყებულ და ფეხქვეშ გათელილ იქნა. ეს იყო მეორე ინტერნაციონალის სამარცხვინო აღსასრული. მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა უღალატეს მარქსიზმს, რომლის სახელსაც ისინი, სიტყვით, ერთმანეთს ეფიცებოდენ!

II ინტერნაციონალის ხელიდან დავარდნილი მარქსიზმის დიადი დროშა, ყველა ქვეყნის მუშების კლასობრივი სოლიდარობის დროშა ბურჟუაზიის და კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, ხელახლა უნდა აღმართულიყო. ვინ გააკეთა ეს საქმე? ეს დიდი სასახელო საქმე წილად ხვდა რუს ბოლშევიკებს ლენინი იყო პირველი, რომელმაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა II ინტერნაციონალის ბელადები საერთაშორისო პროლეტარიატის ღალატის გამო, და დაუყოვნებლივ შეუდგა ახალი ინტერნაციონალის ორგანიზაციას, იმ ინტერნაციონალის, რომელსაც I ინტერნაციონალის ყველა ტრადიცია უნდა აღედგინა. ეს უძნელესი ამოცანა, რომელიც გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო ომის პირობებში, როდესაც გახელებული შოვინისტური გრძნობები მძლავრად ბატონობდა ყველგან თვით სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტებშიაც კი, სასახელოდ იქნა შესრულებული სწორედ რუსი ბოლშევიკე-

ბის მიერ ლენინის მეთაურობით, ყოფ. რუსეთის იმპერიაში ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების მეოხებით.

ამგვარად, განუზომელი ოფლის ღვრით, უდიდესი დაბრკოლებათა გადალახვით 1919 წლის მარტში, II ინტერნაციონალის დამარცხებისა და პროლეტარიატის საერთაშორისო ურთიერთობათა დაშლის თითქმის 5 წლის შემდეგ, შესაძლებელი გახდა III, კომუნისტური ინტერნაციონალის, დაარსება. ამით აღდგენილი იქნა მუშათა საერთაშორისო ურთიერთობანი; სხვადასხვა ქვეყნებში აღმოცენდა კომუნისტური პარტიები, რომელნიც კომუნისტური ინტერნაციონალის სექციებს წარმოადგენენ. ამგვარად, კომუნისტური ინტერნაციონალი აერთიანებს და წარმართავს პროლეტარიატის მთელს მსოფლიო მოძრაობას რევოლიუციური მარქსიზმის დროშით.

მაგრამ რას ნიშნავს მუშათა მთელი მსოფლიო მოძრაობის გაერთიანება კომუნისტურ ინტერნაციონალში? განა ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანაში, ყველგან მუშათა მოძრაობა ერთი და იმავე შაბლონით უნდა ვითარდებოდეს? სრულიადაც არა. მეცნიერული სოციალიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სისწორით გავითვალისწინოთ თვითეული ქვეყნის კონკრეტული თავისებურებანი, ამ თავისებურებათა მიხედვით დავრაზმოთ მუშათა კლასი და წავიყვანოთ იგი საერთო მიზნისაკენ.

კომუნისტური ინტერნაციონალი მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ყველა ქვეყნები ეკონომიურად, სოციალურად და სხვ. თანაბრად განვითარებული არ არიან. ზოგიერთ ქვეყნებში კაპიტალიზმი უკვე მომწიფდა, ხოლო სხვა ქვეყნებში იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ განვითარებულა.

მაგრამ, ამასთან ერთად, არის სხვა პირობებიც. ავიღოთ, მაგალითად, მეფის რუსეთი. რუსეთში კაპიტალიზმი ისე არ ყოფილა განვითარებული, როგორც გერმანიასა, ინგლისსა, ამერიკაში და სხვ. მაგრამ, როგორც ვიცით, მარქსიზმმა მონახა აქ ნიადაგი თავისი იდეების განხორციელებისათვის, ამ იდეების პრაქტიკაში გამოყენებისათვის. თითქოს ცხადია, რომ ყველაზე პირველად ეს უნდა მომხდარიყო ინგლისში, გერმანიაში ან საფრანგეთში, მაგრამ მოხდა წინააღმდეგ. რით უნდა აიხსნას ეს? ნუ გამოუდგებით ამის მიზეზების ახსნას. ეს დაკავშირებულია აგრეთვე ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხთან, რომელიც უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია. მაგრამ ტროცკისტები და ბენშევიკები ამას უარყოფდენ. მარქსიზმი ითვალისწინებს თვითეული ცალკე ქვეყნის ყველა თავისებურებას, პროლეტარიატის კლასობრივ შეკავშირებას და იმას, თუ რამდენად შესწევს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ბურჟუაზიას და სხვ.

მუშათა კლასის გამარჯვების ორგანიზაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ობიექტიურ პირობებს, არამედ სუბიექტიურ ფაქტორებსაც. როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში სწარმოებს მუშათა გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიასთან, ამ ძმენტში ყველა გარემოების და ყველა პირობების გათვალისწინებას, გამჭრიახობას და მოვლენათა შემდგომ განვითარების წინას-

წარ მიხვედრას უდიდესი როლი ეკუთვნის.ეს ალღო ჰქონდა მარქსს, ენგელს, ლენინს. და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ მხრით რუსეთის პროლეტარიატი იმპერიალისტური ომის დროს შედარებით ყველაზე ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა; და სწორედ ამიტომ, თუმცა რუსეთი მაშინ ევროპაში ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, პროლეტარიატი უფრო რევოლუციური და უფრო დარაზმული აღმოჩნდა იმისათვის, რომ დაეწყო სოციალისტური რევოლიუცია, რომლის საერთაშორისო მნიშვნელობაც განუზომელია.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის დასახასიათებლად უნდა ავღნიშნოთ კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავება ევროპის და ამერიკის უმთავრეს ქვეყნებში. პირველ რიგში აქ გერმანია სდგას. რა ხდება ეხლა გერმანიაში? გაცოფებული კონტრრევოლუციური ბურჟუაზია ცდილობს მოსპოს მარქსიზმი, რისთვისაც თითქმის ყველა რევოლუციური მუშების გაჟლეტას აპირებს. კომუნისტური რევოლუციის წინაშე შიშით შეპყრობილი გამხეცებული ბურჟუები ხედავენ, რომ მარქსიზმი უდიდესი ძალაა, რომელიც მიმართულია თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ისინი ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ მარქსიზმის მოსპობა შეიძლება ისე, რომ პირველად მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილება არ მოისპოს.

კაცობრიობის მთელი წარსული და თანამედროვე ისტორია მარქსის მოძღვრებას ადასტურებს. კაცობრიობის მთელი განვითარება მიდიოდა იმ გზით და იმ კანონებით, რომლებიც აღმოაჩინეს მარქსმა და ენგელსმა, და რომლებიც ლენინმა განავითარა და შეავსო. ეს კანონები გვიმტკიცებს კაპიტალიზმის, კაპიტალისტური საზოგადოების და ყველა მისი დაწესებულების აუცილებელ დაღუპვას.

ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს, ჯერ ერთი, პროლეტარიატის გამარჯვება დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და, მეორე, სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი წინსვლა სსრ კავშირში ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და პროლეტარიატის ნაცადი ბელადის — ამხ. სტალინის მეთაურობით.

პროლეტარები და ჩაგრული ხალხები სულ უფრო მეტად ერთიანდებიან მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ. ეს დიადი დროშა თავს უყრის, საერთაშორისო ორგანიზაციაში ამჟიდროებს ყველა ხალხთა მშრომელ მასებს და მიჰყავს ეს მშრომელი მასები ბრძოლაში კაპიტალიზმის ჩაგვრის, იმპერიალიზმის, კოლონიალური მონობის წინააღმდეგ.

მარქსიზმის საერთაშორისო დროშამ უკვე ჩააბა ყველაზე ჩამორჩენილი, ყველაზე დამონებული ხალხები ბრძოლაში ჩაგვრელების და ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ვის უპირავს ახლა ბრძოლის დროშა იაპონიის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომელნიც ასე თავხედურად, ასე ყაჩაღურად თავს ესხმიან ჩინეთის ხალხს? ვის? ერთა ლიგას, თუ სოციალ-ფაშისტებს? არა. მხოლოდ მუშათა კლასი, მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებული მუშათა კლასი ებრძვის იმპერიალისტურ მტაცებლებს.

ვინ იბრძვის ახლა ნამდვილად ჩინეთში იმპერიალისტური მტაცებლების წინააღმდეგ? მხოლოდ კომპარტია, მხოლოდ ის. თუ ჩინეთის ხალხი გადარჩა, ის გადარჩება მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ხალხი, ე. ი. ჩინეთის მშრომელი მასები შემოკრბებიან მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ. ამ მოძრაობას ვერაფერი შეაჩერებს, ვერავითარი რეპრესიები, ვერავითარი დევნა ვერ მოსპობს ამ მოძრაობას. ეს ყველა ჯურის მრაგვრელთა უიმედო საქმეა. მარქსიზმი თავს უყრის თავისი დროშის ქვეშ ყველა ჩაგრულთ, ყველა დევნილთ, და ამ დროშით მსოფლიო პროლეტარიატი გაიმარჯვებს.

მარსელ კაშენი

ორმოცდაათი წელი მარქსის გარდაცვალებიდან *)

1933 წ. 14 მარტს ორმოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ რაც მარქსი გარდაიცვალა. კომუნისტურ ინტერნაციონალმა გადასწყვიტა სათანადოთ აღენიშნა მარქსის გარდაცვალების ორმოცდაათი წლის თავი. მან წინადადება მისცა ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს ესარგებლათ ამ გარემოებით რათა უკეთ გაეცნოთ მარქსის მოძღვრება მუშებისათვის. მან გამოსცა მთელი რიგი წიგნებისა და ბროშურების, რომელშიც ნათლადაა გარკვეული მარქსიზმის უმთავრესი თეზისები. ეს თეზისები გადაითარგმნება ყველა ენებზე და მილიონ ეკზემპლიარებში გავრცელდება მთელი მსოფლიოს პროლეტართა შორის; 14 მარტს მრავალ მილიონ მუშათა ტრიბუნიდან გააშუქებენ მარქსის დიად მოძღვრებას. მარქსის მრავალი ათასი მოწაფეები, რომელთაც დიდი ხანია მარქსიზმი როგორც რეოლიუციონურ თეორიის, ისე რევოლიუციონურ პრაქტიკის გამოსავალ მოძღვრებად აღიარეს. 14 მარტს ამ მოძღვრებას პოპულიარულ ფორმაში გადასცემენ მშრომელთა ფართე მასებს. ამ დღეს პროლეტარიატი ერთხელ კიდევ გაეცნობა თუ რამდენად შეუმცდარად გამოარკვია მარქსმა კაპიტალიზმის განვითარების შინაგანი იმანენტური კანონები, რომელიც კაპიტალიზმს მისი დაღუპვის აუცილებლობისკენ მიაქანებს. პროლეტარიატი ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ კაპიტალიზმი მიიმართება სწორედ იმ გზით, რომელიც მარქსის მოძღვრებაშია გამორკვეული და რომელიც რაც დრო გადის მით უფრო მეტის აუცილებლობით აახლოვებს მას თავის დაღუპვასთან.

ამ დღისათვის მილიონ ეკზემპლიარებში გავრცელდება „კომუნისტური მანიფესტი“, რომელშიაც პირველად გააცნო მარქსმა მუშათა კლასს თანამედროვე კაპიტალიზმის ბუნება და მისი დაღუპვის აუცილებლობა. ამ დღისათვის ყოველ ქვეყანაში გამოვა მარქსის მთავარი შრომის „კაპიტალის“ ახალი გამოცემები. საქ. კომ. პარტ. (ბ) ცენტრ. კომიტეტმა დიდი შრომა გასწია მარქსისა და ენგელსის შრომების ქართულად გამოცემისათვის. სრული სიამაყით შეუძლია საბჭოთა საქართველოს შეხვდეს მარქსის გარდაცვალების 50 წლის თავს, რადგან მას კომუნიზმის დამაარსებელთა შრომების გამოცემაში მთელს მსოფლიოში მეოთხე ადგილი აქვს დაკავებული.

*) ამხ. მ. კაშენის სტატია დაწერილია სპეციალურად „ბოლშევიკი“-სათვის.
რედ.

მარქსის უკვდავი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი შეუწყო მუშათა კლასს ჩამოეყალიბებია თავისი კლასიური მსოფლმხედველობა. მისცა მას მოვლენათა გასარკვევად მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდი. შეიმუშავა მონობისაგან განთავისუფლების ბრძოლის პროგრამა. მარქსიზმი—მუშათა კლასის ფილოსოფიაა.

მარქსმა ურიცხვ ფაქტებისა და დაუძლეველი არგუმენტაციის საფუძველზე დაამტკიცა, რომ დღემდე არსებულ ყველა საზოგადოებათა ისტორია ეს არის კლასთა ბრძოლა. ერთიმეორეში გადახლართულ სოციალურ მოვლენათა კვანძი, ერთი მეორეს წინააღმდეგ მიმართული სოციალური დაჯგუფებანი, უალრესი სირთულით ხასიათდებიან; მარქსის მიერ შემუშავებული კლასობრივი ბრძოლის თეორია წარმოადგენს ამ მოვლენათა სწორად შეცნობის ერთად-ერთ საშუალებას. ხალხთა ისტორიის ყველა ფაქტები მჭერმეტყველურად ადასტურებენ ამ უღრმესი თეორიის სისწორეს. ჩვენს ეპოქაში, როცა კლასთა ანტაგონიზმი გამარტივდა, მარქსის აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ უარყონ, რომ საზოგადოება დაყოფილია ყოველგან ორ დიდ ბანაკათ, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე—ბურჟუაზია და პროლეტარიატათ, რომლებიც ეწევიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ერთი მეორეს წინააღმდეგ.

მარქსმა ისტორიული ფაქტების ახსნისათვის გამოიყენა მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდი. სოციალურ სამყაროს სწორედ ისევე მართავს კანონები, როგორც ფიზიკურ სამყაროს. ადამიანი არ წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში. ის ბუნების ნაწარმოებია და მისი იდეები არსებულ გარემოებათა გამოხატულებაა. არაფერი არ არსებობს მუდმივი. არაფერი არ არსებობს საბოლოოდ დასრულებული. ყოველივე ემორჩილება გარდაქმნის განუწყვეტელ პროცესს. მოვლენათა განვითარება არ მიმდინარეობს მექანიკურად. განვითარება მიმდინარეობს არათანაბრად, ნახტომებით, კატასტროფით, რევოლიუციებით. ყოველ მოვლენას ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც გამოაშკარავებული უნდა იქნას სრული და ფრთხილი ანალიზით. ჰეგელის დიალექტიკის ამ იდეიას მარქსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. იმისათვის, რომ მარქსს აეხსნა საზოგადოების წარმოშობა და განვითარება, მან დიალექტიური მეთოდის საშუალებით შეისწავლა არსებულ მოწინააღმდეგე ტენდენციათა კრებადობა და ის უბრალოდ დაიყვანა წარმოების პირობებსა და ტეხნიკამდე: მოვლენათა განვითარება განისაზღვრება საწარმოო და მატერიალურ ძალთა განვითარების დონით.

ისტორიის მატერიალისტური გაგება, კლასთა ბრძოლა—აი როგორია მარქსის მოძღვრება, რომლითაც მან გაამდიდრა ფილოსოფია. მეცნიერულ სოციალიზმის შემქმნელთა მიერ შემუშავებული ეკონომიური დოქტრინა, საესებით ამართლებს და ადასტურებს ისტორიის ამ ფილოსოფიას.

თავის „კაპიტალში“ მარქსი მიზნად ისახავს აღმოაჩინოს თანამედროვე საზოგადოების, ე. ი. კაპიტალიზმის განვითარების ეკონომიური კა-

წონი. ამისათვის ის იძლევა სასაქონლო წარმოების ანალიზს, რომელიც წარმოადგენს კაპიტალისტურ საზოგადოების ძირითად საფუძველს. მან გვაჩვენა, რომ საქონელს აქვს სახმარი ღირებულება და საცვლელი ღირებულება. საცვლელი ღირებულება წარმოადგენს გაცვლის პროცესში ერთი საქონლის სახმარი ღირებულების მეორეგვარ საქონლის სახმარი ღირებულებასთან შეფარდებას. ყველა ამ გასაცვლელ საქონლებს მოეპოვებათ ერთი საერთო თვისება—ყველა ისინი წარმოადგენენ შრომის პროდუქტებს. ამ საქონელთა ღირებულება განისაზღვრება იმ შრომის რაოდენობით, რომელიც საჭიროა მათი დასამზადებლად. ამრიგად შრომა ქმნის ღირებულებას.

მაგრამ, კაპიტალისტურ საზოგადოებაში სამუშაო ძალა წარმოადგენს საქონელს სწორედ ისევე, როგორც ყველა დანარჩენი საქონელი, რომელთა ყიდვა შეუძლიათ და რომელთაც მართლაც ყიდულობენ ფულის პატრონები. მუშა ყიდის თავის სამუშაო ძალას. კაპიტალისტი კი, რომელიც იქცევა ამ სამუშაო ძალის პატრონად, მოიხმარს მას, ე. ი. აიძულებს მუშას იმაზედ უფრო მეტ ხანს იმუშაოს, ვიდრე ეს საჭიროა მის საარსებოდ. თუ მუშა შრომობს დღიურად 12 საათს, ის 6 საათს უეჭველად შრომობს კაპიტალისტისათვის მოგების მისაცემად. ის ქმნის ზედმეტ ღირებულებას. ამრიგად კაპიტალისტურ წყობილებაში მუშა იმაზედ მეტს ქმნის, ვიდრე მის საარსებოთაა საჭირო. კაპიტალისტის სიმდიდრე კი წარმოსდგება მუქთი შრომით, რომელიც მან მიითვისა მუშისაგან.

ამრიგად წარმოების კაპიტალისტური წესის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების შექმნა. მუშას აძლევენ უთხლებას იმუშაოს და მით შეიძინოს საარსებო საშუალებანი მხოლოდ იმ პირობით, თუ კი ის წარმოების პარტონისათვის შექმნის ზედმეტ ღირებულებას.

აი როგორ წარმოიშობა კაპიტალისტური მოგება. ამავე დროს ყოველგვარი ტეხნიკური გაუმჯობესება ზრდის კაპიტალისტის ყოველდღიურ შემოსავალს. რამდენადაც ტეხნიკა ვითარდება, იმდენად იზრდება ღირებულების ის მასა, რომელსაც კაპიტალისტი ზედმეტი ღირებულების სახით ითვისებს მუშებისაგან. ამრიგად კაპიტალი იზრდება განუწყვეტელ მზარდ პროპორციით. კაპიტალის დაგროვების პარალელურად მიმდინარეობს მუშათა კლასის გაღატაკება.

კაპიტალიზმი, რომელიც ანარქიულ მოუწესრიგებელ სამეურნეო სისტემას წარმოადგენს საქონელს ამზადებს უგეგმოთ, ბაზრის მოთხოვნილების წინასწარ გათვალისწინების გარეშე, რის გამო ის იწვევს წარმოების სისტემატიურ კრიზისს, ხოლო ამას კი შედეგად თან სდევს მშრომელთა ფართე მასების უმუშევრად დარჩენა და მათი ოჯახების გაღატაკება.

გარდა ამისა, თანდათანობით ტეხნიკის განვითარებისა და კაპიტალის დაგროვების საფუძველზე წვრილი წარმოება ნადგურდება, რომელსაც არ ძალუძს ბრძოლა აწარმოოს კონცენტრირებულ კაპიტალთან. წვრილი მწარმოებლის ექსპროპრიაცია ხდება. მისი საკუთრება ისპობა. მარქსმა მრავა-

ლი მაგალითებით ნათელყო ის თუ როგორის ტკივილებით ჩატარდა კაპიტალისტების მიერ უშუალო მწარმოებელთა საკუთრების ექსპროპრიაცია. მან აგრეთვე გვაჩვენა, რომ რამდენიმე პირის ხელში კაპიტალისტური საკუთრების კონცენტრაცია კვლავ აღადგენს კერძო საკუთრებას მხოლოდ კაპიტალისტების ინტერესებისათვის, მხოლოდ ახალ პირობებში, რომელიც ეწინააღმდეგება კერძო საკუთრებას. კაპიტალისტების ეხლანდელი კერძო საკუთრება, რომელიც შექმნილია კაპიტალის გაზრდით არაა დამყარებული ისე, როგორც ეს წინედ იყო მესაკუთრის პირად შრომაზე, არამედ ეს აღმოცენებულია წარმოების კოლექტიურ წესზე. სწორედ ეს წინააღმდეგობა უარყოფს კერძო საკუთრებას. ამრიგად დაუძლეველ, ბუნების კანონის მსგავსად კაპიტალისტური წარმოება შეიცავს თავისშივე თავის საკუთარ უარყოფას. მარქსი ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად გარდაქცევისათვის უფრო ნაკლები დრო იქნება საჭირო, ვიდრე დასჭირდება კერძო საკუთრების კაპიტალისტურ საკუთრებად გარდაქმნას. ამ ისტორიულ ამოცანას შეასრულებს პროლეტარიატის დიქტატურა.

ყველა თანამედროვე მოვლენები თავის ახსნას და გადაჭრას მარქსიზმში ჰპოულობენ. ბურჟუაზიის ოფიციალური სწავლულნი, პროფესორები და ეკონომისტები ტყუილად ცდილობდენ მარქსისტული ანალიზი გაეკრიტიკებიათ. „კომუნისტურ მანიფესტს“ მისი გამოცემის 86 წლის გასვლის შემდეგ მას არაფერი არ დაჰკარგვია თავის დებულებათა სისწორეში და სიმტკიცეში. ის ვით არასოდეს თანადროულია და ცხოველმყოფელია. მარქსის გენიით შექმნილი სისტემა დაურღვეველია.

მარქსი არ იყო მარტო თეორეტიკოსი ან დოკტრინიორი. ის მჭიდროთ იყო დაკავშირებული მუშათა კლასის ნამდვილ ცხოვრებასთან. ის გზას უკაფავდა ახლად ფეხადგმულ ინტერნაციონალს. ის ფაქტიურად ხელმძღვანელობდა პირველ ინტერნაციონალს. შემდეგ როცა რეპრესიების გაცლენით ინტერნაციონალი დაიშალა მარქსი ხელს უწყობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიების შექმნას გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში და რუსეთში. ის ასწორებდა და რედაქციას უკეთებდა მათ პროგრამებს. ის აფრთხილებდა მათ ოპორტუნისტულ, ძირითადი ხაზიდან თეორიულ და ტაქტიკურ ხასიათის გადახრებიდან.

რომ მარქსი ეხლა გაცოცხლდებოდეს ის დასწყევლიდა მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ამახინჯებენ, რყვნიან და ღალატობენ მისი უდიდეს შეურიგებლობის ხასიათის მატარებელ მოძღვრებას. ისინი კლასობრივ ბრძოლას სცვლიან „დემოკრატიით“. იმათ არ სჯერათ, რომ პროლეტარიატს შეუძლია და კიდეც უნდა ჩამოაგდოს ბურჟუაზია და ხელისუფლებას დაეუფლოს. ისინი ეაჭრობენ მტრებთან, ისინი როგორც ფილისტერები, ფიქრობენ, რომ შესაძლებელია შეგუებული იქნან ერთად კაპიტალიზმი და სოციალიზმი. მათ პროლეტარიატი მიჰყავთ დამარცხებამდე, კაპიტულიაციამდე, გაღატაკებამდე.

მარქსიზმის ერთად-ერთ მემკვიდრეს წარმოადგენენ ლენინელები კომუნისტური ინტერნაციონალიდან. საბჭოთა კავშირი მარქსიზმის სამშობლოა. საბჭოთა კავშირმა შეინარჩუნა შეუბღალავად დიდი მასწავლებლის მოძღვრება. მან კიდევ უფრო მეტი ქნა. მან ეს მოძღვრება ცხოვრებაში განახორციელა. ის მას ატარებს ცხოვრებაში არა მექანიკურად, არამედ დიალექტიურად, მთელის სიმტკიცითა და მოქნილობით, რომლებიც თანაბრად საჭიროა ამ მოძღვრების განსახორციელებლად. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნამდვილი და ჭეშმარიტი მარქსისტები, კაპიტალიზმის მესაფლავე შეიქმნა.

საერთაშორისო პროლეტარიატი შეიარაღებული მარქსის რევოლიუციონური მოძღვრებით, იბრძვის რა კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის—იმპერიალიზმის დასამხობათ და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, იგი იხსნის კაცობრიობას კაპიტალისტურ მონობისაგან და დაამყარებს ქვეყნად კომუნიზმს. მისი გამარჯვების თავდებია ერთის მხრივ მარქსის რევოლიუციონური თეორიით შეიარაღება, ხოლო მეორეს მხრივ პროლეტარიატსა და კაპიტალისტთა შორის კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავება.

მ. ტროშელიძე

კარლ მარქსის სოციალისტური მიძღვრება

(მისი გარდაცვალების 50 წლის თავის აღნიშვნის გამო)

„მეცნიერებისაკენ არ არსებობს შარა-გზა და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალს, ვისაც არ აფრთხობს და არ ღალავს მის კლდოვან ბილიკებზე ცოცვა“ (მარქსი).

მარქსი მეცნიერია, მაგრამ არა ჩვეულებრივი გაგებით: ის რევოლიუციონერი-მეცნიერია. როგორც ასეთი, ის დიდად განირჩევა ყველა ქვეყნის და ისტორიული ეპოქის უდიდესი მოაზრეებიდან. გენიოსური გონების პატრონი, მარქსი არ არის მარტოოდენ თეორიით გატაცებული, აზროვნების ვარჯიშობით გართული, მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ჩაფლული. ის არ სჯერდება მეცნიერულ აღმოჩენათა შედეგად მიღებულ სანეტარო განცდებს, ის ამ აღმოჩენებს რევოლიუციონურ პრაქტიკასთან აჯაჭვავს, ვინაიდან, როგორც თვით მარქსი ამბობს: „საქმე სამყაროს ახსნა-განმარტება კი არ არის, საქმე ის არის, რომ სამყარო შეიცვალოს“, ვინაიდან, როგორც ამხ. სტალინი განმარტავს, „თეორია უშინაარსოა, თუ ის არ უკავშირდება რევოლიუციონურ პრაქტიკას“.

მაგრამ მარქსი, რევოლიუციონური ტემპერამენტით აღსავსე, გენიოსი ორგანიზატორი, დიდი პრაქტიკული მოღვაწე, ვერ შემოფარგლავს თავის სამოქმედო ასპარეზსს მარტოოდენ პრაქტიკული საქმიანობით, რაგინდ დიდი ეფექტები იყოს მისგან მოსალოდნელი, რაგინდ დიდი იმედების აღმძვრელი იყოს იგი, ვინაიდან, ამხ. სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პრაქტიკა ბრმა არის, თუ ის არ იკვლევს გზას რევოლიუციონური თეორიით“.

თეორიის და პრაქტიკის შეერთება, აზროვნების და მოქმედების შედუღება, მეცნიერული კვლევის და რევოლუციონური ბრძოლის მჭიდრო კავშირი მატერიალისტურ-დიალექტიკური გაგებით, აი რა ახასიათებს მარქსს მთელ მის მოღვაწეობაში, აი რა ასაზრდოებს მთელ მის მსოფლმხედველობას.

ასეთი სახის მოღვაწე შეეძლო მოეცა მხოლოდ რევოლიუციონურ კლასს, პროლეტარიატს, განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში განსაზღვრული ჯულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე.

მართლაც, მარქსი იმ დროს გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზე, როდესაც ბურჟუაზიას არსებითად დაპყრობილი ჰქონდა ძალა-უფლება და რეაქციონურ კლასად ხდებოდა, ხოლო პროლეტარიტი ის-იყო ერკვეოდა თავის მდგომარეობაში და ცდილობდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ

კლასად გადაქცეულიყო. ბურჟუაზია დაჭანების გზას დაადგა, გაბატონებულ კლასად გადაქცეული ის ცხოვრების წინსვლის შემაფერხებელ ძალად იქცა; მისთვის ხელსაყრელი აღარ იყო არც აწმყოს ულმობელი კრიტიკა და არც მომავლის სწორი განჭვრეტა. მისთვის საჭირო აღარ იყო გენიოსი — დიდი გონების და დიდი პერსპექტივის ადამიანი. პროლეტარიატმა ბურჟუაზიის რიგებიდან გამოგლიჯა მისი საუკეთესო შვილი, რომელსაც ბურჟუაზიული კარიერა ვერ დააკმაყოფილებდა, და თავის სამსახურში, კაცობრიობის განთავისუფლების საქმეში ჩააბა.

ახალი კლასისთვის საჭირო იყო პროლეტარული პოლიტიკის წარმოება და პროლეტარული იდეოლოგიის შექმნა, რადგან მხოლოდ ამით შეეძლო ყოველ საშუალებას მოკლებულ, ყველაზე დაჩაგრულ კლასს გადაქცეულიყო ცხოვრების გადამწყვეტ ფაქტორად და თავისი ისტორიული მისიის განხორციელებას შესდგომოდა: ამ საქმემ მარქსში ჰპოვა თავისი განხორციელება.

მარქსს ყავდა წინამორბედები, რომელთა მემკვიდრეობა მან გადააშუშავა და შექმნა საკუთარი სისტემა. გერმანული კლასიკური ფილოსოფია, ინგლისის კლასიკური პოლიტიკური ეკონომია და საფრანგეთის სოციალისტური სისტემები არის ის მემკვიდრეობა, რომელიც მარქსს ხვდა წილად. ფილოსოფოსი ჰეგელი, ეკონომისტები ადამ სმიტი და რიკარდო, უტოპიური სოციალისტები სენ-სიმონი და ფურიე, აგრეთვე ინგლისელი რობერტ ოუენი იყვნენ მარქსის მასწავლებლები, რომელთაც მოწაფე პროლეტარული კადნიერებით მოექცა: კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მათი მოძღვრება, შეითვისა ის, რაც პროლეტარიატისთვის მისაღები იყო, ხელახლა გადაამუშავა იგი ახალი ფაქტების და მასალების საფუძველზე და ააგო სრულიად ახალი მეცნიერული სისტემა, თავისი დიალექტიური მატერიალიზმი, რომელიც მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დამყარებული, წარმოადგენს ბუნების მოვლენების, საზოგადოებრივი ცხოვრების და თვით აზროვნების პროცესის ერთად-ერთ უტყუარ ახსნას, და რომლის გამოყენებამ ეკონომიურ დარგში მოგვცა მარქსის ეკონომიური სისტემა.

ეს მოძღვრება საბოლოოდ დამუშავებული სახით მარქსმა მოგვცა თავის „კაპიტალში“, რომელზედაც ის ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა. უკვე ეს გარემოება ცხადყოფს, რა თავგამოდებით, ამომწურავი ზედმიწევნილობით ასრულებდა მარქსი თავის ისტორიულ შრომას. ის საგანს სულ ახლად და ახლად უბრუნდებოდა, ყოველ ახალ მასალას გულდასმით იკვლევდა და სანამ არ დააჯერებდა გულს, რომ ეს საკითხი ყოველმხრივად შესწავლილია, მანამდე მის გამოქვეყნებაზე არ თანხმდებოდა. ის კარგად გრძნობდა, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შემდეგ მას უნდა ეთქვა ახალი სიტყვა, რომელიც მეცნიერების წინწაწევის და ახალი რევოლიუციონური კლასის მისწრაფების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ის ყოველ წინადადებას სწონიდა, ყოველ აზრს ხელახლად ამოწმებდა, არც ერთ მის წინადროინდელ ეკონო-

მისტს, უყურადღებოდ არ სტოვებდა, ყველას მისი დამსახურებისამებრ მიუზღავდა და გზა და გზა აღნიშნავდა, როგორც დიდ გენიოსთა დაუვიწყარ ღვაწლს, ისე დაუმსახურებლად გაბერილი, წვრილფეხა მჯღაბნელების, სხვადასხვა ჯურის პლაგიატორების უნაყოფობას.

მას, კლასობრივი თვალსაზრისით შეიარაღებულს, გათვალისწინებული აქვს, რომ „ბურჟუაზიული პოლიტეკონომია კაპიტალისტურ წყობილებას განიხილავს არა როგორც ისტორიულად გარდამავალ საფეხურს, არამედ, როგორც საზოგადოებრივი წარმოების აბსოლუტურ და საბოლოო ფორმას"; წინააღმდეგ ამისა, მისი ნაწარმოების საბოლოო მიზანს შეადგენს სწორედ თანამედროვე (ე. ი. კაპიტალისტური) საზოგადოების ეკონომიური განვითარების კანონის აღმოჩენა". ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის კაპიტალიზმს იქით არაფერი არსებობს, კაპიტალიზმი უკვდავი წყობილებაა, მარქსისთვის კი, რომელსაც ამ წყობილების ეკონომიური განვითარების კანონი აინტერესებს, კაპიტალიზმს დასაწყისიც აქვს და დასასრულიც ექნება, მან იგი უნდა გამოიკვლიოს მისი აღმოცენების, განვითარების და დაღუპვის პროცესებში.

მარქსი სრულ ანგარიშს უწევს იმასაც, რომ ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას „შეუძლია მეცნიერებად დარჩეს მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე კლასთა ბრძოლა ფარულ მდგომარეობაშია, ანდა მხოლოდ ცალკე მოვლენებში აშკარავდება", ხოლო ახლა, როდესაც მარქსი კიდებს ამ საგანს ხელს, კლასთა ბრძოლა უკვე აშკარად და ყველასათვის თვალდასანახად სწარმოებს, და ბურჟუაზიულ მეცნიერებს დაკარგული აქვთ უნარი დამოუკიდებელი კვლევა-ძიებისა: „ამიერიდან ბურჟუაზიული ეკონომისტისათვის საკითხი ის კი არაა, თუ რამდენად სწორია ესა თუ ის თეორემა, არამედ — სასარგებლოა იგი კაპიტალისთვის თუ საზარალო, ვარგისია მისთვის თუ უვარგისი, შეეფერება პოლიციის მოსაზრებებს თუ არა. უანგარო კვლევა-ძიების ადგილს დაჭირავებული მჯღაბნელების მყვირალა პოლემიკა იჭერს და მიუდგომელი მეცნიერული გამოკვლევის ადგილს — არაკეთილსინდისიერი, მლიქვნელური აპოლოგეტიკა".

ახლა პოლიტიკური ეკონომია პროლეტარიატის კუთვნილებად ხდება. მარქსი გამოდის ამ ასპარეზზე როგორც პროლეტარიატის წარმომადგენელი და წინდაწინ იცის, რას უნდა ელოდეს ძველი ქვეყნის წარმომადგენელთაგან: „თავისუფალი მეცნიერული კვლევა-ძიება პოლიტიკური ეკონომიის დარგში ხვდება არა მარტო იმ მტრებს, რომლებსაც ხვდება ყველა სხვა დარგში. იმ მასალის თავისებური ხასიათი, რომელსაც პოლიტიკური ეკონომია განიხილავს, იწვევს მის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე ადამიანის ყველაზე მკაცრ, წვრილმან და გაბოროტებულ გრძნობებს, იწვევს საბრძოლველად კერძო ინტერესების ფურიებს". ეს ისეთი დარგია, სადაც ბურჟუაზიული მეცნიერი სრულიად არ არის ნდობის ღირსი; როგორც ლენინმა დაახასიათა, „საზოგადოდ პროფესორი ეკონომისტები კაპიტალისტების კლასის სწავლული ნოქრები არიან". მარქსს ყველაფერი ეს გათვალისწინებული აქვს, მაგრამ ეს მას არ აფრთხობს, ის თავის პი-

როვნებაში გრძნობს თავისი კლასის ტიტანიურ ძალას და თავის დევიზად იღებს დანტეს დიდებულ სიტყვებს: „იარე შენი გზით და, დაე, ადამიანებმა რაც უნდათ სთქვან".

მართლაც, ამ აზრის გოლიათს თავისი გზა აქვს და თავისი კვლევის მეთოდი. რაც ბურჟუაზიული მკვლევარისათვის გამოსავალ წერტილს შეადგენს, მარქსისათვის ეს მხოლოდ გამოვლინების ფორმაა ძირითადი კანონისა. ბურჟუაზიული მეცნიერი წინასწარ მოცემულად გულისხმობს იმას, რაც გამოსაკვლევია და გამოუდინს, რომ, მაგალითად, მიწის რენტა მიწიდან იზრდება, ხოლო მოგება — კაპიტალიდან, შრომის ხელფასი — შრომიდან. მარქსისთვის კი ყველა ეს კატეგორიები მისი ანალიზის დასასრულს პოულობს თავის ახსნას, როგორც გამოვლინების ფორმები ზედმეტი ღირებულებისა, ამიტომ მისი ანალიზი იწყება ღირებულებით, ამ ძირითადი კანონით, რომლის საფუძველზე სწარმოებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა მთელი მექანიზმის მოძრაობა. მართალია, ასეთი კვლევის წესი დიდ შრომას მოითხოვს მკვლევარიდან და დიდ მოთმინებას მკითხველიდან, მაგრამ ეს არის ერთად-ერთი მეცნიერული მეთოდი, რომელიც არ ჩერდება მოვლენათა ზედაპირზე, როგორც ისინი პირველი შეხედვით გვეჩვენებიან და ცდილობს ჩასწვდეს მათ საფუძველს, იპოვოს მათი შინაგანი კავშირი.

ბურჟუაზიისთვის ხელსაყრელი არ არის არც ასეთი კვლევა, არც მისი შედეგები. ის ამჯობინებს, კვლევა მოვლენათა ზედაპირს არ სცილდებოდეს და კაპიტალიზმის შინაგანი მექანიზმი მუდამ ბურუსში იყოს გახვეული. ამის მიზეზს შესანიშნავად გვიხსნის თვით მარქსი: «როდესაც გაგებულია საგანთა შინაგანი კავშირი, ინგრევა ყოველივე თეორიული რწმენა არსებული წესწყობილების მარადიული აუცილებლობისა, ინგრევა იმაზე ადრე, ვიდრე მოხდებოდეს მისი პრაქტიკული დანგრევა. აქ, მაშასადამე, გაბატონებული კლასები აბსოლუტურად დაინტერესებული არიან ყოველივე აზრს-მოკლებული არევდარევა მარადიულად აქციონ".

ამით აიხსნება ის, რომ„ კაპიტალის" გამოქვეყნების პირველ წლებში მან ვერავითარი გამოხმაურება ვერ პოვა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, იგი მას სრული სიჩუმით შეხვდა. ბურჟუაზიული მეცნიერება ფიქრობდა დუმილით მოეკლა ეს დიადი შრომა. მაგრამ მან იპოვა გზა იმ კლასში, რომლისთვისაც ის საბრძოლველ იარაღს შეადგენდა და რომელმაც შედარებით ადვილად გაიგო და შეითვისა მთელი მეცნიერების ეს უმაღლესი ნაყოფი.

მარქსი თავის ანალიზს იწყებს საქონლიდან, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „ეკონომიური უჯრედის ფორმაა" და ათავებს მით, რაც წითელი ზოლივით გაყვება მთელ მის ნაწარმოებს, ათავებს **კლასთა ბრძოლით**, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ეკონომიურ კატეგორიაში ასახულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბედი მათი ანტაგონისტური ფორმის მოსპობით და ახალ ურთიერთობათა დამყარებით. ერთ თავის წერილს ენგელსთან, სადაც მარქსი მთელი თავისი სამეცნიერო კვლევის

გეგმას გადასცემს და თავის აზრთა მიმდინარეობას აცნობს, ასე აბოლოვებს: „დასასრულ, რადგანაც ეს სამი ფორმა (შრომის ხელფასი, მიწის რენტა, მოგება ანუ სარგებელი) შემოსავლის წყაროს შეადგენს სამი კლასისას, მიწის მესაკუთრეებისას, კაპიტალისტებისას და დაქირავებული მუშებისას, — როგორც დასკვნა (უნდა განვიხილოთ) **კლასთა ბრძოლა**, რომელშიაც მოძრაობა პოულობს თავის გადაწყვეტას“.

მარქსს შეგნებულად აქვს წამძღვარებული კლასობრივი თვალსაზრისი. მაგრამ ამით კი არ ეკარგება მის შრომას მეცნიერული ღირსება, პირიქით, ემატება: კლასობრივ საზოგადოებაში კლასობრივი ინტერესების უარყოფა ან თვალთმაქცობაა, ან სიბრიყვე და ორივე მათი შედეგი — მხოლოდ საგნის ნამდვილი არსების მიფუჩეჩებაა.

მარქსის შრომა განძია მეცნიერებისათვის, იმიტომ, რომ ის დიდი განძია მუშათა კლასისათვის. „რაც დედამიწის ზურგზე კაპიტალისტები და მუშები არსებობენ, არ გამოქვეყნებულა მუშებისათვის ისეთი მნიშვნელობის წიგნი, როგორსაც „კაპიტალი“ წარმოადგენსო“, ამბობს ენგელსი. აქ მოცემულია, ის, რაც არ მოუცია მთელ ადრინდელ პოლიტიკურ ეკონომიას.

დავიწყოთ ღირებულებიდან. როგორც ენგელსი აღნიშნავს, ადრინდელი პოლიტიკური ეკონომია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შრომა არის ყოველი სიმდიდრის წყარო და ყოველი ღირებულების საზომი, ასე რომ ორ საგანს, რომელთა წარმოებას ერთი და იგივე სამუშაო დრო დასჭირდა, თანასწორი ღირებულება აქვთ და რადგანაც მხოლოდ თანასწორი ღირებულებანი იცვლებიან ერთმანეთზე, ეს ორი საგანიც ერთმანეთზე უნდა გაიცვალოს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საქონელს იმისათვის აწარმოებენ და ყიდიან, რომ აქედან მოგება მიიღონ. საიდან წარმოსდგება ეს მოგება, თუ საქონელი მხოლოდ მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდება? ფაქტია, რომ კაპიტალისტები იმაზე მეტს ღირებულებას იღებენ, რაც მათ საქმეში დაუბანდებიათ. საიდან წარმოსდგება ეს ზედმეტი.

რასაკვირველია, არა გაცვლა-გამოცვლის პროცესიდან, რადგან აქ მხოლოდ ღირებულებათა გადასვლაა ერთი ხელიდან მეორე ხელში, გაცემული ღირებულების ნაცვლად მისი თანასწორი ღირებულების მიღებას აქვს ადგილი. არც იქიდან შეიძლება ის წარმოსდგეს, რომ მყიდველმა საქონელი მის ღირებულებაზე მაღლა იყიდოს და გამყიდველმა მის ღირებულებაზე დაბლა გაყიდოს, რადგან მყიდველიც და გამყიდველიც რიგ-რიგობით კიდეც ყიდულობენ და კიდეც ყიდიან და რაც ყიდვის ან გაყიდვის დროს მოიგეს, ის ხელმეორედ ყიდვის და გაყიდვის დროს უნდა წააგონ. ვერც ის ახსნის საქმეს, რომ მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს ატყუებენ, რადგან მოტყუებიდან ახალი ღირებულება არ შეიქმნება; აქედან შეიძლება მხოლოდ ის მოხდეს, რომ არსებული სიმდიდრე, საქონელთა არსებული მარაგი სხვანაირად განაწილდეს კაპიტალისტთა შორის.

მაგრამ ზედმეტი ღირებულება რომ იქმნება და კაპიტალისტია კლასს სიმდიდრე ემატება, ეს ყველასათვის აშკარაა. საიდან ხდება ეს შესაძლებელი?

რიკარდომ დიდი დამსახურება გაუწია პოლიტიკურ ეკონომიას მით, რომ ღირებულების საზომად შრომა აღიარა, მაგრამ მან და მისმა მკოლამ ზედმეტი ღირებულების საკითხში კრახი განიცადა. შრომაც მისი ღირებულების მიხედვით უნდა იყიდებოდეს, მაგრამ ნამდვილად ცოცხალ შრომას ნაკლები ღირებულება აქვს, ვიდრე ნივთად ქცეულ, განივთიერებულ შრომას. შრომის ხელფასი, ცოცხალი შრომის ღირებულება მუდამ ნაკლებია, ვიდრე ღირებულება ამავე ცოცხალი შრომით შექმნილი პროდუქტისა. საიდან წარმოსდგება ეს წინააღმდეგობა? რატომ აქვს სხვადასხვა ღირებულება შრომას, ერთი — ცოცხალს და მეორე — განივთიერებულს?

ეს საკითხი მარქსმა გადასჭრა. შრომას არა აქვს ღირებულება და არც ხდება შრომის ყიდვა და გაყიდვა. ყიდვა-გაყიდვის საგანია სამუშაო ძალა და როდესაც ეს სამუშაო ძალა საქონლად იქცევა, მისი ღირებულებაც ისე, როგორც ყოველივე სხვა საქონლის ღირებულება, გაიზომება მასში განხორციელებული შრომით. მუშის შესანახად საჭირო საარსებო საშუალებათა ღირებულება არის სამუშაო ძალის ღირებულება.

დავუბრუნდეთ ისევ საკითხს, საიდან წარმოსდგება ზედმეტი ღირებულება? რამდენი საქონელიც უნდა იყიდოს და გაყიდოს კაპიტალისტმა, რამდენი ნედლი მასალაც უნდა დაამუშაოს მან, ყველა ეს საგნები მხოლოდ შეინარჩუნებენ თავის ღირებულებას ყიდვა-გაყიდვის დროს და ახალ საგანზე გადაიტანენ მას წარმოების დროს. ზედმეტი ღირებულება აქედან ვერ წარმოსდგება. ამ სთვის სხვა პირობაა საჭირო.

საჭიროა, რომ კაპიტალისტმა ბაზარზე იპოვოს ისეთი საქონელი, რომელიც თავისი მოხმარების დროს ახალ ღირებულებას შექმნის. კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში კაპიტალისტი მართლაც პოულობს ასეთ საქონელს, — ეს საქონელია სამუშაო ძალა. ხდება მისი ყიდვა-გაყიდვა მისი ღირებულების მიხედვით და მისი მოხმარება კაპიტალისტს აძლევს ახალ საცვლელ ღირებულებას.

მუშა ვალდებულია იმუშაოს კაპიტალისტთან მთელი დღე, მთელი კვირა თანახმად გარიგებისა. სამუშაო დროის ერთ ნაკვეთში, მაგალითად, ნახევარ დღეს თუ ნახევარ კვირას, ის ანაზღაურებს თავისი სამუშაო ძალის ღირებულებას, რომელიც მასზე კაპიტალისტს დაუხარჯავს, მაგრამ მან უნდა განაგრძოს მუშაობა მეორე ნაკვეთშიაც, რადგან ასეთია გარიგების პირობა. ამ მეორე ნაკვეთში შესრულებულ სამუშაოში კაპიტალისტი არაფერს იხდის, ის მას მუქთად რჩება, ეს გადაუხდელი შრომაა. აქედან წარმოსდგება ზედმეტი ღირებულება, რომელიც ნაწილდება არა მწარმოებელ კლასთა შორის, როგორც მოგება, სარგებელი, რენტა, აგრეთვე სახელმწიფო გადასახადები, რამდენადაც ეს უკანასკნელი გაბატონებულ კლასებს შეეხება.

ზედმეტი ღირებულების ცნება მარქსამდე მოგვცეს სხვადასხვა ეკონომისტებმა, მაგრამ მათ ხელში მას სრულიად არ ქონდა ის მნიშვნელობა, რომელიც მას მარქსმა მიანიჭა. კლასიკური ეკონომისტები განაგრძობენ იმის გამოკვლევას, თუ როგორ ნაწილდება შრომის პროდუქტი კაპიტალისტსა და მუშებს შორის, თითქო ამ პროდუქტს ორივენი ქმნიდენ, — ერთი კაპიტალის დაბანდებით, მეორენი — შრომის დახარჯვით. სხვადასხვა სკოლის სოციალისტებმა სცადეს ამ ცნების გამოყენება. მათ უსამართლოდ მიიჩნიეს ეკონომისტების მიერ ნაჩვენები განაწილება შრომის პროდუქტისა და უსამართლობის მოსასპობად სხვადასხვა უტოპიურ სისტემებს თხზავდენ. „ერთნიც და მეორენიც — ენგელსის თქმით — იმ ეკონომიური კატეგორიების ტყვეობაში იმყოფებოდენ, რომლებიც მათ პოვეს თავიანთ წინამორბედებთან".

„მაგრამ აი გამოვიდა მარქსი, და გამოვიდა პირდაპირ საწინააღმდეგო სახით თავის წინამორბედების მიმართ, სადაც ესენი ახსნას ხედავდენ, იქ იგი მხოლოდ პრობლემას ხედავდა. იგი ხედავდა, რომ... აქ საქმე შეეხებოდა არა მხოლოდ ეკონომიური ფაქტის აღნუსხვას, არა ამ ფაქტის წინააღმდეგობას მარადიული სამართლინობისა და ჭეშმარიტი მორალის მიმართ, არამედ ისეთ ფაქტს, რომლის მოწოდება იყო მთელი ეკონომიის გადატრიალება და რომელიც გასაღებს იძლეოდა მთელი კაპიტალისტური წარმოების გასაგებად" (ენგელსი).

მაგრამ ამისთვის საჭირო იყო უდიდესი შრომის შესრულება. საჭირო იყო ყველა წინანდელი კატეგორიების კრიტიკულად განხილვა. ზედმეტი ღირებულების სწორად გასაგებად საჭირო იყო თვით ღირებულების გაგება, ამისთვის კი — თვით რიკარდოს თეორიის კრიტიკაში გატარება. მარქსმა გამოიკვლია „როგორი შრომა, რატომ და როგორ ქმნის ღირებულებას". თვით მარქსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს თავის იმ ნარკვევს, რომლის მიხედვით, თუ საქონელი წარმოადგენს ორმაგ რაიმეს, სახმარ ღირებულებას და საცვლელ ღირებულებას, მასში განხორციელებული შრომაც ორმაგი ხასიათისაა, — კონკრეტული შრომა, რომელიც ქმნის სახმარ ღირებულებას, და აბსტრაქტული შრომა, რომელიც ქმნის საცვლელ ღირებულებას. პროდუქტების გაცვლის დროს მათი ერთმანეთთან შედარება შესაძლებელია იმიტომ, რომ მათში განხორციელებულია აბსტრაქტული შრომა.

აქედან გადადის მარქსი სხვა კატეგორიებზე. მან გამოიკვლია საქონლის და ფულის დამოკიდებულება, დაამტკიცა, რომ „საქონელმა და საქონელთა გაცვლა-გამოცვლამ უნდა წარმოშვას საქონლისა და ფულის წინააღმდეგობა", რომლის შედეგად საქონელთა სამყარო გამოყოფს თავისი წრიდან ერთ განსაზღვრულ საქონელს (ოქროს) ყველა საქონელთა საერთო ეკვივალენტად. აქედან ლოღიკურ მიმდინარეობას წარმოადგენს მარქსის ანალიზში ფულის გადაქცევა კაპიტალად, რაიცა სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვაზეა დამყარებული.

თვით კაპიტალში მარქსი ორ ნაწილს განასხვავებს: მუდმივ კაპიტალს, რომელიც იხარჯება საწარმოო იარაღების და ნედლი მასალის შესაძენად, მაშასადამე, დაბანდებულია ამ საგნებში, და ცვალებად კაპიტალს, რომელიც სამუშაო ძალაზე იხარჯება. ამ დაყოფას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მუშის ექსპლოატაციის ხარისხი, ზედმეტი ღირებულების ნორმა გამოიანგარიშება არა მთელი კაპიტალის მიმართ, არამედ მხოლოდ მისი ცვალებადი ნაწილის მიმართ. ამით მარქსმა „მიაღწია იმას, რომ დეტალურად გამოსახა ზედმეტი ღირებულების შექმნის პროცესი, რაც არ გაუკეთებია არც ერთ მის წინამორბედს“ (ენგელსი — წინასიტყვაობა „კაპიტალის“ II ტ.).

ზედმეტი ღირებულების გამოკვლევის დროს მარქსმა აღმოაჩინა, რომ მისი გადიდება, რისკენაც ასე ხარბად მიისწრაფვის კაპიტალი, შესაძლოა ორნაირი გზით: სამუშაო დღის გაგრძელებით (ეს არის აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება) და სამუშაო დღის შემოკლებით (ეს არის შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება). კვლევა-ძიების შედეგი აშკარად გვამცნობს თავის პრაქტიკულ მნიშვნელობას. აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების ანალიზის დროს თვალწინ გვეშლება გრანდიოზული სურათი მუშათა კლასის ბრძოლისა, რომელსაც მიზნად აქვს სამუშაო დღის შემოკლება, საფაბრიკო კანონმდებლობის დაწესება და სხვ., ხოლო შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების გადიდება ხდება შრომის ნაყოფიერების გაზრდით, რისთვისაც კაპიტალი მიმართავს კოოპერაციას, შრომის დანაწილებას, მანუფაქტურულ წარმოებას, მანქანების და მსხვილი მრეწველობის განვითარებას.

აქ მოცემულია კაპიტალიზმის განვითარების უმთავრესი ხაზები, რომელსაც საფუძვლად უდევს კაპიტალის დაუსრულებელი მისწრაფება — რაც შეიძლება ბევრი აწარმოოს, რომ, რაც შეიძლება ბევრი მოგება მიიღოს. ეს მოგება იმდენად დიდია, რომ ჭარბად აკმაყოფილებს კაპიტალისტთა კლასის ყოველგვარ მოთხოვნილებას და ამის შემდეგ კიდევ რჩება მეტად საგრძნობი ნაწილი, რომელიც კვლავ კაპიტალად იქცევა, რათა უფრო მეტი ზედმეტი ღირებულება გამოსწოვოს მუშათა კლასს.

ეს არის კაპიტალის დაგროვება, ზედმეტი ღირებულების ნაწილის გადაქცევა ახალ საწარმოო საშუალებებად და სამუშაო ძალის დასაქირავებლად. რაც უფრო მეტი ნაწილი შედის აქედან საწარმოო საშუალებებში და საერთოდ რაც უფრო სჭარბობს კაპიტალის მუდმივი ნაწილი მის ცვალებად ნაწილს, მით უფრო მაღალი ორგანიული შედგენილებისაა კაპიტალი, მით უფრო სწრაფი ტემპით მიდის კაპიტალიზმის განვითარება. გარდა ამისა, ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოგების საშუალო ნორმის გამოკვლევისას.

მოგება — ეს ზედმეტი ღირებულების შეფარდებაა წარმოებაში დაბანდებულ მთელ კაპიტალთან და არა მარტო მის ცვალებად ნაწილთან. მაღალი ორგანიული შედგენილობის კაპიტალი იძლევა საშუალოზე ნაკლებ მოგების ნორმას, ხოლო დაბალი ორგანიული შედგენილობის კაპი-

ტალი — საშუალოზე მეტ მოგების ნორმას. მაგრამ კონკურენცია კაპიტალისტებს შორის, თავისუფალი მიდენილობა კაპიტალებისა უფრო ხელსაყრელ დარგებში იწვევს იმას, რომ მყარდება მოგების საშუალო ნორმა.

მოგების საშუალო ნორმა იმას გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ წარმოებაში და წარმოების ზოგიერთ დარგში საქონელი იყიდება არა მისი ღირებულების მიხედვით, არამედ საწარმოო ფასების მიხედვით, საწარმოო ფასები კი უდრის დახარჯულ კაპიტალს და მასზე მითვლილ საშუალო მოგებას. აქ ადგილი აქვს ფასის გადახრას ღირებულებიდან, მაგრამ ეს არა თუ არ არღვევს ღირებულების კანონს, არამედ მარტო ამ კანონის საფუძველზე შეიძლება მოგების საშუალო ნორმის გაგება. ეს დაწვრილებით გამოკვლეული აქვს მარქსს „კაპიტალის“ მესამე ტომში. აქვე იძლევა მარქსი სამეახშეო, სავაჭრო და ფულადი კაპიტალის ანალიზს. აქვეა მოცემული გამოკვლევა მიწის რენტის, — დიფერენციალურის და აბსოლუტურის, — სადაც ის აკრიტიკებს როგორც რიკარდოს, ისე როდბერტუსსაც და ამ საფუძველზე ქმნის მთელ თავის მოძღვრებასთან შეფარდებულ სწორ თეორიას.

აღარ შევჩერდებით მთელ რიგ შესანიშნავ გამოკვლევებზე, რომლითაც ასე მდიდარია „კაპიტალის“ სამი ტომი და მათი დამატება „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ოთხი წიგნი.. მათი მარტო დასახელებაც კი შორს წაგვიყვანდა. მთელი ამ შრომის დიდი მეცნიერული სიმაღლე მის დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ეთანასწორება. კაპიტალიზმის განვითარება გვიჩვენებს კაპიტალის დაგროვების ისტორიულ ტენდენციას, რომელსაც მარქსი შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: — „საშუალო მწარმოებელთა ექსპროპრიაცია ხდება დაუნდობელი ენდალიზმით და ფრიად უსირცხვილო, ბინძური, საზიზღარი და წვრილმანი მოქმედების ზეგავლენით. პირადი შრომით მონაპოვარი კერძო საკუთრება, რომელიც დამყარებულია თითეული დამოუკიდებელი მუშის, ასე ვთქვათ, ბუნებრივ შეზრდაზე მისი შრომის პირობებთან, განიდევნება კაპიტალისტური კერძო საკუთრებით, რომელიც დამყარებულია სხვისი, თუმცა-ღა ფორმალურად თავისუფალი, შრომის ექსპლოატაციაზე... ექსპროპრიაცია მოელის ახლა არა მუშას, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებს მეურნეობას, არამედ მრავალ მუშის მყვლეფავ კაპიტალისტს. ეს ექსპლოატაცია ხდება თვით კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონების მოქმედებით, კაპიტალის ცენტრალიზაციით. ერთი კაპიტალისტი მრავალს კლავს. ხელი-ხელ ჩაკიდებული ამ ცენტრალიზაციასთან ანუ მრავალ კაპიტალისტთა ექსპროპრიაციასთან, რომელსაც ახდენს კაპიტალისტთა მცირე რიცხვი, სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება შრომის პროცესის კოოპერატიული ფორმა, მეცნიერების შეგნებული ტეხნიკური გამოყენება, მიწის გეგმიანი ექსპლოატაცია, შრომის საშუალებების მხოლოდ საზოგადოებრივად გამოსაყენებელ საშუალებებად გადაქცევა, ყველა საწარმოო საშუალებათა ეკონომიზაცია, მათი როგორც კომბინირული, საზოგადოებრივი შრომის საწარმოო საშუალებათა

გამოყენებით, ყველა ხალხის ჩაბმა მსოფლიო ბაზრის ქსელში და მით კაპიტალისტური რეჟიმის ინტერნაციონალური ხასიათი. კაპიტალის მაგნატების რიცხვის განუწყვეტელ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვისებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ ამ გარდაქმნის პროცესის ყველა ხელსაყრელ მხარეთ, იზრდება სიღატაკე, ჩაგვრა, დამონავება, გადაგვარება, ექსპლოატაცია, მაგრამ ამასთანავე ძლიერდება აღშფოთება მუდამ ზრდაში მყოფ და კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით გაწვრთნილ, გაერთიანებულ და ორგანიზაციულად დარაზმულ მუშათა კლასისა. კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მასთან ერთად და მისი დახმარებით, მიაღწია აყვავებას. საწარმოო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოებრივება აღწევს იმ წერტილს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან მათ კაპიტალისტურ გარსში. ეს უკანასკნელი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ექსპროპრიატორები ექსპროპრიაციაქმნილი ხდებიან".

აი სად მიიყვანა მარქსი მის მიერ აღმოჩენილმა კაპიტალიზმის განვითარების კანონმა. მისი დასკვნა ულმობელია, როგორც ულმობელია თვით ეკონომიური კანონი, რომლის ძალით აუცილებელია კაპიტალიზმის სოციალისტურ წყობილებად გარდაქმნა. ვინ ახდენს ამ რევოლიუციონურ გარდაქმნას, ვინ არის მისი მატარებელი. თვით კაპიტალიზმის მიერ გაწრთვნილი, მისი მესაფლავე პროლეტარიატი, რომლის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მრავალ საფეხურს განელის, პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა და საბოლოოდ მიიმართება პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ.

აი ვისთვის სწერს ის თავის „კაპიტალს", აი ვის გათვითცნობიერებას ემსახურება ის მთელი თავის სიცოცხლის განმავლობაში. ეს გათვითცნობიერება, კლასობრივი ინტერესების შეგნება, ორგანიზაციულად დარაზმვა რევოლიუციონური კლასისა უდიდესი ფაქტორია სოციალიზმისათვის ბრძოლაში, რომელიც აუცილებლად ხანგრძლივ სამოქალაქო ომად გადაიქცევა. მარქსი დაჟინებით გვასწავლის, რომ მარტო შეგნება და ცოდნა თავისთავად არ სწყვეტს საკითხს, რომ აუცილებელია ძალდატანება, რომ, როდესაც ძველი საზოგადოება ფეხმძიმედ არის ახალი საზოგადოებით, ძალდატანება ბებია-ქალის როლს ასრულებს, რომ მატერიალური ძალა მხოლოდ მატერიალურმა ძალამ უნდა დაამხოს, რომ კრიტიკის იარაღი (ე. ი. თეორია) ვერ შესცვლის კრიტიკას იარაღით (ე. ი. პრაქტიკას), მაგრამ ამავე დროს გადაჭრით აცხადებს, რომ თეორიაც მატერიალურ ძალად იქცევა, როდესაც იგი მასებს იპყრობს. ხოლო თეორია მაშინ დაიპყრობს მასებს, როდესაც იგი რადიკალური, ე. ი. რევოლიუციონური ხდება. მარქსის მოძღვრება ეს სწორედ ასეთი რევოლიუციონური თეორიაა.

ამიტომ მას დევნა არ მოკლებია რევოლიუციის მესაფლავეებიდან. საერთაშორისო რეფორმიზმი გაშმაგებით ესხმოდა მას თავს ბურჟუა-

ზიულ მეცნიერებთან ერთად და ცდილობდა გამოეფიტა მისი რევოლიუციონური სული. პოლიტიკური ეკონომიის დარგში რევიზიონისტებმა გაილაშქრეს ყველა მნიშვნელოვანი დებულებების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კაპიტალის კონცენტრაციისა და კრიზისების თეორიის წინააღმდეგ. ცდილობდენ დაემტკიცებიათ, რომ კაპიტალის კონცენტრაცია არ ხდება, რომ წვრილი წარმოება არ იდევნება მსხვილი წარმოებით, კრიზისებიც იშვიათად არღვევს ეკონომიური ცხოვრების მიმდინარეობას, და შესაძლოა, ისინი სულაც მოისპონ. ამის მიხედვით, კაპიტალიზმის დაღუპვის თეორიაც საფუძველს მოკლებულია, კლასთა წინააღმდეგობები თანდათან ნელდება და ქვეყნად საერთო კეთილდღეობა მყარდებაო. მათ იერიში მიიტანეს მარქსის ღირებულების თეორიებზედაც, მაგრამ, რადგან მისი დარღვევა მათ ძალღონეს აღემატებოდა, მათ მიაშურეს მზა-მზარეულ ბურჟუაზიულ თეორიას, ბემ-ბავერკის სუბიექტივისტურ თეორიას.

რევიზიონიზმის საერთო ფერხულში ჩაბმული იყვნენ რუსეთის ლეგალური მარქსისტები, რომელნიც ერთ დროს მარქსიზმს ემხრობოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგ ის კაპიტალიზმს პროგრესიულ მოვლენად აღიარებდა. აქედან ისინი ცდილობდენ კაპიტალიზმის თეორიად გადაექციათ მარქსიზმი; ეს მათ ვერ შესძლეს, მაგრამ თითონ კი გადაიქცენ კაპიტალიზმის აპოლოგეტებად. ყველა ისინი (სტრუვე, ბულგაკოვი, ბერდიაევი, იზგოევი, ტუგან-ბარანოვსკი და სხვ.) ბურჟუაზიულ-რეაქციონურ ბანაკში გადაბარგდენ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის მენშევიკები და მათ შორის პლეხანოვი ერთ დროს რევიზიონიზმის წინააღმდეგ დაირაზმენ. ეს არ იყო მაშინ ალბად ძნელი, რამდენადაც მათთვის საკითხის სიმძიმე თეორიის სფეროში იმყოფებოდა. მაგრამ აი დადგა დრო გადამჭრელი ბრძოლისა, პროლეტარიატი გამოვიდა არა მარტო როგორც რევოლიუციონური კლასი, არამედ როგორც გიგანტი რევოლიუციისა და ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება ძველი წყობილების წინააღმდეგ. საკმარისი იყო ამის დანახვა, რომ მენშევიკებმა დაკარგეს თავისი ძველი რევოლიუციონური ფრაზეოლოგიაც კი. ბოლოს ისინი გაყვნენ ლეგალური მარქსისტების გზას და თავი შეაფარეს ბურჟუაზიის ციხე-სიმაგრეს.

ასეთივე ბედი ეწვია კაუცკის, რომელიც ერთ დროს ემიჯნებოდა რევიზიონისტებს და თავს ორტოდოქსალურ მარქსისტად ასაღებდა. დღეს ის შეგნებულად, სინდისის სრული სიმშვიდით ეწევა ბურჟუაზიის სამსახურს.

საქართველოშიაც ქონდა მზგავს მოვლენას ადგილი. აქაც იყვნენ მარქსიზმის ვულგარიზატორები, მარქსიზმის შემრყვნელები, ეს მომავალი მენშევიკები, რომელთაც საბოლოოდ იგივე გზა მოინახეს, როგორც ნახეს მათმა რუსმა და გერმანელმა თანამოძმეებმა.

ამის დეტალური განხილვა შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რევიზიონიზმი ყოველგან იყო მოდებული, ის ინტერნაციონალური მასშტაბით ვრცელდებოდა. მთელი ეს „სასახელო“ საქმიანობა შემთხვე-

ვითი მოვლენა არ იყო. მარქსიზმს მუდამ ებრძოდა არა მარტო ბურჟუაზია, არამედ მისი გავლენის ქვეშ მყოფი წვრილი ბურჟუაზია, რომელიც თავისი წევრებით მუდამ ავსებდა პროლეტარიატის რიგებს და შეჰქონდა იქ რყევა, უიმედობა, წუთიერი ინტერესებით გატაცება, თეორიის უარყოფა.

ლენინმა საუკეთესოდ შეიგნო, თუ რა დამღუპველ მოვლენას, შხამით სავსე მოძღვრებას წარმოადგენდა რევიზიონიზმი მუშათა კლასისთვის და გაუმართა მას დაუნდობელი ბრძოლა. ლენინი თავს არ იტყუებდა რევიზიონიზმის დროებითი მიჩუმებით. „რევოლიუციონური მარქსიზმის იდეური ბრძოლა რევიზიონიზმთან მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს მხოლოდ დასაწყისია დიადი რევოლიუციური ბრძოლების“ ამბობს ლენინი და დარწმუნებულია, რომ რევიზიონიზმი კიდევ იჩენს თავს „უფრო დიდი მასშტაბით მაშინ, როდესაც პროლეტარული რევოლიუცია ყველა სადავო საკითხებს გაამწვავებს, ყველა უთანხმოებას იმ მუხლებში მოუყრის თავს, რომელთაც ყველაზე უშუალო მნიშვნელობა აქვს მასების მოქმედების გამოსარკვევად, ბრძოლის ცეცხლში გამოყოფს მტრებს მეგობრებისაგან, შორს გაისერის უვარგის მოკავშირეებს, რათა მტერზე გადამწყვეტი იერიში იქნეს მიტანილი“.

მაგრამ ლენინს წილად ხვდა არა მარტო მარქსიზმის სიწმინდის დაცვა, რევიზიონისტებთან დაუნდობელი ბრძოლა. მის ხელთ გადვიდა მარქსიზმის მოძღვრებაც, რომელსაც ესაჭიროებოდა არა მარტო დაცვა, არამედ შემდეგი განვითარება, ახალი პირობების მიხედვით მისი შევსება, მისი უმაღლეს საფეხურზე აყვანა. ლენინმა შეასრულა ეს ისტორიული საქმე.

მარქსი აწარმოებდა თავის გამოკვლევას, როდესაც გაბატონებული იყო სამრეწველო კაპიტალი, რომელსაც ახასიათებდა თავისუფალი კონკურენცია. ის არ მოსწრებია საფინანსო კაპიტალის ბატონობას, რომელსაც, მონოპოლია ახასიათებს. მხოლოდ სააქციო საზოგადოებების ანალიზმმა და საბანკო კაპიტალის შესწავლამ მას შეძლება მისცა განეჭვრიტა საფინანსო კაპიტალის ზოგიერთი დამახასიათებელი მხარეები. ასე, მაგალითად, „კაპიტალის“ მესამე ტომში მარქსის მიერ აღნიშნულია ა) წარმოების და სარეწაოთა მასშტაბის კოლოსალური გაფართოება, ბ) კაპიტალი, რომელიც ღებულობს უშუალოდ საზოგადოებრივი კაპიტალის ფორმას და გ) ნამდვილი მომქმედი კაპიტალისტის გადაქცევა სხვისი კაპიტალის მმართველად, გამგებლად, და კაპიტალის მესაკუთრეთა გადაქცევა მარტოოდენ მესაკუთრეებად, მარტოოდენ ფულად კაპიტალისტებად.

ფრიდრიხ ენგელსი, რომელიც მუდამ იგულისხმება როგორც მარქსიზმის ერთი შემქმნელთაგანი და რომელმაც მარქსზე მეტს ხანს იცოცხლა, უკვე კარტელებზე და ტრესტებზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ „კონკურენციის ძველთაგან ნაქებ-ნადიდებმა თავისუფლებამ თავის დასასრულს მიაღწია“.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ განჭვრეტა მომავალი განვითარებისა ზოგად ხაზებში.

კაპიტალიზმის მარქსისტული ანალიზი მის ახალ საფუძველზე, იმპერიალიზმის გამორკვევა, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიისა, როგორც მომაკვდავი კაპიტალიზმისა შეასრულა ლენინმა მარქსისტულად და მარქსისებურად.

არა ნაკლები ღვაწლი აქვს ლენინს მარქსიზმის ფილოსოფიური ნაწილის მიმართაც, მაგრამ ყველაზე დიდი ღვაწლი ის არის, რომ მან პრაქტიკულად განახორციელა მარქსიზმი ოქტომბრის რევოლიუციაში. ხოლო რადგან ოქტომბრის რევოლიუციით აბობოქრებული მთელი თანამედროვე ცხოვრება, მასების აღფრთოვანებაზე დამყარებული, ლოკომოტივის სისწრაფით მიექანება წინ დგება ახალახალი ურთულესი პრობლემები, რომელთა თეორიულ-პრაქტიკული გადაწყვეტა კვლავ ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმს, კვლავ ახალ, უმაღლეს საფეხურზე აყავს იგი. ამ საქმეს ანხორციელებს მარქსის და ლენინის საუკეთესო მოწაფე, რევოლიუციის უდიდესი ოსტატი ამხ. სტალინი.

მარქსიზმი შეიქმნა ლენინიზმის საფუძველი, ლენინიზმი შეიქმნა მარქსიზმის აუცილებელი შევსება და დამატება. ამიერიდან მარქსის და ლენინის დროშა, რომელიც ხელთ უპყრია მათ საუკეთესო მემკვიდრეს ამხ. სტალინს, განუყრელია როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. პროლეტარიატის საკაცობრიო განმანთავისუფლებელი ბრძოლა ამ დროშის ქვეშ სწარმოებს და მომავალიც მარტო მას ეკუთვნის.

კ. ორაგველიძე

მარქსი როგორც ეკონომისტი

ამ პატარა წერილში ამოცანად დავისახე საერთო ხაზებში განვსაზღვრო **მარქსის ადგილი** ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიაში, **მისი მნიშვნელობა** ეკონომიური აზრის განვითარების დარგში.

ლენინი აღნიშნავდა, რომ „მარქსიზმი არ არის რაიმე „სექტანტური", კარჩაკეტილი, გაქვავებული მოძღვრება, აღმოცენებული **განზე** მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ფართო გზიდან". ლენინის ეს დებულება სწორია მარქსის არა თუ მთელი მოძღვრების მიმართ, არამედ იგი უსათუოდ სწორია მისი ეკონომიური თეორიის მიმართაც. მარქსის ეკონომიური თეორია არ წარმოშობილა ეკონომიური აზრის განვითარების ფართო გზიდან განზე. მარქსს ყავდა თავისი წინამორბედნი, რომელთაც ბევრი რამ საგულისხმო ჰქონდათ; და ეს საგულისხმო, საუკეთესო, რაც მის წინამორბედთ მოეპოებოდათ, შეითვისა მარქსმა, მან კრიტიკულად გადაამუშავა ყველა წინად არსებული მოძღვრება.

როცა ვლაპარაკობთ მარქსის ეკონომიური თეორიის წინამორბედებზე, შეუძლებელია არ შევჩერდეთ ყველაზე უფრო დიდ სკოლაზე პოლიტიკურ ეკონომიაში—ინგლისურ პოლიტიკურ ეკონომიაზე, რომელმაც თავისი ღრმა ბეჭედი დაასვა ეკონომიური აზრის განვითარებას.

ჩვენ აქ მხედველობაში გვყავს ამ სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები—ადამ სმიტი და დავით რიკარდო. როგორც ცნობილია, კლასიკური პოლიტიკური ეკონომია ჩაისახა იმ პერიოდში, როდესაც ბურჟუაზია ჯერ კიდევ არ იდგა ხელისუფლების სათავეში, როდესაც ბურჟუაზიული წყობილება არ იყო სავსებით განვითარებული, როდესაც ყველა მისი წინააღმდეგობანი არ იყო საკმაოდ განვითარებული.

ამ საზოგადოებრივმა პირობებმა უზრუნველყვეს—აღნიშნული ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერული ხასიათი. მარქსი ამბობდა, რომ კლასიკური პოლიტიკური ეკონომია მეცნიერული იყო. მან ბევრი რამ საგულისხმო შეიტანა ეკონომიური მეცნიერებათა საგანძურში. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ კლასობრივი ბრძოლა მაშინ არ იყო ისე მკაფიოდ გამოხატული, კლასობრივი წინააღმდეგობანი ჯერ კიდევ არ იყო იმდენად გამწვავებული, რომ ბურჟუაზიას მეცნიერული საკითხების მთელი სიგრძე-სიგანით დასმის შეშინებოდა. კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ დასვა რთული ეკონომიური პრობლემები და მოგვცა მათი თავისებური გადაჭრა.

იმისათვის, რომ გამოვარკვიოთ მარქსის მთელი მნიშვნელობა ეკონომიური აზრის განვითარებაში, საჭიროა თუნდაც მოკლედ აღვნიშნოთ

კლასიკოსების, კლასიკური ეკონომიის წარმომადგენლების მოძღვრების უმნიშვნელოვანესი მომენტები, აღვნიშნოთ ის წინააღმდეგობანი, რომლებშიაც მაშინ გაიხლართა ეს სკოლა და საბოლოო ანგარიშით მარცხი განიცადა.

კლასიკური ეკონომიის ამოცანას შეადგენდა გამოეკვლია სიმდიდრე, „ბურჟუაზიული წარმოების ურთიერთობის დროს“ (მარქსი), იმ საზოგადოების სიმდიდრე, რომელშიაც ამ მეცნიერების წარმომადგენლები ცხოვრობდენ. მაგრამ ეს საგანი—კაპიტალისტური საზოგადოება, რომელსაც კლასიკოსები იკვლევდენ,—მათი აზრით რაღაც მეტაფიზიკური იყო. კაპიტალისტური საზოგადოება ამ მკვლევარებს წარმოედგინათ ისეთ საზოგადოებად, რომელსაც არა აქვს თავისი საწყისი, არა აქვს გარკვეული ჩარჩოები, რომელსაც შეუძლია სამუდამოდ არსებობდეს, სამუდამოდ ვითარდებოდეს და წინ მიდიოდეს.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მეთოდი უმთავრესად იყო ცალმხრივი აბსტრაქტულ-ანალიტიკური მეთოდი. კლასიკოსები დაინტერესებული იყვენ იმით, რომ ყველაზე უფრო რთული მოვლენები დაეყვანათ ყველაზე უფრო აბსტრაქტულ, ყველაზე უფრო საყოველთაო მოვლენებამდე, საყოველთაო კანონებამდე. კლასიკური ეკონომია „დაინტერესებული იყო არა იმით, რომ გენეტიკურად გაევითარებია სხვადასხვა ფორმა, არამედ იმით, რომ ანალიზის გზით ისინი ერთიანობამდე დაეყვანა“ (მარქსი). ისინი უმთავრესად მიდიოდენ ანალიზის გზით, ისინი შლიდენ რთულ მოვლენებს და ეძებდენ რაღაც საერთოს, უნივერსალურს. ასეთი იყო ის მეთოდი, რომელსაც კლასიკოსები იყენებდენ. უეჭველია, რომ პოლიტიკური ეკონომიის სფეროში, ისე როგორც სხვა სოციალურ მეცნიერებათა სფეროში, ჩვენთვის საჭიროა აბსტრაქციის ძალა, ვინაიდან აქ „არ შეიძლება სარგებლობა არც მიკროსკოპით, არც ქიმიური რეაქტივებით. ერთიც და მეორეც აბსტრაქციის ძალამ უნდა შესცვალოს“ (მარქსი). მაგრამ კლასიკოსების მეთოდი იყო არა დიალექტიური უმთავრესად ცალმხრივი აბსტრაქტულ-ანალიტური მეთოდი, რომელიც არ იყო შეესებული სინტეტიური მეთოდით.

ასეთი იყო სულ ზოგად ხაზებში კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიამ კლასიკოსებს არ მისცა საშუალება ნაყოფიერად გამოეკვლიათ ეკონომიური მოვლენები და გადაეჭრათ რთული ეკონომიური პრობლემები. ეს ემჩნეოდა ისეთი პრობლემების დასმას და გამოკვლევას, როგორიცაა ღირებულების პრობლემა, მოგების პრობლემა და სხვ. კლასიკოსებს ესმოდათ, რომ ღირებულებას ქმნის შრომა, ამას ისინი გარკვევით ამბობდენ რიკარდოს და ადამ სმიტის სახით. მათ ესმოდათ, რომ შრომა ქმნის ღირებულებას, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადამიანის შრომის ნაყოფს. მიუხედავად ამისა, კლასიკოსებმა დამაკმაყოფილებლად ვერ გადასჭრეს ვერც საქონლის ღირებულების პრობლემა, ვერც მოგების პრობლემა. კლასიკოსები ამ პრობლემათა გამოკვლევის დროს წინააღმდეგობაში გაებენ.

უწინარეს ყოვლისა, ავიღოთ ღირებულების საკითხი. „შრომა ქმნის ღირებულებას", — ამბობენ ისინი. საქონელი, ერთი მხრით, არის სამომხმარებლო ღირებულება, ხოლო მეორე მხრით—საცვლელი ღირებულება. მაგრამ რითი აიხსნება ეს წინააღმდეგობა? კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ვერ გადასჭრა საქონელში განსახიერებულ შრომის ორმაგი ხასიათის საკითხი. შრომა ქმნის ღირებულებას, მაგრამ როგორ და რანაირად ქმნის მას შრომა, რა არის ამ ღირებულების სუბსტანცია, — ეს საკითხი კლასიკოსებმა ვერ გადასჭრეს.

შემდეგ, ზედმეტი ღირებულების საკითხი. აქ მინდა აღვნიშნო ორი უაღრესად არსებითი პუნქტი, რომლებზედაც დაიმსხვრა კლასიკური პოლიტიკური ეკონომია.

პირველი პუნქტი ეხება **კაპიტალზე შრომის გაცვლას.** შრომა, კლასიკოსების აზრით, წარმოადგენს საქონელს, წარმოებს მისი ყიდვა და გაყიდვა.

მაგრამ, როგორ ხდება კაპიტალის გაცვლა შრომაზე? თუ შრომა, რომელიც კაპიტალზე იცვლება, თუ ამ შრომის ღირებულება უდრის იმ კაპიტალის ღირებულებას, რომელზედაც იგი იცვლება, მაშინ იბადება კითხვა — როგორ-ღა იქმნება მოგება? თუ აქ საქმე გვაქვს ეკვივალენტების ერთიმეორეზე გაცვლასთან. რანაირად იქმნება მოგება? თუ ჩვენ აქ ეკვივალენტური ღირებულებანი არ გვაქვს, თუ კაპიტალი და შრომა, რომლებიც ერთიმეორეზე იცვლებიან, არ წარმოადგენენ ეკვივალენტებს, ამით ირღვევა შრომითი ღირებულების კანონი.

წარმოიშვა წინააღმდეგობანი მოგების პრობლემის გადაჭრაში. კლასიკოსებმა ვერ შესძლეს გადაეჭრათ ეს პრობლემა, რომელიც მათვე დასვეს.

მეორე პუნქტი ეხება **საშუალო მოგებას.**

კლასიკოსებმა იცოდენ, რომ კაპიტალის თანაბრად ხარჯვის დროს კაპიტალისტები თანაბარ მოგებას ღებულობენ. თუ ამას ადგილი აქვს კაპიტალის ერთნაირი ორგანიული შემადგენლობის პირობებში, ეს კიდევ გასაგებია.

მაგრამ როგორ შეიძლება აიხსნას ღირებულების შრომითი თეორიის თვალსაზრისით ისეთი მდგომარეობა, როცა დახარჯული კაპიტალის სხვადასხვა ორგანიული შემადგენლობის დროს გამოდის ერთნაირი მოგება კაპიტალისტებისათვის? ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით. ეს იყო მეორე პუნქტი, რომელშიც კლასიკოსები დაიბნენ, მათ ვერ გამონახეს ამ პრობლემის გადაჭრა, და ის არც შეიძლებოდა გადაჭრილიყო კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, ვინაიდან იგი არ იძლეოდა კაპიტალისტური საზოგადოების ჩარჩოებიდან გამოსვლის საშუალებას.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია მეცნიერული იყო, მან ძალიან ბევრი რამ საგულისხმო შეიტანა პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებაში,

მაგრამ მან ვერ გადასჭრა პოლიტიკური ეკონომიის ეს ცენტრალური პრობლემა. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შემდეგ ბურჟუაზიული ეკონომია დეკადანსის მდგომარეობას განიცდიდა. კლასიკური სკოლის უზარმაზარი შენობის ნანგრევებზე წარმოიშვა, ერთი მხრით, ვულგარული ეკონომია (სეი, ბასტია და სხვ.), ხოლო მეორე მხრით—სოციალისტური მიმართულება (უტოპისტები), რომელიც რიკარდოს და სხვა კლასიკოსების შრომითი ღირებულების მოძღვრების საფუძველზე ცდილობდა სოციალისტური მოძღვრების შექმნას.

არც ერთ, არც მეორე მიმართულებას არ შესწევდა უნარი გადაეჭრა ჯერ კიდევ კლასიკოსების მიერ მთელი სიმწვავით დასმული პრობლემები, არ შესწევდა უნარი თავი დაეღწია იმ წინააღმდეგობებისათვის, რომლებშიც კლასიკოსები გაებენ.

ჩნდება მარქსი—ეს გიგანტი, ეს კოლოსი საერთოდ აზრის, კერძოდ კი ეკონომიური აზრის, რომელიც ხელს კიდებს არა მარტო კლასიკოსების მიერ დასმული პრობლემების გადაჭრას, არამედ ამასთანავე ერთად, სრულიად ახალი ეკონომიური თეორიის შექმნას, რომელიც წარმოადგენს სრულიად ახალი კლასის, ამომავალი, მთელი მსოფლიოს დამპყრობი კლასის თეორიას.

ეკონომიური პრობლემების გადაჭრას მარქსი სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა. არ შეიძლებოდა კლასიკოსების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით გადაჭრილიყო მათ მიერ დასმული პრობლემები, გადაჭრილი ყოფილიყო ეს გორდის კვანძი. შეუძლებელი იყო მათი მეთოდოლოგიის საფუძველზე თავის დაღწევა ამ წინააღმდეგობებისათვის; საჭირო იყო სრულიად ახალი ფილოსოფიური კონცეპციის შემუშავება და ამის მიხედვით ეკონომიური პრობლემების გადაჭრა.

მარქსი გვაძლევს პოლიტიკური ეკონომიის ახალ მეთოდოლოგიას. ის ავითარებს სრულიად ახალ ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომელიც პროლეტარიატს საშუალებას აძლევს შექმნას ახალი ეკონომიური მოძღვრება.

ლაპარაკია მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდზე, რომელიც ძირითად ხაზებში მოგვცა მარქსმა თავის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკაში".

მოკლედ შევეხები იმას, თუ როგორ ესმის მარქსს პოლიტიკური ეკონომიის საგანი. პოლიტიკური ეკონომიის საგანს ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით წარმოადგენს თვით კაპიტალისტური საზოგადოება, კაპიტალისტური წარმოება. თავის „კაპიტალში" მარქსმა ამოცანად დაისახა გამოეკვლია მის თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების მოძრაობის კანონები, შეესწავლა კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობანი მათ წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის პროცესში.

აქ პოლიტიკური ეკონომიის ყველა კათეგორია სულ სხვანაირად იქნა დასმული. თუ, კლასიკოსების აზრით, ბურჟუაზიული წყობილება არის კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელება, თუ იგი

წარმოადგენს აბსოლუტურ, საბოლოო ფორმას, რომელიც მუდამ უნდა არსებობდეს, — მარქსთან კვლევის ეს საგანი სხვანაირად გამოიყურება. ის არის არა მეტაფიზიკური, არამედ დიალექტიური. კაპიტალიზმი წარმოიშვა, ის მუდამ მოძრაობს, ვითარდება და აუცილებლად უნდა დაიღუპოს, მას აქვს თავისი საზღვარი, თავისი დასასრული.

კანონები, რომლებიც ამ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბატონობენ, წარმოადგენენ მოცემული წყობილების თანდაყოლილ ეკონომიურ კანონებს, ისინი არ არიან უნივერსალური კანონები, რომელთაც ჰქონდეთ ძალა ყველა დროისათვის. ყოველ საზოგადოებრივ წყობილებას აქვს თავისი ეკონომიური კანონები. თუ ჩვენ ვცილდებით განსაზღვრული წყობილების ჩარჩოებს, ეს კანონები უკვე აღარ მოქმედებენ, ჩნდებიან ახალი ეკონომიური კანონები. დიალექტიური განვითარების იდეა, მოძრაობის იდეა საფუძვლად დაედო მარქსის ეკონომიურ თეორიას.

მარქსის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გამოყენებამ გამოიწვია მთელი გადატრიალება ეკონომიურ მეცნიერებაში. ამ მეთოდმა მარქსს შესაძლებლობა მისცა განეგრძო დიდი ეკონომისტების — სმიტის და რიკარდოს მიერ დაწყებული საქმე. მას მისცა შესაძლებლობა აეხსნა ზედმეტი ღირებულების შექმნის საიდუმლოება. სწორედ დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის საფუძველზე შეიძლებოდა ზედმეტი ღირებულების პრობლემის და მთელი რიგი სხვა რთული პრობლემების გადაჭრა.

მარქსის პოლიტიკური ეკონომიის ცენტრალურ პუნქტს, მის ქვაკუთხედს წარმოადგენს მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ. ეს მარქსის ეკონომიური თეორიის ისეთი ნაწილია, ურომლისოდ საერთოდ წარმოუდგენელია მთელი მისი მოძღვრება — ესაა ექსპლოატაციის თეორია, მოძღვრება მუშათა კლასის ექსპლოატაციის შესახებ. ყველა ქვეყნის ოპორტუნისტებს სურდათ გაედევნათ ეს მოძღვრება მარქსის ეკონომიური თეორიიდან. ისინი მარქსის მოძღვრების გადმოცემაში მუდამ ცდილობდენ მიეჩქმალათ მისი მნიშვნელობა, ანდა იდეალისტურად დაემახინჯებიათ და სულაც „უარეყოთ“ იგი. განა ფაქტი არ არის, რომ რუბინი ჩვენში, საბჭოთა კავშირში, მარქსის თეორიის გადმოცემისას ცდილობდა სრულიად განედევნა მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ, მოძღვრება კლასობრივ წინააღმდეგობათა შესახებ, ექსპლოატაციის შესახებ? განა ფაქტი არ არის, რომ ამასვე შვრებოდენ სოციალ-ფაშისტები საზღვარგარედ? საკმარისია აქ მიუთითოთ გენრიხ დე-მანზე, ბელგიელ სოციალ-ფაშისტზე, რომელიც ამბობდა, რომ არ არის ისეთი სინამდვილე, რომელიც შეეფერებოდეს კაპიტალიზმის ან სოციალიზმის ცნებას... „...კაპიტალიზმის ცნება მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში არსებობს. ჩვენ, მართალია, ვფიქრობთ, რომ საზოგადოება, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ეიგივეა ამ წარმოდგენას, მაგრამ ეს შეცდომაა“. კაპიტალისტების მიერ მუშათა კლასის დამონება არ შეეფერება იმას, რაც დაგვიხატა მარქსმა. კაპიტალის და ზედმეტი ღირებულების ცნობები სოციალ-ფაშისტებთან

ხდებიან გამოფიტულ, მკვდარ რამედ, რომელიც არ შეეფერება რეალურ სინამდვილეს. მაგრამ აქ ჩვენ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით სოციალ-ფაშისტურ ეკონომიაზე. მარქსს უნდოდა მოეხდინა გარდატეხა, უნდოდა სწორედ მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ დაეყენებია სრულიად ახალ, მეცნიერულ რელსებზე. გადაეჭრა ის ორი პუნქტი, რომლებზედაც, როგორც აღვნიშნე, დაიმსხვრა კლასიკური პოლიტეკონომია.

მაგრამ რანაირად შეიძლებოდა ზედმეტი ღირებულების საკითხის გადაჭრა, თუ არ იქნებოდა ღირებულების თანამიმდევრული, ზედმიწევნით მეცნიერული თეორია? ზედმეტი ღირებულების თეორია უნდა გადაჭრილიყო ღირებულების თეორიის საფუძველზე. აქ უნდა ყოფილიყო თანამიმდევრობა. „იმისათვის, რომ ცოდნოდა, თუ რა არის ზედმეტი ღირებულება, მას უნდა ცოდნოდა, თუ რა არის ღირებულება. უწინარეს ყოვლისა აუცილებელი იყო თვით რიკარდოს ღირებულების თეორიის გაკრიტიკება“ (ენგელსი).

აუცილებელი იყო კლასიკოსების მიერ დატოვებული მთელი ამ მემკვიდრეობის კრიტიკულად განხილვა. დაამუშავა რა პრობლემა სრულიად ახალი თვალსაზრისით, მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, მარქსმა მოგვცა ღირებულების თანამიმდევრობითი თეორია, რომლის გაიგივება კლასიკოსების ღირებულების თეორიასთან ყოვლად შეუძლებელია.

არიან ისეთი ბრძენნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ მარქსსა და კლასიკოსებს შორის გაუვალი უფსკრულია, რომ საერთოდ აქ არავითარი კავშირი არ არის. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ კლასიკოსთა შეხედულებანი ეიგივება მარქსის შეხედულებებს.

რანაირი შრომა ქმნის ღირებულებას — ამაშია მთელი საკითხი. კლასიკოსებიც ამტკიცებდენ, რომ შრომა ქმნის ღირებულებას, მაგრამ, რომ აბსტრაქტული შრომა ქმნის ღირებულებას, რომ ის წარმოადგენს ღირებულების სუბსტანციას, აქამდე კლასიკოსები არ მისულან.

მარქსმა დასვა შრომის ორმაგი ხასიათის საკითხი, მან მოგვცა მოძღვრება აბსტრაქტული შრომის შესახებ, რომლის დამახინჯებას ცდილობდა რუბინი. მარქსმა თანამიმდევრობით განავითარა შრომითი ღირებულების თეორია. მან „გამოიკვლია შრომა იმ მხრით, რომ მას აქვს თვისება შექმნას ღირებულება, და პირველად დაადგინა, თუ რანაირი შრომა, რატომ და როგორ ქმნის ღირებულებას“ (ენგელსი).

თავისი ღირებულების თეორიის საფუძველზე ის იძლევა ფულის თეორიას. ფულის თეორია განსაკუთრებით დაბნეული იყო. თუ გლადსტონის თქმით, „სიყვარულს ადამიანთა უფრო მეტი რიცხვი არ გაუხდია სულელებად, ვიდრე ფიქრს ფულის რაობის შესახებ“, მარქსმა ფულის რთული პრობლემაც თანამიმდევრობით გადასჭრა თავისივე ღირებულების თეორიის საფუძველზე.

ფრიად არსებითი მნიშვნელობა აქვს საქონლის ფეტიშიზმის საკითხს. ვულგარულ ეკონომისტებს ღირებულება ესმოდათ, როგორც ნივთთა თვისება, ისინი ხედავდენ მხოლოდ ნივთთა მოძრაობას, ადამიანთა დამოკიდებულებას ამ ნივთებისადმი. მაგრამ ვერ ხედავდენ და არც სურდათ დაენახათ ადამიანთა საწარმოო ურთიერთობა. მარქსმა მოსპო ეს ფეტიშისტური გარსი. ნივთების მოძრაობის იქეთ მან გამოაშკარავა ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა. მან გვიჩვენა, რომ საქონლის ამ ჭრელ მსოფლიოს იქეთ გამოიყურება ნამდვილი სახე წარმოშობის და განვითარების პროცესში მყოფი საქონლურ-კაპიტალისტური საზოგადოებისა მისი შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობებით.

რანაირად შესძლო მარქსმა შეექმნა მოძღვრება ზედმეტი ღირებულების შესახებ? ღირებულების სწორი თეორიის საფუძველზე მან შესძლო გადაეჭრა ის წინააღმდეგობანი, რომლებშიაც კლასიკური ეკონომია გაიხლართა. მარქსმა გვიჩვენა, რომ ყიდულობენ და ყიდიან არა შრომას, არამედ სამუშაო ძალას, რომ არა შრომა, არამედ სამუშაო ძალა წარმოადგენს საქონელს და შეიცავს ღირებულებას. სამუშაო ძალის ღირებულება განისაზღვრება იმ პროდუქტების ღირებულებით, რომლებიც აუცილებელია მისი წარმოებისათვის: „დასვა რა შრომის ადგილას სამუშაო ძალა, ღირებულების შექმნის თვისება, მან ერთბაშად გადაჭრა ერთი იმ სიძნელეთაგანი, რომლებზედაც დაიმსხვრა რიკარდოსო სკოლა: შრომის განსაზღვრის რიკარდოს კანონთან კაპიტალის და შრომის ურთიერთი გაცვლის შეთანხმების შეუძლებლობა“ (ენგელსი).

სამუშაო ძალას ყიდულობენ კაპიტალისტები, მაგრამ ეს სამუშაო ძალა ორიგინალური საქონელია, მას აქვს სპეციფიური სამომხმარებლო ღირებულება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საქონელი—სამუშაო ძალა იხმარება წარმოების პროცესში, სადაც შრომა ქმნის ღირებულებას და ზედმეტ ღირებულებას.

როგორც ვხედავთ, მარქსი ზედმეტი ღირებულების პრობლემას სჭრის შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე.

აქ მსურს მოკლედ შევჩერდე მარქსის შრომის ხელფასის თეორიაზე, რომელიც აგრეთვე განდევნა სოციალ-ფაშისტურმა ეკონომიამ. ცნობილია, თუ რა კოლოსალურ მნიშვნელობას აკუთვნებს მარქსი თავის მოძღვრებას სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, შესახებ. ამ გზით შესძლო მან გადაეჭრა ზედმეტი ღირებულების პრობლემა. მაგრამ შეხედეთ, თუ რას ამბობენ სოციალ-ფაშისტური ეკონომისტები სამუშაო ძალის საკითხზე. „სამუშაო ძალის ღირებულების საკითხი უაზროა. არსებობს მხოლოდ შესრულებულ სამუშაო ღირებულების საკითხი*).

ასე ლაპარაკობს სოციალ-ფაშისტური ეკონომისტი ნელტინგი. მისი აზრით, სამუშაო ძალა არ წარმოადგენს საქონელს, მას არ ყიდულობენ და არ ყიდიან. სამუშაო ძალა არის არა ეკონომიური, არამედ ფიზიოლოგიუ-

*) Введение в теорию хозяйства, გვ. 123.

რი ცნება. შრომაც არ წარმოადგენს ეკონომიურ ცნებას. იგი ფიზიკური ცნებაა. მხოლოდ შესრულებული სამუშაო წარმოადგენს ეკონომიური კათეგორიას. როგორც ვხედავთ, მარქსის თეორიიდან კვალიც არ არის დარჩენილი.

შემდეგ მსურს კიდევ გაკვრით ვახსენო მუშათა კლასის გაღატაკების საკითხი. მარქსმა მკაფიო ფერადებით დახატა მუშათა კლასის როგორც აბსოლუტური, ისე შედარებითი გაღატაკების სურათი. მე არ შეუდგები ამ ადგილების მოყვანას, ისინი საკმაოდ ცნობილია. სოციალ-ფაშისტები მას „აბათილებენ", ისინი სთვლიან, რომ მარქსის გაღატაკების თეორია არ არის სწორი. „საზღვრები შრომის ხელფასის გადიდებისა და მუშების საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის არც ისე ვიწროა, როგორც ამას მარქსი ფიქრობდა. არ არსებობს აგრეთვე შრომის ხელფასის შემცირების ტენდენცია, მუშების გაღატაკების ტენდენცია"*).

განა ცხადი არ არის, რომ სოციალ-ფაშისტები სრულიად უცერემონიოდ დევნიან მარქსის მოძღვრებას მუშათა კლასის გაღატაკების შესახებ?

შემდეგ, წარმოების ფასების საკითხი. ეს მეორე უაღრესად საინტერესო საკითხია. მე უკვე აღვნიშნე, რომ ეს იყო მეორე პუნქტი, რომელზედაც კლასიკური პოლიტიკური ეკონომია დაიმსხვრა. რანაირად ხდება, რომ კაპიტალის სხვადასხვა დანახარჯი იძლევა თანაბარ მოგებას? თუ ჩვენ გვაქვს კაპიტალის სხვადასხვა ორგანული შემადგენლობა? ეს კლასიკოსებისათვის იყო გამოცანა, რომლის ახსნა მათ ვერ შესძლეს, მაგრამ მარქსმა გადაჭრა იგი შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე. თავის წარმოების ფასების თეორიაში მარქსმა ცხადჰყო, რომ საშუალო მოგების პრობლემის გადაჭრა შეიძლება სწორედ მისი ღირებულების და ზედმეტი ღირებულების თეორიის საფუძველზე. წარმოების ფასი, წარმოადგენს ღირებულების თეორიის განვითარებას. თუ წარმოების ფასები შეიძლება ცალკე შემთხვევებში ერთმანეთს არ დაემთხვიონ, საზოგადოებრივი მასშტაბით ისინი ერთიმეორეს ემთხვევიან.

მარქსის წარმოების ფასების თეორია არ ეწინააღმდეგება მის ღირებულების თეორიას. პირიქით, ისინი განუყრელად არიან ერთიმეორესთან დაკავშირებულნი. მაგრამ შეხედეთ, თუ რას ამტკიცებს სოციალ-ფაშისტური ეკონომია, რომელიც თავის დროზე ელოლიავებოდა მარქსს! იგი უცერემონიოდ „ამსხვრევს" მარქსის მოძღვრების ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტს. მან, ბურჟუაზიულ ეკონომიასთან ერთად, აღმოაჩინა წინააღმდეგობა „კაპიტალის" მესამე და პირველ ტომს შორის. მოუსმინოთ იმავე ბრაუნტალს: „შრომითი ღირებულებიდან ფასების დაშორების ამ განმარტების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება. საკითხი მხოლოდ იმაშია, რა რჩება კიდევ შრომითი ღირებულების თეორიიდან ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით... შემოვლითი გზით... შრო-

*) ბრაუნტალი—Современное хозяйство и его законы, წიგნი II, გვ. 62-63.

მითი ღირებულების თეორიის მეშვეობით ჩვენ ვუბრუნდებით ა. სმიტის წარმოების ხარჯების თეორიას" *).

შეიძლება დაშვებულ იქნას ფასების დაშორება შრომითი ღირებულებისგან, — ამბობენ სოციალ-ფაშისტები, მაგრამ თუ ჩვენ ამას დაუშვებთ, მაშინ არაფერი რჩება მარქსის მოძღვრებიდან შრომითი ღირებულების შესახებ, მაშინ ადგილი აქვს უეჭველ წინააღმდეგობას „კაპიტალის" I და III ტომს შორის, წინააღმდეგობას მარქსის ეკონომიურ სისტემაშიო.

ორივე პუნქტში, სადაც კლასიკურმა ეკონომიამ მარცხი განიცადა და რომელთა შესახებაც მარქსმა მოგვცა ახალი მოძღვრება, გამოიყვანა რა ჩიხიდან ეკონომიური მეცნიერება, — სოციალ-ფაშისტები სდგამენ ნაბიჯს უკან, უარყოფენ მარქსის მოძღვრებას, აცხადებენ მას წინააღმდეგობრივათ და აგდებენ როგორც ზედმეტ ბალასტს.

აქ არ შევჩერდები უაღრესად საინტერესო საკითხებზე, როგორიცაა კაპიტალის მიმოქცევა, რეპროდუქცია, კრიზისები. რეპროდუქციის თეორიაში მარქსმა კოლოსალური ნაბიჯი გადადგა წინ კლასიკოსებთან შედარებით.

მარქსი, იკვლევდა რა კაპიტალისტურ წყობილებას, ცხადყოფდა მისი განვითარების ტენდენციებს. გავიხსენოთ ის შესანიშნავი ადგილი „კაპიტალში", სადაც ლაპარაკია ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციაზე. ეს არის ის, რასაც ვუწოდებთ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. მარქსის მთელი ეკონომიური თეორია არის კაპიტალიზმის გარდაუვალი დაღუპვის დასაბუთება.

არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ, რომ მარქსის შრომებში, აგრეთვე მისი ერთგული მეგობრის და თანამებრძოლის — ენგელსის შრომებში, ჩვენ გვაქვს ბევრი უაღრესად საგულისხმო მითითება გარდამავალი პერიოდის შესახებ. მე აქ არ შევჩერდები ამ საკითხებზე, მხოლოდ მინდა ვახსენო ერთი ადგილი მარქსიდან, სადაც იგი ლაპარაკობს გლეხობასთან დამოკიდებულებაზე, პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ. მარქსი სთვლის, რომ საჭიროა გლეხის წაყვანა წინ, სოციალიზმისაკენ „მეურნეობრივი" გზით**). რა თქმა უნდა, იმ პერიოდში უაღრესად ძნელი და შეუძლებელიც იყო მოძღვრების მოცემა კოოპერატიული გეგმის შესახებ, ამისათვის მაშინ არ იყო მომზადებული სათანადო პირობები. მაგრამ წვრილი გლეხობის „მეურნეობრივი" გზა სოციალიზმისაკენ არსებითად არის ის, რაც განავითარა ლენინმა (რომელიც არ იცნობდა ზემოთმოყვანილ ადგილს მარქსიდან) თავის მოძღვრებაში კოოპერატიული გეგმის შესახებ.

აქ შეუძლებელია მთლიანად დავასახელოთ თავისი შინაარსით მდიდარი მოძღვრება, რომელიც მარქსმა გაშალა თავის „კაპიტალის" სამ

*) Современное хозяйство и его законы, გვ. 32.

**) Летописи Маркизма, წიგნი II, გვ. 62-63.

ტომში, „თეზისებში“ და მთელ რიგ სხვა თხზულებებში: ყველა ეს თხზულებანი შესწავლილ უნდა იქნას დაწვრილებით.

მარქსი ცხოვრობდა „თავისუფალი კონკურენციის“ ეპოქაში. ამ პერიოდში შეუძლებელი იყო იმპერიალიზმის პრობლემების, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პრობლემების დასმა, ვინაიდან ამისათვის სათანადო ისტორიული პირობები არ არსებობდა. მაგრამ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ჩვენ გვაქვს კაპიტალიზმის ახალი, უკანასკნელი ეტაპი — იმპერიალიზმი. მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქაში წამოიჭრა მთელი რიგი სრულიად ახალი პრობლემები. ეს პრობლემები უნდა გადაჭრილიყო მარქსის მოძღვრების საფუძველზე. ის ახალი პრობლემები, რომლებიც ჩვენს წინაშე იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში წამოიჭრა, გადასწყვიტეს ლენინმა და სტალინმა მარქსის და ენგელსის მოძღვრების საფუძველზე. ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ეკონომიის განვითარების ლენინური ეტაპი. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, ის ახალი, რაც მოცემულია ლენინის და სტალინის შრომებში.

ლენინი უსასტიკეს წინააღმდეგობას უწევდა ყველა ჯურის რევიზიონისტებს, რომლებიც მარქსიზმს უტევდენ (ბერნშტეინი და სხვ.). ამასთან ერთად ლენინი დაუზოგავ ბრძოლას აწარმოებდა ცენტრისტების წინააღმდეგ, რომლებიც შემდეგ აგრეთვე აშკარად გახდენ სოციალ-შოვინისტებად. აწარმოებდა რა ბრძოლას რევიზიონისტების და ცენტრისტების წინააღმდეგ, მარქსიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ, ლენინი უფრო ავითარებდა მარქს-ენგელსის მოძღვრებას. ჩვენ გვაქვს იმპერიალიზმის ლენინური თეორია, რომელშიაც ლენინმა დაწვრილებით დაამუშავა იმპერიალიზმის პრობლემები. აქვე უნდა აღინიშნოს მისი მოძღვრება კაპიტალიზმის ლპობის, მისი არათანაბარი განვითარების კანონის და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, გარდამავალი ეკონომიის ლენინური თეორია, ლენინური კოოპერატიული გეგმა და სხვ.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენს წინაშე წამოიჭრა ახალი პრობლემები (ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საკითხები და სხვ.), რომელთაც თავისი გადაჭრა ჰპოვეს ლენინის უახლოეს, საუკეთესო მოწაფის, საკ. კომპარტიის (ბ) და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის, ამხ. სტალინის შრომებში. ლენინის და სტალინის შრომებში მოცემულია მარქსის მოძღვრების, კერძოდ მისი ეკონომიური მოძღვრების შემდგომი განვითარება. იქ ჩვენ გვაქვს პასუხი იმ საკითხებზე, რომლებიც წამოაყენა იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლიუციის ახალმა პერიოდმა.

მარქსის ეკონომიურ მოძღვრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია კლასობრივი სულით, კაპიტალისტების კლასისადმი, ყველა კლასობრივი მტრებისადმი შეურიგებლობის სულით. მარქსს, სურს რა ჩამოგლიჯოს ნიღაბი კლასობრივ მტრებს, მიყავს მკითხველი ფაბრიკის ჭიშკართან, სადაც წარწერილია: „აქ შესვლა ნება-

დართულია მხოლოდ საქმისათვის". ის ბრწყინვალედ, მკაფიო ფერადებით ასწერს მუშების ექსპლოატაციას და უნერგავს მკითხველს კლასობრივ სიძულვილს კაპიტალისტური წყობილებისადმი. ბურჟუაზიულ ეკონომისტების ლეგენდა კაპიტალიზმის დროს თანასწორობის, ძმობის და სამართლიანობის არსებობის შესახებ საბოლოოდ იმსხვრევა.

მარქსის ეკონომიური მოძღვრება არის მარქსიზმის სისტემის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. მარქსის ეკონომიური მოძღვრების გარეშე შეუძლებელი იყო სოციალიზმის აუცილებლობის დასაბუთება, მისი გადაქცევა მეცნიერებად, მეცნიერული სოციალიზმის შესახებ მოძღვრების მოცემა.

თავის დროზე „კაპიტალის" გამოქვეყნებას ბურჟუაზია და მისი „სწავლულნი" დუმილის შეთქმულებით შეხვდენ და ფიქრობდენ, რომ „კაპიტალი" მასებისათვის მიუწვდომელი იქნებოდა.

ცნობილია, რომ რუს ცენზორმა, რომელმაც ნება დართო „კაპიტალის" I ტომის გამოცემაზე, სთქვა, რომ მარქსის გაგება ძნელია, ამიტომ მისი გამოცემა შეიძლებაო.

„თუმცა ავტორი თავისი რწმენით უსათუოდ სოციალისტია და მთელი წიგნი საგსებით გარკვეულ სოციალისტურ ხასიათს ამჟღავნებს, მაგრამ, ღებულობს რა მხედველობაში, რომ მის გადმოცემას არ შეიძლება ეწოდოს ყველასათვის მისაწვდომი და რომ, მეორე მხრით, მას აქვს მეცნიერულ-მათემატიკური არგუმენტაციის ფორმა, კომიტეტი ცნობს, რომ ამ წიგნისათვის სასამართლოს წესით დევნა შეუძლებელია".

მაშასადამე, რუსი ცენზორიც ფიქრობდა, რომ მარქსის ეს წიგნი ძნელად მოსანელებელია მუშებისთვის, რადგან აქ მეცნიერულ-მათემატიკური არგუმენტაციაა.

ეს რუსი ცენზორი, ისე როგორც ყველა ბურჟუაზიული ეკონომისტები, რა თქმა უნდა, შეცდენ. მალე „კაპიტალი" სხვა ენებზედაც გამოვიდა. რუსულ ენაზე გამოდის აგრეთვე „კაპიტალის" შემდეგი ტომები. თუ „კაპიტალის" პირველი გამოცემა რუსულ ენაზე 3.000 ეკზემპლიარისაგან შესდგებოდა, რაც მაშინ დიდი მიღწევა იყო, მერმინდელი გამოცემა გაცილებით მეტი ტირაჟით გამოდიოდა. მარქსის შრომები გავრცელდა მუშათა მასებში. რას მოწმობს ეს? ეს მოწმობს იმას, რომ რუსი ცენზორი ღრმად ცდებოდა, მოწმობს იმას, რომ ვინც მარქსის თეორიას მასებისთვის მიუწვდომლად თვლიდა, ვინც ფიქრობდა, რომ მასებს არ შეუძლიათ დაეუფლონ მარქსის თეორიას, ღრმად ცდებოდა. გერმანიაშიაც და სხვა ქვეყნებშიაც მუშათა მასები ძალიან სწრაფად დაეუფლენ მარქსის თეორიას. მარქსიზმი გადაიქცა პროლეტარიატის რევოლიუციურ თეორიად, მოქმედების სახელმძღვანელოდ. მალე ეს იგრძნო ბურჟუაზიამ ყველა ქვეყანაში, იგრძნო ეს რუსეთის ცარიზმმაც. თუ რამდენად დააშინა მეფის ჩინოვნიკები მარქსის მოძღვრების გავრცელებამ, ეს სჩანს თუნდაც ცნობილ „კარლ მარქსის საქმიდან", რომელიც ამ ცოტა ხნის წინად აღ-

მოჩენილ იქნა თბილისის ჟანდარმერიის საქმეებში და ინახება საქართველოს რევოლიუციის მუზეუმში. თბილისის ჟანდარმერია 1906 წელს, ალბად თავის უვიცობის გამო, ფიქრობდა, რომ მარქსი გამოჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე და რომ აუცილებელია მისი დაპატიმრება და მეტეხის ციხეში ჩასმა. ჟანდარმებმა, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხეს დაეჭირათ მარქსი, რომელიც დიდი ხანია განისვენებდა ხაიგეტის სასაფლაოზე ლონდონში. მაგრამ ამ ფაქტში ნათლად გამომჟღავნდა ის შიში, რომელსაც განიცდიდენ უკვე არა მარტო რუსი ცენზორები, არამედ რუსი ჟანდარმებიც.

მემამულეების და ბურჟუაზიის ხელისუფლება რუსეთში სამუდამოდ დაემხო. დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც წარმოადგენს მარქსის მოძღვრების უდიდეს ტრიუმფს, ამ მოძღვრების გატარებას ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლებას ისე, როგორც მარქსიზმს, ყავდა და ყავს შეურიგებელი მტრები, კერძოდ, სოციალ-ფაშისტები, რომლებიც მუდამ ებრძვიან რა მარქსიზმს, ყოველნაირად იბრძვიან საბჭოთა კავშირში არსებული პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ.

აქ მსურს შევეხო სოციალ-ფაშისტების კონტრ-რევოლიუციურ შეხედულებებს საბჭოთა ეკონომიკაზე, სადაც ადგილი აქვს მარქსის იდეების განხორციელებას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერი ველსი ამ პარტიის ლეიპციგის ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობს, რომ „რუსეთის მუშები ისევე არ არიან ფაბრიკების ბატონ-პატრონები, როგორც მუშები კაპიტალისტურ ქვეყნებში“ *). ჩვენშიც გაბატონებულია კაპიტალიზმი; მართალია, შემდგარი სამეურნეო დემოკრატიის გზაზე, მაგრამ საბჭოთა კავშირშიც ბატონობს კაპიტალიზმიო.

რუსეთის მენშევიკი აბრამოვიჩი ამბობს: „ძველი ცარიზმი არ იყო ისე ცუდი, როგორც კომუნისტური ცარიზმი **).

— „კომუნისტური ცარიზმი“, ე. ი. მუშების ხელისუფლება, თურმე

— „კომუნისტური ცარიზმი“, წაიკითხეთ მუშების ხელისუფლება, თურმე უფრო ცუდია, ვიდრე „ძველი ცარიზმი“. ასე ახასიათებენ საბჭოთა კავშირს ის ადამიანები, რომლებიც ოდესღაც თავს მარქსისტებად სთვლიდენ, რომლებიც ამბობდენ, რომ სცნობენ მარქსიზმს.

ხოლო აი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მწათობი, მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსი, სოციალ-ფაშისტი კაუცკი. ის სწერს, რომ „საბჭოთა რეჟიმი უარესია, ვიდრე ხორტის საძაგელი რეჟიმი უნგრეთში ან მუსოლინის რეჟიმი იტალიაში“ ***).

კაუცკიმ საბჭოთა წყობილების ასეთი დახასიათებიდან ლოლიკური დასკვნები გამოიყვანა. მან აშკარად გამოსთქვა ის აზრი, რომ საბჭოთა

*) Vorwärst, 1931 წ.

**) კაუცკი—Интернационал и Сов. Россия.

***) Vorwärts, 1931 წ.

რეჟიმიც. ისე როგორც რომანოვების, გაბსბურგების და გოგენცოლერნების მილიტარისტული მონარქიები, მხოლოდ ძალდატანებით შეიძლება დაძლეულ იქნას*).

კაუცკი, რომელსაც ტაშს უკრავს მთელი ბურჟუაზია, მოურიდებლად მოუწოდებდა და მოუწოდებს ყველას ძალდატანებით დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება.

აი სოციალ-ფაშიზმის დამოკიდებულება საბჭოთა ქვეყნისადმი, ჩვენი ქვეყნისადმი, ჩვენი სოციალისტური მშენებლობისადმი.

ახლა უკვე ზედმეტია დავა იმის შესახებ, თუ რა გზას უნდა გაყვეს პროლეტარიატი, რომ განახორციელოს სოციალიზმი. ეს საკითხი დიდი ხანია, რაც გადაწყვეტილია. უკანასკნელ დროს ეს ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ დაგვანახეს გერმანიის ამბებმა.

გერმანიაში, სადაც 10 წელზე მეტ ხანს ბატონობდა სოციალ-დემოკრატია, ფაშიზმმა გაიმარჯვა სოციალ-ფაშისტების პირდაპირი დახმარებით. გერმანიაში გაიმარჯვა ჰიტლერიზმმა, იქ ამჟამად იღვრება ბუშათა სისხლი, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს სოციალიზმის გამარჯვებას, პროლეტარიატის დიქტატურას, ბრძოლას სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის მეორე ხუთწლედში.

50 წლის წინად პროლეტარიატმა დაკარგა კაცი, რომელიც იყო ყველაზე გენიალური მოაზროვნე, მთელი მუშათა კლასის, მთელი საერთაშოროისო მუშათა მოძრაობის საუკეთესო ხელმძღვანელი XIX საუკუნეში. რა თქმა უნდა, ეს იყო კოლოსალური დანაკლისი ყველა ქვეყნის მუშებისათვის, მაგრამ შემდეგში ანაზღაურებულ იქნა ეს უდიდესი დანაკლისი. მარქსის გარდაცვალების შემდეგ, მუშათა საერთაშორისო რევოლიუციური მოძრაობა მეტად განმტკიცდა ყველა ქვეყანაში. საბჭოთა კავშირში განხორციელდა მარქსის იდეები. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა მარქსს აუგო მშვენიერი ძეგლი, რომელსაც ეწოდება სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. უეჭველია, რომ თუ დღემდე მუშათა მოძრაობა ყველა ქვეყნებში ძლიერდებოდა და იმარჯვებდა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, შემდეგში იგი ყველა ქვეყანაში უფრო გიგანტური ნაბიჯებით წავა წინ; უეჭველია, რომ მუშათა საერთაშორისო რევოლიუციური მოძრაობა კომინტერნის და ამხ. სტალინის ლენინური ხელმძღვანელობით აღგვის დედამიწიდან კაპიტალს და აუგებს მარქსს კიდევ უფრო გრანდიოზულ, კიდევ უფრო დიდებულ ძეგლს, რომლის სახელი იქნება **მთელი მსოფლიოს სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.**

*) კაუცკი. Интернационал и Советская Россия.

ვ. იმედაძე

მარქს-ენგელსი ნაციონალურ-კოლონიური საკითხის შესახებ

„როცა მარქს-ენგელსმა, თავის დროზე, ანალიზი გაუკეთეს ირლანდიაში, ინდოეთში, ჩინეთში, ცენტრალურ ევროპაში, პოლონეთში, უნგრეთში მომხდარ ამბებს,— მოგვცეს ძირითადი სახელმძღვანელო იდეები ნაციონალურ კოლონიურ საკითხში".

(სტალინი)

მარქს-ენგელსს მშვენივრად ესმოდათ ნაციონალურ-კოლონიური საკითხის უდიდესი მნიშვნელობა. ამიტომ იყო, რომ ისინი მას უდიდეს ყურადღებას აქცევდენ და ასეთივე ადგილს აკუთვენებდენ მას როგორც თავიანთ რევოლუციურ საქმიანობაში, ისე თავიანთ შრომებსა და მიწერ-მოწერაში. იმათ მოგვცეს ძირითადი გამოსავალი, სახელმძღვანელო მითითებანი ამ საკითხში — მითითებანი, რომელნიც შემდეგ ვლ. ილიას-ძემ მწყობრ სისტემაში ჩამოაყალიბა, განავითარა ახალი პირობების — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების პირობების შესაფერად. კოლოსალურია აგრეთვე ლენინის საუკეთესო მოწაფის, ჩვენი პარტიისა და კომინტერნის ბელადის ამხ. სტალინის დამსახურება ამ საკითხის შემდგომ დამუშავებაში.

მხედველობიდან არ უშვებთ, რომ ლენინს (აგრეთვე ი. ბ. სტალინსაც) არავითარი „ახალი პრინციპები არ მიუმატებია მარქსიზმისათვის ისე, როგორც ლენინს არ შეუცვლია მარქსიზმის არც ერთი ძველი პრინციპთაგანი, რომ ლენინი იყო და რჩება მარქსისა და ენგელსის ყველაზე უფრო ერთგული თანამიმდევარი მოწაფე, რომელიც სავსებით და მთლიანად ემყარება მარქსიზმის პრინციპებს" (სტალინი—„ლენინიზმის საკითხებში", გვ. 263), და შევეცდებით გადმოვსცეთ ეს მთავარი, ძირითადი, პრინციპული მითითება, რომელიც საფუძვლად დაედო ლენინიზმის შეხედულებებს ნაციონალურსა და კოლონიურ საკითხში.

როგორია ამ საკითხის არსი, დედა აზრი, მოცულობა და მნიშვნელობა მარქსისა და ენგელსის მიხედვით?

ჩვენი პარტიის მე-XII ყრილობაზე საბოლოო სიტყვაში ნაციონალური საკითხის შესახებ ამხ. სტალინმა გადაჭრით გაილაშქრა ბუხარინისა და რიკოვის მიერ ამ საკითხის მნიშვნელობის გაზვიადების, მისი ზედმეტად გაბერვის წინააღმდეგ, რის შედეგადაც მათ „გამოეპარათ" ძირითადი საკითხი — საკითხი მუშათა კლასის ხელისუფლების შესახებ (ისე, როგორც

ჩვენს უკლონისტებს), დააყენეთ, რომ „მთელი ჩვენი მუშაობის საფუძველს წარმოადგენს მუშაობა მუშათა კლასის ხელისუფლების განსამტკიცებლად და მხოლოდ ამის შემდეგ დგება ჩვენს წინაშე მეორე საკითხი-საკითხი მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ პირველისადმი და ქვემდებარებული — ნაციონალური საკითხი," რომ „ერის თვითგამორკვევის უფლების გარდა არის კიდევ მუშათა კლასის უფლება თავისი ხელისუფლების განმტკიცებაზე და თუ კი, ერის ეს უფლება წინააღმდეგობაში ვარდება მეორე, უფრო მაღალ უფლებასთან... მაშინ პირველმა ადგილი უნდა დაუთმოს მეორეს, „რომ" ნაციონალური საკითხის მოქმედების სფერო და მისი კონპეტენციის ფარგლები იზღუდება „მუშათა საკითხის," როგორც ძირითადის ყველა საკითხიდან, მოქმედების და კონპეტენციის სფეროთი" (მე-12 ყრილობის სტენოგრამა, გვ. 536-537).

შემდეგ ამხ. სტალინი ამბობს: „ნაციონალური საკითხის შესახებ მარქსის წერილის გარჩევისას ლენინი ასეთ დასკვნას აკეთებს: „მუშათა საკითხთან შედარებით ნაციონალური საკითხის დაქვემდებარებული მნიშვნელობა მარქსისათვის ყოველ ეჭვს გარეშეა." აქ სულ ორად-ორი სტრიქონია, მაგრამ ისინი სწყვეტენ ყველაფერს.

ვლ. ილიას-ძემ ჯერ კიდევ 1903 წელში გამოთქვა (ცნობილი წერილში: „ნაციონალური საკითხი ჩვენს პროგრამაში," ტ. მე-5) ის აზრი, რომელიც საფუძვლად დაედო ნაციონალური საკითხის ბოლშევიკურ გაგებას.

„პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს ჩვენ უნდა დავუმორჩილოთ ნაციონალური თვითგამორკვევის მოთხოვნილება, სწორეთ ეს პირობაა, რომელიც ასხვავებს ნაციონალური საკითხის ჩვენ მიერ დასმას საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დაყენებისაგან". ომის დროს კი ლენინი სწერდა: „დემოკრატიის ცალკე მოთხოვნილებანი, მათ რიცხვში თვითგამორკვევაც, აბსოლუტი კი არაა, არამედ საერთო-დემოკრატიული (ამჟამად კი საერთო — სოციალისტური) მსოფლიო მოძრაობის ნაწილი. შესაძლებელია, რომ ცალკე კონკრეტულ შემთხვევაში ნაწილი ეწინააღმდეგებოდეს საერთოს, მაშინ საჭიროა უკუაგდოთ იგი" (წერილი: „თვითგამორკვევის შესახებ დისკუსიის შედეგებისათვის").

ლენინისა და სტალინის ეს შეხედულებანი მთლიანად ემყარებიან მარქს-ენგელსის შეხედულებებს. „თვითეული ერის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის აღდგენის გარეშე შეუძლებელია შეიქმნეს, როგორც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანება, ისე ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნებისათვისო", — სწერს ენგელსი 1893 წ. „კომუნისტური მანიფესტის" იტალიური გამოცემის წინასიტყვაობაში. ევროპულ ხალხთა გულწრფელი საერთაშორისო თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა თვითეული ამ ხალხთაგანი თავისი თავის სრული ბატონ-პატრონიაო", — სწერს იგი 1892 წ. („კომუნისტური მანიფესტის" II პოლონური გამოცემის წინასიტყვაობაში).

„ნაციონალური სახელმწიფონი წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი წყობილების ერთად-ერთ ტიპს, რომელიც ნორმალურია მმართველი ევროპული ბურჟუაზიისთვის,— აგრეთვე უეჭველ წანამძღვარს ჰარმონიული საერთაშორისო ურთიერთობის დამყარებისათვის, რომლის გარეშე წარმოუდგენელია პროლეტარიატის ბატონობა. რათა უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო მშვიდობიანობა, პირველ ყოვლისა, აუცილებელი უნდა იქნეს ყველა ზედმეტი საბაბი ნაციონალური შეხლა-შემოხლისათვის, ყოველი ერი დამოუკიდებელი უნდა იყოს, ბატონ-პატრონი უნდა იყოს თავის სახლშიაო“ — სწერს ფრ. ენგელსი თავის შესანიშნავ შრომაში: „ძალა და ეკონომიკა გერმანიის იმპერიის შექმნაში“ (გვ. 16).

„ძლევამოსილ პროლეტარიატს არ შეუძლია არც ერთ სხვა ხალხს თავს მოახვიოს გაბედნიერება ისე, რომ ამით ძირი არ გამოუთხაროს საკუთარ გამარჯვებასაო“, —სწერს ენგელსი წერილში 1882 წლის 12 ნოემბრის თარიღით (მარქს-ენგელსი. არქივი. 1-6, გვ. 204).

„ინგლისის მუშათა კლასი ვერასოდეს ვერ წასდგამს წინ გადამჭრელ ნაბიჯს თვით ინგლისში, სანამ საბოლოოდ არ გასწყვეტს კავშირს გაბატონებული კლასების პოლიტიკასთან ირლანდიის საკითხშიო“, სწერდა მარქსი, — რადგან „სხვების დამჩაგვრელ ხალხს არ ძალუძს განითავისუფლოს თავი „რადგან“ ძალა, რომელსაც იგი საჭიროებს სხვათა დასაჩაგრავად, ყოველთვის ბოლოს და ბოლოს შებრუნდება თვით მის წინააღმდეგ“ (ენგელსი).

ამრიგად, მარქსისა და ენგელსისათვის ცენტრალური პუნქტი იყო მოძღვრება იმის შესახებ, რომ სანამ არსებობს ნაციონალური ჩაგვრა და დამონავება, რომელიც იწვევს ნაციონალურ უნდობლობას და ანტაგონიზმს მშრომელთა შორის, რაც შეუძლებელს ხდის ყველა ქვეყნის მუშების „ძმური ფალანგის“ (ენგელსი) შექმნას, მათ მიერ იმ ძირითადი ჰეშმარიტების შეცნობას, „რომ უახლოესი მტრები საკუთარ წრეში იმყოფებიან“ (ენგელსის წერილიდან „ხალხთა ზეიმი ლონდონში“. თხზ. ტ. 5) უამისოდ შეუძლებელია წარმატებით ბრძოლა და გამარჯვება ინტერნაციონალურ კაპიტალზე, ამის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის ბატონობა.

ნაციონალური საკითხი არ არის თვითმიზანი, არ წარმოადგენს დამოუკიდებელს, განცალკევებულ საკითხს. მარქს-ენგელსის აზრით, იგი მთლიანად და სავსებით ემორჩილება ცენტრალურ ამოცანას — პროლეტარიატის საბოლოო განთავისუფლების საქმეს, რევოლუციის და სოციალიზმის გამარჯვების საქმეს. „ჩვენ უნდა ვიმუშაოთ დასავლეთ-ევროპული პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის და ამ მიზანს უნდა დავუმორჩილოთ ყველაფერი დანარჩენი. რა გინდა საინტერესონიც უნდა იყვნენ ბალკანეთის სლავები, თუ მათი მისწრაფება განთავისუფლებისაკენ ეჯახება პროლეტარიატის ინტერესებს. მაშინ იგი მე ძლიერ ნაკლებ მაინტერესებსო,— ამბობს ენგელსი. ამ თვალსაზრისით, ამ ძირითადათ კრიტერიუმით, რომლის მიხედვით ნაციონალური

მოძრაობის ინტერესები უნდა ემორჩილებოდეს პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს, რევოლუციის გამარჯვებას,— განიხილავდენ მარქსი და ენგელსი სხვადასხვა ხალხის ნაციონალურ მოძრაობის კონკრეტულ მაგალითებს. ამ თვალსაზრისით განხილვის დროს ისინი ყოფდენ ხალხებს ორ ბანაკად: ხალხნი, რომელნიც „იმდენად სულელნი იყვნენ, რომ ნება მისცეს გამოეყენებიათ სხვებს ისინი რევოლუციის ჩასახშობად“ (ენგელსი), ხალხნი „ერთგულად ქვეშევრდომ ნი“, გატაცებულნი თავიანთი ნაციონალური ზიზღით ნაციონალური შეზღუდულობით“ მოექცენ კონტრრევოლუციის ბანაკში, ხალხნი, რონელნიც წარმოადგენდნენ რა რუსეთის ცარიზმის — რევოლუციის და მთელი „მოქალაქეობრივად განვითარებული დასავლეთის“ ამ მთავარი მტრის — ფორპოსტებს,, აღდგენ 1848 წელს თავიანთი ნაციონალური დამოუკიდებლობის მოსაპოებლად მხოლოდ იმისათვის, რომ იმავე დროულად ჩაეხშოთ გერმანელთა და მადიართა რევოლუცია“, ეს ხალხნი კონტრრევოლუციის წარმომადგენლები არიან. ისინი „ნაძირალებია“, რადგან „ყოველ კიში ისეთი ქალაქისათვის ყუმბარების დაშენა, როგორიცაა პრაღა, შეურიგებელ სიძულვილს გამოიწვევდა დამჩაგვრელთა მიმართ“. — რას აკეთებდენ ამ დროს ჩეხები?—ისინი ჰკოცნიდენ იმ როზგებს, რომელთაც მათ სცემდენ, ისინი აღტაცებით ფიცს სდებდენ იმ დროშის წინაშე, რომლის ქვეშ მათ ძმებს სიკვდილით სჯიდენ, მათ ცოლებს კი აუპატიურებდენ, „უბადრუკი ნაციონალური პერსპექტივისათვის იმათ გასცეს ეს დემოკრატია და რევოლიუცია ავსტრიის მონარქიის სასარგებლოდ, ამ „ნაჯრობით მოპარული, ათი ენისა და ხალხიდან შეკოწიწებული დომხალის სასარგებლოდ, გერმანიის ბარბაროსობისა და თავს ლაფდასხმის დასაყრდენის სასარგებლოდ“ (მარქსი). სავსებით გასაგებია დიდი რევოლუციონერების ეს აღგზნებული სიძულვილი და მრისხანება ამ კონტრრევოლუციურ ხალხთა მიმართ. „ისინი (ჩეხები, სამხრეთ სლავები და სხვა...) რჩებიან ჩვენ პირდაპირ მტრებად ისე, როგორც მათი მოკავშირენი და მფარველი მეფე“ რომ „რევოლუციის ამ მშიშარა უსირცხვილო გამცემლობისათვის ჩვენ ოდესმე სასტიკად გადაუხდით სლავებს“ —სწერდენ მაშინ მარქსი და ენგელსი.

ერების მეორე ჯგუფი—ეს ის ერებია, „რომელნიც მომწიფდენ რევოლუციისათვის“, მოახდინეს რევოლუცია“. გამოიჩინეს რევოლუციური ინიციატივა, განავითარეს უდიდესი რევოლუციური ენერგია და ამით უზრუნველჰყვეს თავისათვის მომავალი“. 1848 წელს ეს ხალხნი იყვნენ—გერმანელები, პოლონელები, უნგრელები — რევოლუციური ხალხნი. შემდეგში —1916 წელს, როცა ვლ. ილიასძე იხილავდა ძალათა შეგადაჭიჭვნას 1848 წლის ნაციონალური მოძრაობის ბანაკში და ეხებოდა მათ კლასიფიკაციას და გაყოფას ორ მოპირდაპირე ჯგუფად—რეაქციისა და რევოლუციის ბანაკად, ის სავსებით და მთლიანად უერთდება მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შეფასებას და აკეთებს ორ მეტის-ად მნიშვნელოვან დასკვნას: რომ ევროპის რამდენიმე მსხვილი და უმსხვილესი ხალხის განთავისუფლების ინტერესები უ ფ რ ო მ ა ღ ლ ა დგას, ვიდრე წ ვ რ ილ ი ერე-

ბის განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები; და წარმოსადგენია იმის მსგავსი კონკრეტული სიტუაცია, რომლის წინაშე იდგა მარქსი. „რამდენიმე ხალხი დაიწყებს სოციალისტურ რევოლუციას და სხვა ხალხნი კი აღმოჩნდებიან ბურჟუაზიული რეაქციის მთავარ ბჭეებად“, მაშინ ჩვენც უნდა მივემხროთ ომს მათ წინააღმდეგ, უნდა მივემხროთ „მათ გასრესას“, მათი ფორტოსტების დამსხვრევას რა გინდა წვრილ-ნაციონალურ მოძრაობასაც უნდა ჰქონდეს აქ ადგილი“. ასეთ შესაძლებლობის შესახებ ლაპარაკობდა სტალინი მე-12 ყრილობაზე.

ამრიგად, ნაციონალური საკითხი, საკითხი ერის უფლებების შესახებ, მარქს-ენგელსის მიხედვით (აგრეთვე ლენინ-სტალინის მიხედვითაც) არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საკითხს, არამედ „პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილს, რომელიც ექვემდებარება მთელს და მოითხოვს თავის განხილვას მთელის თვალსაზრისით (სტალინი), — და ნაწილის მთელთან წინააღმდეგობის, შეჯახების შემთხვევაში, იგი უკუგდებული იქნება. კიდევ მეტი, „ნაციონალური საკითხის გადაჭრა შესაძლებელია პროლეტარულ რევოლუციასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე“, როგორც მისი განუყრელი, ორგანიული ნაწილი.

მარქს-ენგელსი ნაციონალურ საკითხს უდგებოდნენ „მეტის-მეტად კრიტიკულად, როცა აფასებდენ მის პირობით-ისტორიულ მნიშვნელობასაო“ — ამბობს ლენინი. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ, როცა ისინი იყენებდენ ამ მეთოდს, რევოლუციური დიალექტიკის მეთოდს, კონკრეტული სიტუაციის კონკრეტულ ანალიზს — იმ დასკვნამდე მიდიოდენ, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია მხარი დაუჭიროს ყოველნაირ ნაციონალურ მოძრაობას, ყოველთვის და ყველგან და რომ ყოველ ცალკე კონკრეტულ შემთხვევაში ამ მხარის დაჭერის კრიტერიუმი შესაძლოა იყოს მხოლოდ ერთი დებულება: რევოლიუციის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას. შემდეგ-მარქსი და ენგელსი ფიქრობდენ, რომ ყოველი ნაციონალურ „ჩაგვრა“ როდი ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს, კაპიტალიზმის პროგრესს, პროგრესს, რომელიც ამზადებს „მატერიალურ პირობებს პროლეტარიატის ბატონობისათვის“ — მარქსის დიალექტიკის ბასრი, მკვეთრი დანა ცოცხალი ისტორიიდან ჭკვეთს და დღის სინათლეზე გამოაქვს ასეთი „კაზუსის“ ცხადი ფაქტები.

1. სამხრეთ საფრანგეთი. — არნოლდ რუგემ 1848 წლის გერმანიის საერთო კრებაზე პოლონეთის საკითხის შესახებ წარმოებული კამათის დროს განაცხადა: „პოლონეთის მოსპობა იმიტომ წარმოადგენს სამარცხვინო უსამართლობას, რომ ამის წყალობით ჩახშობილ იქნა იმ ერის მეტად მნიშვნელოვანი განვითარება, რომელსაც მიუძღვის უზარმაზარი დამსახურება ევროპიულ ხალხთა ოჯახში და რომელმაც ბრწყინვალედ განავითარა საშუალო-საუკუნოებრივი ცხოვრების ერთი ფაზა — რაინდობა“. მარქსი ააშკარავებს „სამარცხვინო უსამართლობის“ თვალსაზრისით სრულ უმართებულებას იმ ერის მიმართ, რომელსაც აქვს დამსახურება საშუალო საუკუნოებრივი რაინდობის განვითარების საქმეში

და მოჰყავს სამხრეთ საფრანგეთის მაგალითი: სამხრეთ საფრანგეთის პროვინსის ნაცია, რომელმაც განავითარა მშვენიერი ენა, რაინდობა, ვაჭრობა და მრეწველობა, სამასი წლის განმავლობაში მოქცეული იყო დამონავებული ომების გავლენის ქვეშ ჩრდილოეთის ფრანგების მხრით, იანკები კულტურული განვითარების მიხედვით მათზე დაბლა იდგნენ. სამასი წლის განმავლობაში უხუთავდა სულს ჩრდილოეთ საფრანგეთის დესპოტიზმი სამხრეთ საფრანგეთს, რომელმაც დაჰკარგა დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნაშთებიც. კონვენტის რკინის მუშტმა გადააქცია სამხრეთ საფრანგეთის მცხოვრებლები ფრანგებად და დამოუკიდებლობის დაკარგვის სანაცვლოდ მათ საჩუქრად მისცა დემოკრატია, სამხრეთ საფრანგეთი კი მისი ეროვნების სრულ განადგურებამდეც, როგორც უმწეო ბალასტი, აყვანილი იქნა ბუქსირზე ჩრდილო ფრანგების მიერ და მაინც საძხრეთ საფრანგეთის დამონავებას ჩრდილოელი ფრანგების მიერ არასოდეს არ უწოდებენ „სამარცხვინო უსამართლობას“,— გესლიანად შენიშნავს მარქსი. რატომ?— იმიტომ, რომ სამხრეთ საფრანგეთი სოციალური პირობების გამო საფრანგეთის რეაქციონური ნაწილი იყო. ჩრდ. საფრანგეთისადმი მისი ოპოზიცია მალე გადაიქცა ოპოზიციად მთელი საფრანგეთის პროგრესიული კლასების წინააღმდეგ. იგი გახდა ფეოდალიზმის მთავარი დასაყრდენი და დღემდის დარჩა კონტრრევოლიუციის ციხე-სიმაგრედ საფრანგეთში. პოლონეთი კი გადაიქცა ევროპიულ დემოკრატიის კერად. ამაში, და არა უკვე დიდი ხანია დასამარებული რაინდული წყობილების ბრწყინვალე განვითარებაში, ძევს პოლონეთის აღდგენის გარანტია, აუცილებლობა“ (მარქს — ენგელსი, თხზ. ტ. VI გვ. 406-407).

ამრიგად, არა ყოველი ნაციონალური „ჩაგვრა“ იზიდავს თავისკენ პროლეტარიატის სიმპატიას. მისი ყოველნაირი გამოვლენის წინააღმდეგ როდი აცხადებს პროტესტს რევოლიუციური კლასი; თუ „ჩაგრება“ ის ნაცია, რომელიც წარმოადგენს ფეოდალიზმის დასაყრდენს, კონტრრევოლუციის ციხე-სიმაგრეს, თუ იგი წარმოადგენს პროგრესიული კლასების წინააღმდეგ ოპოზიციას, თუ იგი აჩერებს საზოგადოებრივი განვითარებას, და თუ „დამოუკიდებლობის დაკარგვის“ სანაცვლოდ საჩუქრად, საკომპენსაციოდ ღებულობს დემოკრატიას,— პროლეტარიატს არაფერი ექნება ასეთი „სამარცხვინო უსამართლობის“ საწინააღმდეგო. ასეთია მარქს-ენგელსის დასკვნა. ეს მაგალითი ნაციონალური საკითხის მნიშვნელობის „პირობითისტორიული ხასიათის“ დასაბუთებაა.

2. კალიფორნია. პანსლავისტი ბაკუნინის ფრაზის, მორალური თეორიის წინააღმდეგ, რომელიც ლაყბობს „ხალხთა საყოველთაო გაერთიანებაზე“ და იმ „საზღვრების გატარებაზე, რომელიც დააწესებს თვით ხალხთა სუვერენულ ნებას მათ ნაციონალურ თავისებურებათა საფუძველზე“, მარქსი გამოდის შეუდრეკელი კონკრეტიული ანალიზის სიძლიერით შეიარაღებული. მას მოჰყავს შეერთ. შტატებსა და მექსიკას შორის ტეხასის გამო ატეხილი ომის მაგალითი და კალიფორნიის დაპყრობა

და სვამს საკითხს: უსაყვედურებს თუ არა ბაკუნინი ამერიკელებს დაპყრობით ომისათვის, რომელიც— თუმცა ანადგურებს მის თეორიას, რაიც „სამართლიანობასა და ადამიანობას“ ემყარება, მაინც მხოლოდ და მხოლოდ ცივილიზაციის სასარგებლოდ წარმოებდა. და რა უბედურებას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ მდიდარი კალიფორნია ჩამოერთვა მცონარე მექსიკელებს, რომელთაც იგი ვერაფრად გამოიყენეს. რომ ენერგიული იანკები იქაური ოქროს მადნეულობის სწრაფი ექსპლოატაციით მოკლე დროში თავს მოუყრიან წყნარი ოკეანის შესაფერ ნაპირზე ხშირ მოსახლეობას და ვაჭრობის ფართო ქსელს, შექმნიან დიდ ქალაქებს, დაიწყებენ გემებით მიმოსვლას, გაიყვანენ რკ. გზას ნიუ-იორკიდან სან-ფრანცისკომდე, პირველად გააღებენ წყნარი ოკეანის კარს ნამდვილი ცივილიზაციისათვის და მესამეჯერ ისტორიაში მისცემენ მსოფლიო ვაჭრობას ახალ მიმართულებას რასაკვირველია, ამასთან ერთად კალიფორნიაში მცხოვრები რამდენიმე ესპანელის “დამოუკიდებლობა“ შეიძლება შეიბღალოს, „სამართლიანობა“ და სხვა.. მორალური წესები შესაძლოა დარღვეულ იქნან; მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას ასეთ მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობის ამბებთან შედარებით?“ (მარქსი, დემოკრატიული პანსლავიზმი. ტომი VII გვ. 20 წ.).

ამრიგად, „მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამბების„ წინაშე, როცა ლაპარაკია „ნამდვილი ცივილიზაციის“ ინტერესებზე—მორალური წესები, „სამართლიანობა“ და ა. შ. და აგრეთვე რამოდენიმე პირის, მცირე ჯგუფის „დამოკიდებლობა“ უკანა ადგილზე უნდა იდგეს. ერთა დამოუკიდებლობა ფეტიში, აბსოლუტი კი არ არის—იგი მთელის, საერთო საკითხის—რევოლუციის საკითხის ნაწილია და მასვე ემორჩილება. სხვა ადგილას მარქსმა ეს იდეა ასე გამოთქვა: „იქ, სადაც ლაპარაკია დიდ ნაციათა ყველა რესურსის არსებობისა და თავისუფალ განვითარებაზე (იხ. ზემოთ ლენინი), შეუძლებელია რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს სენტიმენტალურ მზრუნველობას რამდენსამე გაფანტულ გერმანელსა და სლავზე“ (მარქსი).

ამრიგად „სასიცოცხლო მატერიალურ მოთხოვნილებებთან“, „დიდ ნაციათა თავისუფალი განვითარების“, „ნამდვილი ცივილიზაციის“, „საზოგადოებრივი განვითარების სისწრაფის ინტერესებთან შეჯახების დროს, მოკლეთ „ყველაფერ იმასთან შეჯახებისა და კონფლიქტის დროს, რაც პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების აუცილებელ წანამძღვრებს ჰქმნის, მცირე ერების ინტერესები უკან იხევს, შეუძლებელია ისინი დაბრკოლებად გადაიქცენ. არჩევანი ცხადია.

რევოლუციის ინტერესები, საზოგადოებრივი განვითარებისა და პროგრესის ინტერესები, მსხვილი და უმსხვილესი, ერების თავისუფალი განვითარების ინტერესები, უფრო მაღლა დგას ვიდრე დაჩაგრულ მცირე ნაციათა ინტერესები. ასე სვამდენ საკითხს მარქს-ენგელსი, ასე აყენებდენ საკითხს ლენინი და სტალინი.

მარქსსა და ენგელსს ესმოდათ ნაციონალური საკითხის დიდი სიმწვავე, მისი წამოჭრის აუცილებლობა, კანონზომიერება, ნაციონალური ბრძოლის, ნაციონალური მოძრაობის წარმოშობის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის პროგრესულობა (უმრავლეს შემთხვევაში). წარმოშობის განვითარებისა და გამარჯვების პროცესში მყოფი კაპიტალიზმის, რომელმაც თავისი კაპიტალიზმის, რომელმაც თავისი ტალღებით გამოიტანა ნაციონალური თვითშეგნება, ნაციონალური მოძრაობა—ამ ერთ-ერთი ძირითად ტენდენციათაგანს ისინი სისტემატიურად სწავლობდენ, რაკი მასში ხედავდენ (ზოგიერთი შემთხვევის გარდა) უეჭველად დიდ პროგრესიულს, ისტორიულ ფაქტორს რომელიც ამზადებს პირობებს, ბაზას, პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის შემდგომი ბრძოლისათვის. ზემოთ ციტირებულ შრომაში („ძალა და ეკონომიკა") ენგელსი სწერს: „საშუალო საუკუნოების დასასრულიდან ისტორია მუშაობს იმ მიმართულებით, რომ ევროპა ჩამოყალიბდეს მსხვილ ნაციონალურ სახელმწიფოებად ვაჭრობის, მიწათმოქმედების, მრეწველობის და ბურჟუაზიის კლასობრივი ძლიერების განვითარებასთან ერთად, ყველგან იზრდებოდა ნაციონალური გრძნობა, დაქუცმაცებული დაჩაგრული ერები მოითხოვდენ გაერთიანებას და დამოუკიდებლობას. და ამ მოთხოვნაში და ამ გატარებაში ხედავს ენგელსი „უეჭველ წინამძღვარს" „პროლეტარიატის ბატონობისათვის". ენგელსიც აშიშვლებს ამ მოძრაობის ეკონომიურ ფესვებს. იგი ამბობს, რომ, ნაციონალური გაერთიანება გერმანიის ეგზომ არარად მიჩნეული, რუსეთისა და საფრანგეთის მიერ ფეხით გათელილი, დაუნდობელი, ფეოდალური ქსელის კორსეტსა და ღრმა ძილში მყოფი—ნაციონალური გაერთიანება დროთა განმავლობაში ეკზალტირებული, სტუდენტების პატრიოტული ფანტაზიიდან გადაიქცა მძლავრ მოძრაობად, რომელიც მატერიალურ ნიადაგს ემყარებოდა". ეს იყო საქმიანი ვაჭრისა და მრეწველის უშუალო ინტერესებიდან გამომდინარე დაბეჯითებითი მოთხოვნილება იმისა, რომ საესებით აღგვილი ყოფილიყო დრომოჭმული ისტორიული ნაგავი! რომელიც გზას უხშობდა ვაჭრობისა და ხელოსნობის თავისუფალ განვითარებას, ყველა ზედმეტი შეზღუდვის თავიდან მოცილების მოთხოვნილება, რომელიც გერმანელ ვაჭარს უნდა დაეძლია, ჯერ თავის შინ თუ კი მას სურდა გამოსულიყო მსოფლიო ბაზარზე, გაერთიანება ეხლა ეკონომიური აუცილებლობა გახდა (გვ. 20.) და თუმცა ეს გაერთიანება არ მომხდარა რევოლუციის გზით ქვევიდან, მისი ძალების ნაკლებობის გამო, არამედ იგი მოხდა ზევიდან პრუსიის იუნკრების მიერ, ბისმარკის მეთაურობით, მიუხედავად ამისა გაერთიანების გერმანიის მთლიანი სახელმწიფოს შექმნის ფაქტი, ენგელსის სიტყვით, წარმოადგენს უდიდესი პროგრესიულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს. როცა იფეთქა 1871 წ. ომმა ლუი ბონაპარტის წინააღმდეგ, ომმა გერმანიის საბოლოო გაერთიანებისთვის (სანამ იგი არ გადაიქცა დაპყრობითი ომად ნაპოლეონის დაცემის შემდეგ) მარქსი სწერდა, რომ „გერმანელებს შეუძლიანთ სრული წარმატებით იმედი

იქონიონ სიმპატიისა თავის თავდაცვითი ომში ბონაპარტისტული თავდასხმის წინააღმდეგ" („სამოქ. ომი საფრანგეთში"). ენგელსი კი უმატებდა, რომ „ამ შემთხვევაში ბისმარკს ნამდვილად მთელი ხალხი ზურგს უმაგრებდა. საქმე ეხებოდა ომს არა მარტო რეინისათვის, არამედ მთელი ერის არსებობისათვისო" (56).

მარქსი კვალდაკვალ იხილავს მსხვილი მრეწველობის, რკინის გზების და სხვ. განვითარების საფუძველზე მიმდინარე ერის კონსოლიდაციას ავსტრიაში, ამბობს იგი, რომელმაც დაიწყო დაბზარვა, როგორც მრავალნაციონალურმა, ხელოვნურად შეკოწიწებულმა სახელმწიფომ, რომელიც ემყარებოდა ხელით შრომას და ფეოდალურ ბარბაროსობას—ორთქლმა ნაკუწ-ნაკუწად აქცია ბარბაროსობა და ამ გზით ნიადაგი გამოაცალა ჰამსბურგთა დინასტიას. „გრანიტის კედლები, რომელიც საშუალებას აძლევდა ყოველ პროვინციას განსაკუთრებული ნაციონალური შემადგენლობა შეენარჩუნებია და გაეწია კარჩაკეტილი ადგილობრივი ცხოვრება, უკვე აღარ წარმოადგენს ზღუდეს... პროვინციალური ბარბაროსობა ჰქრება. ერთ ადგილას წარმოებს ეროვნებათა გაყოფა, მეორე ადგილას მათ შორის შენდება ახალი კედლები; ერთი-მეორისადმი უცხო პროვინციების კონგლომერატიდან გამოიყოფიან ახალი მსხვილი ჯგუფები, რომელთაც საერთო ტენდენციები და ინტერესები აქვთ („ავსტრიის დასასრულის დასაწყისი თხზ. 5 ტ. გვ. 254-255).

მარქსი და ენგელსი ერების განვითარების, მათში ნაციონალური თვითშეგნების გაღვიძების, ეკონომიური და პოლიტიკური აღორძინების და გაერთიანების პროცესს უდგებოდენ პროლეტარული რევოლიუციის ინტერესების თვალსაზრისით, მისი მატერიალური წინამძღვრების მომზადების თვალსაზრისით, საზოგადოებრივი განვითარების ინტერესების თვალსაზრისით. მეტისმეტად დამახასიათებელია ამ მხრით მარქსის შეხედულებათა ევოლუცია სერბიელთა განვითარებაზე. ჩვენ ზემოთ მოგვყავს, რომ რევოლიუციური ცეცხლით აღგზნებული მებრძოლი „უსინდისოთ გაცემული რევოლიუციის" სახელით, შურისძიებით ემუქრებოდა სამხრეთ სლავებს, როგორც ცარიზმის დასაყრდენს. განვლო რამდენიმე ხანმა. სერბია, რომელმაც მიიღო დამოუკიდებლობა მეფის „წყალობით", დადგა სამეურნეო-პოლიტიკისა და კულტურული განვითარების გზაზე.

„იმისათვის, რათა დაეჭირა თვალსაჩინო მდგომარეობა, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს, მას უნდა გადმოეღო დას. ევროპიდან თავისი პოლიტიკური დაწესებულებანი, თავისი სკოლები, თავისი მეცნიერული ცოდნა, თავისი სამრეწველო-ორგანიზაცია (იხ. „რა მოელის ევროპულ ოსმალეთს", თხზ. ტ. 9, გვ. 396).

შემდეგ მარქსი აღნიშნავს, რომ სერბიისა და რუსეთის ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან (რუსეთი იცავს თავის მონოპოლიას, სამხრეთ სლავები—კი ევროპულ საქონელთა სატრანზიტო ვაჭრობას ცენტრალურ აზიაში), რომ ნათესაური და რელიგიური კავშირი კიდევ უფრო შე-

სუსტდება, რომ სერბიის სახელოვანმა ხალხმა ორხელ განდევნა თავისი ნაციონალური გმირებიც კი რუსული ფეოდალური სისტემის გადმონერგვის ცდისთვის, რომ სერბია უკვე გახდა კონსტიტუციური სახელმწიფო. და მარქსი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „რაც უფრო მტკიცდება სერბია და სერბიის ეროვნება, მით უფრო უკანა ადგილზე დგება რუსეთის უშუალო გავლენა ოსმალეთის სლავებზე“ (396) და რომ ოსმალეთის სლავები სერბიელებს უყურებენ, როგორც ცენტრს, რომლის ირგვლივ შემოიკრიბებიან ისინი მომავალ ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის და არა მეფის რუსეთის ირგვლივ.

აი ასეთია ნაციონალური საკითხის დაყენების დიალექტიკა მარქსის მიერ. რამდენათ სამხრეთ სლავები იარაღია მთავარი მტრის—ცარიზმის ხელში, ისინი იმდენად რევოლიუციის მტრები არიან, მათი ნაციონალური მოძრაობა ანტირევოლუციურია და ის უნდა ჩაეხშოთ; მაგრამ განთავისუფლდებიან ან თუ არა ისინი ცარიზმის ბრჭყალებისაგან, დაადგებიან თუ არა „დასავლეთის მსგავსად“ პროგრესის გზას და გახდებიან ცივილიზაციის კერად ფეოდალური ბარბაროსების გარემოცვაში—მარქსის მთელი სიმპატია ამ ერისკენაა, მისი ბრძოლის, ნაციონალური მოძრაობის მხარეზეა, რადგან ყველაფერი ეს რევოლიუციის კალაპოტით მიდის, აღრმავებს მას, იგი მიდის რევოლიუციის მთავარი მტრის, ცარიზმის დასუსტების ხაზით.

იმ ტენდენციის გარდა, რომელიც მიმართულია განცალკევებისაკენ, დამოუკიდებელი გაერთიანებული ნაციონალური სახელმწიფოს შექმნისაკენ ფეოდალური ნაგავისაგან გაწმენდილი გარკვეული ტერიტორიით—კაპიტალიზმს ახასიათებს მეორე ტენდენციაც, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული მასთან—ტენდენცია „წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლის ინტერნაციონალიზაციისაკენ, ნაციონალური კარჩაკეტილობის მოსპობისაკენ, ხალხთა სამეურნეო დაახლოვებისაკენ, უზარმაზარი ტერიტორიის ერთ შეკავშირებულ მთლიანობაში გაერთიანებისაკენ“ (12 ყრილობის რეზოლუცია). კაპიტალიზმის ამ ტენდენციას, ამ მხარეს მარქსი კვალდაკვალ იხილავენ, მაგალითად „კომუნისტურ მანიფესტში“, სადაც ისინი ლაპარაკობენ, რომ ყველა განათლებული ერისათვის სასიცოცხლო საკითხი ხდება მრეწველობის იმ დარგების შემოღება, „რომელიც ამუშავებს არა მარტო ადგილობრივ, არამედ უშორესი ქვეყნების ნედლ მასალას, რომლის ნაწარმოები იხმარება არა მარტო ადგილობრივად, არამედ ამავე დროს დედამიწის ყველა ნაწილში. ნაცვლად ძველი მოთხოვნილებისა, რომელსაც აკმაყოფილებდა ადგილობრივი ნაწარმოები, წინ წამოდგა ახალი მოთხოვნილება, რომელიც თავის დასაკმაყოფილებლად მოითხოვს უშორესი ქვეყნების და ჰავის ნაწარმოებს: ნაცვლად ძველი კუთხური და ნაციონალური თვითკმაყოფილებისა და კარჩაკეტილობისა წინ წარმოდგა მრავალმხრივი ურთიერთობა, მრავალმხრივი დაკმაყოფილება ნაციებისა ერთიმეორეზე, და ასეა, როგორც მატერიალური, აგრეთვე გონებრივი კულ-

ტურის წარმოებაში. ამა თუ იმ ნაციის გონებრივი ნაწარმოები საერთო კუთვნილება ხდება. ნაციონალური ცალმხრივობა და შეზღუდულობა სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება. მრავალი ნაციონალური და ადგილობრივი ლიტერატურიდან იქმნება ერთი მსოფლიო ლიტერატურა" (კ. მარქსი და ფრ. ენგელსი: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი, ქართ. თბრგ. 1931 წ. გვ. 23). ეს უეჭველად პროგრესიული პროცესია, რომელიც ამზადებს მატერიალურსა და სულიერ წანამძღვრებს მომავალი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობისათვის, ყველი ერის დაახლოვებისა და ერთმანეთთან შედუღებისათვის.

პროგრესულ ტენდენციას სამეურნეო გაერთიანებისაკენ, ხალხთა დაახლოვებისაკენ ბურჟუაზია ახხორციელებს ტლანქ იძულებითი ფორმაში, ფეხქვეშ სთელავს მცირე და სუსტი ერების თანასწორუფლებიანობას, ინტერესებს, სტოვებს მათ უფლებააყრილს, აყენებს შიმშილის, გადაგვარებისა და გაველურების გზაზე. იქიდან გამომდინარეობს მრავალნაციონალური ბურჟუაზიული სახელმწიფოს მერყევი მდგომარეობა, საბედისწერო უძლურება, ბურჟუაზიის უუნარობა გადასჭრას ნაციონალური საკითხი, გადასჭრას, „მოხსნას" წინააღმდეგობა გაერთიანების ტენდენციასა და გაერთიანების იმპერიალისტურ ფორმას შორის. რომ ბურჟუაზიას არ აძლევს საბოლოოდ გადასჭრას ნაციონალური საკითხი,—ეს ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი მარქსიზმის საფუძველმდებლებს.

„შლიახტამ" ვერ შესძლო პოლონეთის დამოუკიდებლობის ვერც შენარჩუნება, ვერც ბრძოლით მოპოება; ბურჟუაზიისათვის-კი იგი ამჟამად, უკიდურეს შემთხვევაში ჩირადაც არა ღირს. იგი შესაძლოა მოპოებული იქნეს მხოლოდ პოლონეთის ახალგაზრდა პროლეტარიატის მიერ, მის ხელში კი იგი საიმედოა. რადგან მთელი დანარჩენი ევროპის მუშებს სჭირდება პოლონეთის დამოუკიდებლობა არა ნაკლებ, ვიდრე თვით პოლონელ მუშებს" (ფ. ენგელსი—„კომუნისტური მანიფესტის"—წინასიტყვაობა, 1892 წ.).

მარქსი და ენგელსი აღნიშნავდენ ბურჟუაზიის არა მარტო უძლურებას,—გადაეწყვიტა ნაციონალური საკითხის შინაგანი წინააღმდეგობა კაპიტალიზმის ეპოქაში, არამედ ისინი არა ერთხელ აღნიშნავდენ აგრეთვე, რომ ბურჟუაზია ყოველდღიურად ღალატობს და ჰყიდის თავისი ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს, რომ მას თავისი სამშობლოსა და ხალხის ინტერესები მსხვერპლად მიაქვს თავისი ანგარებით აღსავსე კლასის ინტერესებისთვის, ამას ჩადის ცალკე ბურჟუა და მთელი კლასიც—თავისი „ძვირფასი" სამშობლოს მიმართ. ბურჟუაზიის ნაციონალიზმი ორგანიულადაა გადახლართული სისტემატიურ ღალატთან ნაციონალური საქმისადმი.

„კაპიტალში" (ტ.) მარქსს მოჰყავს ციტატა Qusrtery Beuviewer-დან, რომ 10%-ის დროს კაპიტალი ყოველნაირ გამოყენებაზე თანახმაა; 100%-ის დროს იგი სთელავს ფეხით ყველა ადამიანურ კანონებს, 300%-ის დროს

კი არ არის ისეთი დანაშაული, რომლის წინაშეც იგი უკან დაიხევდეს, თუნდაც საღრჩობელას შიშით". ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ასეთი მოგების მიღების სურვილი ხშირად შთააგონებს ბურჟუას ჩაიდინოს დანაშაული—სახელმწიფოებრივი ღალატი—ღალატი თავისი ხალხისადმი, თავისი ქვეყნისადმი. თანამედროვე ისტორია სავსეა ასეთი გამცემლობის მაგალითებით.

წიგნში: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში" მარქსი ამბობს: ნაციონალური თავდაცვის მთავრობა, რომელიც იძულებული იყო არჩევანი მოეხდინა ნაციონალურ მოვალეობასა და კლასობრივ ინტერესებს შორის, ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა—იგი გადაიქცა ნაციონალური ღალატის მთავრობად" (39). და შემდეგ—„უდიდესი გმირული საქმე, რომლის უნარიც ჯერ კიდევ შესწევდა ძველ ქვეყანას—ეს არის ნაციონალური ომი. თუმცა ისიც ეხლა მთავრობის მხოლოდ წმინდა თაღლითურ საქმეს წარმოადგენს და მიზნად ისახავს კლასობრივი ბრძოლის აცილებას... კლასობრივ სახელმწიფოს უკვე აღარ შეუძლია ამოეფაროს ნაციონალურ სამოსელს; პროლეტარიატის წინააღმდეგ ყველა ნაციონალური მთავრობანი ყოველთვის ერთად არიან" (87). გაზეთში: „ნიუ-ორკ ტრიბუნ"-ი მარქსი სწერდა: „კოალიციური სამინისტროს სახით წარმოდგენილი ბრიტანეთის არისტოკრატია მსხვერპლად გაიღებდა ინგლისის ნაციონალურ ინტერესებს თავისი სპეციალური კლასობრივი ინტერესების სასარგებლოდ. იმ იმედით, რომ ევროპა დასავლეთში დასაყრდენი თავისი უძლური ოლიგარხიისათვის, ხალისით შეურიგდებოდა ნორჩი დესპოტიზმის განმტკიცებას აღმოსავლეთში" (თხზ. ტ. 9, გვ. 360).

მხეცური შოვინიზმის, სხვა ხალხებზე „თავისი" ხალხის წასისინების (ბურჟუაზიის სისხლიანი საფრთხობელას—„ნაციონალური დიდების" „პატივისა და ღირსების", „დამოუკიდებლობის" სახელით) შეხამება „თავისი" სამშობლოს ინტერესებისადმი სისტემატიურ გამცემლობასთან" (ზედმეტი პროცენტების მიღებისა და უცხოელ „ნაციონალურ მტერთან ერთად" „თავისი" აჯანყებული მონების ჩახშობისათვის)—ასეთია ბურჟუაზიული პატრიოტიზმის თეორია და პრაქტიკა, რომელსაც დაუნდობლად ფარდას ხდიან მარქსი და ენგელსი და შემდეგ კი ახალ ვითარებაში—ლენინი და სტალინი, ნამდვილი ნაციონალური ინტერესები, სწორად გაგებული და არა დაპირდაპირებული სხვა ერების ინტერესებისადმი, მშრომელთა მასების ინტერესებისადმი—შესაძლო დაცულ იქნეს მხოლოდ პროლეტარიატის მიერ, იმ კლასის მიერ, რომელიც დგას მებრძოლი ინტერნაციონალიზმის პოზიციაზე, რომელიც გამოჭედილია, ნაანდერძევია მარქს-ენგელსის მიერ, გაგრძელებული და განვითარებულია ლენინ-სტალინის მიერ. ასეთია დიალექტიკა; ნაციონალიზმი ღალატია ნაციონალური ინტერესებისადმი, ინტერნაციონალიზმი კი ყველა რევოლუციური ერის ინტერესების შედუღებაა უმაღლეს სინ-

თეზში, ერის ინტერესების დაცვაა, რომელიც ემთხვევა მთელი კაცობრიობის ინტერესებს, თუმცა კი მოითხოვს მზადყოფნას მაქსიმალური ნაციონალური მსხვერპლის მისატანად კაცობრიობის ინტერესების სასარგებლოდ—ასეთია მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიცია.

„შეუძლებელია მარქსიზმის შერიგება ნაციონალიზმთან, თუნდაც ის იყოს რაც შეიძლება „სამართლიანი", „წმინდა", ფაქიზი და ცივილიზირებული. მარქსიზმი ყოველნაირი ნაციონალიზმის მაგიერ აყენებს ყველა ერის შეერთებას უმაღლეს მთლიანობაში",—ამბობდა ლენინი.

„სოციალიზმის პირდაპირი ღალატი და სულელური პოლიტიკა იქნებოდა, ბურჟუაზიული ნაციონალური ამოცანების თვალსაზრისითაც კი, შეგვესუსტებია ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ამჟამად არსებული უკრაინისა და ველიკორუსის პროლეტარიატის კავშირი"-ო ამბობდა იგი 1913 წელს.

პროლეტარიატს იმიტომ შეუძლია გადასჭრას ნაციონალური საკითხი, რომ მას, როგორც ღრმა პროგრესული ტენდენციების, ხალხთა სამეურნეო პირობების დაახლოვებისა და გაერთიანებისაკენ ტენდენციების წარმომადგენელს, რომელიც ჩამარხულია კაპიტალიზმში—გააჩნია მძლავრი იარაღი ხემოაღნიშნული წინააღმდეგობის გადასაჭრელად, რომლის დაძლევა და გადაჭრა კაპიტალისტებს არ ძალუძთ. ეს იარაღია—პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. „ყველა ქვეყნის პროლეტარები, ყოველი მყვირალა ფრაზების გარეშე, იწყებენ ნამდვილ ბრძოლას კომუნისტური დემოკრატიის დროშის ქვეშ. მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია ეს, რადგან ბურჟუაზიას ყოველ ცალკე ქვეყანაში თავისი განსაკუთრებული ინტერესები აქვს; და რადგან ისინი ამ ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ, ამიტომ ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ ეროვნების მაღლა დადგენ. ყველა ქვეყნის პროლეტარებს ერთი და იგივე ინტერესები აქვთ, ერთი და იგივე მტერი ჰყავთ; მათ წინ უდგას ერთი და იგივე ბრძოლა; პროლეტარები მასობრივად უკვე გარემოების გამო მოკლებულნი არიან ნაციონალურ ცრუმორწუნობას, და მთელი მათი განათლება და მოძრაობა არსებითად ჰუმანიტარული და ანტინაციონალურია. მხოლოდ პროლეტარებს შეუძლიათ მოსპონ ეროვნება, მხოლოდ გათვითცნობიერებულ პროლეტარიატს შეუძლია დაამყაროს ძმობა სხვადასხვა ერებს შორის" (ტ. 5, გვ. 30, წერილი: „ხალხთა ძმობის ღლეობა").

ფორმულა: „ეროვნების მოსპობა" აქ უნდა გავიგოთ, როგორც გამოთქმის ფორმა ბრძოლის მნიშვნელობით ისეთ „ბარბაროსულ საფრთხობელასთან და ცდუნებასთან, როგორიცაა „ბუნებრივი მტრები", „ნაციონალური დიდება" და ა. შ.

მარქსსა და ენგელსს არ ახასიათებდა ნაციონალური საკითხის შეუფასებლობა, ერის ეროვნული მოძრაობის ვერგაგება. პირიქით, მათ უხდებოდათ შეუდრეკელი ბრძოლა ნაციონალური საკითხის პრუდონისტულ უგულებელყოფასთან, ვერგაგებასთან, უარყოფასთან.

წერილში ენგელსისადმი 1866 წ. 20 ივნისის თარიღით მარქსი სწერს: „ახალგაზრდა საფრანგეთის (არა მუშათა) წარმომადგენლები იცავდენ იმას, რომ ეროვნებაც და თვით ნაციებიც დრომოჭმული ცრუმორწმინეობააო". ეს პრუდონიზირებული შტირნერიანელობაა. ყველასი დანაწილება მცირე ჯგუფებად ან კომუნად, რომელნიც კვლავ შეადგენენ კავშირს და არა სახელმწიფოს. ინგლისელები გულიანად იცინოდენ, როცა მე დავიწყე სიტყვა იმაზე მითითებით, რომ ჩვენი მეგობარი ლაფარგი, რომელმაც დიდი ხანია გააუქმა ეროვნებანი, მოგვმართავს ჩვენ ფრანგულ ენაზე, უ. ი. იმ ენაზე, რომელიც აუდიტორიის ცხრა მეათედს არ ესმოდა. შემდეგ მე აღვნიშნე, რომ მას სრულიად შეუგნებლად ეროვნებათა გაუქმების ქვეშ ესმოდა უთუოდ მათი გათქვეფა სანიმუშო ფრანგ ერში" (ტ. 23, გვ. 359).

როგორ სიცხოველით აღსავსეა ამჟამად მარქსის სიტყვები „ყველა ერის გათქვეფის შესახებ სანიმუშო ერში"—თითქოს ისინი დღესაა ნათქვამი. განა ასეთ „თეორიებზე" და „გმირ"—უარმყოფელებზე არ ლაპარაკობდა ამხ. სტალინი მე—XVI ყრილობაზე, როცა ისეთი განმანადგურებელი სისწორით ახასიათებდა საბრალო და ურა-ინტერნაციონალისტებს, რომელნიც შეუგნებლად გვირჩევდენ სსრკ-ის ყველა ერის და მათი კულტურის გათქვეფას „სანიმუშო ერის"—ველიკორუსიის—„სანიმუშო კულტურაში"?

როგორც ზემოთმოყვანილი დებულებებიდგან სჩანს, მარქსს სრულიადაცარ ახასიათებდა ნაციონალური საკითხის შეუფასებლობა. იგი დიდ ბრძოლას აწარმოებდა პრუდონისტების ნაციონალურ ნიჰილიზმთან, რაკი იცოდა, რომ ყოველი შეცდომა ამ საკითხში მეტისმეტად საზიანოა პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, მისი ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის, ხალხთა გაერთიანებისათვის საერთო რევოლუციური მოქმედებათა დროს, დიდმპყრობელურ ცრუმორწმუნეობასა და ნაციონალურ შეზღუდულობასთან საბრძოლველად. ვლ. ილიას-ძე სპეციალურად ხაზს უსვამდა მარქსის ამ ბრძოლას დიდმპყრობელური ხასიათის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლენასთან—მუშათა, სოციალისტურ მოძრაობაში. მარქსს ჩვეულებად ჰქონდა „კბილები გაესინჯა", როგორც იგი იტყოდა ხოლმე, თავის ნაცნობ სოციალისტებისათვის, ამოწმებდა მათ შეგნებას. გაეცნო რა ლოპატინს, მარქსი 1870 წ. ივლისს ენგელსისადმი მიწერილ წერილში მეტისმეტად აქებს ახალგაზრდა რუს სოციალისტს, მაგრამ თანავე უმატებს: „სუსტი პუნქტია—პოლონეთიო". ამ პუნქტის შესახებ ლოპატინი სავსებით ისე ლაპარაკობს, როგორც ინგლისელი—ვთქვათ—ძველი სკოლის ინგლისელი ჩარტისტი ირლანდიის შესახებ". შემდეგ ლენინი აკეთებს ასეთ დასკვნას: „სოციალისტს, რომელიც გაბატონებულ ერს ეკუთვნის, მარქსი ეკითხება მისი დამოკიდებულების შესახებ დაჩაგრული ერისადმი და მყისვე ააშკარავებს გაბატონებული (ინგლისელი და რუსი) ერების სოციალისტისათვის საერთო ნაკლს: მათ შიერ თავიანთი მოვალეობის ვერგაგებას დაჩაგრული ერე-

ბის მიმართ, „დიდმპყრობელური“ ბურჟუაზიისაგან გადმოღებულ ცრუმორწმუნეობათა განცდას“ (ლენინი: „ერთა თვითგამორკვევის უფლება“).

მარქსი და ენგელსი ებრძოდენ, სძლევდენ, დევნიდენ და ანადგურებდენ რევოლუციური მოძრაობიდან იმ დიდმპყრობელურ დანალეკს შეუგნებელ ნაშთებს, რომლითაც გაბატონებული ერის ბურჟუაზია რყვნიდა მოწინავე მუშებისა და მათ წარმომადგენელთა ცნობიერებასაც კი, ის ამაყად, ზიზღით აღსავსე დამოკიდებულებას დამორჩილებული, მონობის უღელქვეშ მგმინავი, სუსტი ნაციებისადმი, რომელიც თავს იჩენდა დიდი ერების მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანთა ცნობიერებაშიც კი.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი რევოლუციური აღშფოთებით, ებრძოდენ, ფარდას ხდიდენ ნაციონალური კარჩაკეტილობის, განცალკევების, უნდობლობის გრძნობას დაჩაგრული ერების მხრით დიდი ერებისადმი, მაგალითად, გერმანელებისადმი, უნგრელებისადმი,—იმ ნაციონალურ ანტაგონიზმს, რომელმაც ნაციონალისტურ ფანატიზმში გაიტაცა ეს პატარა ერები (მაგ. ჩეხები), გაიტაცა ბრძოლისაკენ რევოლუციურ ხალხებთან და მოაქცია აბსოლუტიზმის, და ფეოდალური ბარბაროსობის ბანაკში.

აქედან სჩანს, რომ მარქსი და ენგელსი თავიანთი სიცოცხლის მთელ მანძილზე აწარმოებდენ „თანამიმდევრობითი პროლეტარულ პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში, ატარებდენ დიად ინტერნაციონალისტურ პრინციპს, რომელიც ნამდვილად ზრდიდა მასებს დემოკრატიზმისა და სოციალიზმის საფუძველზე“ (ლენინი), რომ მათთვის, მეცნიერული სოციალიზმის საფუძველმდებლებისა და პროლეტარული რევოლუციონერებისათვის სავსებით ცხადი იყო კომუნიზმის ორმხრივი მუშაობა „გაბატონებული და დაჩაგრული ერების მშრომელთა მასების აღზრდისათვის რევოლუციური ინტერნაციონალიზმის საფუძველზე“ (სტალინი). ნათელი იყო შეუდრეკელი, განუწყვეტელი გადამჭრელი ბრძოლის აუცილებლობა დიდმყრობელურ შოვინიზმთან და დაჩაგრული ერების სოციალისტების ნაციონალური კარჩაკეტილობის, სივიწროვის, განკერძოების წინააღმდეგ, რომელთაც არ სურდათ აწეულიყვნენ თავიანთი ნაციონალური სამრეკლოს მაღლა და რომელთაც არ ესმოდათ თავისი ქვეყნის განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირი გაბატონებული ქვეყნის პროლეტარულ მოძრაობასთან“ (სტალინი).

ამგვიგად, დიადი ინტერნაციონალისტური პრინციპის გატარება—ორ ფრონტზე ბრძოლა, გაბატონებული ნაციების შოვინიზმისა და წვრილი დაჩაგრული ნაციების ნაციონალიზმის წინააღმდეგ—ასეთი იყო რევოლუციური ტრადიცია, რომელიც მარქსმა და ენგელსმა გამოიმუშავეს, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ სავსებით შეითვისა, რასაც უდიდესი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა ერის მშრომელთა შეკავშირების საქმეში. ასეთია ერთიანი, მაგრამ ორმხრივი თანამიმდევრობითი პროლეტარული ხაზი, რომელიც იძლევა საშუალებას

დავიპყროთ გაბატონებული ერის მასები და მოვიპოვოთ დაჩაგრული ერების ნდობა.

ოპორტუნისტებს, მექანისტურ მოაზროვნე ხალხს არ ესმოდათ ორ ფრონტზე ბრძოლის დიალექტიკა ნაციონალურ საკითხში. მაგალ. ბუხარინი და სხვ. მე-12 ყრილობაზე მოითხოვდენ თეზისებიდან სრულიად ამოშლილი ყოფილიყო პუნქტი ადგილობრივი გადახრისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის შესახებ და ამბობდენ, რომ არაა საჭირო თავი შევიწუხოთ ისეთი უმნიშვნელო მატლისათვის, როგორიცა ეს ნაციონალიზმი; როცა საქმე გვაქვს ისეთ „გოლიათთან“, როგორიც არის დიდმპყრობელური შოვინიზმი. ოპორტუნისტული გამოსვლების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა ამხ. სტალინმა. „ჩვენ არ შეგვიძლია არ ვაწარმოოთ ბრძოლა ორ ფრონტზე, რადგანაც მხოლოდ ორ ფრონტზე, ბრძოლის პირობებში... შესაძლოა მივაღწიოთ წარმატებას, რადგანაც ამ ორ მხრივი ბრძოლის გარეშე რუსი და სხვა ეროვნებათა მუშებისა და გლეხების არავითარ შეკავშირებას ვერ მივიღებთო. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ადგილობრივი შოვინიზმისათვის ხელის შეწყობას, პრემიების პოლიტიკას ადგილობრივი შოვინიზმისთვის, რასაც ჩვენ ვერ დავუშვებთ (სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 598). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში (და შემდეგშიაც) ამხ. სტალინი განაგრძობდა ნაციონალურ საკითხში ორ ფრონტზე ბრძოლის ხაზს, რომელსაც სისტემატიურად ატარებდენ მარქს-ენგელსი-ლენინი და რომელიც სრულიად ვერ გაიგო ბუხარინმა და სხვ.

კ. შარია

მარქსის ისტორიული ადგილი

„აღსრულდა! კაცობრიობა დადაბლდა მთელი თავით და ამასთანავე ყველაზე დიდი თავით, რომელიც მას გააჩნდა უკანასკნელ დროს.

პროლეტარიატის მოძრაობა მომავალშიაც იმავე გზით წავა, მაგრამ გაქრა ცენტრი, რომელსაც კრიტიკულ წუთებში ყოველთვის მიმართავდენ დასახმარებლად ფრანკები, რუსები, ამერიკელები, გერმანელები და ყოველთვის იღებდენ ნათელ საიმედო რჩევებს. იხეთ ნათელსა და საიმედოს, რომელთა მიცემა შეუძლია მხოლოდ საგნის სავსებით მცოდნე „ენიოსს“ (ფრიდრიხ ენგელსის წერილიდან ზორგესადმი კარლ მარქსის გარდაცვალების გამო).

„პროლეტარიატის მოძრაობა მომავალშიაც იმავე გზით წავა, მაგრამ გაქრა ცენტრი“... კარლ მარქსის უახლოესი მეგობრის, მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთ მამამთავრის — ენგელსის ეს სიტყვები ზუსტად განსაზღვრავენ მარქსის როლსა და ადგილს კაცობრიობის ისტორიაში. მარქსი იყო პროლეტარული მოძრაობის ცენტრი, პროლეტარული იდეოლოგიის დიადი შემომქმედი და მით ახალ, ერთად-ერთ სწორ მეცნიერების შემქმნელი. მარქსის როლს ანალოგიურად განმარტავს მარქსის უდიდესი მოწაფე — ლენინი: „მარქსის მოძღვრებაში მთავარია პროლეტარიატის, როგორც სოციალისტური საზოგადოების შემქმნელის, მსოფლიო ისტორიის როლის გამორკვევა“ („კ. მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი“).

მარქსიზმი წარმოიშვა პროლეტარული მოძრაობიდან. იგი განმტკიცდა და განვითარდა პროლეტარული მოძრაობის საფუძველზე და სწორედ ამაშია მარქსისა და მარქსიზმის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. თანამედროვე პროლეტირიატის გაჩენა მოასწავებდა გარდატეხის მომენტის დადგომას კაცობრიობის ისტორიაში, რადგანაც პროლეტარიატის ისტორიული მისია შეიცავს არა მარტო ექსპლოატაციის კაპიტალისტური მეთოდის დამხობას, არამედ კლასიური საზოგადოების მოსპობას საერთოდ, უკლასო საზოგადოების შექმნას, „კაცობრიობის წინაისტორიიდან“ ნამდვილ ისტორიაზე გადასვლას. სწორედ ამიტომ მხოლოდ პროლეტარიატი არის მეცნიერული იდეოლოგიისა და მეცნიერული პოლიტიკის მატარებელი. მარქსის უდიდეს დამსახურებას ის წარმოადგენს, რომ პროლეტარიატმა სწორედ მისი სახით ჩამოაყალიბა თავისი თვითშეგნება, იგი მივიდა თავისი ობიექტიურ-ისტორიული როლის — საზოგადოების რევოლიუციონურად გარდამქმნელის როლის შეგნებამდე. სხვა სიტყვებით: მარქსმა გამოიმუშავა პროლეტარიატის კლასიური ბრძოლის თეორია და ტაქტიკა, მეცნიერული კომუნიზმის თეორია.

სწორედ ამიტომ მარქსიზმის გამოჩენა ნიშნავდა კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიაში შემობრუნების, გარდატეხის პუნქტის დადგომას.

თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატის წარმოშობა მომზადებული იყო ისტორიული განვითარების მთელი მიმდინარეობით და ამიტომ პროლეტარიატი არის მისი წინადროის კაცობრიობის კულტურის, როგორც მატერიალურ, ისე სულიერი კულტურის კრიტიკული მემკვიდრე. მარქსიზმი, როგორც პროლეტარიატის იდეოლოგია, იყო კაცობრიობის აზრის წინანდელი განვითარების ჯამი — შედეგი, მისი შემდგომი კრიტიკული გაგრძელება.

„მისი (მარქსის — პ. შ.) მოძღვრება წარმოიშვა, როგორც ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთა მოძღვრების პირდაპირი და უშუალო გაგრძელება... იგი არის კანონიერი მემკვიდრე ყველა იმ უკეთესისა, რაც მე-19 საუკუნეში შექმნა კაცობრიობამ გერმანული ფილოსოფიის, ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის და ფრანგული სოციალიზმის სახით“ (ლენინი „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“). და, დაე, მარქსიზმის უბადრუკმა მტრებმა თავი ინუგეშონ იმით, თითქოს მარქსიზმი არის არა ობიექტიური მეცნიერება, არამედ ფანატიკოს რევოლიუციონერის სუბიექტიურ რევოლიუციონურ განზრახვათა და განწყობილებათა გაობიექტიურება. მარქსის მოძღვრება განაგრძობს ტრიუმფალურ წინსვლას, იგი იპყრობს უფრო და უფრო მეტ მასებს და მით ხდება დაუძლეველ ძალად, რომლის წინაშე ვერ დადგებიან და რომელსაც ვერ გაუძლებენ დაღუპვის გზაზე მდგომ საზოგადოების წარმომადგენელთა ვერავითარი კვაზი — მეცნიერული კონცეპციები. „მარქსის მოძღვრება ყოვლად ძლიერია, რადგანაც იგი სწორია. იგი სრული და მწყობრია, ადამიანებს აძლევს მთლიან მსოფლმხედველობას, რომელიც არ ურიგდება არავითარ ცრუმორწმუნეობას, არავითარ რეაქციას, ბურჟუაზიული ჩაგვრის არავითარ დაცვას“ (ლენინი — იქვე).

მარქსიზმი, რომელიც წარმოადგენს კაცობრიობის აზრის მთელი წინა-განვითარების შედეგს, სრულებით არ შეიცავს წინა იდეების უბრალო მიღებას და ათვისებას და მათ მექანიკურ გაგრძელებას. პირიქით, მარქსიზმი არის მთელი წინა მეცნიერების კრიტიკული გადამუშავება. ამიტომ ღრმად სცდებიან ისინი, ვინც მარქსამდე არსებულ შეხედულებებში ეძებენ მარქსიზმის უშუალო ელემენტებს და ამრიგად იგი დაჰყავთ სხვადასხვა იდეების მექანიკურ აგრეგატამდე. მარქსიზმში არაფერი ესმის მას, ვინც ვერ ხედავს მარქსიზმის ყველა მხარეთა უღრმეს მთლიანობას და კავშირს, რომელთაგან თვითეულის შეცვლა, ან ჩამოშორება ნიშნავს მთლიანად მთელი მარქსიზმის შეცვლას და უკუგდებას. მარქსიზმის ყველა მხარეები მონრლიტურად შეკავშირებულია ერთი მთლიანი ფილოსოფიური საფუძველით.

ფილოსოფიური საფუძველის გამომუშავება ქრონოლოგიურადაც და ლოგიკურადაც წინ უძღოდა მარქსთან მის გამოყენებას საზოგადოებრივ ისტორიულ და ბუნებრივ-ისტორიულ პროცესის სხვადასხვა სფეროებში.

რა არის ეს ფილოსოფიური საფუძველი? „მარქსიზმის ფილოსოფია არის მატერიალიზმი... მარქსი და ენგელსი საესებით გადაჭრით იცავდენ ფილოსოფიურ მატერიალიზმს და არაერთხელ განმარტავდენ ამ საფუძველიდან ყოველგვარ გადახვევის ღრმა შეცდომილებას“ (ლენინი). და მართლაც მარქსი არამარტო სპეციალურ ფილოსოფიურ ნაშრომებში („ჰეგელის უფლების ფილოსოფიის კრიტიკა“, „წმინდა ოჯახი“, „ფილოსოფიის სიღატაკე“ და სხვ.), არამედ ეკონომიურ ნაშრომებშიაც („კაპიტალი“-ს პირველი ტომის მეორე გამოცემის ცნობილი წინასიტყვაობა და სხვ.) და ტაქტიკურ საკითხებშიაც გადაჭრით იცავდა მატერიალიზმს. მაგალითად, 1850 წელს მარქსი, აკრიტიკებდა რა ვილლიხისა და შაპერის ფრაქციას, კომუნისტების კავშირის ცეკას სხდომაზე ამბობდა: „მატერიალისტური მსოფლმხედველობის ნაცვლად, უმცირესობა აყენებს იდეალისტურს, ნამდვილ დამოკიდებულებათა ნაცვლად რევოლუციის მამოძრავებელს მისთვის წარმოადგენს ნებისყოფა“. მარქსი მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლის მატერიალისტურ ხასიათს კიდევ უფრო გადაჭრით უსვამს ხაზს 1877 წ. ზორგესადმი მიმართულ წერილში გერმანიის სოციალისტური პარტიის მეთაურთა არათანამიმდევრობისა და კომპრომისების გამო. „ბერლინში დიურინგთან და მის „თაყვანისმცემლებთან“ კომპრომისზე მიდიან ნახევრად მომწიფებულ სტუდენტებისა და ბრძენ აკადემიკოსების მთელი ბანდით, რომლებიც ცდილობენ სოციალიზმს მისცენ „უფრო მაღალი იდეალური“ გასაქანი, ე. ი. მატერიალისტური საფუძველი შესცვალონ თანამედროვე მითოლოგიით მისი ღმერთებით“.

ამიტომაა, რომ მეორე ინტერნაციონალის გმირები ბ. ბ. ადლერები და კომპანია ცდილობენ „დაამტკიცონ“, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით „სამყარო არის ჩვენი საკუთარი აზროვნების მუდმივი შემოქმედება“ (ადლერი — „მარქსი, როგორც მოაზროვნე“). ამით ისინი ცდილობენ რევოლუციონური მარქსიზმის საფუძვლის შერყევას.

მარქსის მატერიალიზმი არ წარმოადგენს წინამატერიალიზმის უბრალო რესტავრაციას გერმანულ კლასიკურ იდეალიზმის გაჭაობებულ ბატონობის შემდეგ. „...მარქსი არ შეჩერებულა მე-18 საუკუნის მატერიალიზმზე; არამედ მან წინ წასწია ფილოსოფია, მან იგი გაამდიდრა გერმანულ კლასიკური ფილოსოფიის მონაპოვრებით. ამ მონაპოვრებში მთავარია დიალექტიკა, ე. ი. მოძღვრება მისი განვითარების შესახებ ყველაზე უფრო სრულ, ღრმა ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით“ (ლენინი). მხოლოდ დიალექტიური მატერიალიზმი შეიძლება ყოველთანამიმდევარი, დასრულებული და ყოველმხრივი, რომელიც ყველა პოზიციებიდან სდევნის იდეალიზმს. „მარქსის ფილოსოფია წარმოადგენს დასრულებულ მატერიალიზმს, რომელმაც კაცობრიობას, განსაკუთრებით კი მუშათა კლასს, მისცა შემეცნების დიადი იარაღები“ (ლენინი). მატერიალისტური დიალექტიკის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ჩვენ გვაქვს მარქსისა და ენგელსის არა მარტო ცალკეული საბუთები და მითითებები — მათზე ყველაზე არის ლაპარაკი — მარქს-ენგელსის ყველა ნაშრომებში. ჩვენ აქ მოვიყვანთ

ლენინის მოკლე, ყველაზე უფრო კონცენტრირებულ ფორმულას: „მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენება მთელი პოლიტიკური ეკონომიის გადამუშავებაში მისი საფუძვლებიდან,—ისტორიაში, ბუნების მცოდნეობაში, ფილოსოფიაში, მუშათა კლასის პოლიტიკაში და ტაქტიკაში, აი რა აინტერესებს ყველაზე უფრო მარქსსა და ენგელსს. აი რა შემოაქვთ მათ ყველაზე არსებითი და ყველაზე მთავარი. აი რაში მდგომარეობს მათი გენიალური ნაბიჯი წინ რევოლუციონური აზრის ისტორიაში“.

სწორედ ამ მატერიალისტურმა დიალექტიკამ შექმნა მატერიალიზმის ბოლომდე აშენების, მისი თანმიმდევრობის და ყოველმხრივობის შესაძლებლობა, მან იდეალიზმი განდევნა საზოგადოებრივი ისტორიის დარგიდან და ამ საფუძველზე პირველად ისტორიაში შექმნა ნამდვილი მეცნიერება საზოგადოების შესახებ, რომელიც უპირდაპირდება მარქსამდე არსებულ და გაბატონებულ ერთის მხრით მექანისტურ შეხედულებებს, რომლებსაც საზოგადოება დაჰყავთ ინდივიდუუმების მექანიკურ არეგატამდე, ხოლო საზოგადოების ისტორია ინდივიდუალურ ნებისყოფათა, სურვილებისა და მისწრაფებათა შეჯახების შემთხვევითი თამაშამდე, რაც არსებითად ნიშნავდა საზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესის ობიექტიური კანონზომიერების უარყოფას, მეორის მხრით ჰეგელის იდეალისტურ მეტაფიზიკას, რომელიც, თუმცა სცნობს საზოგად.-ისტორიულ პროცესის კანონზომიერებას, მაგრამ ამ პროცესს საფუძვლად უდებს რომელიღაც მისტიკურ მსოფლიო სულის განვითარებას. „გააღრმავა და განავითარა ფილოსოფიური მატერიალიზმი, მარქსმა ბოლომდე მიიყვანა იგი და გაავრცელა... ადამიანთა საზოგადოების შემეცნებაზე. მეცნიერული აზროვნების უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს მარქსის ისტორიული მატერიალიზმი. ქაოსი და თვითნებობა, რომელიც მანამდე იყო გამეფებული შეხედულებებში ისტორიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა განსაცვიფრებლად მთლიანი და მწყობრი მეცნიერული თეორიით“ (ლენინი — „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“).

ამით დამთავრებულიყო მარქსიზმის საერთო თეორიტიულ ფილოსოფიურ საფუძვლის აგება იგი იყო 1841 წლიდან 1845—46 წლებამდე მარქსის გიგანტური გონებრივ მუშაობის შედეგი. ეს პერიოდი იყო არა მარტო უცხო თეორეტიულ განწყობილებებთან ბრძოლის, არამედ საკუთარ შეხედულებებთან და ილიუზიებთან, განსაკუთრებით ჰეგელიანობასთან და ფეირბახიანობასთან ბრძოლის პერიოდი. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“ შესანიშნავ ავტობიოგრაფიული ხასიათის წინასიტყვაობაში, მარქსი იძლევა თავისი თეორიის კლასიკურ ფორმულირებას და სხვათაშორის ლაპარაკობს იმის შესახებაც, თუ როგორ გაუსწორდენ მარქსი და ენგელსი ხსენებული პერიოდის ნაშრომებში, უმთავრესად „წმინდა ოჯახში და სხვებში თავიანთ წინანდელ ფილოსოფიურ სინდისს“. ამიტომ სასაცილომდე გულუბრყვილოა ის ხალხი, რომელიც ფიქრობს, თითქოს მარქსმა საღმოს დაიძინა ძველ შეხედულებათა გაელენით, ხოლო მეორე დილით ადგა მეცნიერული კომუნიზმის მზა თეორიით.

ამ პატარა სტატიაში არ არის საშუალება ითქვას დაწვრილებით მარქსის ფილოსოფიური ევოლიუციის საინტერესო და სერიოზულ პრობლემაზე. ამიტომ იძულებული ვართ აქ აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ მარქსის მსოფლმხედველობის რადიკალური შემობრუნება ხდება მის ნიერ პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული როლის აღმოჩენასა და შეგნებას. აქედან სრულებით არ არის საკვირველი, რომ მარქსის პირველი სერიოზული მატერიალისტური კრიტიკა ჰეგელისა („ჰეგელის ფილოსოფიის უფლების კრიტიკა" 1848 წ.), რომელსაც თავის „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკა"-ს წინასიტყვაობაში მარქსი უწოდებს შემობრუნების პუნქტს, — აყენებს სწორედ პროლეტარიატს, როგორც კლასს, რომელიც მოწოდებულია რევოლიუციონური გზით გარდაქმნას ძველი საზოგადოება. სწორედ აქ ხდება გათიშვა ბურჟუაზიულ დემოკრატიზმთან და ფეირბახის ფილოსოფიასთან. მაშასადამე, ისტორიული (საზოგადოებრივი ისტორიის თვალსაზრისით) მატერიალიზმი იყო არა ძველი მატერიალიზმის უბრალო გამოყენება საზოგადოებრივ მოვლენების შემეცნებაში, არამედ, პირიქით, ძველმა მატერიალიზმმა თავისი ახალი დასაბუთება მიიღო სოციალურ-ისტორიულ, რევოლუციურ პრაქტიკის საფუძველზე. აქ არის ფეირბახისა და მარქსის თვალსაზრისების დაშორების სიძძიმის ცენტრი, რაც კატეგორიულად აღნიშნა მარქსმა თავის შესანიშნავ თეზისებში ფეირბახზე (1845 წლის დასაწყისი). მაგრამ ერთ-ერთ შეხების წერტილი მარქსისა და ფეირბახის შორის შემდგომშიაც დარჩა არა მარტო საერთოდ მატერიალიზმის, არამედ მატერიალიზმის ჰუმანისტური დასაბუთების ხაზითაც. მაგრამ იმ პრინციპიალური განსხვავებით, რომ ფეირბახის ჰუმანიზმში გამოდიოდა აბსტრაქტული ადამიანი ისტორიის გარეშე, კლასობრივ ურთიერთობათა გარეშე, რის გამო ამ აბსტრაქტული ადამიანის პრაქტიკული საქმიანობა მიდიოდა მხოლოდ თეორიულ აზროვნების და ჰვრეტის ხაზით, ხოლო მარქსის ჰუმანიზმში გვევლინება კონკრეტული ადამიანი არა მარტო ისტორიის განსაზღვრული საფეხურის წარმომადგენელი, არამედ განსაზღვრული კლასის წარმომადგენელი, რის გამო ამ კონკრეტული ადამიანის პრაქტიკა წარმოადგენს არა მარტო სოციალურ-ისტორიულ პრაქტიკას, არამედ კლასიურ პრაქტიკასაც, კლასობრივ ბრძოლის პრაქტიკასაც. მაშასადამე, რევოლიუციურ კლასის პრაქტიკასაც. სწორედ აქ არის დებორინელთა ილუზიის დასაყრდენი ენგელსის საყვედურისგან ფეიერბახის რეაბილიტაციის ცდაში. ფეიერბახი მართლა ბევრჯერ უსვამს ხაზს პრაქტიკას, მაგრამ ლაპარაკია პრაქტიკის ხასიათზე. სწორედ ამ გზით მიდის მეცნიერული სოციალიზმის დასაბუთება უტოპიურის წინააღმდეგ. სწორედ ამან მისცა მარქსს შესაძლებლობა ახლებურად გადაეწყვიტა ფილოსოფიის ძირითადი საკითხი, სუბიექტ-ობიექტის (აზროვნებისა და ყოფის) ურთიერთობის შესახებ და ამ საფუძველზე მოეცა ყველაზე დაბნეული საკითხის გენიალური გადაწყვეტა თვით ადამიანთა საქმიანობის ობიექტიური კანონ-

ზომიერებისა და მიზანშეწონილების შესახებ. (საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის ობიექტიურ და სუბიექტიურ მხარეების დამოკიდებულების საკითხი).

აქედან გამომდინარეობს მარქსიზმის გენიალური დებულება, რომელსაც მარქსი და ენგელსი მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნავდენ „ადამიანები ქმნიან თავიანთ საკუთარ ისტორიას, მაგრამ ქმნიან არა თვითნებურად — მათ უხდებათ მოქმედება არა მათ მიერ არჩეულ გარემოებებში, არამედ ისეთ გარემოებებში, რომელიც არ არის მათ არჩევისაგან დამოკიდებული, რომლებიც არის ნამემკვიდრევი და გარს ახვევიათ მათ". (მარქსი „ლუი ბონაპარტის მე-18 ბრიუმერი"). ეს დებულება ძირფესვიანად ანგრევს, როგორც ისტორიულ იდეალიზმს, ისე ვულგარულ ეკონომურ მატერიალიზმს, რომელსაც მარქსიზმის მტრები, ხოლო ზოგჯერ მისი ვაი-მეგობრებიც ხშირად აწერდენ მარქსს. ამ დებულებაში კონცენტრირებულ ფორმით არის მოცემული ისტორიის მატერიალისტური გაგება, რომელიც საბოლოოდ დადგინებულ იქნა ჯერ კიდევ „ფილოსოფიის სიღატაკეში" (1846—47 წ.). „იძენენ რა ახალ საწარმოო ძალებს ადამიანები სცვლიან თავიანთ წარმოების წესებს, ხოლო სცვლიან რა თავიანთი წარმოების წესებს, ისინი სცვლიან ყველა თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ხელის წისქვილი იძლევა საზოგადოებას სიუზერენით სათავეში; ორთქლის წისქვილი — სამრეწველო კაპიტალისტურ საზოგადოებას: იგივე ადამიანები, რომლებიც თავიანთ სოციალურ ურთიერთობებს აგებენ მატერიალურ წარმოების წესის მიხედვით, ქმნიან აგრეთვე პრინციპებს, იდეებსა და კატეგორიებს თავიანთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიხედვით".

სწორედ ისტორიის დიალექტიურ-მატერიალისტურ გაგების გამოყენებამ საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრების მოვლენათა დარგში მისცა მარქსს შესაძლებლობა გამოეაშკარავებინა სასაქონლო კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფეტიშიზმის ღრმა საიდუმლოება. „იქ, სადაც ბურჟუაზიული ეკონომისტები ხედავდენ ნივთების ურთიერთობას, იქ მარქსმა აღმოაჩინა ურთიერთობა ადამიანთა შორის" (ლენინი). სახელგანთქმული „კაპიტალი", რომელსაც მარქსმა არაშემთხვევით უწოდა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა", წარმოადგენს არა მარტო გაგრძელებას იმ კოლოსალური მუშაობისა, რომელიც ჩაატარეს პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებმა, უმთავრესად ა. სმიტმა და დ. რიკარდომ, არამედ ამ ეკონომისტების შეცდომებისა და ილიუზიების გამოაშკარავებასა და მოსპობას, რომლებიც მათ არ აძლევდენ საშუალებას გაეგოთ ზედმეტი ღირებულების შექმნის მთელი მექანიკა და საერთოდ ეკონომიურ კატეგორიების ისტორიულობა, რაც ეკონომიურ მეცნიერებას აძლევდა ბურჟუაზიულ-აპოლოგეტურ ხასიათს. შრომისა და სამუშაო ძალის განსხვავებით, რომელსაც აიგივებდენ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები, მარქსმა დაამტკიცა, რომ ზედმეტი ღირებულება იქმნება მუშათა ექსპლოატაციით ამ უკანასკნელთა აუნაზღაურებელი შრომის პროდუქტის მითვისებით. ამით

მარქსის „კაპიტალმა“ ეკონომიური საფუძველი შეუქმნა პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლას სოციალიზმისათვის. მან გამოაშკარავა წარმოების კაპიტალისტური წესის ღრმა შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელთა კონცენტრიულ გამოხატულებას წარმოადგენს წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის და მითვისების კერძო ფორმის შორის. მან დაგვანახვა კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობა, მისი რევოლიუციონური გზით დამხობის საშუალებით. ცნობილი თავი კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენციის შესახებ გენიალურად ააშკარავებს კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის, კონკურენციისა და მონოპოლიის წინააღმდეგობრივ პროცესებს და მთავრდება გენიალურ და ნამდვილად წინასწარმეტყველურ სიტყვებით: „კაპიტალის მონოპოლია ხდება ბორკილებათ წარმოების იმ წესისათვის, რომელიც გაიზარდა მის დროს და მისგან. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ პუნქტს, როდესაც ისინი შეუთავსებელი ხდებიან მათ კაპიტალისტურ გარსთან. ისინი ფეთქდებიან. დგება კაპიტალისტურ კერძო საკუთრების საათი. ხდება ექსპროპრიატორტა ექსპროპრიაცია“.

თვით მარქსს დიდებულად ესმოდა „კაპიტალი“-ს მთელი მნიშვნელობა პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლისათვის. ინტერნაციონალის ჟენევის კონგრესის წინ 1866 წელს კუგელმანისადმი გაგზავნილ წერილში მარქსი ამბობდა ...„თუმცა მე ბევრ დროს ვანდომებ ჟენევის კონგრესის მოსამზადებელ სამუშაოებს, მაგრამ მე არ შემიძლია და არ მსურს იქ გამგზავრება, რადგანაც ჩემს მუშაობაში („კაპიტალზე“ ბ. შ.) არავითარი ხანგრძლივი შეწყვეტა არ არის შესაძლებელი. მე ვფიქრობ, რომ ის, რასაც ვაკეთებ ამ მუშაობით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მუშათა კლასისათვის, ვიდრე ყველაფერი ის, რის გაკეთებაც შემეძლო მე რომელიც არ იყოს კონგრესზე მონაწილეობით“.

მხოლოდ ასეთი გენიალურ ეკონომიურ გამოკვლევასთან დაკავშირებულ ისტორიის დიალექტიურ-მატერიალისტურ გაგებას შეეძლო მოეცა სოციალიზმის მეცნიერული დასაბუთება, რადგან პროლეტარიატის, როგორც კლასობრივი საზოგადოების ძესაფლავის — მსოფლიო ისტორიული როლი იყო არა ძარტო დეკლარირებულ, არამედ იგი დასაბუთებული იყო ეკონომიურად. იგი გამომდინარეობდა პროლეტარიატის ეკონომიურ მდგომარეობიდან. უტოპიურ სოციალიზმის ბუნდოვან იდეებს — თავისუფლებისა, ძმობისა და თანასწორობის შესახებ, უპირისპირდება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ნათელი და ჩამოყალიბებული თეორია, რომელიც დამყარებულია მის კლასობრივ ინტერესებზე. აქედან პლოლეტარიატის ჰეგემონიის იდეა, პროლეტარიატის დიქტატურის, როგორც გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივი ფორმის აუცილებლობის იდეა, რომელიც კლასიკურად არის გამოხატული 1852 წელში ვეიდემეიერისადმი მიმართულ წერილში.

გამომდინარე ამ პრინციპებიდან, მარქსი გადაჭრით ხაზს უსვამს ბურჟუაზიულ და პროლეტარულ რევოლიუციებს შორის არსებულ განსხვავე-

ბას და ხსნის, რომ ბურჟუაზიული რევოლიუცია წარმოადგენს ექსპლოატაციისა და კლასობრივი ბატონობის ერთი ფორმის შეცვლას — ექსპლოატაციისა და კლასობრივი ბატონობის მეორე ფორმით, ხოლო პროლეტარული რევოლიუცია კი მიზნად ისახავს კლასობრივი ბატონობისა და ექსპლოატაციის მოსპობას,საერთოდ. მაგრამ, რა თქმა უნდა, მარქსს აქედან ისეთი დასკვნა არ გამოჰყვანდა, თითქოს პროლეტარიატმა არავითარ პირობებში არ უნდა დაუჭიროს მხარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციას; პირიქით, მონარქიული-ფეოდალური წყობილების პირობებში, მარქსი ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლიუციას აუცილებელ საფეხურად სთვლიდა პროლეტარული რევოლიუციისათვის გზის გასაკაფავად, მაგრამ ამასთანავე მიუთითებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პროლეტარულ რევოლიუციებს შორის არსებულ იხტერესთა წინააღმდეგობის მთელ უფსკრულზე და პროლეტარიატის დამოუკიდებელი როლისა და პოზიციის, მისი ჰეგემონიის აუცილებლობაზე. ამ იდეამ აშკარა გამოხატულება ჰპოვა, როგორც კომუნისტურ მანიფესტში, ისე მარქსის გამოსვლებში — ბურჟუაზიულ რადიკალების წინააღმდეგ — ჯერ კიდევ წარსული საუკუნის ორმოციან წლებში: „მუშებმა იციან, რომ არ შეიძლება მიღწეულ იქნეს ბურჟუაზიული წყობილების დამხობა — ფეოდალური წყობილების შენარჩუნებით, მათ იციან, რომ ბურჟუაზიის რევოლიუციონური ბრძოლა ფეოდალურ წოდებათა და აბსოლუტურ მონარქიის წინააღმდეგ, მხოლოდ ხელს შეუწყობს თვით მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობას... ამასთანავე, მუშები არ იზიარებენ ბატონ გეიტცენის ბურჟუაზიულ ილიუზიებს. ისინი ბურჟუაზიულ რევოლიუციას უყურებენ და სწორედ ასეც უნდა უყურებდენ მას, როგორც მუშური რევოლუციის პირობას". მხოლოდ ლენინიზმმა შეისისხლხორცა და განავითარა შემდეგში ეს რევოლიუციონური ჰეშმარიტება, მაშინ, როცა საერთაშორისო მენშევიზმმა პროლეტარიატი გადააქცია ლიბერალური ბურჟუაზიის ოპოზიციონურ დანამატად.

მარქსი რევოლიუციონურ ტაქტიკას აშენებდა შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის პრინციპებზე. კუგელმანისადმი გაგზავნილ წერილში, ინტერნაციონალის I-ლ კონგრესზე თავისი მოხსენებიის ბარათის შესახებ, მარქსი ლაპარაკობს: „ისინი (პრუდონისტები პ. შ.) უარყოფენ ყოველგვარ რევოლიუციონურ — ე. ი. თვით კლასობრივ ბრძოლიდან გამომდინარე ტაქტიკას, ყოველგვარ კონცენტრირებულ საზოგადოებრივ და, მაშასადამე, თვით პოლიტიკური საშუალებებით განსახორციელებელ მოძრაობას". ამ სიტყვებში, როგორც წინად, „კომუნისტურ მანიფესტში" („ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლა არის — პოლიტიკური ბძოლა") ხაზგასმულია, რომ პოლიტიკა წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა კონცენტრირებულ ფორმას, მაშასადამე, პოლიტიკური ბრძოლა წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის კონცენტრირებულ ფორმას. მარქსიზმის ეს ჰეშმარიტებაც შესისხლხორცებული და განვითარებული იქნა შემდეგში მხოლოდ ლენინიზმით მაშინ, როდესაც საერთაშორისო ოპორტუნიზმმა მარქსიზმი გადააქცია რეფორმიზმად, გადამწყვეტ

მნიშვნელობა მიანიჭა ეკონომიურ ბრძოლას და უმსგავსოდ დაამახინჯა თვით რევოლიუციონური პოლიტიკური ბრძოლის პრინციპი — მისი საპარლამენტო კომბინაციებამდე დაყვანის გზით.

მარქსიზმი ჩამოყალიბდა, გაიზარდა და განმტკიცდა ორ ფრონტზე ბრძოლაში — მექანიზმისა და იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჰვრეტითი ობიექტივიზმისა და „კრიტიკული სუბიექტივიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, ბურჟუაზიული რადიკალიზმისა და ანარქო-სინდიკალიზმთან ბრძოლაში.

ყოველგვარ კომპრომისებთან და მერყეობასთან შეურიგებელი ბრძოლით (რისთვისაც ის არაერთხელ იქნა მონათლული ხელისუფლების მოყვარულისა და დიქტატორის სახელწოდებით, როგორც შემდეგში ლენინი), ყოველგვარი ეფემერული წარმატებისა და იმ აღტაცებულ მიმდევარისათვის გვერდის ახვევით, რომელთაც ნამდვილად არ ესმოდათ იგი — მარქსი მტკიცედ და გაბედულად სჭედდა პროლეტარიატის უძლიერეს იარაღს კაპიტალისტების ექსპლოატაციისაგან გასანთავისუფლებლად. ამავე დროს იგი არა თუ არ ჩამოსცილებია რევოლიუციონურ მოძრაობის პრაქტიკას, არამედ რაზმავდა და უცვლელად ხელმძღვანელობდა მას საერთაშორისო მაშტაბით. მარქსის სიკვდილთან დაკავშირებით, მისმა უახლოესმა მეგობარმა და თანამებრძოლმა — ენგელსმა ტყუილად კი არ გამოსთქვა შიში იმის შესახებ, რომ თუმცა პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა წინანდებურად წავა წინ, მაგრამ „არ იქნება ის საიმედო ხელმძღვანელობა“, რომელიც მუდამ უცვლელად გამომდინარეობდა მარქსისაგან.

მარქსის მთელი ცხოვრება წარმოადგენს დაჩაგრულთა ინტერესების უგულწრფელესი და უღრმესი ერთგულების მაგალითს, რასაც მან შესწირა პირადი ცხოვრების ყოველგვარი ბედნიერება და მთელი თავისი რკინისებური ენერგია. მარქსმა, რომელიც სძულდათ და რომელსაც სდევნიდენ ყველა ქვეყნის ექსპლოატატორები, რომელიც ძუძმივ გაჭირვებაში სცხოვრობდა (მისი საქმის ერთგული მეგობრების და პირველ რიგში ენგელსის დახმარების გარეშე მას არ შეეძლო მოეცა ჩვენთვის თავისი გენიალური ნაწარმოებნი) მოიხვეჭა ყველა ქვეყნის დაჩაგრულთა გულწრფელი და მხურვალე სიყვარული. და ის ტყუილად როდი სძულდათ ექსპლოატატორებს. მარქსმა გამოსჭედა მათი სასიკვდილო იარაღი, მან მისცა დროშა საერთაშორისო პროლეტარულ მოძრაობას.

და როდესაც მარქს-ენგელსის სიკვდილის შემდეგ, ამ დიად დროშას მისი ხელში ტარების ნიღაბით დაუწყეს ფეხქვეშ თელვა და ტალახში ამოსვრა ყველა ქვეყნის ოპორტუნისტებმა, გამოჩნდა ისეთივე დიდი, ისეთივე შეურიგებელი, ჩაგრულთა ინტერესების ისეთივე ერთგული მისი მემკვიდრე — ეს იყო ლენინი, რომელმაც ბრწყინვალედ დაიცვა რევოლიუციონური მარქსიზმის დიადი დროშა.

გამომდინარე მარქსიზმის დიადი პრინციპებიდან, ლენინმა განავითარა ისინი შემდეგში, იმპერიალისტურ კაპიტალიზმის ახალი საფეხურთან დაკავშირებით, რითაც გაამდიდრა მარქსიზმის საერთო საუნჯე. მეორე

ინტერნაციონალის გმირების ბუზღუნის მიუხედავად, კაპიტალიზმის განვითარების ვითომდა ახალი ხანის დადგომის შესახებ (იმპერიალიზმი), რომელმაც თითქოს ამ უკანასკნელს შეუქმნა ახალი ჰორიზონტები და ამ საფუძველზე გამოიწვია მარქსიზმის პრინციპების გადასინჯვის აუცილებლობა — ლენინმა სისხლ-ხორცი შეასხა „კაპიტალი“-ს დიად სიტყვებს: რომ „დაჭკრავს ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის საათი“, ლენინმა გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმი ნიშნავს ომებისა და პროლეტარული რევოლიუციების ეპოქას, რომ ის წარმოადგენს კაპიტალიზმის უკანასკნელ, ლპობის სტადიას, სოციალისტური რევოლუციის წინა დღეს. ლენინმა დამთავრებულ და მწყობრ სისტემად გაშალა მარქს-ენგელსის იდეა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

მარქს-ლენინის თეორიამ ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა ისტორიული განვითარების მიმდინარეობაში. პროლეტარულმა რევოლიუციამ უკვე გაიმარჯვა მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე და ჩვენ ვიმყოფებით მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის წინ. პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა მარქსისა და ლენინის საქმის გამგრძელებლების, პარტიისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, მტკიცე ნაბიჯით შევიდა კაპიტალიზმის წინა-ისტორიიდან — მის ნამდვილ ისტორიაში და ასეთივე რწმენით აღსავსე, მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისაკენ, რომლის ურყევ და მტკიცე მაზას წარმოადგენს იგი.

ისტორია, რომელსაც პირველად რეაბილიტაცია უყო მარქსმა მასზე მეცნიერული შეხედულების აღმოჩენით, უდიდეს ძეგლს უშენებს მარქსს. ამ ძეგლის შენება დაიწყო 15 წლის წინად, დიდი ოქტომბრის გამარჯვება. კომუნისტურმა მანიფესტმა მარქსის პირით გადაისროლა დიადი ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. ყველა ქვეყნის პროლეტარების გამარჯვება — მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება — რომელიც აუცილებელია — იქნება ამ დიადი ძეგლის აშენების დამთავრება.

ი. ვაშაყმაძე

კ. მარქსის ფილოსოფიური მოძღვრება

მხოლოდ მარქსის ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა უჩვენა პროლეტარიატს ხსნილი მონობისაგან გამოსავლელი გზა. რომელზედაც აქამდე იყინებოდენ ყველა დაბეჩავებული კლასები. მხოლოდ მარქსის ეკონომიურმა თეორიამ საბოლოოდ გაარკვია პროლეტარიატის ნამდვილი დგომარეობა კაპიტალიზმის საერთო სისტემაში".

(ლ ე ნ ი ნ ი)

I.

50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ დაჰკარგა მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე უფრო გენიალური ადამიანი—კარლ მარსქსი; მისი სიკვდილით კაცობრიობამ „მთელი თავით დაბლა დაიწია". ის იყო პროლეტარიატის გენიოსი; მარქსი იყო უდიდესი რევოლუციონერი თეორიაში და პრაქტიკაში. მისთვის თეორია ქვეყნის გარდაქმნის საშუალებაა. ,,თეორია არ არის დოგმა, არამედ მოქმედების სახელმძღვანელო"... „პრაქტიკულ მატერიალისტისათვის, ე. ი. კომუნისტისათვის—საქმე ეხება იმას, რომ მოვახდინოთ არსებული ქვეყნის გარევოლიუციონერება; რომ პრაქტიკულად წარვმართოთ საგნების წინააღმდეგ, რომელშიაც მას ჩვენ ვპოულობთ, და შევცვალოთ ის"-ო.*), სწერდა მარქსი ჯერ კიდევ 1845 წ.

მისი ბუნება მხოლოდ თანამიმდევნო რევოლიუციონურ კლასს შეიძლება შეგუებოდა—ასეთი კლასი იყო და არის მხოლოდ პროლეტარიატი. მარქსმა გაარკვია პროლეტარიატის მდგომარეობა კაპიტალისტურ საზოგადოების სტრუქტურაში და აღმოაჩინა პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავის და კაცობრიობის განმათავისუფლებელი კლასის, რომელიც მოწოდებულია მოსპოს სამუდამოდ ადამიანის მიერ ადამიანის ყველფა, ჩაგვრა და მონობა, მოსპოს საბოლოოდ კლასები და დაამყაროს უკლასო სოციალისტური საზოგადოება. მხოლოდ მარქსის მოძღვრებით იცნო პროლეტარიატმა თავისი თავი და მისი ისტორიული მოწოდება. მთავარი მარქსიზმში არის მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი ს შესახებ; თავისი მოძღვრებით პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მარქსმა უჩვენა პროლეტარიატს ერთად—ერთი გზა კაპიტალიზმის დამხობისა და კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნისა სოციალისტურად.

მარქსის გარდაცვალების შემდეგ ყველაზე მეტი იერიში ყველა ჯურის რევიზიონისტების მხრივ მიტანილი იქნა მარქსის მოძღვრების წი-

*) Архив Маркса и Энгельса том. 1, стр. 217.

ნააღმდეგ პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ და ეს არც გასაკვირია. გაძლიერდა რა მარქსიზმი, დაეუფლა რა ის პროლეტარიატის ფართე ძალებს, გაბატონებული კლასის წარმომადგენლები და მათი აგენტები მუშათა კლასში შეეცადენ მარქსიზმის რევოლუციური შინაარსის გამოფიტვას, რომ შემდეგში მარქსიზმის პოპულარული სახელით ესარგებლათ მუშათა მასების მოსატყუებლად და თვალის ასახვევად. კ. კაუცკი აცხადებს, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა"—ეს მარქსის მიერ შემთხვევით წამოცდენილი სიტყვააო. მაგრამ იერიში მიტანილ იქნა არა მარტო მარქსიზმის მოძღვრების ამ ნაწილზე; პროლეტარიატის დიქტატურასთან ერთად უარყოფილი იქნა მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლებიც მისი რევოლიუციონური დიალექტიკა. უპირველესად სამი გადამწყვეტი მომენტი განდევნეს მათ მარქსიზმიდან: მატერიალისტური დიალექტიკა, მოძღვრება რევოლიუციაზე და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ; ამით მარქსიზმი გამოფიტული იქნა მისი რევოლუციონურ შინაარსისაგან და ის გადაქცეულ იქნა რეფორმისტულ—ბურჟუაზიისათვის უვნებელ მოძღვრებად; მაგრამ ამით უარყოფილ იქნა მარქსიზმი მთლიანად, რადგან არ არსებობს მარქსიზმი ამ სამი ძირითადი მომენტის გარეშე.

მარქსიზმის რევიზიის პირველი იერიში დაიწყო მატერიალისტური დიალექტიკის უარყოფით (ბერნშტეინი და სხვ.) და ეს გასაგებიცაა, რადგან მარქსის მოძღვრება რევოლიუციაზე და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მთლიანად ემყარება მატერიალისტურ დიალექტიკას, როგორც მის საფუძველს. ლენინი ეხება რა რუსეთის მენშევიკებს, სწერს: „ისინი ყველა თავის თავს ეძახიან მარქსისტებს, მაგრამ მარქსიზმი მათ ესმით წარმოუდგენელ ხარისხამდე პედანტურად. გადამწყვეტი მარქსიზმში მათ სრულიად ვერ გაიგეს: სახელდობრ მისი რევოლუციური დიალექტიკა.*) მარქსიზმის საფუძველთა საფუძველი დიალექტიური მატერიალიზმია. მატერიალისტური დიალექტიკა სული და გულია მარქსიზმის და ვინც მას მარქსიზმიდან განდევნის, ის მარქსიზმს აცლის მის ჩონჩხს, ურომლისოდაც მარქსიზმი, როგორც რევოლიუციონური მოძღვრება არ არსებობს.

ვინც მატერიალისტურ დიალექტიკას არ დაუფლებია, ის ვერ გაიგებს მარქსიზმის მოძღვრებას. არ შეიძლება მთლიანად „კაპიტალის" გაგება—სწერს ლენინი—განსაკუთრებით მისი პირველი თავი, თუ კარგად არ შეისწავლე და არ გაიგე ჰეგელის მთელი ლოლიკა. მაშასადამე, არავის მარქსისტებისაგან 1/2 საუკუნის განმავლობაში არ გაუგია მარქსი".**)

თუ ამას სწერდა ლენინი ჰეგელის ლოლიკაზე ეს მით უმეტეს ითქმის მატერიალისტურ დიალექტიკის შესახებ, ურომლისოდაც არ არსე-

*) Ленин. т. XXVII изд. III, стр. 398.
**) XII Ленинский сб. стр. 181.

ბობს მარქსიზმი. მარქსიზმი „არის კანონიერი მემკვიდრე ყველაზე უკეთესის, რაც შექმნა კაცობრიობამ მე-19 საუკუნეში გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, ინგლისის პოლიტეკონომიის და საფრანგეთის სოციალიზმის სახით*).

მარქსის მოძღვრება წარმოიშვა, როგორც მათი „პირდაპირი განვითარება და უშუალო გაგრძელება". მარქსიზმი არის კაცობრიობის უკანასკნელი სიტყვა, მოპოვებული მარქსის დროინდელი მოწინავე თეორიების კრიტიკული დაძლევით და მეცნიერებათა მონაპოვარის განზოგადოებით, მუშათა რევოლუციონურ ბრძოლის პრაქტიკაზე დამყარებული; მათი სინთეზით მარქსის გარდაცვალების 50 წ. თავი ჩვენ უნდა აღვნიშნოთ მისი მოძღვრების ყოველმხრივი გაშუქებით და აგრეთვე იმ განვითარების გარკვევით, რომელიც მოგვცეს მარქსის თეორიაში ამხ. ლენინმა და სტალინმა იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციების ეპოქაში, რადგან დღეს არ არსებობს მარქსიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის გარეშე.

ჩვენი წერილის მიზანია გავაშუქოთ მარქსი, როგორც ფილოსოფოსი**). რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია ერთ წერილში, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ზოგადად მაინც მოვხაზოთ ის.

მარქსის ფილოსოფიური ევოლუცია

„ჩვენ გერმანელი სოციალისტები ვამაყობთ იმით, რომ წარმოვსდგებით არა მარტო სენ-სიმონიდან, ფურიედან და ოუენიდან, არამედ აგრეთვე კანტიდან, ფიხტედან და ჰეგელისაგან"-ო სწერდა ენგელსი და, მართლაც, ვისაც სურს ჰეშმარიტად გაიგოს მარქსიზმი, მარქსის ფილოსოფია, მან უნდა გაიცნოს გერმანული კლასიკური ფილოსოფია, რადგან დიალექტიური მატერიალიზმის ჩამოყალიბება მისი კრიტიკული დაძლევით იქნა შესაძლებელი. მარქსის და ენგელსის ფილოსოფიური ევოლუცია ერთგვარად მიმდინარეობდა და ორივემ განვლო სამი სტადია თავიანთ ფილოსოფიურ კონცეპციის ჩამოყალიბებაში; ეს საფეხურებია: მემარცხენე ჰეგელიანიზმი, ფეირბახიზმი და დიალექტიკური მატერიალიზმი, როცა მარქსი და ენგელსი უკვე ჩამოყალიბდენ, როგორც დამთავრებული მარქსისტები.

გერმანული კლასიკური იდეალისტური ფილოსოფიის გვირგვინი, მის იდეალისტურ საფუძველზე დამმთავრებელს წარმოადგენს ჰეგელი. ჰეგელმა ბოლომდე მიიყვანა გერმანული იდეალიზმი, რის შემდეგ წინსვლა

*) Ленин, том, 16. изд. 3, 349

**) ჩვენ, რა თქმა უნდა, მარქსს არ ვაცილებთ ენგელსს, რადგან მათი შეხედულება ერთმანეთს მთლიანად ეთანხმება და მათ შორის არ ყოფილა არავითარი განსხვავება. ენგელსის ყველა ნაწერები მარქსის მიერ წაკითხული იყო რაც მარქსის სიკვდილამდე იყო ღაწერილი და ძის აზრებს მარქსიც ეთანხმებოდა. ამის შესახებ იხ. ენგელსის „ლ. ფეიერბახში" შენიშვნა, გვ. 37, ქართული გამოცემა ტოროშელიძის რედაქციით.

შესაძლებელი იყო მხოლოდ მატერიალიზმის საფუძველზე. გერმანული კლასიკური ფილოსოფია წინააღმდეგ მექანისტურ მატერიალიზმისა, რომელიც არ იცნობდა განვითარებას, მოგვევლინა თავისი დიალექტიკით, როგორც განვითარების თეორია. გერმანული კლასიკური ფილოსოფია უსათუოდ ვითარდებოდა საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენით. ენგელსი მას უწოდებდა საფრანგეთის რევოლიუციის თეორიას. მართლაც და გერმანიის ბურჟუაზია, რომელიც უფრო სუსტ ძალას წარმოადგენდა საფრანგეთის ბურჟუაზიასთან შედარებით, რომელსაც ეშინოდა აქტიური პოლიტიკურ ბრძოლის თავის ქვეყნის ფეოდალურ არისტოკრატიასთან, განიცდიდა გაორებას: პრაქტიკაში ის ეგუებოდა სინამდვილეს, ხოლო თეორიაში ანგრევდა ყველაფერს. მარქსი ეხება რა ამ რევოლუციებს იდეების სფეროში, სწერს: „ეს იყო რევოლუცია, რომელთან შედარებით საფრანგეთის რევოლიუცია ბავშურ სათამაშოს წარმოადგენდა, ეს იყო მსოფლიო ბრძოლა, რომლის წინაშე დიადოხების ბრძოლა გეჩვენებოდათ რაღაც მცირე მნიშვნელოვან ბრძოლად. რაღაც გაუგონარი სისწრაფით ჩნდებოდენ პრინციპები პრინციპების შესაცვლელად, აზრის გმირები, ძირს აგდებდენ ერთმანეთს და სამი წლის მანძილზე გერმანიაში (1842-1845 წ.) გაკეთებულ იქნა მეტი, ვიდრე წინა სამ საუკუნეში.“*) ჯერ კიდევ კანტმა დაიწყო ბრძოლა დოგმატური მეტაფიზიკის წინააღმდეგ და ის ცდილობდა ტრანსცენდენტალურ ლოლიკის საფუძველზე ფილოსოფიის განმტკიცებას. მაგრამ კანტი, როგორც წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგი გაიხლართა გადაუწყვეტელ წინააღმდეგობებში. მოსწყვიტა ერთმანეთს „საგანი თავის თავად“ და მოვლენა, ვერ ნახა გადასვლები მოვლენიდან არსებისაკენ; დაუშვა არსებობა ორი ქვეყნის, ვერ დადგა მონიზმის პრინციპებზე; მაგრამ მი'ი დამსახურების უდიდესი მნიშვნელობა მასში მდგომარეობდა, რომ აღმოჩინა წინააღმდეგობა საგნებში და მოვლენებში. კანტმა დაამტკიცა, რომ წინააღმდეგობა ჩვენი გონების ბუნებრივი თვისებაა; რომ გონება ვერ ასცილდება წინააღმდეგობას. „ქვეყანა დაუსრულებელია“ — ეს იმეთივე კანონიერი დებულებაა, გონების თვალსაზრისით, როგორც დებულება „ქვეყანა დასრულებულია“. ამით სასტიკი ლახვარი იქნა ჩაცემული მეტაფიზიკურ აზროვნების წინააღმდეგ და დამტკიცებულ იქნა, რომ ჩვენს აზროვნებას ახასიათებს წინააღმდეგობა. ამით საფუძველი ჩაეყარა მანულ კლასიკურ იდეალიზმის უდიდეს მონაპოვარს—დიალექტიკას. წინააღმდეგობა აზროვნების და ცხოვრების პრინციპად იქნა გამოცხადებული. მაგრამ კანტის დიალექტიკა უარყოფით წვრილ-ბურჟუაზიულ დიალექტიგერკას წარმოადგენდა. მან იცოდა მხოლოდ წინააღმდეგობანი. მაგრამ არ იცოდა წინააღმდეგობათა გადაწყვეტა და ამ ნიადაგზე განვითარება. კანტმა იცოდა წინააღმდეგობა ზოგადსა და კერძოს შორის, დასრულებულსა

*) Арх. Маркса и Энгельса том 1. стр. 212.

და დაუსრულებელს შორის, მაგრამ არ ესმოდა წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობა, მათი ერთმანეთში გადასვლები. გერმანული კლასიკური იდეალიზმის შემდგომი განვითარება კანტის მიერ დასმული წინააღმდეგობის პრობლემის ორგვარ გადაწყვეტას იძლევა: სუბიექტურ იდეალისტურს (ფიხტე) და ობიექტურ იდეალისტურს (ჰეგელი). ფიხტე შეეცადა კანტის ორმაგობა დაეძლია და გააკრიტიკა კანტი მარჯვენიდან. ფიხტე აკრიტიკებს კანტს მასში, რომ, თუ შეუძლებელია მე შევიმცნო საგანი თავის-თავად, მაშინ ჩვენ არც იმის უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ის არსებობს, ის არის ჩემში გონების მიერ დაშვებული საგანი და ამიტომ არსებობს არა ჩემ გარეთ, არამედ ჩემში; არის მხოლოდ „მე“ და “მე“ არის ყველაფრის შემომქმედი. ფიხტემ ამრიგად სრულიად უკუაგდო ერთი მხარე წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობა მხოლოდ სუბიექტებში მოათავსა მას სწამს წინააღმდეგობის დაძლევა, მაგრამ მისი დიალექტიკა მთლიანად სუბიექტივისტური გზით წარიმართა და ის თამაშობს მხოლოდ ერთ-ერთი საფეხურის როლს დიალექტიკის განვითარების ისტორიაში მით რომ დაადგა წინააღმდეგობის დაძლევის-პრინციპს, თუმცა სრულიად ყალბი გზით. ფიხტეს დიალექტიკა ამ მხრივ სუბიექტური და, მაშასადამე, თვითნებური დიალექტიკაა, დიალექტიკის სუბიექტურ - დეალისტურ გაგების წინააღმდეგ გამოდის ობიექტიურ იდეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი — ჰეგელი. მართალია საბოლოო ჯამში ობიე ტური იდეალისტი გაობიექტებული და უნივერსალიზებული სუბიექტური იდეალისტია, მაგრამ მათ შორის აუცილებლად განსხვავების ხაზი უნდა გავავლოთ და არ გავაიგივეოთ ერთმანეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გავიგებთ ენგელსის და ლენინის გამოთქმას, რომ „ჰეგელის ობიექტური იდეალიზმი თავყირამდგომი მატერიალიზმია“-ო. ჰეგელმა თავის ფილოსოფიის გამოსავალ წერტილად აიღო დროის და სივრცის — გარეშე არსებული აბსოლუტიური სული, რომელიც, მისი აზრით, არის დემიურგი სინამდვილისა. ამ მისტიურ გამოსავალ წერტილის საფუძველზე ჰეგელის ფილოსოფია მისტიციზმშია გადავარდნილი, მაგრამ მიუხედავად ამისა ჰეგელს ახასიათებს უდიდესი დადებითი მომენტები. რაში მდგომარეობს ჰეგელის ფილოსოფიის უდიდესი დამსახურება? პირველ ყოვლისა, მასში, რომ ის ცდილობს შეებრძოლოს კანტის და ფიხტეს სუბიექტიურ იდელიზმს, შეებრძოლოს [სუბიექტივიზმის თვითნებობას და განიხილოს აზროვნებისა და მეცნიერებათა განვითარება მათ შინაგან და აუცილებელ კავშირში, განიხილოს ისინი სპეციალურ ადამიანურ სუბიექტისაგან დამოკიდებულ განვითარების პროცესში. ჰეგელი, ობიექტიურ იდეალიზმის საფუძველზე შეეცადა დიალექტიკის დალაგებას, მისთვის დიალექტიკა მხოლოდ მეთოდია, ხოლო მეთოდი კი არ არის სუბიექტური მიდგომის ხერხი, არამედ „შინაარსის სული და გული“, ის შინაარსის შემეცნებული ფორმაა, ის განისაზღვრება შინარსის მოძრაობით. მაგრამ ჰეგელ-

თან მეთოდი და შინაარსი ერთი მეორეს აბსოლუტურად ემთხვევა. ჰეგელი ამ აბსოლუტურ გაიგივებამდე, ამ ყალბ დასკვნამდე მიეიდა მხოლოდ იმ საშუალებით, რომ მან თავის ფენომენოლოგიაში, ამ „სულის, ემბრიოლოგიაში“ შეეცადა დაეძლია წინააღმდეგობა საგანსა და ცნების შორის, მთელი ფენომენოლოგიის ისტორიული აღლო მიმართულია ამ ძირითად წინააღმდეგობის დაძლევისაკენ. ფენომენოლოგიაში ჰეგელი აღწევს ცნების და საგნის იგივეობას, ხოლო როცა მან დაამტკიცა საგნის და ცნების იგივეობა, შემდეგ იშლება გზა ლოღიკისათვის, რომელიც არის მეცნიერება წმინდა ცნებათა დიალექტურ მოძრაობის შესახებ. მარქსი ეხება რა ჰეგელიანელების კრიტიკას, თავის „წმინდა ოჯახში“ სწერს—„აბსოლუტურმა კრიტიკამ მაინც ისწავლა ჰეგელის ფენომენოლოგიიდან ერთი ხელოვნება—ეს რეალური ობიექტიური, ჩემს გარეშე არსებული ჯაჭვების—მხოლოდ ჩემში არსებულ ჯაჭვათ გამოცხადება და ამიტომ ყველა გარეშე გრძნობითი ბრძოლის გადაქცევა იდეალურ ბრძოლებათ“*).. მიაღწია რა ფენომენოლოგიაში ცნების და საგნის აბსოლუტურ ადეკვატობას, ჰეგელმა ლოღიკაში მოსპო წინააღმდეგობა აზროვნებასა და არსს შორის: ცნების თვით მოძრაობა უნდა იყოს განუწყვეტელი; მოძრაობის წყარო თვით ცნების შიგნით არსებული წინააღმდეგობაა... რა ფორმებში ახდენს გონება დიალექტიურ მოძრაობას. მარქსი ამის შესახებ იდეალისტურ დიალექტიკის დასახასიათებლად შემდეგს სწერს: „რაკი უკვე (გონება. ი. ვ.) თვით დადგინდა თეზად, შემდეგ ეს თეზა, ეს აზრი, თავის თავისადმი წინააღმდგომილი ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრად იყოფა, დადებითად და უარყოფითათ, ჰოდ და არად. ბრძოლა ამ ორი ანტაგონისტური ელემენტისა, რომელიც ანტითეზშია მოცემული, შეადგენს დიალექტიკურ მოძრაობას. ჰო იქცევა არად, არა იქცევა ჰოდ. ჰო იქცევა ერთსა და იმავე დროს ჰოდ და არად, არა იქცევა ერთსა და იმავე დროს არად და ჰოდ; ამ მიზნით წინააღმდეგობანი ერთმანეთს აწონასწორებენ, თავიანთ თავს ანეიტრალებენ, აუქმებენ. ამ ორი ანტაგონისტური აზრის ერთად შედუღება ჰქმნის ახალ აზრს, რომელიც მათ სინთეზს წარმოადგენს. ეს ახალი აზრი კიდევ ორ საწინააღმდეგო აზრად იშლება, რომელიც თავის მხრივ, ახალ სინთეზად გადადუღდება. დაბადების ეს პროცესი შობს აზრთა ჯგუფს“. და სხვა. „როგორც მარტო კატეგორიების დიალექტიკური მოძრაობიდან წარმოიშვება ჯგუფი, ისევე ჯგუფთა დიალექტიკური მოძრაობიდან წარმოიშვება მწკრივი და მწკრივთა დიალექტიკური მოძრაობიდან—მთელი სისტემა ერთობრივ“**). ამრიგად, ჰეგელში ჩვენ გვაქვს ცნებათა თვითმოძრაობა, რომელიც სწარმოებს დიალექტიკურ ფორმებში წინააღმდეგობის გაღრმავება და დაძლევა ახალ სინთეზში, შემდეგ კიდევ წინააღმდეგობა და კვლავ სინთეზი და

*) კ. მარქსი „წმინდა ოჯახი“.

**) კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე გვ. 169.

ასე დაუსრულებლივ-აი ცნებათა თვით-განვითარების პროცესი. „ჰეგელი ამიტომ ილუზიაშია ჩაეარდნილი, როდესაც მას რეალური ესმის, როგორც შედეგი აზროვნებისა, რომელიც თავისში ერთიანდება, თავისში ღრმავდება და თვით თავისით მოძრაობს.“... მიუხედავად ამისა ჰეგელის ლოღიკას ახასიათებს უდიდესი ისტორიული ალღო, მისი დიალექტიკა ებრძვის მეტაფიზიკას, მას არ სწამს გაყინული საგნები და ცნებები, ყველაფერი მოძრაობაში და განვითარებაშია. ჰეგელის მეთოდი ამიტომ მუდმივ რევოლუციონურია; მაგრამ ჰეგელი ვერ გაჰყვა ბოლომდე თავის მეთოდს, ის არ იყო თანამიმდევნო, რადგან შექმნა აბსოლუტური სისტემა, აღმოაჩინა აბსოლუტური ჭეშმარიტება და მით დაასრულა ცნებათა განვითარების დიალექტიკური პროცესი; ჰეგელის მეთოდისა და სისტემის შორის გადაუწყვეტელი წინააღმდეგობაა. ეხება რა ენგელსი მეთოდის და სისტემის დამოკიდებულების საკითხს ჰეგელის ფილოსოფიაში, სწერს: „ამ ფილოსოფიისათვის არაფერი აოსებობს ერთხელ და საბოლოოდ ჩამოყალიბებული, აბსოლუტური, წმინდა; მას ყოველივე წარმავლად მიაჩნია, მისთვის არაფერი არსებობს, გარდა მყობადობის და განადგურების შეუწყვეტელი პროცესისა, გარდა უდაბლესიდან უმაღლესისკენ დაუსრულებელი სვლის; თვით ეს ფილოსოფია მხოლოდ ამ პროცესის უბრალო ანარეკლია ადამიანის ტვინში. მაგრამ დიალექტურ ფილოსოფიას თავისი კონსერვატიული მხარეც აქვს: იგი სცნობს განსაზღვრული შემეცნების და საზოგადოების საფეხურის მართებულობას მათის დროისა და პირობებში; მორჩა და გათავდა. ამ მსოფლმხედველობის კონსერვატიზმი რელატიურია, მისი რევოლიციონური ხასიათი კი აბსოლუტური—ესაა ერთად ერთი-აბსოლუტური, რომლისათვისაც მასში კიდევ ადგილი რჩება“.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ ჰეგელის მეთოდსა და სისტემას შორის ერთიანობა შედარებითია (ორივე იდეალისტურია), ხოლო წინააღმდეგობა მარადული (კონსერვატიზმს და რევოლუციონიზმს შორის). ჰეგელის ფილოსოფია გაიხლართა წინააღმდეგობის ჩიხში და ეს წინააღმდეგობა გამომსახველი იყო გერმანიის ბურჟუაზიის მისწრაფებათა მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში. ჰეგელის დამსახურება დიდი იყო, როგორც ობიექტურ იდეალისტის. ჰეგელმა შეისწავლა თეორეტიულ აზროვნების ბუნება და მოგვცა მისი შინაარსთან დაკავშირების პირველი ცდა. ეხება რაკრიტიკულ ფილოსოფიის კრიტიკას (კანტს) ჰეგელი სწერს: „კრიტიკულ ფილოსოფიამ დაისახა ამოცანა, რომ გაერკვია შეუძლია თუ არა აზრის ფორმებმა გამოიდგენ ჭეშმარიტების გასაგებად: მას უნდოდა გამოერკვია აზრის უნარი, მანამდე, სანამ შეუდგებოდა ცოდნას.“ „კრიტიკოსს სურდა ცურვის სწავლა უწყლოდ“*). ამიტომაც ჰეგელი

*) ჰეგელი ენციკლოპედია..

ებრძვის კანტის სუბიექტივიზმის მეტაფიზიკას და თვითნებობას. ლოლიკა და მეთოდი ჰეგელმა გაიგო, როგორც შინაარსის შემეცნებული ფორმა. რა თქმა უნდა, შინაარსის სახით მას აბსოლუტური იდეის მოძრაობა ჰქონდა მოცემული და ამიტომ ჰეგელის ობიექტივიზმი იდეალისტური ობიექტივიზმია, მას არაფერი აქვს საერთო მატერიალისტურ ობიექტივიზმთან, მაგრამ ის გარემოება, რომ მისთვის „სულის დაბუნების კანონები“ ერთიანობაშია და ერთმანეთს ემთხვევა, ანსხვავებს მას სუბიექტურ იდეალიზმისაგან.“ „მხოლოდ თანამედროვე დიალექტიკურმა ფილოსოფიამ და სახელდობრ ჰეგელის ფილოსოფიამ, ახლო გამოარკვია ეს წინასწარი პირობები და წამოაყენა აზრის და არსის იგივეობის კანონი... მიუხედავად ამ ფილოსოფიის აურაცხელ თვითნებურ და ფანტასტიურ აგებულობისა, მიუხედავად მის საბოლოო რეზულტატის აზრის და არსის იდეალისტურ იგივეობის დათავდაყირამდგარი ფორმისა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მან დაამტკიცა ცოდნის სრულიად სხვადასხვა დარგებისაგან ამოღებულ მრავალ მაგალითებზე ანალოგია აზროვნების, პროცესის, შემეცნების და ისტორიის პროცესის შორის და პირუკუ: ბატონობა ერთგვარი კანონებისა ყველა ამ პროცესებისათვის“.*) აქ ენგელსი საუცხოოდ აშუქებს განსხვავებას ობიექტურ და სუბიექტურ იდეალიზმს შორის და აგრეთვე გვაძლევს გარკვევას იმისა, თუ რატომ არის ჰეგელის ობიექტური იდეალიზმი გადმოყირავებული მატერიალიზმი. მართლაც, და თუ ჩვენ ვერ დავამტკიცეთ აზროვნების და სინამდვილის კანონების ერთიანობა, თუ ვერ დავამტკიცეთ მათი ბუნების ერთიანობა, მაშინ შეუძლებელია ქვეყნის შეცნობის შესაძლებლობის დამტკიცება. ჰეგელმა გააიგივა აზრი და არსი და პირუკუ წარმოიდგინა მათი დამოკიდებულება, ამაშია მისი მისტიციზმი და იდეალიზმი, საჭირო იყო იგივეობასთან ერთად სხვაობის აღმოჩენაც. ეს მხოლოდ მარქსმა მოიმოქმედა და ამაზე შეეჩერდებით შემდეგ.

ამრიგად, ჰეგელის ცნების დიალექტიკა ცდილობს იყოს ონტოლოგიური დიალექტიკაც, და ამით ის მიუახლოვდა მატერიალიზმს. შემდეგი მისი განვითარება მოითხოვდა ჰეგელის უარყოფას და მატერიალიზმში გადასვლას, მაგრამ ეს შესაძლებელი იყო მისი აფეთქების გზით, მისი გადმოტრიალებით. ლენინი ეხება რა ჰეგელის ფილოსოფიის შინაგან ლოლიკას, სწერს: „მართალი იყო ენგელსი, როცა ის სწერდა, რომ ჰეგელის სისტემა გადმოტრიალებული მატერიალიზმია“-ო და შემდეგ ლოლიკის შესახებ დაასკვნის: „ჰეგელის ყველაზე უფრო იდეალისტურ ნაწარმოებში ყველაზე ნაკლებია იდეალიზმი, ყველაზე მეტი მატერიალიზმი „წინააღმდეგობრივია“, მაგრამ ფაქტია“**) ობიექტური (და კიდევ უფრო აბსოლუტური) იდეალიზმი მიხვეულ-მოხვეულ გზით ნახტომით (и кувырком) მიუახლოვდა,

* Энгельс, Диалектика природы стр. 75 изд. 1932 г.

**) IX Ленинский сб. ст. 281.—283.

პირდაპირ მატერიალიზმს, ნაწილობრივ კიდეც გადაიქცა მათ" *). მაგრამ ამ გზით არ წასულა ჰეგელის სკოლა, ჰეგელის მატერიალისტურად გადამუშავება და მისი აფეთქება ეს მხოლოდ მარქსის და ენგელსის საქმე იყო.

...ჰეგელის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ჰეგელის სკოლის დაშლა· ამ დაშლას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა კლასთა ბრძოლის განვითარება გერმანიაში. ემზადებოდა 1848 წლის რევოლუცია. ახლოვდებოდა sturm- und Drengperiode-ი. ცხოვრება მოითხოვდა პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტას.... საჭირო იყო აბსტრაქტიულობიდან დედამიწაზე ჩამოსვლა... კლასობრივი ბრძოლა პირველად გაიშალა ფეოდალურ იდეოლოგიის—რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში... რელიგია და პოლიტიკა გახდა ყურადღების ცენტრი, ჰეგელის სკოლიდან სამი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა, რომლებიც იდეალიზმის საფუძველზე სცდილობდენ მის სხვადასხვა ინტერპრეტაციას 1. თეისტური, 2. პანტეისტური და 3. ანტროპოლოგიური. თეისტური—ეს იყო მემარჯვენე ჯგუფი (გეშელი, როზენკრაცი, მარგეინეკე და სხვ.), რომელიც ჰეგელის აბსოლუტურ სულში ხედავდა ღვთაებრივ არსებას, მის ჭეშმარიტებას და ცდილობდა ჰეგელის ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც ხელს შეუწყობდა რ ე ლ ი გ ი ო ზ ურ შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა თ ა დ ა ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ა ს. მეორე ჯგუფი—ცენტრი (მიხელეტი, შტრაუსი) აბსოლუტურ სულში პანთეისტურ აზრს სდებდა და მასში ხედავდა ბუნებას და ბოლოს—მესამე ჯგუფი—მემარცხენე (ძმ. ბაუერები და სხვ.) პანთეისტურ ინტერპერტაციისაგან უფრო შორს მიდიან და შემდეგ დასკვნებს აყალიბებენ: „რადგან ღვთაება ჰეგელის აზრით, არსებობს მხოლოდ ბუნებაში (სუბსტანციონალურად), და ადამიანის შემეცნებაში. (სუბიექტურად) ეს ნიშნავს, ღვთაება საერთოდ არ არის, არამედ არას მხოლოდ ბუნება და მისი უმაღლესი ქმნილება—ადამიანი." ამრიგად, დაიშალა ჰეგელის სკოლა.. „მათი პოლემიკა ჰეგელის და ერთმანეთის წინააღმდეგ კმაყოფილდებოდა მით, რომ თვითეული ამოგლეჯდა ჰეგელის სისტემის რომელიმე მხარეს და მიმართავდა მას, როგორც მთელი სისტემის წინააღმდეგ, ისე და გრეთვე სხვა ავტორთა მიერ წამოყენებულ მხარეების წინააღმდეგ *).

ამრიგად ჰეგელიზმის დაშლა ისე შორს წავიდა, რომ წმინდა სახის ჰეგელიანელი აღარ არსებობდა. ყველა ეძებდა მასში პრაქტიკულ საზოგადოების დასაყრდენს და აყალბებდა ჰეგელს ისე, რომ ჰეგელის ცნობა მათში შეუძლებელი იყო. მხოლოდ ფ ე ი ე რ ბ ა ხ მ ა ს ა ბ ო ლ ო ო დ გ ა ს წ ყ ვ ი ტ ა კ ა ვ შ ი რ ი ჰ ე გ ე ლ ი ს ა ბ ს ო ლ ი უ ტ უ რ ი დ ე ა ლ ი ზ მ თ ა ნ დ ა დ ა დ გ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ლ ი ზ მ ი ს პ ო ზ ი ც ი ა ზ ე.

მარქსიც და ენგელსიც თავის ახალგაზრდობაში იყვნენ მემარცხენე ჰეგელიანელები. თავის სადოქტორო დისერტაციაში—ეპიკურზე და დემოკრიტზე—1841 წელში მარქსი იყო გატაცებული ჰეგელიანელი. ის გადა-

*) XII Лен. сб. ст. 225.

ჭარბებით აფასებდა თეორიულ აზროვნების როლს და გონებას სთვლიდა ყველაფრის შემძლეთ. მაგრამ აქაც ისე, როგორც თავის სიმწიფის მოწმობისათვის დაწერილ შრომაში **გამოსკვივის მარქსის პრაქტიკული ბუნება.** მას გონების ძალა სჭირია ქვეყნის გარდაქმნისათვის... მას სურს ბრძოლა გამოუცხადოს ღმერთებს. ის აქებს პრომეთეოსს. პრომეთეოსის აღიარებაზე მარქსი სწერს: „სიმართლე **რომ ვსთქვათ, მე მძაგს ყველა ღმერთები,** არის მისი საკუთარი აღიარება, მისი საკუთარი წარმოთქმა, მიმართული ყოველ ზეკიურ და მიწიერ ღმერთების წინააღმდეგ, რომელნიც **ადამიანის თვითშემეცნებას არ სცნობენ უმაღლეს ღვთაებად. მის გვერდში არ უნდა იყოს არავითარი ღვთაებაო**". შემდეგ მას მოყავს პრომოთეოსის სიტყვა, რომელიც მან უთხრა ღმერთების მსახურს ჰერმეს:

„კარგად იცოდე, რომ მე არ გავცვლიდი
თავის დარდებს მონურ მსახურობაზე:
ჩემთვის უკეთესია ვიყო მიჯაჭვული კლდეზე
ვიდრე ვიყო ერთგული მომსახურე ზევსისა".

პრომეთეოსი იყო პირველი კეთილშობილი წმინდანი და წამებული ფილოსოფოსთა კალენდარში *). დაასკვნის მარქსი.

აქ საუცხოოდ არის გადმოცემული მარქსის მგრძნობარე რევოლუციონური ხასიათის ბუნება. მას სურს ბრძოლა გამოუცხადოს ზეცას და ადამიანს მიანიჭოს ღვთაების ძალა. ჯერ კიდევ 19 წლის მარქსი ერთ თავის წერილში სწერს მამას: „ჩემი იდეალიზმიდან... მე გადავედი **იდეის ძებნაზე თვითონ სინამდვილეში.** თუ უწინ ღმერთები ცხოვრობდენ დედამიწის ზევით, ეხლა ისინი გახდენ მის ცენტრად", მას სურდა ღვთაებრივობა დედამიწაზე გადმოესახლებია... სწორედ, რომ ამ მიწიერმა ინტერესებმა მიიყვანეს მარქსი ფეიერბახის ფილოსოფიამდე. გერმანიის ეკონომიურ და პოლიტიკურმა განვითარებამ დაუყენა მარქსს წმინდა პრაქტიკული საკითხების გადაჭრის აუცილებლობა. საჭირო იყო გარკვევა არსებულ კონკრეტულ გარემოში, საჭირო იყო თავისი სოციალური ფილოსოფიის **ჩამოყალიბება.** არა ბურუსში გახვეული შინაარსისაგან დაცლილი აბსტრაქციები, არამედ ობიექტურ-რეალურ-კონკრეტულ სინამდვილის დაუფლება იყო საჭირო. მარქსს ახლა იდეები აღარ მიაჩნია ყოველის შემძლე ძალად, „იდეები, რომლებიც ინტერესს არ ემორჩილებიან, სამარცხვინოდ მარცხდებიან". „იდეებს არას შემთხვევაში არ შეუძლიან გამოგვიყვანოს ძველი წესწყობილების საზღვრებიდან". ამათ მხოლოდ გამოვყევართ ძველი წყობილების იდეების საზღვრებიდან. იდეების განხორციელებისათვის საჭიროა ადამიანები, რომლებმაც უნდა მოიხმაროონ პრაქტიკული ძალა" **).

*) მარქსი. „წმინდა ოჯახი". გვ. 134 ლიტ. მემკვიდრ.

**) Маркс и Энгельс соч. т. 1, стр. 26.

არა მარტო „ზეცის კრიტიკა, არამედ დედამიწის კრიტიკა". „თეოლოგიის კრიტიკა უნდა გადაიქცეს პოლიტიკის კრიტიკად". საჭირო იყო მოქმედების ფილოსოფია, მაგრამ სანამ მარქსი ჩამოაყალიბებდა ჭეშმარიტ მოქმედების ფილოსოფიას—დიალექტიურ მატერიალიზმს—ის ხდება ფეიერბახის მოწაფეთ. 1842-43-44 წლებში, შეიძლება ითქვას მარქსი ძირითადათ ფეიერბახის მოწაფეა.

ფეიერბახმა უბრალოდ გადაგდებით, **უბრალოდ უარყოფით მოუღო ბოლო ჰეგელს**. მან ის ვერ გამოიყენა ვერ მოხსნა ის. ფეიერბახი მოგვევლინა, როგორც ჰეგელის ანტითეზა. ის გამოდიოდა ადამიანისაგან და თეთეოლოგიას და მეტაფიზიკას უყურებდა, როგორც **ადამიანის შემოქმედების ნაყოფს**". „ჰეგელის ფილოსოფია—სწერს ფეიერბახი—ეს არის რაციონალური მისტიკა, და ამიტომ თავის მხრივ — ერთად-ერთი, მიმზიდველი, მაგრამ ამავე დროს უკუმგდებელი". „აზროვნებას შეუძლიან იაზროვნოს მხოლოდ არსებული, რადგან ის თითონ არის არსებული ნამდვილი მოქმედება". „ფილოსოფია, რომელიც იწყებს აზრით, არა რეალურ შინაარსით, სრულიად თანამიმდევრობით ამთავრებს მოუსაზრებელი რეალობით", ფილოსოფია უნდა „უპასუხებდეს ადამიანის მოთხოვნილებას" *). ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ფეიერბახი ყოველგან და პირველ ადგილზე აყენებს სინამდვილეს, ბუნებას და განსაკუთრებით ადამიანს, როგორც ბუნების ნაწილს. ჭეშმარიტი ფილოსოფია მისთვის არც მატერიალიზმია, არც იდეალიზმი, არამედ ანტროპოლოგია—ჰუმანიზმი. „მომავალი ფილოსოფია აქცევს ადამიანს (ბუნების თანდართვით, როგორც ადამიანის ბაზისის) ფილოსოფიის ერთად-ერთ, უნივერსალურ და უმაღლეს საგნად. აქცევს, მაშასადამე, ანტროპოლოგიას ფსიქოლოგიასთან ერთად უნივერსალურ მეცნიერებათ" **). „ღმერთი იყო ჩემი პირველი აზრი, გონება—მეორე, ადამიანი კი მესამე და უკანასკნელი აზრიო"—სწერს ფეიერბახი. ფეიერბახისათვის ბუნება ბაზისია, სული კი ზედნაშენი. „ყოფობა განსაზღვრავს შეგნებას". არსებობს სუბიექტის და ობიექტის ერთიანობა. „მე" ვარ ობიექტიც და სუბიექტიც". ფეიერბახმა მოგვცა რელიგიის სასტიკი კრიტიკა. მან წამოაყენა დებულება—„არა ღმერთმა შექმნა ადამიანი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთიო". ფეიერბახის „ქრისტიანობის არსებამ" უდიდესი გავლენა მოახდინა მარქს და ენგელსზეც. ენგელსი შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ წიგნის გავლენას: „ვისაც არ განუცდია ამ წიგნის განმათავისუფლებელი გავლენა, ის ვერ წარმოიდგენს მას თავისთვის. ჩვენ ყველა ვიყავით აღტაცებაში და ყველა **გავხდით დროებით ფეიერბახის მიმდევრებად**. როგორი აღტაცებით მიესალმა მარქსი ამ ახალ შეხედულებას, და როგორი სიძლიერით იმოქმედა მან მასზე, მიუხედავად ყველა მის მიერ გაკეთებულ კრიტიკული შენიშვნებისა,—შეგვიძლია წარმოვიდგინოთ წიგნით„ წმინდა ოჯახი" ***).

*) ფეიერბახი თხზულებათა I ტომი.
**) ფეიერბახი თხზულებათა I ტომი.
***) ენგელსი. ლ. ფეიერბახი.

მარქსი და ენგელსი უთუოდ იყვნენ ფეიერბახელები, თუმცა ბევრი შენიშვნებით და შესწორებებით არა თანამიმდევარი ფეიერბახელები. მაგრამ, ძირითადში მის თვალსაზრისზე მაინც იდგნენ, მაგალითად, თავის ნაშრომში „Подготовительные работы к Святому семейотву“ მარქსი სწერს:

„აქ ჩვენ ვხედავთ, რომ თანმიმდევნოთ გატარებული ჰუმანიზმი ან ნატურალიზმი განსხვავდება, როგორც იდეალიზმისაგან, ისე მატერიალიზმისაგან და ის წარმოადგენს მათ **გამაერთიანებელ ჭეშმარიტებას, ჩვენ ვხედავთ, ამავე დროს, რომ მხოლოდ ნატურალიზმს შესწევს უნარი გაიგოს მსოფლიო ისტორიის აქტი**“ *).

ფეიერბახის შეხედულება, მართალია, ებრძოდა აბსოლუტურ იდეას და აბსტრაქციებს, მსგრამ იყო აბსტრაქტიული და წინააღმდეგობით სავსე. „ის მაგრად ჰკიდებს ხელს ბუნებას და ადამიანს, მაგრამ ბუნებაც და ადამიანიც რჩება მასთან ცარიელ სიტყვებად“.

მარქსი და ენგელსი თავიდანვე იყვნენ უკმაყოფილო ფეიერბახის ფილოსოფიით. განსაკუთრებით მათ აქტიურ-რევოლუციონურად განწყობილ ბუნებას არ მოსწონდათ ფეიერბახის მატერიალიზმის მჭვრეტელური პასიური ხასიათი. მათ ადრე დაიწყეს კრიტიკა ფეიერბახის აბსტრაქტული ადამიანის და ბუნების. მარქსს ამ პერიოდში სასტიკად ეჯავრებოდა მექანიკური მატერიალიზმის აბსტრაქტული ბუნება.

თავის შენიშვნებში საფრანგეთის მატერიალიზმზე „წმინდა ოჯახში“ მარქსი ეხება რა ბეკონის და ჰობბსის მატერიალიზმს, თავის სიმპატიებს ბეკონს უცხადებს. მას მოსწონს ბეკონი; ჰობბსის საწინააღმდეგოდ მიტომ, რომ „**ბეკონი კონკრეტული მატერიალისტია**“, ჰობბსი კი აბსტრაქტული. ბეკონთან „მატერიის თანდაყოლილი თვისების შორის **უპირველესი და უმთავრესი მოძრაობაა, არა მარტო, როგორც მექანიკური და მათემატიკური მოძრაობა, არამედ კიდევ, როგორც მისწრაფება, ცხოველი სული, დაძაბვა, როგორც მატერიის ტანჯვა**, იაკობ ბემეს სიტყვებით რომ ვსთქვათ... „თავისი პირველი შემომქმედის ბეკონის აზროვნებაში მატერიალიზმი გულუბრყვილოდ ყოველმხრივი განვითარების ჩანასახებს შეიცავს“. მატერია პოეტურ გრძნობად ელვარებაში ულიმის მთლიან ადამიანს. ხოლო თავის შემდგომ განვითარებაში — განაგრძობს მარქსი — მატერიალიზმი ცალმხრივი ხდება. ჰობსი ბეკონის მატერიალიზმის სისტემატიკოსი იყო. გრძნობადობა თავის ყვავილს ჰკარგავს და გეომეტრიის აბსტრაქტულ გრძნობადობად იქცევა. ფიზიკური მოძრაობა მსხვერპლად ეწირება მექანიკურ, ან მათემატიკურ მოძრაობას. გეომეტრია მთავარ მეცნიერებად ცხადდება“ (ენგელსი. ლ. ფეიერბახი. გვ. 70). მარქსი მართალია ხედავს წინსვლას ჰობსის მატერიალიზმში, რომელმაც გაანთავისუფლა ბეკონის მატერიალიზმი დეისტურ ცრუმორწმუნეობის ნაშთებისაგან, მაგრამ მარქსს მაინც მოსწონს, გულუბრყვილო, კონკრეტული სიცოცხლით აღსა-

*) Маркс и Энгельс, том 3, стр. 642.

ვსე ბეკონის მატერიალიზმი, რადგან აქ არ არის მექანიკური მატერიალიზმის ცალმხრივობა.

მათ მალე დააღწიეს თავი ფეიერბახის ნატურალისტურ ბიოლოგიურ ანტიისტორიულ ფილოსოფიას და 1845 წელში უკვე ჩამოაყალიბეს ახალი ფილოსოფია დიალექტიკურ მატერიალიზმის სახელწოდებით. მათ დაიწყეს კრიტიკა აბსტრაქტულ ადამიანისა და წამოაყენეს კონკრეტულ-ისტორიულ საზოგადოებრივი ადამიანის თვალსაზრისი. არა მოხმარებითი, არამედ წარმოებითი თვალსაზრისი. ადამიანი არა მარტო გარემოს პროდუქტია, არამედ ის თითონ ქმნის გარემოს. ამიტომ სუბიექტიც და გარემოც ისტორიულია. ადამიანი ებრძვის რა ბუნებას არსებობისათვის ბრძოლაში, სცვლის რა ბუნებას, სცვლის აგრეთვე თავის თავს. ამ ბრძოლაში ადამიანები ამყარებენ ურთიერთ შორის წარმოებითი ურთიერთობას, რომელსაც ახასიათებს ბუნებისაგან განსხვავებით სპეციფიური კანონზომიერება, ადამიანი არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტულ-ისტორიულ-საზოგადოებრივი არსებაა, ადამიანის არსებობა მის სოციალობაში უნდა ვეძიოთ, ადამიანი არის ისეთი სოციალური ცხოველი, რომელსაც აქვს უნარი აკეთოს იარაღი; მისი არსება მის სოციალობაშია. არ არის ადამიანი საერთოდ, არამედ არის კონკრეტულ-ისტორიული ადამიანი. ასე, ამრიგად, მარქსმა წამოაყენა აბსტრაქტული ადამიანის მაგიერ კონკრეტული, მოხმარების ადგილზე—წარმოება და მოხმარება ურთიერთ მოქმედებაში, სადაც წარმოება საფუძველს წარმოადგენს; წამოაყენა რა მან ისტორიზმი მეტაფიზიკის ადგილზე, ის ხედავდა ყველაფერში განვითარების საწყისს და ყოველგან აყენებდა „კრიტიკულ-რევოლუციონურ“ მოქმედების თვალსაზრისს; ამით მარქსი აყალიბებდა დიალექტიკურ მატერიალიზმს, ჰქმნიდა ფილოსოფიის ახალ გაგებას და ახალ ფილოსოფიას, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა.

მექანიკურ მატერიალიზმს სამი ძირითადი ნაკლი ახასიათებდა:

„1. ის, რომ ეს მატერიალიზმი იყო „უმთავრესად მექანიკური“ და არ უწევდა ანგარიშს ქიმიის და ბიოლოგიის უახლოეს განვითარებას (ჩვენს პირობებში კი საჭირო იყო დამატება მატერიის ელექტრონულ თეორიის), 2. ის, რომ ძველი მატერიალიზმი არ იყო ისტორიული, იყო არა დიალექტიური (მეტაფიზიკური ანტიდიალექტიური აზრით), არ ატარებდა თანამიმდევნო და ყოველ მხრივ განვითარების თვალსაზრისს; 3. ის, რომ „ადამიანის არსება“ ესმოდათ აბსტრაქტულად და არა როგორც ერთობლიობა (совокупность) (განსაზღვრულ-კონკრეტულ-ისტორიულ) „ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობათა“ და ამიტომ ისინი მხოლოდ „ხსნიდენ“ ქვეყანას, მაშინ, როდესაც საქმე ეხებოდა მის „შეცვლას“, მათ არ ესმოდათ რევოლუციონურ-პრაქტიკულ მოქმედების „მნიშვნელობა“ (Ленин, т. XVIII, изд. 3. стр. 8-10).

„იქ, სადაც ფეიერბახი მატერიალისტობდა, მაგ. ბუნებაში მას არ სწამდა ისტორია, განვითარება, ხოლო იქ, სადაც მას საქმე ჰქონდა ის-

ტორიასთან, ის იყო იდეალისტი". ფეიერბახმა ვერ ახსნა ისტორიის მამოძრავებელი ძალა. ის ასეთ ძალად აცხადებს სიყვარულს. მარქსმა დასძლია რა მექანიკური მატერიალიზმი, გაავრცელა მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზეც. მარქსის მატერიალიზმი თანამიმდევნო დასრულებული მატერიალიზმია, ამიტომაც ის არ არის ძველი მატერიალიზმის უბრალო აღდგენა, არამედ ის დიალექტიკური მატერიალიზმია. მეცნიერებათა განვითარების საფუძველზე შესაძლებელი გახდა მატერიალიზმის ახალი ფორმით ჩამოყალიბება. დიალექტიური მატერიალიზმი მაღალი ფორმის მატერიალიზმია, ხოლო მისი აღმოჩენა უშუალოდ მარქსის და ენგელსის საქმეა. ბევრი ვერ იგებს დიალექტიურ მატერიალიზმის ამ ახალ ბუნებას და ცდილობს მარქსი ჰეგელის და ფეიერბახის ფილოსოფიის უბრალო მოწაფედ გამოიყვანოს. ბევრს არ ესმის მარქსის უდიდესი დამსახურება ამ დარგში... ეხებიან რა მარქსის ფილოსოფიურ ევოლუციის საკითხებს უმთავრესად ორგვარ შეცდომას უშვებენ: 1. აიგივებენ მარქსის და ჰეგელის დიალექტიკას, 2. აიგივებენ—ფეიერბახის მატერიალიზმს და მარქსის მატერიალიზმს. პირველ გადახრას დიდი ადგილი ჰქონდა ჩვენს სინამდვილეში დებორინის ჯგუფის მომენშევიკო იდეალიზმის სახით. მომენშევიკო იდეალიზმი საბჭოთა კავშირში შეეცადა ჰეგელის დიალექტიკა გაესაღებია მარქსის დიალექტიკათ, და მატერიალისტური დიალექტიკის დამუშავების მთელ ამოცანას ხედავდა ჰეგელის დიალექტიკის უბრალო გადმოწერაში. საქართველოშიაც ჰქონდა ასეთ შეხედულებას დიდი გასავალი, მაგ. მოსე გოგიბერიძე თავის წიგნში „ლენინი, როგორც ფილოსოფოსი" პირდაპირ სწერს, რომ „მარქსის დიალექტიკა ჰეგელის დიალექტიკის ერთ-ერთი სახეობაა"-ო. დებორინელები მექანიკურად აცილებდენ ჰეგელის იდეალიზმს და მის დიალექტიკას, არ ესმოდათ, რომ ჰეგელის დიალექტიკაც თავისი ბუნებით იდეალისტური იყო. „ჰეგელისათვის—სწერდა მარქსი—აზროვნების პროცესი, რომელსაც ის აქცევს აგრეთვე იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტად, არის დემიურგი (შემოქმედი, შემქნელი) სინამდვილისა... ჩემთან კი, ამის საწინააღმდეგოდ, იდეალური სხვა რამე არ არის, გარდა მატერიალურისა, რომელიც გადატანილია ადამიანის თავში და, მასში გარდაქმნილიო" (კაპ. ტ. I, მე-2 გამოც. ბოლო სიტყვაში). ამიტომ მარქსი პირდაპირ აცხადებს აქვე, რომ „ჩემი დიალექტიკური მეთოდი არა მარტო ძირფესვიანად განსხვავდება ჰეგელისაგან, არამედ წარმოადგენს მის პირდაპირ საწინააღმდეგოს. იმის მაგივრად, რომ მომენშევიკო იდეალიზმს გაერკვია მარქსის და ჰეგელის დიალექტიკის ნათესაობა და ამ ნათესაობის ბუნება, მან მექანიკურად გააიგივა ისინი. მარქსი არ უარყოფს ნათესაობას ჰეგელთან, რადგან, როგორც ის აღნიშნავს იმავე კაპიტალის ბოლო-სიტყვაობაში „იმ მისტიფიკაციას, რომელიც დიალექტიკამ განიცადა ჰეგალის ხელში მაინც არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ სახელდობრ ჰეგელმა პირველმა მოგვცა ამომწურავი და შეგნებული სუ-

რათი მისი მოძრაობის ზოგადი ფორმების *). მაგრამ „ჰეგელის დიალექტიკა არ შეიძლება გამოვიყენოთ არსებული სახით, არ შეიძლება ავიღოთ, როგორც ასეთი. მისგან უნდა ამოვკრიფოთ ლოღიკური (გნოსოლოგიური) მხარეები, გავსწმინდოთ იდეების მისტიკისაგან; ეს კიდევ დიდი მუშაობაა“ სწერს ლენინი. ეს ვერ გაიგო მომენშევიკი იდეალიზმმა. თუ მარქსმა არ დაგვიტოვა ლოღიკა „დიდი ანბანით, სამაგიეროდ მან დ[illegible]ა ლოღიკა „კაპიტალის“ და ეს საჭირო იყო კარგად გამოგვეყენებია ამ საკითხზეო“ სწერს ლენინი (გვ. 299-12 ლენ. კრებ.). მათ ვერ გამოიყენეს ლოღიკა პატარა ანბანით, რომელიც დაგვიტოვა მარქსმა თავისი უკვდავი „კაპიტალის“ სახით. მარქსმა „ფეხზე დააყენა თავყირა მდგარი ჰეგელის დიალექტიკა“, მაგრამ ეს ფეხზე დაყენება კი არ იყო უბრალო მექანიკური საქმე, არამედ მოითხოვდა ჰეგელის დიალექტიკის კრიტიკულად გადამუშავებას და დაძლევას. მარქსი დამთავრებული მატერიალისტი იყო. მან დასძლია ფეიერბახის სუსტი მხარეები უკვე 1844-45 წლებში. ფილოსოფიის უმთავრეს საკითხად გამოცხადებულ იქნა ყველა დროის მატერიალისტებთან ერთად აზროვნების და არსის დამოკიდებულების საკითხი. თუ ყველა ჯურის იდეალისტებისათვის, მასთან ერთად ჰეგელისათვის, აზროვნება იყო არა ასახვა რეალური სინამდვილის ჩვენს თავში, არამედ რეალური სინამდვილე და ყველა საგნების პროცესი გამოცხადებულ იქნა რაღაც იდეის (რომელიც ქვეყნის გაჩენამდე არსებობდა) გამოსახულებად, მარქსმა დაამტკიცა, რომ რეალური სინამდვილე, ბუნება არის ამოსავალი წერტილი ყველაფრისა და ჩვენი შემეცნება კი მისი ასახვა ჩვენს ტვინში. „ქვეყნის ერთიანობა მდგომარეობს არა მის მყოფობაში, არამედ მის მატერიალობაში, რომელიც მტკიცდება ფილოსოფიისა და ბუნების მეტყველების ხანგრძლივი და ძნელი განვითარებით. მოძრაობა არის მატერიის ყოფობის ფორმა. არასოდეს და არსად არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს მატერია მოძრაობის გარეშე და მოძრაობა უმატერიოდ. თუ დავსვამთ საკითხს რა არის აზროვნება და შემეცნება, საიდან წარმოიშვებიან ისინი, ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი ადამიანის ტვინის პროდუქტებია, და რომ თვითონ ადამიანი წარმოადგენს ბუნების პროდუქტს, რომელიც ვითარდება განსაზღვრულ ბუნებრივ გარემოში და მასთან ერთად. ამის გამო თავისთავად იგულისხმება, რომ ადამიანის ტვინის პროდუქტებიც საბოლოო ჯამში იგივე ბუნების პროდუქტებია, არ ეწინააღმდეგებიან ბუნების სხვა კავშირს, არამედ შეესაბამებიან მას“ (ენგელსი—ანტიდიურინგი).

მარქსმა გადასწყვიტა-რა მატერიალისტურად აზრისა და არსის დამოკიდებულების საკითხი, ის ვერ ეგუებოდა როგორც აღვნიშნეთ ზემოდ, ფეიერბახის პასიურ-მჭვრეტელურ მატერიალიზმს. ის ამდიდრებს მატერიალიზმს დიალექტიკით და მით მატერიალიზმი და დიალექტიკა აჰყავს მაღალ საფე-

*) К. Маркс. т. I. მე-2 გამოცემის ბოლო სიტყვაობა.

ხურზე. მატერიალისტური დიალექტიკა აძლევს მარქსს „კრიტიკულ-რევოლუციონურ მოქმედების მეთოდს“ და მით მატერიალიზმი იქცევა მოქმედების ფილოსოფიად. როგორ დამოკიდებულებაშია მარქსი ფეიერბახთან? ამ საკითხის ირგვლივ, როგორც მომენშევიკო იდეალიზმი, ისე პლეხანოვი ერთგვარ შეცდომას იდენენ. პლეხანოვიც და დებორინის ჯგუფიც ახდენენ ფეიერბახის მარქსიზაციას. აცხადებენ მარქსს ფეიერბახის მოწაფედ, განსაკუთრებით შემეცნების თეორიის დარგში, პლეხანოვი ეხება რა მარქსის და ფეიერბახის დამოკიდებულებას, აცხადებს, რომ მარქსი „წმინდა ფილოსოფიურ საკითხებში სიკვდილამდე დარჩა ფეიერბახის მოწაფეო“. განსაკუთრებით ამ აზრს პლეხანოვი გამოსთქვამს „მარქსიზმის ძირითად საკითხებში“.

„მარქსის გნოსეოლოგია პირდაპირი ხაზით წარმოიშობა ფეიერბახის გნოსეოლოგიიდან. ანდა თუ გინდათ, ის საკუთრივ არის ფეიერბახის გნოსეოლოგია“. (პლეხანოვი „მარქსის ძირითადი საკითხები“ გვ. 37). მარქსს და ენგელსს სრულიად არ შეუწყვეტიათ გაზიარება საკმაო მნიშვნელოვანი ნაწილის მისი (ფეიერბახის) ფილოსოფიურ შეხედულებისა“ (იქვე გვ. 44).

პლეხანოვი მარქსს ფეიერბახის მოწაფედ აცხადებს არა მარტო შემეცნების თეორიაში, არამედ პრაქტიკულ კრიტიკულ მოქმედების გაგების საკითხებშიაც.

„მარქსი არ იყო მართალი, როცა ფეიერბახს უსაყვედურა მასში, რომ მას არ ესმოდა „პრაქტიკულ-კრიტიკული მოქმედება, ის ფეიერბახს ესმოდა“—სწერს პლეხანოვი თავის წერილში—„იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ“. აქ უკვე აშკარად სჩანს მარქსიზმის ფეიერბახიანული გაყალბება პლეხანოვის მიერ. ვინც ჰეშმარიტად გაიგებს მარქსიზმს, ის დაგვეთანხმება მასში, რომ მარქსმა ისევე დასძლია ფეიერბახი, როგორც ჰეგელის დიალექტიკა. მისი შეხედულება ყოველმხრივ განსხვავდება ფეიერბახის შეხედულებისაგან, ის მიდის უფრო შორს და ადის უფრო მაღალ თვალსაზრისზე. ლენინი სწერს: „მარქსთან ჩვენ გვაქვს უამრავი ახალი და მას აინტერესებს მხოლოდ წინსვლა ჰეგელიდან ფეიერბახამდე. იდეალისტური დიალექტიკიდან მატერიალიზმისაკენ *).

„მარქსი 1844-45 წლებში წავიდა ჰეგელიდან ფეიერბახთან და შემდეგ ფეიერბახიდან ისტორიულ და დიალექტიკურ მატერიალიზმისაკენ“ **). მარქსს ახასიათებდა ისტორიზმი, ფეიერბახს მეტაფიზიკა, მარქსი სცნობდა საზოგადოებრივ ადამიანს, ფეიერბახი—აბსტრაქტულ სუბიექტს. მარქსისათვის დიალექტიკა იყო შემეცნების თეორია, ფეიერბახი მეტაფიზიკურად და არა ისტორიულად აყენებს შემეცნების საკითხს. ფეიერბახთან ნატურალიზმი — ბიოლოგიზმი მოხმარებითი თვალსაზრისია, მარქსთან—ისტორიზმი და საზოგადოებრივ წარმოებაში არსებული კონკრეტულ-ის-

*) XII Ленин. сбор. стр. 295.

**) XII Ленин. сб. стр. 297.

ტორიული ადამიანია. ამიტომ ფეიერბახის შემეცნების თეორია არ შეიძლება გამოვაცხადოთ მარქსის შემეცნების თეორიად. ეხება რა პლეხანოვის ამ შეცდომას, ლენინი სწერს: „პლეხანოვი აკრიტიკებს კანტიანელობას (და აგნოსტიციზმს) უფრო ვულგარულ-მატერიალისტურ თვალსაზრისით, ვიდრე დიალექტიკურ-მატერიალისტურ თვალსაზრისით“ *). „მარქსისტები (მე-20 საუკუნის დასაწყისში) აკრიტიკებდენ კანტიანელებს და იუმისტებს უფრო ფეიერბახიანულად (და ბიუხნერის მსგავსად) ვიდრე ჰეგელურად **). როგორც მომენშევიკო იდეალიზმი, ისე პლეხანოვი აყალბებს მარქსის ფილოსოფიურ ევოლუციის საკითხებს, როცა ის მარქსს და ენგელსს ფეიერბახის მოწაფეებად აცხადებს შემეცნების თეორიის საკითხებში, ხოლო დიალექტიკაში კი—ჰეგელს.

მარქსმა კრიტიკულად დასძლია ფეიერბახი და ჰეგელი, ისარგებლა მათი მოძღვრების დადებითი მომენტებით, მაგრამ ეს დადებითი მომენტები აიღო არა მექანიკურად, არამედ დიალექტიკურად მოხსნა ისინი მარქსის. ფილოსოფია ვერ ეგუება ეკლექტიზმს, ის არ შეადგენს სხვადასხვა სისტემათა ნაჭრების შეერთებას, არამედ ის ორგანიულ მთლიან წარმოადგენს და მისი თვითოეული მომენტი ამ მთელის მომენტია, ამ მთელის ჯაჭვზეა აგებული და მისგან გამომდინარეობს, მარქსის ფილოსოფიაში, ამ მხრივ ყველაფერი ახალია; ის, რა თქმა უნდა, სდგას ძველის მხრებზე, მაგრამ ეს ძველი მასში მოხსნილი სახით შემოდის. მან მოგვცა სრულიად ახალი გაგება მატერიალიზმის და მასთან ფილოსოფიისა. ამიერიდან ფილოსოფია ისპობა ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით, იქმნება ახალი მეცნიერული ფილოსოფია, მაგრამ ეს ახალი ფილოსოფია სრულიად სხვაა, ვიდრე აქამდე ესმოდათ ის. მარქსმა რევოლუცია მოახდინა ამ დარგში. ამიტომ შემდეგი საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა გავაშუქოთ ეს არის ფილოსოფიის ახალი გაგება მარქსის მიერ, მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში.

*)—**) Ленин, соб. стр. 179, 181.

ალ. ერქომაიშვილი

მარქსიზმ-ლენინიზმი ომის შესახებ

გენიოსური მოაზროვნისა და უდიდესი რევოლიუციონერის—მარქსის თვალსაზრისით, ომი წარმოადგენს ისტორიულ მოვლენას, რომელსაც თავისი სოციალური ფესვები აქვს.

ეს საკითხი მარქსის, ენგელსისა და ლენინის მიერ შესწავლილია ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით. ისტორიული განვითარების ცალკე ეტაპების შესწავლის დროს მარქსი მოცემულ მოვლენას განიხილავს, როგორც საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა აუცილებელ შედეგს. ,,პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" შესავალში მარქსი სწერს; „ომმა უფრო ადრე მიაღწია დასრულებულ ფორმებს, ვიდრე მშვიდობიანობამ.

საჭიროა აღვნიშნოთ ის წესი, თუ როგორ განვითარდა ზოგი ეკონომიური ურთიერთობა, როგორიცაა დაქირავებული შრომა, მანქანები და სხვ. უფრო ადრე ომის გზითა და არმიაში, ვიდრე ბურჟუაზიული საზოგადოებისა შიგნით. აგრეთვე დამოკიდებულება საწარმოო ძალასა და მიმოსულ-მიმოზიდვის საშუალებებს შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა არმიაში" [1]).

ომის წარმოების წესი განისაზღვრება წარმოების წესით. საწარმოო საშუალებანი თავიანთი ცვლილების პროცესში სცვლიან აგრეთვე სამხედრო შეჯახებათა ხასიათსაც. საწარმოო ძალთა განვითარების მოცემულ კონკრეტულ ეტაპზე ომი ღებულობს გარკვეულ ხასიათს. აქედან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ კონკრეტულად იქნეს შესწავლილი სამხედრო შეჯახებათა წარმოშობის მიზეზები, რომელიც საბოლოო ჯამში განისაზღვრება ეკონომიური აუცილებლობით.

„არსებობს ტრადიციული წარმოდგენაო,—ამბობს მარქსი,—რომ ზოგიერთ პირობებში ადამიანები ვითომც ძარცვა-გლეჯით ცხოვრობდენ, მაგრამ, რათა ძარცვა შეიძლებოდეს, საჭიროა მოიპოვებოდეს საძარცვი რამ, ე. ი. წარმოება და თვით ძარცვის წესიც წარმოების წესით განისაზღვრება" [2]).

საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე ზოგიერთმა დამპყრობელმა იწყო ომის გამოყენება სამეურნეო მიზნებისათვის.

დასაწყისში არ იყო შესაძლებლობა და აუცილებლობა ტყვეთ ჩავარდნილთა სამუშაო ძალად გამოყენებისათვის და ამიტომ მათ ჰკლავდენ

[1]) იხ. კ. მარქსი· „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", ქართ. გამოცემა გვ. 33.

[2]) იხ. კ. მარქსი, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" 1932 წლ. ქართ. გამოცემა გვ. 20.

ან სჭამდენ. მაგრამ საწარმოო საშუალებათა განვითარებასთან ერთად, როცა შესაძლებელი გახდა თვითეულ მუშას ეწარმოებია იმაზე მეტი, რაც საჭირო იყო მისი არსებობისათვის, იწყეს ტყვეთ წამოყვანილთა გამოყენება სამუშაო ძალის სახით. „აქამდეო,—ამბობს ენგელსი „ანტი-დიურინგ"-ში, —სამხედრო ტყვეთათვის ვერ პოულობენ ვერავითარ გამოყენებას; ამიტომ მათ ჰკლავდენ, ხოლო უფრო ადრე კი—სჭამდენ, მაგრამ „ეკონომიური" განვითარების ამჟამად მიღწეულ საფეხურზე ტყვეს ეძლევა ფასი, მას უტოვებენ სიცოცხლეს და იყენებენ მის შრომას. ამრიგად, ძალადატანება, იმის მაგიერ, რომ ებატონებია ეკონომიურ მდგომარეობაზე, ემსახურებოდა სამეურნეო მიზნებს.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ვითარდება წარმოების ახალი პირობები, რომელიც სხვაგვარად განსაზღვრავს სამხედრო შეჯიბრთა წარმოშობასა და მიზნებს. მაგრამ ურყევი რჩება მარქსის ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით აუცილებელია სამხედრო შეჯახებათა შესწავლა ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ პრინციპის მართებული გამოყენება დამოკიდებულია მარქსიზმის სწორად გაგებისაგან. ეს პრინციპი აუცილებელია გამოვიყენოთ არა როგორც დოგმა, არამედ როგორც სახელმძღვანელო მეთოდი ამა თუ იმ საკითხის შესწავლის დროს. ამას გვასწავლიან მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი.

კაპიტალიზმის წარმოშობის ეპოქაში იცვლება სამხედრო შეჯახებათა როგორც ხასიათი, ისე მათი გამომწვევი მიზეზები. „ოქროსა და ვერცხლის მადნეულობის აღმოჩენა ამერიკაში, ადგილობრივი მოსახლეობის აღმოფხვრა, დამონავება და ცოცხლად დამარხვა მაღაროებში, ოსტ-ინდოეთის დაპყრობისა და გაძარცვის პირველდაწყებითი ნაბიჯები, აფრიკის გადაქცევა შავკანიანებზე ნადირობის ველად,—აი რა ახასიათებს კაპიტალისტური წარმოების ხანის განთიადს" [1]. „კოლონიალური სისტემა, სახელმწიფო ვალები, ხარკების სიმძიმე, პროტექციონიზმი, სავაჭრო ომები და სხვ. ეს ყლორტები საკუთრივ მანუფაქტურული პერიოდისა ბუმბერაზულად იზრდებიან მსხვილი მრეწველობის ყმაწვილობის პერიოდში" [2]. ომს, როგორც ვხედავთ, იწვევს მატერიალური ხასიათის მიზეზები, და განსაზღვრავს წარმოების წესი. ომის მიზეზები გაბატონებულ კლასის არსებობის მატერიალურ პირობებში იმარხება, ამასთანავე იგი თავისი მხრით გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ განვითარებაზე. „როგორც ამერიკის განმათავისუფლებელი ომი მე-18 საუკუნეში მოახლოებული ქარიშხალის მაუწყებელ საყვირის ხმად გაისმა ევროპის საშუალო კლასისათვის, ასევე გაისმა ევროპის მუშათა კლასისათვის ამერიკის სამოქალაქო ომი მე-19 საუკუნეშიო", სწერდა მარქსი „კაპიტალის" 1-ლი გამოცემის წინასიტყვაობაში [3].

[1] იხ. კ. მარქსი, „კაპიტალი" ქართ. გამოცემა. გვ. 693.

[2] იხ. იქვე, გვ. 699.

[3] იხ. კ. მარქსი „კაპიტალი" I ტ. ქართ. გამოცემა. წინასიტყვაობა I გამოც.

აქედან გამომდინარე, საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მარქსი გარკვეულად გამოსთქვამს იმ აზრს, რომ მომავალი ომი გერმანიასა და რუსეთს შორის გამოიწვევს სოციალურ რევოლიუციას რუსეთში. ცნობილია, რომ მარქსი მაშინდელ რუსეთს უყურებდა, როგორც ყველაზე უფრო რეაქციონურ ქვეყანას, რომელსაც შეეძლო ეწარმოებია ბრძოლა იმ ქვეყნების წინააღმდეგ,სადაც დაბადების პროცესში მყოფი კლასი ბურჟუაზიისა იბრძოდა ფეოდალიზმის მოსასპობად. მარქსის თვალსაზრისით, რუსეთთან შეჯახებას უნდა გამოეწვია საზოგადოების განსაზღვრული კლასების გამოღვიძება რუსეთში სოციალური რევოლიუციის მოხდენის მიზნით. წერილში ზორგესადმი 1876 წ. მარქსი სწერს: „ეხლანდელ ომს—რასაც პრუსიელი ვირები ვერ ამჩნევენ—ისევე აუცილებლად მოჰყვება ომი გერმანიასა და რუსეთს შორის, როგორც 1866 წლის ომმა გამოიწვია პრუსიის ომი საფრანგეთთან და ეს ყველაზე უკეთესი შედეგია, რომელსაც მე მისგან მოველი. სპეციფიური პრუსიელობა არასოდეს არ არსებობდა და მას არც შეუძლია არსებობა სხვაფრივ, თუ არა რუსეთთან კავშირში და მის ქვეშევრდომობაში. გარდა ამისა, ომი მეორე ნომერი აუცდენელი სოციალური რევოლუციის ბებია-ქალი გახდება რუსეთში“ [1]).

საკითხს სხვადასხვა სახელმწიფოთა შეიარაღებულ შეჯახების შესახებ მარქსი უდგება ამ მოვლენათა სოციალურ-ეკონომიური მიზეზების შესწავლის თვალსაზრისით, რათა გამოიყენოს იგი მუშათა კლასის ბრძოლის სასარგებლოდ ეკონომიურად გაბატონებული კლასის წინააღმდეგ.

ომი, მისი თვალსაზრისით, წარმოადგენს არა ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის ცუდი პოლიტიკის შედეგს, არა რაიმე შემთხვევით მოვლენას. არამედ საზოგადოების ექსპლოატორ და ექსპლოატირებულ კლასებად დაყოფის შედეგს. ომში მონაწილე ესა თუ ის სახელმწიფო მიზნად ისახავს გააგრძელოს გაბატონებულ კლასის პოლიტიკა ომის საშუალებით.

აქედან გამომდინარეობს იმ მიზეზების კონკრეტული შესწავლის აუცილებლობა, რომელნიც იწვევენ ომს ისტორიული განვითარების მოცემულ ეტაპზე, მოქმედების გარკვეულ გეგმის გამოსამუშავებლად ომის გამოყენების საქმეში რევოლუციის ინტერესებისათვის. მარქს უხდებოდა რევოლუციური მოღვაწეობა ისეთ ეპოქაში, როცა ბურჟუაზიული კლასის მოძრაობა არსებითად ფეოდალიზმის სხვადასხვა სახის წინააღმდეგ სწარმოებდა.

ეს იყო არა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქა, არამედ ეპოქა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებისა, როცა ბურჟუაზია პროგრესიულს, ხან-კი რევოლუციონურ როლსაც თამაშობდა ფეოდალიზმის მოსპობის საქმეში.

აქედან გამომდინარეობდა მარქსის დამოკიდებულება ომისადმი, რომელიც (მარქსი) ხელმძღვანელობდა არა პაციფისტური მოსაზრებით, რომლის მიხედვით შესაძლოა ომის მოსპობა კაპიტალიზმის არსებობის პირობებში, არამედ იმ მოსაზრებით, თუ რომელი სახელმწიფოს გამარჯვება

[1]) К. Маркс и Фр. Энгельс „Письма“, стр. 222.

უზოუნველჰყოფს მოცემულ ომში საერთო დემოკრატიული მოძრაობის განვითარებას.

ცნობილია, რომ 1848-49 წლებში მარქსი გამოსთქვამდა აზრს თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ ომის სასარგებლოდ. მარქსი და ენგელსი მაშინდელ მეფის რუსეთში ხედავდენ იმ ძალას, რომელიც წარმოადგენდა რევოლუციის ყველაზე უფრო საშიშ მტერს. მარქსი გამოდიოდა რევოლუციის ინტერესებიდან და მოითხოვდა, რომ იერიში მიტანილი ყოფილიყო რეაქციონური რუსეთის წინააღმდეგ. მან იცოდა, რომ მეფე ნიკოლოზი დახმარებას აღუთქვამდა პრუსიის პრინცს მის განკარგულებაში ჯარების გაგზავნის სახით იმ პირობით, თუ ის შესძლებდა მოძრაობის მეთაურობას რევოლუციის წინააღმდეგ. ეს გახდა იმ სიძულვილის მიზეზი, რომლითაც გამსჭვალული, იგი გამოდიოდა რუსეთის ჟანდარმის წინააღმდეგ.

„ჩვენ ვიცით ეხლაო,—ამბობდა მარქსი,—თუ სად არის კონცენტრირებული მტერი: რუსეთში და ავსტრიის სლავიანურ ოლქებში; და ვერავითარი ფრაზები და მითითება ამ ქვეყნების გაურკვეველი დემოკრატიული მომავლის შესახებ ხელს ვერ შეგვიშლის მოვეპყროთ ჩვენს მტრებს, ისე როგორც მტრებს [1]).

როგორც მკითხველი ხედავს, ამ შემთხვევაში ძირითადი ამოცანაა ბრძოლა რევოლუციის გამარჯვებისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ გამოწვეული იქნეს აღშფოთება იმ ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც ბატონობს რეაქციონური მთავრობა, ამავდროულად მარქსი ილაშქრებს გერმანელი მართველების წინააღმდეგაც, რომელნიც რევოლიუციის დროს გამოსავალს ეძებდენ ომში პოლონეთის, ბოჰემიის, იტალიის და სხვ... თავისუფლების წინააღმდეგ.

„რეინის ახალ გაზეთში“ ის სწერდა: „მხოლოდ ომი რუსეთთან არის რევოლუციური გერმანიის ომი—ომი, რომელშიც იგი შესძლებს ჩამოირეცხოს წარსულის ცოდვები, გამაგრდეს და დაამარცხოს თავისი საკუთარი თვითმპყრობელნი,—ომი, რომელშიც იგი, როგორც ეს შეფერის იმ ერს, რომელმაც მოიცილა ხანგრძლივი მორჩილი მონობის ხუნდები,—თავის შვილთა სისხლით იყიდის ცივილიზაციის პროპაგანდის უფლებას და განითავისუფლებს თავს შიგნით ხალხის განთავისუფლებასთან ერთად გარედ“ [2]). ყირიმის კამპანიის ეპოქაშიც მარქსი გამოდიოდა ისევ რევოლუციის განვითარების ინტერესებიდან და იმავე თვალსაზრისზე იდგა.

რუსეთის გამარჯვება ოსმალეთზე, მის მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობა მოასწავებდა მეფის თვითმპყრობელობის გაძლიერებას, როგორც თვით რუსეთში, ისე მისი ფარგლების გარეთაც. ეს გარემოება ისეთ პირობებს შექმნიდა. რომლის დროსაც რუსეთი შესძლებდა გაეზარდა თავისი ძალები რევოლუციის წინააღმდეგ. არც რევოლუციურ დემოკრატიას,

[1]) К. Маркс и Ф. Энгельс—в эпоху Немецкой револ. изд. 1921 г. стр. 276.

[2]) К. Маркс и Ф. Энгельс — в эпоху Немецкой революции, изд. 1926 г. стр. 117.

არც ინგლისს არ უნდა „მიეცა ნება მეფისთვის გადაექცია კონსტანტინეპოლი ერთ-ერთ თავის სატახტო ქალაქად“.

„თუ რუსეთმა დაიპყრო ოსმალეთი,—სწერდა მარქსი,—რუსეთის ძალები გადიდდება ორჯერ და იგი აღმოჩნდება ევროპის ყველა ქვეყნებზე უფრო ძლიერი. საქმის ასეთი ვითარება-კი აუწერელი უბედურება იქნებოდა რევოლუციისათვის“ [1]).

მუშათა კლასის მტრებმა დაამახინჯეს მარქსის მოძღვრება ომზე. ყოფილმა ლეგალურმა მარქსისტმა, ეხლა-კი კონტრ-რევოლუციონერმა სტრუვემ მარქსის პოზიცია განგებ დაამახინჯა და საქმის ვითარება ისე წარმოგვიდგინა, თითქოს მეცნიერული სოციალიზმის საფუძველმდებელმა „მარქსმა“ სლავიანური მცირე ეროვნებანი (ჩეხების გამოუკლებლივ) განწირა გერმანიზმისათვის შესაშველად. მაშინ, როცა მარქსი ლაპარაკობს არა გერმანიზმის ან სლავიანიზმის ინტერესებზე, არამედ რევოლუციის ინტერესებზე, მისთვის დამახასიათებელი გენიოსობით იგი ამტკიცებდა სამხედრო შეჯახებათა გამოყენების აუცილებლობას რევოლუციის მიზნებისათვის. „საკმარისია მხოლოდ სიგნალი,—სწერდა იგი,—რომ წინ გამოვიდეს მეექვსე და უდიდესი ევროპული სახელმწიფო ბრწყინვალედ შეიარაღებული ხმალით ხელში, როგორც მინერვა ოლიმპიელის თავიდან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპაში არსებობს კიდევ ერთი, მეექვსე სახელმწიფო, ოომელიც განსაზღვრულ მომენტებში დაიმორჩილებს ყველა ხუთს, ეგრედწოდებულ „დიდ სახელმწიფოს და ყოველ მათგანს ცახცახს დააწყებინებს. ეს ძალაა რევოლუცია“.

მარქს-ენგელსის პოზიცია 1870-71 წლ. ეპოქაში იმავე მოტივებით განისაზღვრებოდა. ძირითადი შეტევა ამ შემთხვევაში უნდა წარმართულიყო ბონაპარტისტული საფრანგეთის წინააღმდეგ. მარქსი აქაც გამოდის მუშათა კლასის ინტერესებიდან, რევოლუციური მოძრაობის ინტერესებიდან, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაშიც. სწორედ ამიტომ ფიქრობდა იგი, რომ ბონაპარტისტული საფრანგეთის დამარცხება გამოიწვევს გერმანიის ნაციონალურ გაერთიანებას, რომელიც ბიძგს მისცემს საწარმოო ძალთა განვითარებას და მუშათა მასების გაერთიანებას ეკონომიურად გაბატონებული კლასის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ამასთანავე მარქსი აფრთხილებდა მუშებს ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ, რათა პრუსიას არ მისცემოდა საშუალება თავდაცვითი ომი გადაექცია თავდასხმითი ომად საფრანგეთის ხალხის წინააღმდეგ. „თუ გერმანიის მუშათა კლასიო,—სწერდა მარქსი, დაუშვებს, რომ ომმა დაჰკარგოს თავისი თავდაცვითი ხასიათი და გადაიქცეს ომად საფრანგეთის ხალხის წინააღმდეგ, მაშინ გამარჯვებაც და დამარცხებაც ერთნაირად დამღუპველი იქნება. ყველა უბედურება, რომელიც ეწვია გერმანიას ეგრეთწოდებული განმათავისუფლებელი ომების შემდეგ, თავს დაგვატყდება ჩვენც ახალი და კიდევ უფრო მეტი სისასტიკით“.

[1]) К. Маркс и Ф. Энгельс. Собр. соч. X стр. 216.

ამრიგად, მარქსისთვის ომის საკითხში დამახასიათებელ მომენტებს წარმოადგენენ შემდეგი დებულებანი:

1. მარქსი იკვლევს ომს ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით.

2. იგი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ სხვადასხვა სახელმწიფოთა შეჯახება გამოიყენოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის მიზნებისათვის.

3. ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობის ეპოქაში მარქსი გამოდის პროგრესული ბურჟუაზიის ბრძოლის ინტერესებიდან ფეოდალიზმის წინააღმდეგ და სვამს საკითხს ბრძოლის აუცილებლობის შესახებ იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელიც ომში მონაწილეობს რეაქციონური მიზნით.

4. წინააღმდეგ „ობივატელობისა“ მარქსი მოითხოვდა კონკრეტული ისტორიული სინამდვილის ანალიზს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმ საკითხის გარკვევა, ჩავთვალოთ თუ არა ესა თუ ის ომი პროგრესულად, ე. ი. ისეთად, რომლისთვისაც მხარი უნდა დაეჭირა მუშათა კლასს სოციალისტური მოძრაობის ისტერესებისათვის.

ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ომების ეპოქაში (1789-71 წ.წ.) ომი დაჩაგრული სახელმწიფოს მხრით იყო ისეთი ომი, რომელიც პროგრესულ მიზნებს ისახავდა.

სულ სხვაა ომი იმპერიალიზმისა და პროლეტარულ რევოლუციების ეპოქაში. ომი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ამ ეპოქაში ისახავს არა პროგრესულ მიზნებს, არამედ არჩი-რეაქციონურ მიზნებს: კოლონიურ ხალხების დაპყრობასა და დაჩაგვრას, ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერებას და ა. შ. ომის სოციალური არსი ამ პერიოდში გამოიხატება მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბრძოლაში სხვა ქვეყნების ძარცვისათვის, ბრძოლაში რევოლუციური მუშათა კლასის წინააღმდეგ და მსოფლიოს გადაყოფისათვის (1914-18 წლ. ომი). ომის მეორე სახეს ამ პერიოდში წარმოადგენს კოლონიურისა და ნახევრად კოლონიური ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომი იმპერიალისტური სახელმწიფოებისა და ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგ.

და ბოლოს,—პროლეტარიატის ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარული დიქტატურისათვის, სამოქალაქო ომი პროლეტარული რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვების მიზნით.

იმპერიალიზმის პერიოდში ომის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ მის საბოლოო მოსპობისათვის.

„ომი განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალიზმთან, აქედან გამომდინარეობს, რომ ომის „მოსპობა“ შესაძლოა მხოლოდ კაპიტალიზმის მოსპობის გზით, ე. ი. კაპიტალისტთა—ექსპლოატატორთა კლასის დამხობის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების, სოციალიზმის მშენებლობისა და კლასების მოსპობის გზით [1]).

[1]) იხ კომინტერნის მე-6 კონგრესის სტენოგრაფიული ანგარიში.

ასეთია კომინტერნის VI კონგრესის მიერ მოცემული მითითება, რომელიც ემყარება მარქს-ლენინის მოძღვრებას ომის შესახებ.

იმპერიალიზმი, ლენინის თვალსაზრისით,—ეს მომაკვდავი კაპიტალიზმია. როცა წინააღმდეგობანი მეტის-მეტად გამწვავებულია და პროლეტარიატი აწარმოებს ომს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამ ეპოქაში საკითხის დასმა ბურჟუაზიული სახელმწიფოს დაცვის აუცილებლობის შესახებ ასეთივე სახელმწიფოს თავდასხმისაგან, როგორც ამას ჩადიოდენ ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები 1914-18 წ.წ., ნიშნავს აშკარად გადასვლას რეაქციონურ ბურჟუაზიის მხარეზე.

„სახელმწიფოთა ბურჟუაზიულ-ნაციონალური ჩარჩოები, რომელიც ფეოდალიზმისაგან განთავისუფლების გზაზე მდგომი კაცობრიობის საწარმოო ძალთა განვითარების დასაყრდენი იყო პირველ ეპოქაში:—ამბობს ლენინი,—ეხლა, მესამე ეპოქაში, გადაიქცა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების დაბრკოლებად. ბურჟუაზია აღმავალი, მოწინავე კლასიდან გადაიქცა დაქვეითების გზაზე მდგომ შინაგან მკვდარ და რეაციონურ კლასად [1]).

აი ამ რეაქციონურ კლასს მხარს უჭერდა და ყოველმხრივ ეხმარებოდა 1914-18 წ.წ. იმპერიალისტურ ომში ოპორტუნიზმი თავისი თავდაცვითი პოლიტიკით.

მუშათა კლასის გამცემლები იმპერიალისტური ომის დროს იმოწმებდენ მარქსს, რომელიც მხარს უჭერდა რევოლუციური გერმანიის ომს რეაქციონურ რუსეთის წინააღმდეგ, და გამოჰყავდათ დასკვნა „სამშობლოს დაცვის“ იდეის ცხოვრებაში გატარების აუცილებლობის შესახებ. იმ ეპოქის სოციალისტები უნდა გამოსულიყვნენ მაშინდელი ბურჟუაზიის პროგრესული როლიდან, რომელიც აწარმოებდა ბრძოლას გერმანიის ნაციონალური განთავისუფლებისათვის და აგრეთვე იბრძოდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ასეთი შეხედულების მექანიკური გადმოტანა საკითხის გარკვევისას იმპერიალიზმის ეპოქაზე, ნიშნავს მარქსიზმის განგებ დამახინჯებას. ბურჟუაზია მაშინ პროგრესული იყო; იმპერიალიზმის ეპოქაში იგი რეაქციონერია. მარქსი იცავდა მაშინ რევოლუციას რეაქციის წინააღმდეგ, ოპორტუნისტები-კი 1914 წ. იცავდენ ერთი ქვეყნის ბურჟუაზიას მეორე ქვეყნის ბურჟუაზიის თავდასხმისაგან. მარქსი მაშინ რევოლუციის ინტერესებიდან გამოდიოდა—მსოფლიო მენშევიზმი-კი იმპერიალისტური ომის დროს გამოდიოდა კონტრრევოლუციონური ბურჟუაზიის ინტერესებიდან. „შეხედეთო,—სწერდა ლენინი,—თუ რა კლოუნობას წარმოადგენს ამ მაგალითის ბრმად „განმეორება“ 1914-16 წ.წ. იმპერიალისტური ომის პირობებში. ეს ომი აგრძელებს სიმწიფის ჰასაკს—გადასულის, რეაქციონური ბურჟუაზიის ომს, რომელიც ძარცვავდა მსოფლიოს, იყოფდა კოლონიებს და სხვ.... ამ ომს ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საფუძველზე არ შეუძლია ობიექტური მდგომარეობის გამო გამოიწვიოს რაიმე დემოკრა-

[1]) იხ. ლენინი, ტ. 18, მე-2 რუს. გამოცემა გვ. 111.

ტიული „პროგრესი“, მას შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს და გააფართოვოს ყოველგვარი ჩაგვრა საერთოდ და ნაციონალური კერძოდ—და ეს მოხდება ომის ყოველნაირი დასასრულის შემთხვევაში“ [1]).

აი რატომ იყო, რომ ლენინი მოითხოვდა ასეთი ომიდან გამოსვლას თავისი მთავრობის დამარცხების გზით, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის გზით. არა სამშობლოს დაცვა, არამედ რევოლუციური გამოსვლა ომიდან—აი ლენინიზმის ძირითადი ამოცანა იმპერიალისტური ომის ეპოქაში. პლეხანოვის შოვინისტური პოზიცია სწორეთ ამ თვალსაზრისით იქნა მსჯავრდებული ლენინის მიერ. თუმცა კ. კაუცკიც იმავე შოვინისტურ თვალსაზრისით იდგა, რომელმაც წამოაყენა მე-II ინტერნაციონალის სოციალისტების მიერ თავისი სამშობლოს დაცვის უფლების აღიარების თეორია. ამაში ხედავდა კაუცკი იმპერიალისტური ომის ეპოქაში ნამდვილ ინტერნაციონალიზმს. „ეს შესანიშნავი მსჯელობა არის სოციალიზმის ისეთი უსაზღვრო-ბრიყვული დაცინვა, რომ მისი საუკეთესო პასუხი იქნებოდა შეგვეკვეთა მედალი ერთ ბზარეზე ვილჰელმ მე-II და ნიკოლოზ მე-II ფიგურებით, ხოლო მეორე მხარეზე პლეხანოვისა და კაუცკის“ [2]).

იმ „სოციალისტების“ რიცხვს, რომელნიც ბურჟუაზიული სამშობლოს დაცვის თვალსაზრისზე, იდგენ ეკუთვნის ტროცკიც, რომელიც ომისაგან რევოლუციური გამოსვლისათვის ბრძოლის წინააღმდეგი იყო. ტროცკი ისე დაიბნა, რომ მას ეგონა, თითქოს „პორაჟენცული“ პოლიტიკა თავისი მთავრობის მიმართ მოასწავებდა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მთავრობის გამარჯვებას, აქედან გამომდინარეობდა მისი უარყოფითი დამოკიდებულება „პორაჟენცული“ ლოზუნგისადმი.

ცარიელ ფრაზიორობას ეწეოდა ბუხარინ-პიატაკოვის ჯგუფიც, რომელიც სამოქალაქო ომის თვალსაზრისზე იდგა, მაგრამ დამარცხების ლოზუნგის წინააღმდეგი იყო. მაშინ, როცა ლენინი ამბობდა, რომ „რევოლუცია ომის დროს არის სამოქალაქო ომი, მთავრობის ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა-კი ერთი მხრით, ადვილი ხდება მთავრობის სამხედრო დამარცხებებით და მეორე მხრით-კი, შეუძლებელია ნამდვილად მიისწრაფოდე ასეთი გადაქცევისაკენ და ამავე დროს ხელი არ შეუწყო დამარცხებას“.

ლიუქსემბურგის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი უარჰყოფდა ნაციონალური ომების შესაძლებლობას იმპერიალიზმის დროს, მაშინ როცა, იმპერიალიზმის ეპოქაში ადგილი აქვს სამხედრო შეჯახებებს არა მარტო კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, არამედ კოლონიალური ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ომებსაც. ლენინის დამოკიდებულება ამგვარ ომისადმი საესებით განისაზღვრება მარქს-ენგელსის მიერ მოცემული თვალსაზრისით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან ეს თვალსაზრისი განავითარა და გაალრმავა იმპერიალიზმისა და პროლეტა-

[1]) იხ. ლენინი, ტომი 19, გვ. 51, რუს. გამოცემა.

[2]) იხ. ლენინი, „О войне“ 1914-18 г.г. изд. 1926 г. стр. 81.

რული რევოლუციების ეპოქაში. ლენინი უარჰყოფდა „სამშობლოს დაცვის„ ლოზუნგს და ნათლავდა ამ ლოზუნგის მომხრეებს სოციალიზმის საქმის გამცემლების სახელით, მაგრამ იგი, ამავე დროს, არ იყო ჩაგრულ ეროვნებათა დაცვის წინააღმდეგი, რომელნიც აწარმოებდენ ომს მათი მჩაგვრელი ქვეყნების წინააღმდეგ. „ომი იმპერიალისტური, ე. ი. დამჩაგვრელი სახელმწიფოების წინააღმდეგ ჩაგრულების (მაგალითად კოლონიალური ხალხების) მხრით არის ნამდვილი ნაციონალური ომი. იგი შესაძლოა ამჟამადაც. „სამშობლოს დაცვა“ ნაციონალურად დაჩაგრული ქვეყნის მხრით ნაციონალურად დამჩაგვრელების წინააღმდეგ არ არის მოტყუება და სოციალისტები სრულებით არ არიან ასეთ ომში „სამშობლოს დაცვის“ წინააღმდეგ“ (ლენინი).

ლენინის აზრით, „სამშობლოს დაცვის“ პროგრესულობას და „სამართლიანობას“. ომი პროლეტარიატის ინტერესების თვალსაზრისით უსამართლოა, თუ მას აწარმოებს კაპიტალისტური სახელმწიფო კოლონიურ ხალხთა ძარცვისა და დამონების მიზნით. მაგრამ თუ ომს აწარმოებენ კოლონიური ხალხნი კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ,—ასეთი ომი სავსებით სამართლიანი და პროგრესიულია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დაიწყო პირველად სამხედრო მოქმედება. „მაგალითად, ხვალ რომ მაროკომ ომი გამოუცხადოს საფრანგეთს, ინდოეთმა—ინგლისს, სპარსეთმა ან ჩინეთმა—რუსეთს და ა. შ., ეს იქნებოდა „სამართლიანი“ და „თავდაცვითი“ ომი იმის და მიუხედავად, თუ ვინ დაიწყო იგი, და ყოველი სოციალისტი თანაგრძნობით აღვსებოდა დაჩაგრულ, დამოკიდებულ, არა სრულუფლებიან სახელმწიფოთა მიმართ დამჩაგვრელ, მონათმფლობელურ, მძარცველ „დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგ“.[1])

ამრიგად, იმპერიალისტური ომი ნამდვილმა სოციალისტებმა (და არა საერთაშორისო ბურჟუაზიის ლაქიებმა, როგორიც არიან II ინტერნაციონალის გმირები) უნდა გადააქციონ სამოქალაქო ომად. მხოლოდ ასეთი გზით შეუძლია პროლეტარიატს გამოვიდეს ომიდან გამარჯვებული, მხოლოდ ამ გზით მოსპობს იგი კაპიტალიზმის სამეურნეო სისტემას, რომელიც ომის მიზეზს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ლაპარაკია სამოქალაქო ომის შესახებ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამასთანავე ერთად ჩვენ საქმე გვაქვს მთელ რიგ კოლონიურსა და ნახევრად კოლონიურ ქვეყნებთან, რომელნიც აწარმოებენ ხან ფარულს, ხან კი აშკარა ომს იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. პროლეტარიატის ამოცანაა გამოიყენოს ორივე ეს შესაძლებლობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის დიქტატურის დამყარების მიზნით.

მუშათა კლასმა და კომუნისტურმა პარტიამ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მოახდინეს მსოფლიოში ჯერ არ ნახული გადატრიალება, შეჰქმნეს პროლეტარიატის დიქტატურა და უდიდესი წარმატებით აწარმოებენ სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა კავშირში. ჩვენი პარტია და III კომუნისტური ინტერნაციონალი დგანან მარქსიზმ ლენინიზმის

[1]) იხ. ლენინი ტ. 18 „ომი და სოციალიზმი“ მეორე რუსული გამოც. გვ. 194.

პრინციპულ გადაუხრელ პოზიციებზე და აწარმოებენ ბრძოლას სოციალიზმის მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირში და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში. იმპერიალისტურ ომს შედეგად მოჰყვა არა მარტო სამოქალაქო ომი და პროლეტარიატის გამარჯვება ერთ ქვეყანაში, არამედ აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხ. სტალინი ანვითარებს და აღრმავებს მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ წამოყენებულ პრობლემებს, საერთოდ, და ომის საკითხს, კერძოთ.

ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დროებითი სტაბილიზაციის პერიოდში ის ამბობდა, რომ სტაბილიზაცია სრულებითაც არ ნიშნავს კაპიტალიზმის ერთ წერტილზე გაყინვას „არამედ იგი წინ მიიწევს და ვითარდება, აფართოებს თავის გავლენის სფეროს და ამართლებს თავის სიმდიდრეს“.

ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს კაპიტალიზმს შეუძლია დაღუპვის გზაზე მდგომი სამეურნეო სისტემა სამუდამოდ გადაარჩინოს პროლეტარულ რევოლიუციისაგან, როგორც ამას ამტკიცებდენ და ამტკიცებენ სოც-ფაშისტები. „სტაბილიზაცია კაპიტალიზმის პირობებში ამბობს სტალინი—დროებით აძლიერებს კაპიტალს და ამავე დროს აუცილებლად მიდის კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავებისაკენ: ა)—სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალისტურ ჯგუფებს შორის: ბ)—თვითეული კაპიტალისტური ქვეყნის მუშებსა და კაპიტალისტებს შორის და გ)—იმპერიალიზმსა და ყველა ქვეყნების კოლონიალურ ხალხთა შორის.[1])

ეს დებულება საესებით ეწინააღმდეგება სოციალ-ფაშისტების მიერ შექმნილ „თეორიას“ კაპიტალიზმის სოციალიზმში მშვიდობიანი გზით შეზრდის შესახებ (კაუცკის ულტრა-იმპერიალიზმი, ჰილფერდინგის მოწესრიგებული კაპიტალიზმი და სხვა) და კონტრ-რევოლუციონურ ტროცკიზმის დებულებას სტაგნაციის თეორიის შესახებ. კაპიტალიზმის დაღუპვა მოხდება არა უბრძოლველად, არამედ კლასთა ბრძოლის გამწვავების პირობებში. პროლეტარიატის ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ისეთივე აუცილებელი მოვლენაა კაპიტალიზმის გასანადგურებლად, როგორც ერთ დროს აუცილებელი იყო ბურჟუაზიის ომი ფეოდალიზმის წინააღმდეგ. კომინტერნის პროგრამაში ჩვენ ვკითხულობთ: „თუ ბურჟუაზიული რევოლიუციები მოასწავებდენ საწარმოო ურთიერთობათა უკვე ჩამოყალიბებულ და ეკონომიურად გაბატონებულ წყობილების პოლიტიკურ განთავისუფლებას და ექსპლოატატორთა ერთი კლასის ხელიდან ძალაუფლების გადაცემას ექსპლოატატორთა მეორე კლასზე, მაშინ პროლეტარიატის რევოლუცია ნიშნავს პროლეტარიატის ძალდატანებითი შეჩრას ბურჟუაზიულ საზოგადოების ქონებრივ ურთიერთობათა სფეროში, ექსპლოატატორთა კლასების ექსპროპრიაციას და ძალაუფლების გადასვლას იმ კლასის ხელში, რომელიც ამოცანად ისახავს საზოგადოების ეკონომიურ საფუძვლების ძირფესვიანად შეცვლას და ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარ ექსპლოატაციის მოსპობას“.

[1]) იხ. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“. გვ. 115.

მიუხედავად სოციალ-ფაშისტების „თეორიისა“ მოწესრიგებული კაპიტალიზმის შესახებ, კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფდა უსაშინელესი ეკონომიური კრიზისი, რომელიც მთელი თავისი სიძლიერით ამწვავებს ამხ. სტალინის მიერ აღნიშნულ წინააღმდეგობებს. ამ წინაღმდეგობის მოსპობას მსოფლიო კრიზისის პირობებში მეორე ინტერნაციონალის ცნობილი მიმდევრები ლამობდენ კოოპერაციის, საწარმოო დემოკრატიის საშუალებით [1]).

ამდაგვარი საშუალებით ცდილობენ ბურჟუაზიის აშკარა ლაქიები კაპიტალისტური მეურნეობის გადარჩენას განადგურებისაგან. დღეს, როგორც ვიცით, სოციალ-ფაშიზმი აშკარად გადადის ფაშიზმის სამსახურში. ამხ. სტალინი მეთექვსმეტე პარტ. ყრილობაზე აღნიშნავდა: „ბოლშევიკები ამბობდნენ, რომ ტეხნიკის ზრდამ კაპიტალისტურ ქვეყნებში, საწარმოო ძალებისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის ზრდამ, მუშებისა და გლეხების მილიონიან მასების შეზღუდულ საცხოვრებელ დონის პირობებში, აუცილებლად უნდა გამოიწვიოს მკაცრი ეკონომიური კრიზისიო. ბურჟუაზიული პრესა იღიმებოდა ბოლშევიკების „ორიგინალური წინასწარმეტყველების“ გამო. მემარჯვენე უკლონისტები ემიჯნებოდენ ბოლშევიკურ პროგნოზს. მარქსისტულ ანალიზს ისინი სცვლიდნენ ლიბერალური ლაყბობით „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ შესახებ. ხოლო რა დაგვანახვა სინამდვილემ. დაგვანახვა ის, რასაც ამბობდნენ ბოლშევიკები“.

სწორედ იმის გამო, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მძვინვარებს ეკონომიური კრიზისი, ხოლო საბჭოთა კავშირში წარმატებით მიმდინარეობს სოციალისტური აღმშენებლობა—მსოფლიო ბურჟუაზია ეძებს გამოსავალს კრიზისიდან, როგორც რევოლუციონური მოძრაობის დამარცხებაში ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში, ისე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ის ვერ ითმენს მის გვერდით პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც სპობს კლასებს და იბრძვის სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

მიუხედავად II ინტერნაციონალის გამცემლური როლისა, რომელიც ეხმარებოდა მსოფლიო კონტრრევოლიუციურ ბურჟუაზიას პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა შესძლეს დაეცვათ თავის დამოუკიდებლობა და სოციალისტური სამშობლო.

ორმოცდაათი წლის თავზე დღიდან მარქსის გარდაცვალებისა საბჭოთა კავშირი იმყოფება პროლეტარიატის დაძაბული ბრძოლის პროცესში მეორე ხუთწლედის განხორციელებისათვის, უკლასო საზოგადოების შექმნისათვის.

ამავდროულად კაპიტალისტური ქვეყნები განიცდიან სასტიკ კრიზისს. ეს ქვეყნები კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას ეძებენ საო-

[1]) იხილე რენნერი.

მარ მოქმედებათა დაწყებაში ერთად-ერთ სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში.

„კაპიტალისტურ ქვეყნებთან სსრკ-ის ეკონომიური კავშირის ძირის გამოთხრის პოლიტიკა, პროვოკაციული თავდასხმა სსრკ-ზე, აშკარა და ფარული მუშაობა სსრკ-ის წინააღმდეგ ინტერვენციის მომზადებისათვის— ეს ის ფაქტორებია, რომელნიც ემუქრებიან სსრკ-ის საერთაშორისო მდგომარეობას“ (სტალინი).

როგორია II ინტერნაციონალის პოზიცია ამ საკითხში?

მეორე ინტერნაციონალის გმირები წინააღმდეგნი არიან პროლეტარიატის ომისა ბურჟუაზიასთან, ისინი გამოდიან სამოქალაქო ომის წინააღმდეგ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან კოლონიურ ხალხთა ომის წინააღმდეგ. ისინი მხარს უჭერენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისინი მომხრენი არიან კოლონიურ ხალხთა ჩაგვრისა, იცავენ ისეთ ომს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ევროპულსა და ამერიკულ კაპიტალიზმს დაიპყროს ბაზარი აზიაში და საბჭოთა კავშირში. აი სანამდე მივიდენ თანამედროვე სოციალ-ფაშისტები. აი სანამდე მიიყვანა ისინი „მარქსიზმის კარიკატურამ“, მარქსიზმის დოგმატურმა ახსნა-განმარტებამ და უუნარობამ (მთელი მათი მოძღვრების წვრილ-ბურჟუაზიული ბუნების გამო) მიდგომოდენ საკითხს ომის შესახებ მარქსისტული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

სოციალ-ფაშისტები გამოდიან მსოფლიო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ინტერესებიდან და მეორე ინტერნაციონალის საერთო პოზიციასთან თანხმობით, დიდი ხანია ეწევიან პროპაგანდას ომის და ინტერვენციის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ცნობილი რენეგატი კაუცკი ოცნებობს თანამედროვე ეკონომიური კრიზისიდან თავის დახწევაზე საბჭოთა ხელისუფლების დამხობის გზით რუსეთში და აზიური ბაზრების დაპყრობით ამერიკისა და ევროპიული ბურჟუაზიისათვის.

„ეს მომენტიო,—ამბობს ის—მიო უფრო ადრე დადგება, რაც უფრო ადრე თანხმდებიან ცალკე სახელმწიფოები, გადალახვენ თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანხმოებებს. კეთილ განწყობილება დამყარდება საკმაო დროის განმავლობაში, თუ შევსძლებთ ევროპისა და ამერიკის ინდუსტრიისათვის აზიის ბაზრების საგრძნობლად გაფართოებას. ეს-კი შესაძლებელია ისეთი პირობების შექმნით, რომელიც გამოიწვევს რკინის გზების და გზატკეცილების ინტენსიური მშენებლობის ხანას ჩინეთში, ინდოეთში და რუსეთში[1]).

სოციალისტური პარტიის პრესა საფრანგეთში 1931 წ. აწარმოებდა აშკარა კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ლეონ ბლიუმმა იწყო შემდეგი თეორიის განვითარება: „თავისუფალმა სახელმწიფოებმა უნდა დაიწყონ დიქტატურის მთაერობის მშვიდობიანი რღვევის კამპანია, რადგანაც განიარაღების გულწრფელობა და მაშასადამე, უშიშროება საბო-

[1]) Der Kampf. 1931 წ. გვ 297.

ლოოდ დამოკიდებულია ხალხის ნებაზე, მუშათა კლასის ორგანიზაციულად შეკავშირებულ ძალაზე მთავრობათა მიმართ, მაგრამ ეხლანდელ ევროპაში არიან სახელმწიფოები, სადაც მუშათა კლასის თავისუფლება არ არსებობს, სადაც მუშათა კლასი მოკლებულია საშუალებას აშკარად გამოვიდეს—თუ ეს მთავრობას არ სურს. ამ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნიან ფაშისტური იტალია ისე, როგორც ბოლშევიკური რუსეთი, როგორც ბეტლენის უნგრეთი, ისე პილსუდსკის პოლონეთი".

ეს აშკარა მოწოდებაა ინტერვენციისაკენ პროლეტარიატის დიქტატურის დანგრევის მიზნით. ცხადია, რომ მუშათა კლასის სისხლით მოპოებული საბჭოთა ხელისუფლების „მშვიდობიანი" დანგრევის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. საკითხი აშკარად და გარკვეულადაა დასმული იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა მიიტანონ იერიში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ—მეტი არაფერი. ამაში და მხოლოდ ამაში მდგომარეობს ლეონ ბლიუმის მთელი „სოციალისტური" სიბრძნე.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ბრეიტშეიდმა „Gesellschaft"-ში. თავის დროზე წერილი უძღვნა ლოკარნოს. წერილში ნათქვამია: „ცხადია, ერთა ლიგის ზემოთ მოყვანილი მე-16 ს-დან გამომდინარეობს ჩვენი სამხედრო და ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით—განსაზღვრული გარემოების დროს მონაწილეობა მივიღოთ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლებში".

სოც.-დემოკრატი ბილიკი საბჭოთა კავშირის არსებობის ათი წლის თავთან დაკავშირებით სწერდა: „ბოლშევიკური დიქტატურის რეჟიმს არ სურს ხელიდან გაუშვას თავისი ბატონობა და მიმართავს არა მარტო საგარეო-პოლიტიკურ ავანტიურას, რომლის შედეგის წინასწარი გათვალისწინება შეუძლებელია. იმპერიალისტური ომის საშიშროება აღმოსავლეთში იმარხება. და ამ საშიშროებას ამწვავებს არა მარტო კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობათა პოლიტიკა,—ბოლშევიკურმა მთავრობამაც უკვე დაამტკიცა, რომ მას დიდებულად შეუძლია განიმეოროს ბურჟუაზიის იმპერიალისტური პოლიტიკა. ამრიგად, პროლეტარიატის რეჟიმთან ბრძოლა დემოკრატიული რუსეთისათვის, სრული პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლებით—არის ბრძოლა იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, ბრძოლა მშვიდობიანობისათვის".

კომენტარიები ზედმეტია. ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ მსოფლიო მენშევიზმის ძირითადი პრინციპია. ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ რევოლიუციის სასარგებლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპს წარმოადგენს.

ომის შესახებ მარქს-ლენინის მიერ მოცემულ ზოგად პრინციპიალურ თვალსაზრისთან დაკავშირებით საინტერესოა შევეხოთ საქართველოს მენშევიზმის პოზიციას იმპერიალისტური ომის შესახებ.

საქართველოს მენშევიზმის ბელადი—ნ. ჟორდანია იცავდა გარკვეულ პლეხანოვისებურ—ობორონცულ პოზიციას ა/კავკასიაში. საქართველოს მენშევიკები აწარმოებდენ ბრძოლას არა იმპერიალისტური ომის წი-

ნააღმდეგ, არამედ მეფის თვითმპყრობელობის დახმარებისათვის ამ ომში. პარტია მთლიანად მონაწილეობას ღებულობდა დეზერტირობის წინააღმდეგ, ეწეოდა აგიტაციას ომში მონაწილეობის სასარგებლოდ და სხვ... თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, ისინი როგორც საქართველოში, ისე ა/კავკასიაში და აგრეთვე მთელ რუსეთში ჩხეიძის, ჩხენკელისა და წერეთლის სახით იცავდენ „ობორონცულ“ პოზიციას.

ოქტომბრის რევოლუციას ისინი მტრულად შეხვდენ და ამიერ-კავკასიის ყველა კონტრ-რევოლუციურ ძალებთან ერთად გაუწიეს აქტიური წინააღმდეგობა პროლეტარიატის დიქტატურას. იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით, რომელნიც აწარმოებდენ ომს რუსეთის მუშათა და გლეხთა წინააღმდეგ თვითმპყრობელური რეჟიმის რესტავრაციის მიზნით, იმათ მოაწყვეს საქართველოს „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა, რომელიც კრებდა არმიას დენიკინის დასახმარებლად. ეს ხდებოდა რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის გაშმაგებული ბრძოლის მომენტში თეთრგვარდიელი გენერლების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, სამოქალაქო ომში, რომელიც მოჰყვა პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღებას, ქართულ მენშევიკებს ეჭირათ აშკარა კონტრრევოლუციური პოზიცია.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომელიც დასდო საბჭოთა ხელისუფლებამ გერმანიასთან, მენშევიკების საზიზღარი დემაგოგიური კრიტიკის საგანი გახდა, რომელიც მიმართული იყო ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. წერეთლის პირით ა/კავკასიის სეიმში 1918 წ. 31 მარტს მენშევიკებმა განაცხადეს: „ოსმალეთის იმპერიალიზმმა წამოგვიყენა ულტიმატუმი—ვსცნოთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება.. ამ სასიკვდილო განაჩენს ჩვენი სამშობლოსათვის ჩვენ ხელს ვერ მოვაწერთ“.

სახელდახელოდ შეადგინეს დელეგაცია და გააგზავნეს ოსმალეთში მოლაპარაკებისათვის ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ოსმალეთის მთავრობამ საქართველოს მენშევიკები გამოიყენა თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის.

საქართველოს მენშევიკებს მშვენივრად ესმოდათ, რომ მუშები და გლეხები მათ მხარს არ დაუჭერენ და ამიტომ—რომ შესაძლებელი ყოფილიყო საქართველოში მენშევიკური მთავრობის შენარჩუნება ოტომანის იმპერიისა და იმპერიალისტური გერმანიის ძალებით—არა თუ თანხმობა განაცხადეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაზე, არამედ გადასცეს კიდეც სრულ განკარგულებაში „დამოუკიდებელი“ საქართველო ოტომანის იმპერიის ჯარებს, ოტომანის იმპერიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე „დამოუკიდებელი“ საქართველოს მთავრობა ადგენს: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა მოაწყოს საქართველოს რკინის გზებზე ოსმალეთის ჯარისათვის ყოველგვარი გადატან-გადმოტანა, ტრანზიტი (გადაყვანა ჯარების, სამხედრო მასალის, იარაღის და სხვ...)“.

ყველაფერი ეს საჭირო იყო ბაქოს კომუნარების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის. ასეთია საქართველოს მენშევიკების დამოკიდებულება ომისადმი. ეს დამოკიდებულება განისაზღვრება არა რევოლუციის

ინტერესებით—როგორც ამას მოითხოვს მარქსიზმ-ლენინიზმი, არამედ ემყარება კონტრრევოლუციის ბატონობის ინტერესებს, მსოფლიოში ერთად-ერთი პროლეტარული ხელისუფლების ჩახრჩობის მიზნებს.

ეს კონტრრევოლუციური პოზიცია განსაზღვრავს საქართველოს სოციალ-ფაშიზმის ხაზს მიმდინარე ეტაპზე, რომელიც გამოიხატება იმპერიალისტურ ინტერვენციის მოწყობის ცდით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ბურჟუაზია ეკონომიურისა და პოლიტიკური კრიზისის თანამედროვე ეტაპზე, როგორც ეს აღნიშნა სტალინმა ჩვენი პარტიის XVI ყრილობაზე, მიისწრაფის გამოვიდეს კრიზისული მდგომარეობიდან კაპიტალის ბატონობის ქვეყნებში კომუნისტური მოძრაობის ჩახშობის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მოწყობის გზით. ამ კონტრრევოლუციონურ მისწრაფებებში მსოფლიო ბურჟუაზია აშკარა დახმარებას პოულობს კაუცკების, ვანდერველდეების, ადლერების და საზოგადოდ მთელი II ინტერნაციონალის მხრით. ქართველი მენშევიკები, რასაკვირველია, იმყოფებიან იმ სოციალ-ფაშისტების ბანაკში, რომელთა თვალსაზრისს ჩვენ უკვე ზემოთ გავეცანით. მაგალითად, ჟორდანია საქართველოში ძველი ბურჟუაზიულ-პომეშჩიკური წყობილების დამხობის გამო სწერს:

„მთელი ჩემი მუშაობის მიზანი მდგომარეობს იმაში, რათა ევროპის ოფიციალური და არა ოფიციალური წრეები მოვამზადოთ იმდენად, რომ, რუსეთში რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში ისინი ჩვენი მომხრეები გახდენ და პოლიტიკური დახმარება გაგვიწიონ". როგორც ვხედავთ ქართველი ემიგრანტები მთელ თავის იმედს ამყარებენ კაპიტალისტურ ქვეყნებზე, რომელთა მტრული განწყობილება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ განსაკუთრებულად ძლიერია მსოფლიოს კაპიტალისტური კრიზისის უსაზღვროდ გამწვავების გამო. ამ საკითხში ისინი გამოდიან შეთანხმებულად ყველა კონტრრევოლუციონურ ძალებთან ერთად. ჟორდანია იმუშავებს პარიზში მყოფი ყველა კონტრევოლიუციური მთლიანი ფრონტის ტაქტიკას, ტაქტიკას გაერთიანებული შეტევისას მუშაობა და გლეხთა ხელისუფლებაზე. რევოლუციის დაღუპვა—აი სოციალ-ფაშისტი ჟორდანიას ძირითადი ამოცანა.

„ემიგრაციის გაერთიანება საქართველოს პოლიტიკურ-პარტიულ ნიადაგზე, მისი სავსებით ჩადგომა ერის და ერში მომუშავე ორგანიზაციათა კალაპოტში, ერთად-ერთი პირობაა ემიგრაციის სამშობლოსთან განუყრელად დაკავშირების, მისი გულის ტკივილის გაგების, მისი ჭირ-ვარამის გაზიარების და მასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული დიდ მოსალოდნელ გარდატეხის მომზადებულად შეხვედრის".[1])

საქართველოს მუშა და გლეხი დიდი ხანია ზიზღით იხსენიებს მენშევიკურ წარსულს და არავითარ შემთხვევაში არ სურს საქვეყნო ბურჟუაზიის ლაქია ჟორდანიასთან რაიმე კავშირი იქონიოს.

საბჭოთა საქართველო მიდის წინ უკლასო საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

[1]) „ბრძოლის ხმა" 1931 წ. № 13.

რაკი მან ვერ ჰპოვა საქართველოში თავისი ანტირევოლუციონური მუშაობის დასაყრდენი, იგი საკითხს სვამს საბჭოთა კავშირთან კაპიტალისტური ქვეყნების შეიარაღებული შეჯახების აუცილებლობის შესახებ იგი ჰფიქრობს მხოლოდ ასეთი გზით დაიბრუნოს თავის ამხანაგებთან ერთად დაკარგული ხელისუფლება საქართველოში.

ეკონომიური კრიზისი სულ უფრო და უფრო უჭერს მუხრუჭს კაპიტალისტურ ქვეყნებს. ბურჟუაზია ყველა თავის სოციალ-ფაშისტურ ლაქიებთან ერთად ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის მუშები ერთიანდებიან ერთად-ერთი სწორი ლენინური ლოზუნგის ირგვლივ: „ომი—ომს“. პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში ომს ბოლოს მოუღებს მხოლოდ პროლეტარიატი მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებით და უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების გზით მთელს მსოფლიოში. ომების მიზეზის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მუშათა კლასის გამარჯვებით მსოფლიო ბურჟუაზიაზე და მის კუდში მოჩანჩალა მსოფლიო სოციალ-ფაშიზმზე.

მეორე ხუთწლედის პირველი წლის საგაზაფხულო თესვის გოლშევიკურად ჩატარებისათვის

გ. მგალობლიშვილი

1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ *)

საქართველოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციები, ამის თქმა უკვე შეიძლება ეხლა უფრო მომზადებულად და ორგანიზაციულად შეხვდენ საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიას, ვიდრე წინა წლებში და კერძოდ 1932 წელს.

ეს გარემოება მარტო მით არ აიხსნება, რომ საქართველოს პარტ-ორგანიზაციებმა, 1932 წელს ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომების გამოსწორებით ჯერ კიდევ გასულ წელს მიაღწიეს სოფლად მუშაობის რამდენიმეთ გაუმჯობესებას.

მიმდინარე წლის საგაზაფხულო კამპანიისათვის უკეთეს მომზადებას ჩვენ მივაღწიეთ უმთავრესად იმ მითითებათა საფუძველზე, რაც **ამხ. სტალინმა** მოგვცა თავის ისტორიულ სიტყვაში საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის იანვრის გაერთიანებულ პლენუმზე.

ეს მითითებები საქართველოს პარტ-ორგანიზაციას დაეხმარენ სწორად გარკვეულიყვენ სოფლის ახალ გარემოში, რომელიც შეიქმნა ჩვენი ქვეყნის მშრომელ გლეხთა საგრძნობი ნაწილის კოლექტივიზაციის შედეგათ.

ამ მითითებათა საფუძველზე საქართველოს პარტ-ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება მიაპყრეს სოფლად მუშაობის ნაკლთა გამოსწორებას, როჭლებიც, როგორც ეს საკმაოდ და სწორად აღნიშნა **ამხ. სტალინმა**, მდგომარეობდა იმაში, რომ კომუნისტების ნაწილი მოსწყდა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობას და კოლმეურნეობებში შემძვრალ სხვადასხვა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტებს მისცა საშუალება „ხელმძღვანელობა“ გაეწიათ კოლმეურნეობებისთვის და კოლმეურნეობაში მეურნეობის ფორმით სოციალისტურ ორგანიზაციაში შეეტანათ კონტრრევოლიუციონური შინაარსი.

ამ მითითებათა მეოხებით საქართველოს კომუნისტებმა ნათლად, როგორც სარკეში დაინახეს სახეცვლილი კულაკი, რომელიც ჩვენზე

*) ამხ. მგალობლიშვილის მოხსენებიდან საკ. კ. პ. (ბ)ა. კ. სამხარეო კომიტეტის გაერთიანებულ პლენუმზე.

პირდაპირი შემოტევიდან გადავიდა შეპარვით მოქმედებაზე, კოლმეურნეობაში ჩაჯდა მნეს, მოანგარიშის, მეჯინიბის, მეტაბელეს, ხშირად კი თვით გამგეობის წევრისა და თავმჯდომარის სახით და შიგნიდან აფეთქებდა კოლმეურ ნეობას, აწყობდა სახელმწიფო დავალებათა საბოტაჟს, აფუჭებდა ტრაქტორებს, ცხენებს ასნეულებდა მენინგიტით. იტაცებდა საკოლმეურნეო ქონებას და სხ.

ამ მითითებებთან შეფარდებით, საქართველოს პარტ-ორგანიზაციები, საგაზაფხულო კამპანიის მზადების პროცესში, მუშაობის მიმდინარეობაშივე შეუდგენ თავიანთი მუშაობის გარდაქმნას სოფლად; დიდი ძალები გაგზავნეს სოფლად სამუშაოდ და სოფლის ორგანიზაციების სახელმძღვანელო პოსტებზე: კოლმეურნეობებში სოფლის პარტუჯრედებში, სასოფლო საბჭოებში და სხვა ორგანიზაციებში. ამასთანავე, საქართველოს პარტორგანიზაციები შეუდგენ კულაკთან ბრძოლის ფრონტის გარდაქმნას, მათ გაშალეს ფართო განმარტებითი და ორგანიზაციული მუშაობა კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან კოლმეურნეობების გასაწმენდათ. ამ მუშაობამ, რომელიც ახლაც გრძელდება შედეგათ მოგვცა ის, რომ რამოდენიმე ასეული მეურნეობა სხვადასხვა სახის კონტრრევოლიუციონური საქმიანობისთვის გაძევებულია კოლმეურნეობიდან.

აი ეს არის ძალთა ახალი განწყობა სოფლად, რომელმაც, საქართველოს ყველა პარტორგანიზაციების ბოლშევიკური მუშაობით, სხვა ღონისძიებებთან ერთად, უნდა უზრუნველჰყოს 1933 წლის საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის გეგმის შესრულება.

როგორია ეს გეგმა?

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს მიერ საგაზაფხულო თესვის გეგმა დამტკიცებულია 656.400 ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის ხორბლეული—528.500, ჰექტ., ტეხნიკური—50.650, ბაღ-ბოსტანი—40.000, საქონლის საკვები—36.600 ჰექტარი.

ჩაის ნიადაგი უნდა მომზადდეს 1850 ჰექტარი, დაითესოს—1850 ჰექტ. მათ შორის წლის პირველ ნახევარში მომზადდეს 1130 ჰექტ. დაითესოს 880. აღდგენილ იქნას 22.232, შეკეთდეს 2.280 ჰექტარი.

რამი ითესება 500 ჰექტარი, ვენახი შენდება—1500 ჰექტ., ხეხილი 975, ციტრუსები—334, თუთის სანერგეები—110 ჰექტარი და სხ.

საერთოდ გასული წლის გეგმასთან შედარებით წელს ნათესების სივრცე მცირდება 35.000 ჰექტარით.

მეცხოველეობის ხაზით გათვალისწინებულია შემდეგი ზრდა: 1932 წელთან შედარებით მსხვილფეხა საქონლის რიცხვი წელს გაიზრდება 2 პროცენტით, მათ შორის ძროხებისა და ხარ-კამეჩის—10 პრ., ცხვრებისა და თხების რაოდენობა იზრდება 2 პროცენტით, ღორების აგრეთვე 2 პროცენტით.

საერთოდ, ხორბლეულის საშუალო მოსავალი ჰექტარზე გათვალისწინებულია 8,9 ცენტნერი, მაშინ როცა გასულ წელს ფაქტიური მოსავალი უდრიდა 6,3 ცენტნერს.

საწარმოო დავალებებთან შეფარდებით 1933 წელს სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებები დამტკიცებულია 56,963 მანეთის რაოდენობით, მათ შორის წყალთა მეურნეობაზე, 10.800.000 მანეთი.

ეს არის 1933 წლის საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის ოპერატიული გეგმა, რომლის შესრულების გარშემო საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკამ, პარტიულმა, საბჭოთა და საზ. ორგანიზაციებმა წარსულ წლებზე უფრო მეტად გაშალეს ორგანიზაციული და ენერგიული მუშაობა. კამპანიის პრაქტიკული ხელმძღვანელობისა და ყველა ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციისათვის, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებით, საქ. სახკომსაბჭოსთან იანვარში დაარსდა სპეციალური ორგანო—თესვის საქმეთა კომიტეტი.

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის გაზაფხულზე საქართველოში ითესება 35.000 ჰექტარით ნაკლები გასულ წლისაზე. ისეთ შრომისტევად კულტურების ხაზით, როგორიცაა თამბაქო და ბამბა, გასულ წელთან შედარებით ჩვენ გვაქვს შემცირება 10.000 ჰექტარით. აფხაზეთში საგრძნობლათ შემცირებულია თამბაქოს ნათესების სივრცე. საკუთრივ საქართველოში ჩვენ განკუთვნილი გვაქვს ბამბის ნათესების სივრცე—ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობისგან.

ჩაის ხაზით, ახალი პლანტაციების გაშენების გეგმა, ძველის რემონტთან ერთად შეადგენს მხოლოდ 6.300 ჰექტარს, მაშინ როცა გასულ წელს ფაქტიურად შესრულდა 12.765 ჰექტარი.

ეს ციფრები საკმაოდ ნათლათ მოწმობენ, რომ გეგმა აბსოლუტურად რეალურია. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა ფიქრი, თითქოს შესაძლებელი იყოს ამ გეგმის თავისთავად, თვითდენის წესით განხორციელება, საგაზაფხულო თესვის ყველა სამუშაოთა პროცესებში ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების აქტიური და ორგანიზებული მონაწილეობის გარეშე. არც ერთი წუთით არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობები მტკიცედ ჯერ კადევ ვერ დგანან ფეხზე; ჩვენი საბჭოთა მეურნეობები, განსაკუთრებით ტეხნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის, განუწყვეტლივ იმყოფებიან თავიანთი არსებობისათვის განუწყვეტელი ბრძოლის მდგომარეობაში; მუშებისთვის არ არის შექმნილი ელემენტარული საბინაო ყოფაცხოვრების პირობები, რის გამო საბჭოთა მეურნეობები თავიანთ საჭიროებას მუშა-ხელზე აკმაყოფილებენ არა მუშათა მუდმივი კადრების შექმნით, ან მუშა-ხელის ორგანიზაციული შეგროვებით კოლმეურნეობებიდან და სოფლებიდან, არამედ შემთხვევით ნაპოვნ პირების დაქირავებით, რომლებიც ძალიან ხშირად შესდგებიან დეკლასირებული ელემენტებისაგან, უკრაინიდან და ჩრდ. კავკასიიდან წამოსულ განკულაკებულ გლეხებიდან და ზოგჯერ მაწანწალა და სისხლის სამართლის ბოროტმოქმედთაგან.

გიგანტურ საბჭოთა მეურნეობებში, რომელთა სივრცე 1000—1500 ჰექტარს და მეტსაც აღწევს და რომელთა რადიუსი 5—7—10 კილომეტრს უდრის არ არის გზა, არ არის ტრანსპორტი, რის გამო ძალიან ხშირად შეუძლებელი ხდება პროდუქციის, მაგალითად ჩაის შეგროვება, გადამუშავების ადგილზე მიტანა. ხოლო როცა ეს ხერხდება, იგი იწვევს უდი-

დეს სატრანსპორტო ხარჯებს და პროდუქციაც დაგვიანებით და გაფუჭებული მიდის. უდიდესი სოციალისტური წარმოებები, საბჭოთა მეურნეობები, მილიონიან კაპიტალურ დაბანდებებით და მილიონიან ბრუნვებით იმყოფებიან ღარიბ და დეფიციტიან სასოფლო საბჭოების მდგომარეობაში: სამეურნეო ანგარიში არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, მეურნეობებს ხელმძღვანელობენ ზევიდან, დროულად არ ეძლევათ კრედიტები, არა აქვთ საკუთარი საბრუნავი თანხები, რის გამო მოკლებული არიან ყოველგვარ სამეურნეო-ფინანსიურ ინიციატივას და მოქნილობის უნარს.

ინდივიდუალური სექტორი, სადაც ჯერ კიდევ მოგვეპოება შეუკავშირებელ გლეხურ მოსახლეობის დიდი ნაწილი და რომლის მეურნეობებს ჩვენ თანდათან ვაქცევთ ჩვენი გეგმიანი მეურნეობის გავლენისა და ზედმოქმედების ქვეშ, არ შეიძლება დატოვებულ იქნას ჩვენი ყურადღების გარეშე.

ყველა ეს მიზეზები—კოლმეურნეობათა სისუსტე, საბჭოთა მეურნეობების მოწყობილობა და მათში ადამიანებისა და მატერიალური რესურსების ნაკლებობა, და რაც მთავარია—სოფლად უაღრესად გამწვავებულ კლასიურ ბრძოლას გარშემო, რომელშიაც მიმდინარეობს საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანია, ჩვენგან, პარტიისა და სახელმწიფოსაგან მოითხოვს ყოველმხრივ დახმარებას და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებისათვის და ერთპიროვნულ მშრომელთათვის 1933 წ. საგაზაფხულო სას. სიმ. კამპანიის ჩიტარებაში.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკამ და თესვის საქმეთა კომიტეტმა. სახკომსაბჭომ და მიწსახკომმა დროულად დასახეს და განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებშიაც მიმართული იყო სას.-სამ. კამანიის მომზადებისა და ჩატარებისაკენ.

როგორი იყო ეს ღონისძიებები და როგორია მათი შედეგები?

საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გეგმიან დავალებათა დროულად შედგენას და დაყვანას ადგილებამდე და აგრეთვე კოლმეურნეობებში წარსული წლის ანგარიშებისა და 1933 წ. საწარმოო გეგმების შედგენას.

სახკომსაბჭომ დავალებათა ადგილებამდე დაყვანის ვადათ დააწესა 25 იანვარი, ხოლო კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმების შედგენის ვადათ—25 თებერვალი.

ეს ვადები ყველგან არ იქნა დაცული და საერთოდ საწარმოო გეგმების შედგენა დასრულდა მხოლოდ 1-ლი აპრილისთვის. ეს მოხდა ზოგიერთ ადგილობრივ ორგანიზაციების მოუქნელი და არა კონკრეტული ხელმძღვანელობის გამო.

ზოგიერთ კოლმეურნეობებში (მცხეთა, სტალინისი) გეგმებს ადგენდენ საწარმოო შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად და ფართო მასების მონაწილეობის გარეშე. ცალკეულ კოლმეურნეობებში (გარე კახეთი, სამტრედია) ფორმალურად მიუდგენ აგროღონისძიებათა ნორმების გამომუ-

შავებას, მექანიკურად გადაქონდათ რესპუბლიკანური ნორმები და გეგმებსაც მექანიკურად ამტკიცებდენ.

გასულ წელთან შედარებით, შინა-საკოლმეურნეო დაგეგმვის საქმეში გვაქვს საგძნობი წარმატებები როგორც საწარმოო გეგმების დროულად შედგენის, ისე მათი ხარისხის გაუმჯობესების, ბრიგადებისთვის საწარმოო დავალებათა მიცემის საქმეში და აგრეთვე საწარმოო გეგმების განხილვასა და შედგენაში კოლმეურნეთა მასების განაწილების თვალსაზრისით.

II. მოსავლიანობის გადიდებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნათესების უზრუნველყოფა კარგი სათესლე მასალით, მისი დროული გაწმენდა და შეწამვლა.

საქ. სახკომსაბჭომ ამ საკითხზე ჯერ კიდევ 19 იანვარს გამოიტანა დადგენილება და მისცა სათანადო დირექტივები მიწსახკომსა და რაიაღმასკომებს. ჩატარებული მუშაობის შედეგათ კოლმეურნეობები და ინდივიდუალური მეურნეობები უკვე 5 აპრილისთვის იყვენ უზრუნველყოფილი სათესლე მასალით კართოფილის გარდა.

III. მოსავლიანობის აწევისათვის პირველხასრიხოვანი მნიშვნელობა აქვს სასუქების შეტანას. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ მთელი ნათესების მოთხოვნილება მინერალური სასუქების დარგში. ეს სასუქი წელს ტეხნიკური კულტურების ნათესებში შეიტანება 19.700 ჰექტარზე. ამას გარდა, პატივით უნდა განყოფირდეს 32.000 ჰექტარი. 5 აპრილისთვის სუპერფოსფატის შემოტანის გეგმა შესრულებული იყო 100 პროცენტით. სულფატამონიუმის—65 პრ., კალიუმის მარილის — 88 პრ. პატივი გატანილი იყო 566.618 ურემი.

IV. ადრეულ თესვასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდებისათვის.

პარტიის ხელმძღვანელობით, ადგილები წელს 15-20 დღით ადრე შეუდგენ ადრეულ თესვას, ვიდრე წინა წლებში. იქ, სადაც რაიონული ორგანიზაციები დროულად მოემზადენ ადრეული თესვისთვის, იგი წარმატებით ჩატარდა. ასეთია სიღნაღის რაიონი, რომელმაც ყველაზე ადრე დაამთავრა ადრეული თესვა.

V. მოსავლიანობის აწევის მიზნით წელს ჩვენში პირველად ტარდება თესლბრუნვა.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებით, თესლბრუნვა პირველ რიგში ტარდება ასე თუ ისე მსხვილ კოლმეურნეობებში, რომელთაც სამ.-სატ. სადგურები ემსახურებიან (პირველ რიგში აღმოსავლეთ საქართველოს 12 რაიონში).

თესლბრუნვას წელს ხელს უშლის ისეთი მიზეზები, როგორიცაა სათანადო გამოცდილების უქონლობა, მიწადმოწყობის არასაკმაოდ დასრულება, კოლექტივიზაციის დაბალი პროცენტი, მიწადსარგებლობის გეგმიან მასალების უქონლობა, ნიადაგის დიდი სხვადასხვაობა თვით ცალკეულ კოლმეურნეობებშიაც კი, ერთდაიმავე მეურნეობაში სარწყავ და ურწყავ მიწების არსებობა, გაუპიროვნებული მიწადსარგებლობა, სიმინდის მონოკულტურა დას. საქართველოს რაიონებში და სხ.

მიმდინარე წლის გაზაფხულიდან თესლბრუნვის გატარებას აძნელებს ის, რომ საწარმოო გეგმები არ ითვალისწინებენ მას; მრავალი კულტურისათვის (ბამბა, თამბაქო, შაქრის ჭარხალი და სხ.) ნიადაგი მომზადებული იყო 1932 წლის შემოდგომიდან და მათი სხვა კულტურით შეცვლა არ შეიძლებოდა. მიწები დაკავებული იყო 1932 წლის შემოდგომის ნათესებით და სხ.

არსებული ცნობებით, 25 მარტისთვის საქართველოს 12 რაიონში თესლბრუნვა დამუშავებული იყო 161 კოლმეურნეობაში 29.360 ჰექტარი სივრცით. აქედან თესლბრუნვა დაუმტკიცდა 109 კოლმეურნეობას, რომელთა სათესი სივრცე უდრის 18.360 ჰექტარს.

სწორ თესლბრუნვაზე კოლმეურნეობები ძირითადათ გადავლენ მიმდინარე წლის შემოდგომიდან და 1934 წლის გაზაფხულიდან.

VI. მოსავლიანობის გამადიდებელ დანარჩენ ღონისძიებათა შორის ყველაზე სუსტი აღმოჩნდა ბრძოლა მავნებლებთან, რადგანაც მცენარეთა დაცვის საზ-ბის მუშაობა სავსებით ჩაშლილი იყო როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. კამპანიის მომენტისათვის მცენარეთა დაცვის საზ—ბას არ აღმოაჩნდა არც ფინანსები და არც სათანადო შხამები.

ცეკას და თესვის კომიტეტის ზომებით მც. დაცვის საზ-ბის ორგანიზაცია სრულებით გადახალისებული და გარდაქმნილია. აპარატი გამარტივდა, გაძლიერდა სპეციალისტებითა და კომუნისტებით. წელს მავნებლებთან ბრძოლა ჩატარდება 195.000 ჰექტარზე.

მიწსახკომმა დაამუშავა მოსავლიანობის გამადიდებელი კონკრეტული ღონისძიებები (აგრომინიმუმი) ყოველი რაიონისთვის და დაუგზავნა მათ სავალდებულო დადგენილებათა სახით გამოსაცემად.

VII. საქართველოს სასოფლო მეურნეობის ტეხნიკური ძალით შეიარაღება და მაშინიზაცია ყოველწლიურად იზრდება. იგი გადაიქცა მსხვილ კოლექტიურ მიწადმოქმედების განვითარებისა და განმტკიცების ძირითად ფაქტორად. სამ.-სატ. სადგურები საგრძნობ როლს ასრულებენ მიმდინარე წლის სას.-სამ. კამპანიის ჩატარებაში. ამიტომ პარტიამ და მთავრობამ თავიდანვე განსაკუთრებული ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანეს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტი.

შესაკეთებელი იყო 1.084 ტრაქტორი, 5 აპრილისთვის შეკეთებული იყო 96,1 პროცენტი.

ჩამორჩენა ტრაქტორების შეკეთების საქმეში მით აიხსნება, რომ რემონტის ცუდი ხარისხის გამო, საჭირო შეიქნა შეკეთებული ტრაქტორების სახელოსნოებშივე დაბრუნება. მაგალითად, შემოწმებულ 42 ტრაქტორიდან 23 ხელახლა დააბრუნეს შესაკეთებლად. რემონტის ცუდი ხარისხისა და გაჭიანურების გამო სამუშაოდან მოხსნილია და პასუხისგებაში მიცემულია აბაშის სამ.-სატ. სადგურის 3 მუშაკი. მარტვილის სადგურიდან—2 და აგრეთვე ოჩემჩირის სამ.-სატ. სადგურის დირექტორი და უფროსი მექანიკოსი.

საბჭოთა მეურნეობებში შეკეთებულ 121 ტრაქტორიდან ხელახლა შესაკეთებელი შეიქნა 43 ანუ 35 პროცენტი.

რემონტის ცუდი ხარისხი აიხსნება მუშაკთა დაბალი კვიფიკაციით, სათადარიგო ნაწილების ნაკლებობით და უმთავრესად ცალკეულ მუშაკთა (აბაშა, ოჩემჩირე და სხ.) დანაშაულებრივ დაუდევრობით, რომელიც ზოგჯერ აშკარა მავნებლობამდე მიდის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტრაქტორების მომარაგებას საწვავი მასალით. მარტის, აპრილისა და მაისის განმავლობაში სულ უნდა იქნას შეტანილი 9.000-მდე ტონა ნავთი. 25 მარტისთვის შეტანილი იყო 4.378 ტონა. ლიგროინი უნდა შევიტანოთ 568,6 ტონა, შეტანილი იყო 175,4 ტონა.

სას.-სამ. ინვენტარის შეკეთების გეგმა შესრულდა შემდეგნაირად: სატრაქტორო გუთნების 95,5 პროცენტით, ცოცხალი გამწევი ძალის—გადაჭარბებით. სათესი მანქანების—82,3, ფარცხების—88,5 პროც.

მიუხედავათ ტრაქტორის მთელი მნიშვნელობისა, ცოცხალი გამწევი ძალა დღემდე უმთავრეს როლს თამაშობს საქართველოს სასოფლო მეურნეობის ენერგეტიულ რესურსებში. ამიტომ პარტიამ და მთავრობამ ცოცხალ გამწევ ძალას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დირექტივების საფუძველზე ადგილებს დროულად მიეცა მითითებები საკვები ფონდის შექმნისა და მუშა-საქონლის კვების გაძლიერების შესახებ.

VIII. სას.-სამ. კამპანიის წარმატებით ჩატარების გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც ფაქტიურად ანხორციელებენ დასახულ ღონისძიებებს. ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა რაიონულ სასოფლო და საკოლმეურნეო პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო კადრების დაწვრილებითი შემოწმება და განმტკიცება.

საქართველოს ყველა რაიონებში ჩატარდა „ხუთეულებისა“ და რაიონის ხელმძღვანელ აქტივის შემოწმება. ამავე დროს დაიწყო სოფლის შევსება სათანადო კადრებით. ცეკას მითითებათა საფუძველზე პარტიის რაიკომებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ძირეული კადრების შემოწმების დარგში.

მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ცენტრ. კომიტეტმა ტფილისიდან რაიონებში გაგზავნა 147 პარტმუშაკი, ტფილისის კომიტეტმა საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში—6 მუშაკი. ამას გარდა პარტიის საოლქო კომიტეტმა მთელი რიგი მუშაკები გაგზავნეს რაიონებში პარტიულ და საბჭოთა სამუშაოებზე. მარტო სამხრეთ-ოსეთის ოლქკომმა გაგზავნა 40—დე მუშაკი.

საბჭოთა სამეურნეო კადრების ანგარიშში ტფილისიდან რაიონებში გადაგზავნილია 194 მუშაკი.

ამასთანავე დიდი ყურადღება მიექცა სოფლის უჯრედების განმტკიცებას. 45 რაიონიდან არსებული ცნობებით, რაიონებიდან სოფლის ძირეულ სამუშაოებზე გადაგზავნილია 400 ამხანაგი. ამ მუშაობას საფუძვ-

ლად დაედო სოფლის უჯრედების, სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობების განმტკიცება შემოწმებული კადრებით.

კოლმეურნეობის საწარმოო სამუშაოზე პარტიულების გადაგზავნა დღესაც გრძელდება.

ადგილების დასახმარებლად და რაიონების სახელმძღვანელოდ რაიონებზე მიმაგრებულია ცენტრალურ კომიტეტისა და ც. ს. კ. პრეზიდიუმის 22 წევრი. მარტში თესვის მზადების შესამოწმებლად 10 დღის ვადით გაიგზავნა 23 ამხანაგი ცეკას და ც. ს. კომისიის წევრი.

ტფილისის ორგანიზაციის პარტაქტივიდან ერთი თვით გაიგზავნა 600 კაცი, მიწსახკომის ხაზით კოლმეურნეობებში საწარმოო გეგმების შესადგენად იმავე ვადით 242 კაცი. სამ.-სატ. სადგურების გამოსაკვლევად და მათი მზადების შესამოწმებლად ცეკას ხაზით გაიგზავნა 32 კაცი, მატყლის დამზადებაზე—10, პურზე —14.

ამას გარდა, პარტიის საოლქო კომიტეტები ატარებდენ ამხანაგების მობილიზაციას. ასე მაგალითად, აფხაზეთის ოლქკომმა ერთი თვით მობილიზაცია უყუ 104 მუშაკს.

დიდი მუშაობა ჩატარდა მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადების დარგში. სულ მომზადებულია 6.275 კაცი, მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 5.570 კაცის მომზადება.

ჩატარდა სამ.-სატ. სადგურების, საბჭოთა მეურნეობების და რაიმიწგანების კადრების შემოწმება და გადასინჯვა. სამ. სატ. სადგურებში შემოწმებულ იქნა 1333 კაცი. ექედან აპარატიდან გაირიცხა—112. მათ ნაცვლად წამოყენებული და ცენტრიდან გაგზავნილია საიმედო ამხანაგები.

კარაქტერისტის ხაზით შემოწმებულ იქნა 265 მუშაკი. აპარატიდან გაირიცხა 92; მეღორეობის ტრესტის ხაზით შემოწმებულია 252 კაცი, გარიცხულია 59; კოლმეურნეობათა ხაზით შემოწმდა 225, გაირიცხა—41; ჩაის საბჭოთა მეურნეობებში შემოწმდა 752, გარიცხა—169; გარიცხულთა ნაცვლად ადგილებზევე იქნა წამოყენებული და აგრეთვე ცენტრიდან გაიგზავნენ შემოწმებული და საიმედო მუშაკები. რაიმიწგანებში 50 გამგიდან შეუფერებელი აღმოჩნდა 15 კაცი, მათი შეცვლა არსებითად დამთავრებულია.

IX. სამ.-სატ. სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკური განმტკიცების მიზნით კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობის გადაჭრით გასაძლიერებლად ს. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის იანვრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას ხელმძღვანელობით 42 სამ.-სატ. სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო პოლიტგანყოფილებები.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ლტოლვას კოლმეურნეობებისაკენ. პირველ იანვრიდან 15 მარტამდე კოლმეურნეობებში ახლად შევიდა 4.925 მეურნეობა. წმენდის წესით გარიცხულია 1.076 კულაკური ანტი-საკოლმეურნეო და სოციალურად უცხო ელემენტი.

ამრიგად, 25 მარტისთვის საქართველოს კოლმეურნეობები აერთიანებდენ 170.826 მეურნეობას, ანუ 37,2 პროცენტს მაშინ, როცა პირველ იანვრისთვის გაერთიანებული იყო 165.671 მეურნეობა, ანუ 36,1 პროც.

მოსავლისა და შემოსავლის განაწილების ზოგიერთი შედეგები: განაწილება 25 მარტისთვის დამთავრებული იყო 3.380 კოლმეურნეობაში, ანუ მთელ კოლმეურნეობათა 98,6 პროცენტი.

გასული წლის შემოსავლის განაწილების საბოლოო შედეგების შესახებ ცნობები მიღებულია 14 რაიონიდან, რომლებიც აერთიანებენ 42.976 მეურნეობას 187.735 მჭამელით და 70.315 შრომის უნარიანით. ამ რაიონების კოლმეურნეობებში გასული წლის საერთო შემოსავალი უდრის 21.346.435 მანეთს მაშინ, როცა 1931 წელს უდრიდა 10.988.684 მანეთს. ფულადი შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან 1931 წელს უდრიდა 27,1 პროცენტს, ხოლო გასულ წელს იგი გაიზარდა 56,9 პროცენტამდე. 1932 წელს ამ რაიონების კოლმეურნეობებში დაიხარჯა 4.342.824 შრომა - დღე მაშინ, როცა 1931 წელს დაიხარჯა 3.833,952 შრომა-დღე. შრომა-დღეების საერთო შემოსავალი გაიზარდა 13,3 პროცენტით.

ცალკეულ რაიონებში შრომა-დღეების რაოდენობა იძლევა საგრძნობ ზრდას (ბაღდათის რაიონი 120,6 პროც.). განსაკუთრებით ითქმის ეს გორის რაიონზე, სადაც საერთო შემოსავლის 63,4 პროცენტის ზრდასთან ერთად შრომა-დღეების რაოდენობა გაიზარდა 165,2 პროცენტით.

საერთო შემოსავალი საშუალოდ 1931 წელთან შედარებით გაიზარდა ერთ მეურნეობაზე 96 პრ., ერთ მჭამელზე—60 პრ., ერთ შრომის უნარიანზე—100 პრ.

საწარმოო ხარჯები 1931 წლის საერთო შემოსავალთან შედარებით შეადგენდენ 16,1 პროცენტს, ხოლო გასულ წელს 21 პროცენტს.

პარტიის დირექტივების უხეშ დამახინჯებას წარმოადგენს ადმინისტრატიულ, სამმართველო ხარჯების დიდი ზრდა, რომელიც 1931 წელთან შედარებით გასულ წელს ავიდა 149,7 პროცენტამდე. საერთო შემოსავალთან შეფარდებით ადმ. სამმართველო ხარჯები 31 წელს უდრიდა 3,2 პროცენტს, ხოლო გასულ წელს 4,1 პროც. მაგრამ თუ ამას მიუმატებთ ადმ. სამმართველო პერსონალის შრომის ანაზღაურებას შრომა-დღეების მიხედვით, მაშინ ადმ. სამმართველო ხარჯები 5,9 პროცენტამდე გაიზრდება.

საწარმოო და ადმ. სამეურნეო ხარჯების და აგრეთვე სხვადასხვა ანარიცხების ზრდის შედეგად ადგილი აქვს კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის ნაწილის ხვედრითი წონის დაკლებას 1831 წლის 57,2 პროცენტიდან 42,8 პროცენტამდე, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურ გამოსახულებაში კოლმერნეთა შორის საერთო შემოსავალი გაიზარდა 45,2 პროცენტით, ხოლო შრომა-დღის შეფასება 31,3 პროცენტით.

შემოსავლის საერთო ჯამში ადგილი აქვს ნატურით განაწილების შემცირებას, სახელდობრ წინა წელთან შედარებით გასულ წელს შემცირება იძლევა 12,2 პროცენტს.

ნატურალური ნაწილის განაწილების შემცირება ერთის მხრივ აიხსნება მოსავლის შემცირებითაც.

გადავხედოთ მუდმივი საწარმოო ბრიგადების ორგანიზაციას. არსებული მასალები მოწმობს, რომ კოლმეურნეობათა უმრავლესობაში მოწყობილია მუდმივი საწარმოო ბრიგადები, რომლებიც დამაგრებული არიან განსაზღვრული საწარმოო ნაკვეთებზე და რომელთაც მიცემული აქვთ აუცილებელი საწარმოო საშუალებები.

მიუხედავად ამისა, საწარმოო ბრიგადების ორგანიზაციაში იყო მთელი რიგი არსებითი ნაკლულოვანებები. მაგალითად, ყარაიას რაიონში (ლენინის და ნარიმანოვის სახელობის კოლმეურნეობები) ნათესები მექანიკურად იქნა განაწილებული ბრიგადებს შორის. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბამბის მთელი სივრცე გაანაწილეს თანაბრად ბრიგადებს შორის. ნარიმანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა კოლმეურნეებს თანაბრად გაუნაწილეს ხორბლეული კულტურები და ბალახები. ასევე მოიქცენ ნათიბების შესახებაც. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადები აირჩიეს წილის ყრით, კოლმეურნეთა კვალიფიკაციის გათვალისწინების გარეშე. ხობის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში (გლეხს შრომა და სხ.) ბრიგადებს მექანიკურად ეძლევათ საწარმოო დავალებები. იმავე რაიონში მუშა პირუტყვს ამაგრებდენ ყოფილ პატრონებს. იმავე რაიონის კოლმეურნეობა „წითელ მეურნეში“ ბრიგადები არ არიან დამაგრებული განსაზღვრულ საწარმოო ნაკვეთებზე. ამავე კოლექტივში მუშა-პირუტყვი არ იყო დატვირთული და მისი გამოყენება მორიგეობით ხდებოდა. ლაგოდეხის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში (ჩადუნიანი, გელათი, „წითელი დროშა“) ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი საწარმოო ბრიგადები.

სანარდო სისტემა და აღრიცხვა. ყარაიას რაიონის კოლმეურნეობებში სანარდო სისტემა გატარებულია მხოლოდ მემინდვრეობასა და მებოსტნეობაში, მეცხოველეობის დარგში კი არა. ყოველი კოლმეურნე მეცხოველეობის ბრიგადაში შრომა-დღეს იღებს არა პროდუქციის რაოდენობის (ხორცი, მატყლი, რძე), არამედ მუშაობის ვადის მიხედვით. ასეთივე მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში, სადაც მეძროხეებს ორი-სამი შრომა-დღე ერიცხებათ დღე-ღამეში. პირუტყვის მომვლელებად მუშაობენ ყველა კოლმეურნეები მორიგეობით, რაც ნიშნავს ნამდვილი გაუპიროვნების არსებობას.

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებში გასულ წელს იყო სანარდო სისტემა. წელს კი გადავიდენ გათანაბრებაზე, რაც ყოველად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს.

შეეხოთ საგანგებოდ ჩაის პლანტაციების მიმდინარეობას საქართველოში.

ჩაის ნიადაგის მომზადების გეგმა, როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში შესრულდა 134 პროცენტით. ჩაის პლან-

ტაციების გაშენების—5 აპრილისთვის 57,5 პროცენტით, აღდგენის—47,2 პროც:, რემონტის—67,7 პროცენტით.

ჩაის უხეში ფოთლის კრეფა შედარებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთი რაიონები აქაც ჩამორჩებიან. მაგალითად, ჩხოროწყუმ 5 აპრილისთვის გეგმა შეასრულა 38,6 პროცენტით, კოდორის — 40,8 პროც., გალის—54 პროცენტით.

ჩაის შეკრეჭის გეგმა შესრულებულია—77,7 პროცენტით. ჩამორჩებიან ოკრიბის, ხონის, ზუგდიდის და ჩოხატაურის რაიონები.

მსუბუქი გადამარვის გეგმა განხორციელებული იყო 58,7 პროცენტით, ხსენებული ვადისთვის ჩამორჩებოდენ ჩხოროწყუს, ოკრიბის და სამტრედიის რაიონები.

ჩაის პლანტაციებისთვის ნიადაგის მომზადების წლის პირველი ნახევრის გეგმა საბჭოთა მეურნეობებისთვის 10 აპრილისთვის შესრულდა 94,5 პროცენტით, თესვის 92 პროცენტით, რემონტის 97,8 პროც., აღდგენის 94,3 პროც. ჩამორჩება ქობულეთის რაიონი. ჩაის უხეში ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებული იყო 95 პროცენტით.

თამბაქოს მეურნეობის დარგში. მიწების გამოყოფა დამთავრებულია. საანეულო ხენა აღმოსავლეთ საქართველოში შესრულდა 1341 ჰექტარზე. დანარჩენი სივრცე 4859 ჰექტარი უნდა მოხნულიყო ადრე გაზაფხულზე, მაგრამ პირველი აპრილისთვის მოხნული იყო 2.600 ჰექტარი. ხვნის დარგში განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყო დასავლეთ საქართველო, კერძოთ აჭარისტანი. აფხაზეთმა პირველი ხვნა დროულად დაამთავრა. თამბაქოს თესლის დათესვაც დამთავრებული იყო პირველი აპრილისათვის. ნერგებით უზრუნველყოფილი იქნება 22.000 ჰექტარი გათვალისწინებულ 18.000 ჰექტარის ნაცვლად.

კონტრაქტაცია დამთავრდა 5 აპრილს.

მიმდინარე გაზაფხულზე უნდა გაშენდეს 1.500 ჰექტარი ვენახი, მათ შორის: საბჭოთა მეურნეობებში—450, კოლექტიურში—491, ერთპიროვნულში—559.

ნიადაგის მომზადება საბჭოთა მეურნეობებში შესრულებული იყო 93,6 პროცენტით, კოლმეურნეობებში—77,9 პროც. ერთპიროვნულ სექტორში—121,6 პროც.

ამერიკული ვაზის სადედეები საბჭოთა მეურნეობებში შენდება 500 ჰექტარი, კოლექტიურში—100 ჰექტარი:

სანერგე მასალით ვენახები უზრუნველყოფილია. ეს არ ითქმის შესაწამლი მასალებისა და აპარატურის შესახებ. დღემდეც არ არის გამორკვეული გადადებულ შესაწამლ მასალების რაოდენობა.

რაც შეეხება ციტრუსოვან კულტურებს არასრული ცნობებით საბჭოთა მეურნეობებში მარტისათვის ნიადაგი მომზადებული იყო 106 ჰექტარი, კოლექტიურ და ერთპიროვნულ მეურნეობებში—120 ჰექტარი.

მეცხოველეობის დარგში შედგენილი და ადგილებზე დაყვანილია დაგრილების კამპანიის გეგმები. მიცემულია დაწვრილებითი ინსტრუქციები

ამ კამპანიის ჩასატარებლად. შედგენილია ზოოწესები ნამატის შენახვისა და აღზრდისათვის. განსაკუთრებული ინსტრუქცია გაიგზავნა მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებში.

გამოყოფილია ზოოტეხნიკოსებისა და ვეტექიმების ბრიგადები, რომლებიც მიმაგრებულია მეცხვარეობის ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებზე და საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებზე. სეზონისთვის მომზადებულია მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურები გურჯაანში, სამტრედიასა და ზუგდიდში.

ციხისჯვარში ეწყობა ძროხების ხელოვნური დაგრილების პუნქტი. ახალციხის, ბორჯომის და წალკის რაიონებში განსაზღვრულია მსხვილფახა საქონლის საჯიშეების ორგანიზაცია.

ვეტპერსონალის რიცხვი გაიზარდა. გასულ წელს იყო 158 ვეტექიმი და 149 თანაშემწე. წელს არის 166 ვეტექიმი და 195 თანაშემწე. სწარმოებს ბრძოლა ეპიზოოტიასთან. ჩატარდა მუშა-პირუტყვის შემოწმება.

მ ე ბ ო ს ტ ნ ე ო ბ ი ს დარგში წელს გათვალისწინებულია 19.700 ჰექტარ მწვანილ-ბოსტნეულის გაშენება. მათ შორის: საბჭოთა მეურნეობებში—2.928 ჰექტარი, კოლმეურნეობებში—4.258 ჰექტარი, ინდივიდუალურ მეურნეობებში—12.403 ჰექტ. ეს ფართობი არსებითად უზრუნველყოფილია თესლით. მავნებელთა ბრძოლა გატარდება 7.000 ჰექტარზე. მოსავლიანობის გადიდებისათვის გამოყოფილია 1.038 ტონა სუპერფოსფატი და კალიუმის მარილები.

ბ ა მ ბ ა ითესება 18.000 ჰექტარი. მათ შორის: საბჭოთა მეურნეობებში—1.500, კოლექტიურში—7.513, ინდივიდუალურში — 8.987. ჩატარდა ნაწილობრივ ხელოვნური და ნაწილობრივ ბუნებრივი სასუქით მიწის განაყიერება. უნდა იქნას მიღებული ყველა ზომები, რომ, როგორც მორწყვა, ისე ბამბის თესვა დროულად ჩატარდეს.

შ ა ქ რ ი ს ჭ ა რ ხ ა ლ ი ითესება 4.120 ჰექტარი, მათ შორის: საბჭოთა მეურნეობებში — 520, კოლექტიურში—2.300, ერთპიროვნულში — 300. კონტრაქტაცია ჯერ კიდევ დეკემბერში დამთავრდა. საანეულო ხვნის გეგმა შესრულებული იყო 97,6 პროცენტით. მათ შორის საბჭოთა მეურნეობებში — 119,2 პროცენტით. მინერალური სასუქებით მთელი სივრცე უზრუნველყოფილია. არის თესლიც.

უახლოესი ამოცანები.

თესვა დაწყებულია მთელ რესპუბლიკაში. უნდა იქნას ბღებული ნამდვილი ბოლშევიკური ტემპები, როგორც ხორბლეულის, ისე სიმინდის, ჭარხლის, ბოსტნეულის, ბამბის, ჩაის, თამბაქოს და სხვა კულტურების თესვაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პლანტაციების აღდგენასა და რემონტს.

უდიდესი მზრუნველობა უნდა გაეწიოს საბჭოთა მეურნეობებს, განსაკუთრებით ჩამორჩენილებს დახმარება აღმოეჩინოს მუშა-ხელის მოზარაგებაში, დამაგრებასა და სურსათის მიწოდებაში.

გაგრძელდეს კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცება, გაძლიერდეს ისინი ახალი კადრებით და გაეწიოს დახმარება ყოველდღიურ მუშაობაში.

უნდა გაგრძელდეს კოლმეუნეობათა წმენდა, იქიდან უნდა გავაძევოთ ყველა ანტი-საბჭოთა, კონტრ-რევოლიუციონური და მავნებლური ელემენტები და კოლმეურნეობათა პარტიული, კომკავშირული მასები და უპარტიო აქტივი დავრაზმოთ კლასობრივი მტრის წინააღმდეგ — ყველა სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისათვის.

არც ერთი წუთით არ უნდა იქნას დავიწყებული ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობათა როლი საქართველოს სასოფლო მეურნეობაში. ერთპიროვნულ მშრომელებს უნდა გაეწიოს ყოველმხრივი პრაქტიკული დახმარება, განემარტოს მათ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის სარგებლობა და უპირატესობანი მათთვის და დარაზმულ იქნან კულაკებისა და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ და მით მომზადებულ იქნას კოლმეურნეობებში შესვლისათვის.

პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მთელი ძალებით უნდა ჩაებან სოფლისთვის დახმარებისა და მისი მომსახურების საქმეში და შესძლონ მეორე ხუთწლედის პირველი წლის სასოფლო — სამეურნეო გეგმების ბოლშევიკურად განხორციელება.

აკ. ჯოჯუა

ჩვენი უახლოესი ამოცანაა — გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად

ღარიბი და საშუალო გლეხთა მილიონიანი მასების საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩაბმით საბჭოთა კავშირის გლეხობის ცხოვრებაში ახალი ეპოქა დაიწყო. მშრომელ გლეხობის ძირითადმა მასებმა ზურგი შეაქციეს წვრილ დაქუცმაცებულ ინდივიდუალურ მეურნეობას და გაბედულად დაადგნენ მთლიანი კოლექტივიზაციისა და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის გზას. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი პოლიტიკის თანმიმდევრობით გატარების საფუძველზე, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედში დაგვემთავრებია ძირითადად საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, დაგვერბია კულაკობა და ძირი გამოგვეთხარა მისი კაბალური ექსპლოატაციისათვის.

კოლმეურნეობებში გაერთიანებით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ გადაჭრით გავაუმჯობესეთ ღარიბი და საშუალო გლეხების მატერიალური და კულტურული მდგომარეობა: „ღარიბ გლეხთა მილიონიანი მასები როცა შევიდნენ კოლმეურნეობებში და დაიწყეს იქ უკეთესი მიწით და უკეთესი საწარმოო იარაღით სარგებლობა, გაუთანასწორდნენ საშუალო გლეხებს. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ღარიბ გლეხთა მილიონიანი მასები, რომელნიც წინად ცხოვრობდენ ნახევრად მშიერი, კოლმეურნეობებში ეხლა გადაიქცნენ საშუალო გლეხებად, გადაიქცნენ უზრუნველყოფილ ადამიანებად". (სტალინი) საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერებამ და გამარჯვებამ ძირი გამოუთხარა გლეხების ფენებად დაყოფას. კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დაეხმარა მშრომელ გლეხებს გამხდარიყვნენ თავიანთი შრომის ნამდვილი ბატონ-პატრონი, გამხდარიყვნენ კოლმეურნეები, ე.ი. ისეთი მეურნეები, რომელიც განთავისუფლებულია კულაკური კაბალისა და დამონებისაგან.

მიუხედავად მემარჯვენე ოპორტუნისტების კაპიტულიანტური წუწუნისა, მიუხედავად „მემარცხენე" გადახვევების დემაგოგიური და პროვოკაციული გამოსვლებისა, პარტიის ხაზის წინააღმდეგ, მიუხედავად დასაღუპავად განწირული კლასების გააფრთებული წინააღმდეგობისა და სხვა მთელი რიგი სიძნელეებისა, პარტია მტკიცედ ატარებდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას და ბოლშევიკური სიმტკიცით მიიყვანა ის

ბოლომდე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მტკიცედ გატარების შედეგად პარტიამ მიაღწია იმას, რომ იხსნა უღარიბესი გლეხობა მუდმივი სიღატაკისა და დაბეჩავებისაგან და აიყვანა ისინი მატერიალურად საშუალო გლეხების დონემდე. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მიღწევაა. ეს მიღწევა უმთავრესად მოპოებული იქნა იმით, რომ ღარიბსა და საშუალო გლეხებს დახმარებას უწევდა და უწევს მუშურ-გლეხური სახელმწიფო. საბჭოთა ხელისუფლება დაეხმარა მშრომელ გლეხებს მოეწყოთ კოლმეურნეობები, მიეღოთ საუკეთესო მიწები და გაენადგურებიათ კულაკები. საბჭოთა ხელისუფლებამ გააძლიერა როგორც არასოდეს სოფლის მეურნეობის ტეხნიკური ბაზა, პირველ ხუთწლედში მიაწოდა სოფელს 150 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი და სხვა განვითარებული მანქანა-იარაღები. საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით დაამტკიცა, რომ ის იბრძვის კულაკური და ყველა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი ნაშთების აღმოსაფხვრელად, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დასაჩქარებლად და სოფლის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად. — „დამისახელეთ მე — ამბობდა ამხ. სტალინი დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე — ისეთი ქვეყანა, სადაც მთავრობა ხელს უჭერდეს არაკაპიტალისტებს და მემამულეებს, არა კულაკებს და ხელა მდიდრებს, არამედ მშრომელ გლეხებს. დედამიწის ზურგზე არ არის და არც ყოფილა ასეთი ქვეყანა. მხოლოდ ჩვენში საბჭოთა ქვეყანაში არსებობს მთავრობა, რომელიც მხარს უჭერს მუშებს და გლეხებს, კოლმეურნეებს, ქალაქის და ყველა მშრომელებს ყველა მდიდრებისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ".

სწორედ ამიტომაა რომ ჩვენში ნადგურდება, იხრწნება და ისპობა კულაკური და პრივილეგიური კლასების უკანასკნელი ნარჩენები, ხოლო ყოველმხრივ უმჯობესდება სოფლის მშრომელების, კოლმეურნეობებში გაერთიანებული ღარიბი და საშუალო გლეხების მდგომარეობა.

კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ანალიზი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ პატიოსნად მომუშავე კოლმეურნეების მოსავალი და შემოსავალი თვალსაჩინოდ იზრდება. ბ ე ზ ე ნ ჩ უ კ ე ლ კოლმეურნეთა წერილიდან ამხ. სტალინისადმი ნათლად და აშკარად მოსჩანს ის უდიდესი ცვლილებები, რომელიც აღნიშნულ კოლმეურნეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ მოხდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ 1932 სამეურნეო წლის შედეგები. ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობები მაგრდებიან, საკოლმეურნეო წარმოება დღითი დღე მტკიცდება და კოლმეურნეობა, როგორც სამეურნეო ორგანიზაცია, უაღრესად რენტაბელური ხდება.

ამ დებულების დასადასტურებლად შეიძლება მოყვანილ იქნას მრავალი ფაქტები საქართველოს კოლმეურნეობების მუშაობიდანაც. სტალინისის რაიონის სოფ. ოსიაურის უღარიბესი გლეხები, რომელნიც ამ ორიოდე წლის წინად კოლმეურნეობაში გაერთიანდენ, ამჟამად საშუალო შეძლების გლეხებად ითვლებიან. სოფ. ორსანტიაში (ზუგდიდის რაიონი) არის კოლ-

მეურნეობები, რომელთაც კოლმეურნეთა შემოსავლიანობა ინდივიდუალურ მეურნეებთან შედარებით ორი წლის განმავლობაში 200-250 პროცენტით გაზარდეს. კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ზრდა თვალსაჩინო ხდება ისეთ რაიონშიაც კი, სადაც ადგილი აქვს მიწის მწვავე ნაკლებობას და მოწყობილი არ არის სამანქანო-სატრაქტორო სადგური. ავაღოთ მაგალითისათვის სოფ. ვარძიის კოლმეურნეობა ხარაგოულის რაიონში. ამ კოლმეურნეობის წევრ ა. მაჩიტაძეს ერთპიროვნულ მეურნედ ყოფნის დროს არასოდეს არ მიუღია მისი ოჯახის სასურსათო საჭიროებისათვის საყოფი მოსავალი. გასულ წელს კი აღნიშნულ მაჩიტაძემ შრომა დღეებზე მიიღო იმდენი ჰირნახული, რომ მას არამც თუ ყოფნის მოსავალი, არამედ სას. სამეურნეო პროდუქტების ნაწილს ყიდის კიდეც საკოლმეურნეო ვაჭრობის წესით. ან ავიღოთ მაგალითად სოფ. ოქუმის (გალის რაიონი) კოლმეურნეობის წევრთა მდგომარეობა. აღნიშნული სოფლის კოლმეურნეებმა თავიანთი მიღწევების შესახებ ვრცელი წერილით მიმართეს ამხ. ლ. ბერიას. „ჩვენს კოლმეურნეობაში უკვე ათობით გამოირჩევიან ისეთი სამაგალითო დამკვრელი კოლმეურნეები, რომლებმაც მიიღეს დიდი შემოსავალი და რომლებიც უახლოვდებიან შეძლებული გლეხის მდგომარეობას. ჩვენ გვყავს სამაგალითო მუშაკები — განაგრძობენ ოქუმელი კოლმეურნეები თავიანთ წერილში — რომლებმაც გასულ წლის საკოლმეურნეო შემოსავლიდან მიიღეს 2-3-ჯერ მეტი, ვინემ იღებდნენ ინდივიდუალურ მეურნეებად ყოფნის დროს. ასე მაგ. დამკვრელ კოლმეურნემ კონდრატი ბერაიამ შარშან გამოიმუშავა 326 შრომა დღე, ბაჯგა ჯოჯუამ გამოიმუშავა 282 შრომა დღე. სამმა მუშამ გიორგი შაბათაიას ოჯახიდან გამოიმუშავა 625 შრომა დღე და სხვ. ბ. ჯოჯუას ოჯახმა 289 ფუთი სიმინდი მიიღო, თედო შაბათაიას ოჯახმა კი 300 ფუთი სიმინდი და 700 მანეთი ფულად. საერთოდ თითეულ დამკვრელის შრომა დღეს ჩვენს კოლმეურნეობაში 14,4 გირვანქა სიმინდი მოუწია“.

ზემოხსენებული რაიონები და კოლმეურნეობები გამონაკლისს როდი წარმოადგენენ. წელს ჩვენ უკვე ათობით და ასობით გვაქვს ისეთი კოლმეურნეობები, სადაც შრომის მოწესრიგების, კულაკური ელემენტების განდევნის, აღრიცხვის დაყენების, ზარმაცობის აღკვეთის და საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცების შედეგად დიდდება შრომის ნაყოფიერება, იზრდება თითეული კოლმეურნის დაინტერესება საკოლმეურნეო შრომის შედეგებით, დიდდება შრომის ნაყოფიერება და მტკიცდება შრომის დისციპლინა.

მართალია ჩვენ ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს კოლმეურნეობები, სადაც შრომა არ არის მოწესრიგებული, სადაც შემძვრალი არიან კულაკური ელემენტები, სადაც თავისუფლად გრძნობენ თავს ზარმაცები და მუქთახორები. ასეთ კოლმეურნეობაში ჯერაც ადგილი აქვს არევ-დარევას, გაუგებრობას, უდისციპლინობას საკოლმეურნეო ქონების დატაცებას, დაბალ შრომის ნაყოფიერებას და უმნიშვნელოა საკოლმეურნეო შრომის ეფექტი. ამის მიზეზი უმთავრესად უნდა ვეძიოთ კოლმეურნეობებზე ხელმძღვანელობის

სისუსტეში. ადგილობრივი ორგანიზაციების მხრივ კულაკური საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებაში და ცალკე ორგანიზაციების კლასობრივი სიფხიზლის მოდუნებაში. მიუხედავად ამ დეფექტებისა კოლმეურნეობების გაძლიერებისა და განმტკიცების ზრდა თვალსაჩინო ფაქტია. საკოლმეურნეო მშენებლობის ფრონტზე მოპოვებულ უდიდეს მიღწევებმა საბოლოოდ დაადასტურეს პარტიის გენერალური ხაზის სისწორე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის დარგში.

მაგრამ საკოლმეურნეო მშენებლობის მოპოვებული მიღწევები მხოლოდ პირველი ნაბიჯია წინ საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე. ჩვენ დავეხმარეთ ღარიბ გლეხობას კოლმეურნეობებში გაერთიანების მხრივ, მოვაწყვეთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, დავეხმარეთ კოლმეურნეობებში გაერთიანებულ გლეხობას კადრებით, ფინანსებით და სხ. ყოველივე ამით ჩვენ საშუალება მივეცით კოლმეურნეობაში გაერთიანებულ ღარიბებს ქონებრივად გათანაბრებოდნენ საშუალო გლეხებს, თავი დაეღწიათ სიღატაკისათვის, შიმშილისათვის. იბადება კითხვა — შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავკმაყოფილდეთ ამ მიღწევებით, საკმარისად ჩავთვალოთ საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში ეს მოპოვებული წარმატებანი და შევჩერდეთ ამ მიღწევებზე?

რასაკვირველია, არა. საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში არსებული მიღწევებით, ე. ი. იმ მდგომარეობით, რომ ჩვენ კოლმეურნეობაში გაერთიანებული უღარიბესი გლეხი გაუთანაბრეთ საშუალო გლეხის დონეს — დაკმაყოფილება არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია. „რომ დავიძრათ წინ და საბოლოოდ განვამტკიცოთ კოლმეურნეობები ჩვენ უნდა გადავდგათ მეორე ნაბიჯი, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ახალ წარმატებას. რაში მდგომარეობს ეს მეორე ნაბიჯი? იგი მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ კოლმეურნეები, ყოფილი ღარიბი გლეხები და ყოფილი საშუალო გლეხებიც. იგი მდგომარეობს იმაში, რომ გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად“ (სტალინი).

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი მთავრობის არსებობა, რომელსაც ოდნავ ეზრუნა სოფლის მშრომელთა და ტვირთმძიმეთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. პირიქით, დღემდე არსებული ყველა მთავრობები გარდა საბჭოთა მთავრობისა, იყვნენ და არიან კაპიტალისტების, მემამულეების, თავადების და კულაკების ინტერესების დამცველები. ყველა მთავრობა ყოველთვის ხელფეხს უკრავდა ქალაქის და სოფლის მშრომელებს და გზას უხსნიდა გამყვლეფელთა კლასებს მშრომელთა კაბალური ექსპლოატაციისათვის. დედამიწის ზურგზე გამოჩნდა ერთად-ერთი მთავრობა საბჭოთა ხელისუფლების სახით, რომელიც შეუბრალებლად ანადგურებს კაპიტალისტურ ჩაგვრას, სპობს პრივილეგიურ კლასების მიერ გამკვიდრებულ სოციალურ უკუღმართობას, სპობს ადამიანის მიერ ადამიანთა დაჩაგვრის

ყოველგვარ შესაძლებლობას, აშენებს სოციალისტურ ინდუსტრიას, ახდენს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას და სისტემატიურად აუმჯობესებს მუშების და ღარიბ, საშუალო გლეხობის მატერიალურ, კულტურულ და ყოველგვარ საყოფაცხოვრებო პირობებს.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვიფიქრა თითქოს საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე მორიგი გამარჯვების მიღწევას, — კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევას ჩვენ მივაღწიეთ „თავის-თავად“, თვითმდინარებით. არაფერი ამის მსგავსი. მეურნეობრივად განადგურებული, თავის კალაპოტიდან ამოგდებული და დარბეული კულაკობა, აგრეთვე სხვა კონტრრევოლიუციუნური და ანტისაბჭოთა ელემენტები ცდილობენ და კიდევ შეეცდებიან ხელი შეუშალონ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულად განმტკიცებას. როგორც ამხ. სტალინმა აღნიშნა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კ. იანვრის გაერთიანებულ პლენუმზე კულაკები და მათი აგენტები იმისათვის, რომ ზიანი მიაყენონ კოლმეურნეობებს და შეშალონ ის, — იცვლიან ფრონტს, ბრძოლის მეთოდებს. „ახლანდელი კულაკები და მოკულაკონი, ახლანდელი ანტისაბჭოთა ელემენტები სოფლად ეს მეტ-წილად არიან „ტკბილი“ ადიმიანები, თითქმის „წმინდანები“. ისინი არ უნდა ვეძიოთ კოლმეურნეობისაგან შორს, ისინი სხედან ჩვენ კოლმეურნეობაში, სადაც მათ უკავიათ მეკუთვნავეების, მნეების, მოანგარიშეების, მდივნების და სხვა თანამდებობა“.

აქედან ამოცანა: იმისათვის, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე მივაღწიოთ მორიგ წარმატებებს, განვამტკიცოდ კოლმეურნეობები და ყველა კოლმეურნენი გადავაქციოთ შეძლებულებათ, უპირველესად ყოველისა საჭიროა კლასობრივი მტრებისა და მათი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, კოლმეურნეობებიდან კულაკების და ყველა ჯურის უცხო ელემენტების გაძევება და კოლმეურნეობათა საიმედო კადრებით გამაგრება.

კულაკები დამარცხებულნი არიან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან საესებით განადგურებულნი. კიდევ მეტი: „კულაკები ჯერ კიდევ ასე ჩქარა არ იქნებიან საესებით განადგურებულნი, თუ კომუნისტები დაიწყებენ მთქნარებას, მიეცემიან მოსვენებას იმ იმედით, რომ კულაკები თვითონ ჩაწვებიან სამარეში, ასე ვსთქვათ სტიქიური განვითარების წესით“. როგორც მე-17 პარტკონფერენციამ აღნიშნა მეორე ხუთწლედში სოციალისტურ მშენებლობის ცალკე უბნებზე კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდება. ეს გასაგებიც არის. კაპიტალისტური კლასები და მათი ნაშთები მშვიდობიანად როდი აპირებენ სცენიდან წასვლას. ისინი იკრეფენ ყველა ძალებს, ეძებენ საშუალებებს, მოკავშირეებს იმისათვის, რომ კიდევ შემოგვიტიონ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

იმისათვის, რომ ჩვენი კოლმეურნეობები გადავაქციოთ ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და ავამაღლოთ თითეული კოლმეურნის მატერიალური მდგომარეობა, საჭიროა შევქმნათ რკინისებური საწარმოო დისციპლინა კოლმეურნეობებში. მრავალი ფაქტებით და ცოცხალი გამო-

ცდილებებით მტკიცდება, რომ კოლმეურნეობები შრომის ნაყოფიერების გადიდებას და მოსაველიანობის აწევას ახერხებენ მხოლოდ იქ, სადაც მოსავალი ნაწილდება მხოლოდ და მხოლოდ გამომუშავებული შრომა-დღეების მიხედვით, სადაც შექმნილია დისციპლინა და წესრიგი. იქ კი, სადაც სუსტია შრომის დისციპლინა, ეცემა შრომის ნაყოფიერება და კოლმეურნეობები იშლებიან.

კლასობრივი მტრები — კულაკები და სხვა კონტრრევოლიუციონური ელემენტები, რომელნიც შეძვრნენ კოლმეურნეობაში ყოველმხრივ ცდილობენ დანერგონ იქ უყაირათობა, ზარმაცობა, მცონარეობა და მოაწყონ საბოტაჟი შიგნიდან. ამის ფაქტები ჩვენ მრავალი გვაქვს. ავიღოთ მაგალითისათვის ბორჩალოს რაიონი. გასულწელს ამ რაიონში მთელი რიგი ის კოლმეურნეობები, რომელთაც ბამბის ნათესები ჰქონდათ, დაზარალდნენ, ბამბა დაეღუპათ: ეს კი გამოწვეული იყო კულაკების პროვოკაციით. კულაკები ეუბნებოდნენ კოლმეურნეებს „რათ გინდათ ბამბის დამუშავება, მოსავალს მთავრობა წაიღებს და თქვენ ხელცარიელი დარჩებითო.“ და აი ზოგიერთი კოლმეურნეები აყვნენ კულაკების აგიტაციას, მიატოვეს ბამბის ნათესები, მთელი ზაფხულის განმავლობაში გაყვნენ პირუტყვს საზაფხულო საძოვრებზე, ბამბის ნათესები დაუმუშავებელი და მოურწყავი დარჩა, ამან კი გამოიწვია ნათესების დაღუპვა. ცხადია დაღუპული მოსავლიდან ვერც სახელმწიფომ მიიღო ვერაფერი და ვერც კოლმეურნეებმა. ამ მდგომარეობით კოლმეურნეობებში უკმაყოფილება და არევ-დარევა გამეფდა, მერყეობამ და დეზორგანიზაციამ იმატა. კულაკები კი ხითხითებდნენ და კოლმეურნეობებს არწმუნებდნენ: „ხომ გეუბნებოდით, რომ კოლმეურნეობებიდან არაფერი გამოვაო“. კულაკური პროვოკაციას მართლაც გასაველი ჰქონდა იქ, სადაც სუსტი იყო პარტიული ორგანიზაციების გავლენა, სადაც არ სწარმოებდა მასიური მუშაობა, არ ამხელდნენ კულაკური საბოტაჟის ორგანიზატორებს და არ იღებდნენ სათანადო ზომებს მათი მავნებლობის აღსაკვეთად.

კულაკებს ზარმაცობით და მცონარეობით სურთ დასცენ კოლმეურნეთა შემოსავლიანობა და გული აუცრიონ კოლმეურნეობებს საკოლმეურნეო შრომაზე. ზარმაცობასთან ბრძოლა ნიშნავს კლასობრივ მტრების საბოტაჟთან ბრძოლას, იმიტომ, რომ კულაკები და მათი აგენტები ზარმაცობით და შრომის დისციპლინის შესუსტებით ახერხებენ კოლმეურნეობათა სიმტკიცის შერყევას, ზარმაცობის აღმოფხვრა კი კოლმეურნეობაში არც ისე ადვილია. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობის ჩატარებაა საჭირო იმისათვის, რომ გუშინდელი ღარიბი და საშუალო გლეხი, რომელმაც კოლმეურნეობაში თან მოიტანა წვრილ ბურჟუაზიული დაქსაქსულობის და კერძო მესაკუთრის ინდივიდუალისტური ფსიქოლოგია, შევაჩვიოთ მტკიცე დისციპლინასა და წესრიგს, რომელსაც მოითხოვს მსხვილი სოციალისტური მეურნეობა — კოლმეურნეობა. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობის ჩატარება მოგვიხდება იმისათვის, რომ აღვზარდოთ კოლმეურნენი და გადავაქციოთ ისინი სოციალისტური საზოგადოებისათვის მებრძოლ ერთგულ მუშაკებად.

იმისათვის, რომ კოლმეურნეობებში აღმოიფხვრას სიზარმაცე და მუქთახორობა, საჭიროა სისტემატიური, დაუნდობელი ბრძოლა კულაკური გავლენის და იმ მტაცებლური განწყობილების აღმოსაფხვრელად, რომელსაც კულაკები სთესენ. კოლმეურნეობებში ზარმაცებთან და ყალთაბანდებთან ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობამ. ამ ყრილობის მიმართვაში ჩვენ ვნახულობთ ამომწურავ მითითებებს იმისათვის, რომ აღმოფხვრილ იქნას ზარმაცობა: „სანამდის უნდა სდუმდეთ თქვენ ამხანაგებო — მიმართავენ დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის დელეგატები საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნეობებს,— სანამ უნდა აფარებდეთ ხელს მავნებლებს, ზარმაცებს, ყალთაბანდებს, ქურდებს და კულაკობისა და თეთრგვარდიელების სხვა ნაშთებს. თქვენ პატიოსან კოლმეურნეებს ჩვენს დამკვრელ ამხანაგებს მოგმართავთ ამ კითხვით; როცა ჩვენ ერთპიროვნული მეურნე ვიყავით ჩვენთვის სულ ერთი იყო რას აკეთებდა, როგორ მუშაობდა მეზობელი. პირიქით კიდევ გვიხაროდა ხშირად, რომ ჩვენი მეზობლის საქმე ცუდად მიდის, რომ იგი ცუდად და არა თავის დროზე სთესავს, არა თავის დროზე იღებს მოსავალს. ბევრი ცდილობდა ხელი მოეთბო მეზობლის ამ შეცდომებზე: ეხლა ხომ ჩვენ კოლმეურნეობაში ვართ, ვეწევით საერთო მეურნეობას, ეხლა კოლმეურნეთა ერთი ნაწილის ცუდი მუშაობა ღუპავს და ანადგურებს დანარჩენ კოლმეურნეთა და მაშასადამე მთელი კოლმეურნეობის კარგ მუშაობას. და განა კეთილსინდისიერ კოლმეურნეს, განა დამკვრელს უფლება აქვს დღეს სდუმდეს, არ ჩაერიოს მეზობლის მუშაობაში? ვის რა სარგებლობა აქვს იქიდან, რომ შენ დამკვრელი კარგად მუშაობ, თუ შენ გარშემო რამოდენიმე ზარმაცი და ქურდი შენს მუშაობას და მთელ კოლმეურნეობას ღუპავენ და ანიავებენ?"

სწორედ ასე სდგას ამჟამად საკითხი კოლმეურნეობებში: თითეული კოლმეურნე დაინტერესებული უნდა იყოს მისი მეზობელი კოლმეურნეების მუშაობით, ებრძოდეს ზარმაცებს, ქურდებს და ყალთაბანდებს, ებრძოდენ არაკეთილსინდისიერად მომუშავეებს, რომელნიც ხნავენ ხარვეზებით, სტოვებენ სარეველა ბალახებს, არ ატარებენ საჭირბოროტო აგროწესებს, ცუდათ უვლიან მუშა-პირუტყვს და კოლმეურნეობის ინვენტარს. დიახ, პირველ რიგში თვით კოლმეურნეებმა, დამკვრელებმა, მოწინავე ადამიანებმა უნდა აღიმაღლონ ხმა ზარმაცების წინააღმდეგ და არ დაუშვან თავიანთ რიგებში მათი (ზარმაცების) პარპაში. ამას მოითხოვს როგორც კოლმეურნეობის განმტკიცება, ისე თითეული კოლმეურნის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესები, ყველა კოლმეურნეთა შეძლებულებად გადაქცევის ინტერესები.

და აი ამ დებულებიდან გამომდინარე დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობამ თავის მიმართვაში დაადგინა შემდეგი წესი: „ყოველი დამკვრელი კოლმეურნე, ყოველი დამკვრელი მოვალეა პასუხი აგოს არა მარტო თავისი თავისათვის, არამედ სულ ცოტა ათი უახლოესი მეზობლისათვის, რომელნიც მასთან ერთად მუშაობენ. მხოლოდ მაშინ, როცა

იგი თითონ პატიოსნად იმუშავებს და მიაღწევს იმას, რომ მის გარშემო სხვა 10 კოლმეურნეც ასევე პატიოსნად მუშაობდეს, მხოლოდ მაშინ, როცა იგი დაუზოგავად ამხელს მავნებლებს, კულაკებს, ყალთაბანდებს, ქურდებს, სამუშაოს ბოროტად გამცდენლებს და შესძლებს აამხედროს მათ წინაღმდეგ სხვა პატიოსანი კოლმეურნეები, ხელს არ დააფარებს, გულგრილად არ შეხვდება ყოველგვარ სისაძაგლეს,— მხოლოდ მაშინ ექნება მას უფლება ატაროს დამკვრელის საპატიო სახელი, მხოლოდ მაშინ მიაღწევს იგი წარმატებას, მხოლოდ მაშინ არ ჩაივლის ფუჭად დამკვრელთა შრომა!!

ვინც არ მუშაობს, ან არაკეთილსინდისიერად მუშაობს, მას არ შეიძლება ადგილი ექნეს დამკვრელ კოლმეურნეთა ოჯახში: ვინც არ მუშაობს არც უნდა ჭამდეს — ასეთია ლენინის ლოზუნგი, რომელსაც ხელი უნდა ჩასჭიდონ პატიოსან კოლმეურნეებმა და გაატარონ მტკიცედ. როგორც დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მიმართვაშია ნათქვამი, ის კოლმეურნე, რომელიც არ მუშაობს, ზარმაცობს, შრომის დისციპლინას არღვევს, საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი კი არ არის, არამედ კულაკის, მავნებლის. ყველა კონტრრევოლიუციონური და ბნელი ძალების დასაყრდენია, მაშასადამე, პატიოსნად მომუშავე კოლმეურნის მტერია. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად ვუცქიროთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც კოლმეურნე აყოლია კულაკის პროვოკაციას, არ გამოდის სამუშაოზე, აცდენს დღეებს და არაკეთილსინდისიერად ასრულებს გამგეობისა და ბრიგადირის დავალებებს. საბჭოთა ხელისუფლების კანონები პარდაპირ მოითხოვენ ასეთი კოლმეურნეების დასჯას: „იმ შემთხვევაში, როდესაც — ნათქვამია საკავშირო ცაკის 1923 წლის იანვრის დადგენილებაში — კოლმეურნეობის წევრი არა საპატიო მიზეზის გამო უარს იტყვის კოლმეურნეობის მიერ მისთვის მინდობილ სამუშაოს შესრულებაზე, კოლმეურნეობის გამგეობა ვალდებულია დააჯარიმოს იგი ხუთ შრომა-დღემდე, ხოლო უარის განმეორების შემთხვევაში გამორიცხოს იგი კოლმეურნეობიდან“.

კოლმეურნეობათა განმტკიცებაზე და თითეულ კოლმეურნის შეზოსავლიანობის გადიდებაზე არ შეიძლება ლაპარაკი, თუ ჩვენ მკვიდრ ნიადაგზე არ გვაქვს დაყენებული საკოლმეურნეო, საზოგადოებრივი ქონების დაცვა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს. კულაკები, ყოფილი თეთრგვარდიელები და ყველა ჯურის კონტრრევოლიუციონერები იკალათებენ კოლმეურნეობებში იმისათვის, რომ გაანიავონ საკოლმეურნეო საკუთრება და ამით ძირი გამოუთხარონ კოლმეურნეობებს. იმის მაგალითები, რომ კულაკური და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები სწორედ საკოლმეურნეო საკუთრების განიავებით ცდილობდნენ კოლმეურნეობების დანგრევას—ჩვენ ბევრი გვაქვს. ავიღოთ მაგალითისათვის კოლმეურნეობა „დურუჯი“ ყვარელის რაიონში. ამ კოლმეურნეობაში ჩვენ საქმე გვქონდა კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტების გეგმიან და ღრმად მოფიქრებულ მავნებლობასთან. შეძვრენ რა კოლმეურნეობა „დურუჯში“ კულაკები, ხელი მიყვეს კოლმეურნეობის მოსავლის, შემოსავლის სისტემატიურ განიავებას. ამ კოლმეურნეობიდან ისეთი პრო-

დუქტები როგორიცაა: პური, თამბაქო, ყველი, მატყლი და სხვა მასიურად მიქონდათ ისეთ პირებს, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ კოლმეურნეობასთან, მიქონდათ მტკიცე სახელმწიფო ფასებში და ხშირად სრულიად უფასოდაც. ამაც დროს ამ კოლმეურნეობაში ყოველმხრივ აჭიანურებდენ მოსავლისა და მოსავლისა განაწილებას. და გამოვიდა ისე, რომ პატიოსნად მომუშავე დამკვრელ კოლმეურნემ, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ერთგულად მუშაობდა, დროზე ვერ მიიღო თავისი ნაშრომი, წამგლეჯმა და მუქთახორამ კი, რომელსაც არაფერი არ ქონდა საერთო კოლმეურნეობასთან— დაიტაცა კოლმეურნეობის მოსავალი.

ეს მოხდა იმისათვის, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა კოლმეურნეობას, ამან კი გამოიწვია კოლმეურნეობის უცხო ელემენტებით დანაგვიანება, საკოლმეურნეო წარმოების დაცემა და შრომის ნაყოფიერების შემცირება, შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ კოლმეურნეობა „დურუჯი“-დან დამკვრელი კოლმეურნეები გადიოდნენ, ხოლო იქ რჩებოდენ და კოლმეურნეობიდან გასულ პატიოსანი წევრების წინააღმდეგ ილაშქრებდენ კულაკები, საკოლმეურნეო ქონების მტაცებლები.

რასაკვირველია კოლმეურნეობა „დურუჯი“ ამ შემთხვევაში არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს. საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობა-ქურდობას ჩვენ ვხვდებით იქ, სადაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველდღიურ ხელმძღვანელობას, დახმარებას და მეთვალყურეობას არ უწევენ კოლმეურნეობას. ადგილი აქვს კოლმეურნეობებში ქურდობასა და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლებს იქ, სადაც შეასუსტეს კულაკური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა, მოდუნებულია პარტიული ორგანიზაციების კლასობრივი სიფხიზლე და სადაც სათანადო სიმკაცრით არ იყენებენ საბჭოთა ხელისუფლების რევოლიციონურ კანონიერებას საკოლმეურნეო ქონების მტაცებელთა დამარღვეველი მუშაობის აღსაკვეთად. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოუაროთ და დავიცვათ საკოლმეურნეო საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეიძლება ლაპარაკი კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების არავითარ გადიდებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ მივაღწევთ კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ვერ გავზრდით პატიოსნად მომუშავე კოლმეურნეთა შემოსავალს.

საკოლმეურნეო წარმოების განტკიცების, მოსავლიანობის აწევის და თითეული კოლმეურნის შეძლებულ გადაქცევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მარცვლეულის დამზადების ახალ კანონს, რომელსაც გადასახადის ძალა აქვს. ეს კანონი იძლევა უდიდეს იმპულსს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ნიადაგის დამუშავების ხარისხი, გადიდდეს ნათესების არე და აწეულ იქნას მოსავლიანობა. ეს კანონი ზრდის თითეული კოლმეურნის დაინტერესებას საკოლმეურნეო შრომის შედეგებით. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო წარმოების ზრდა-განტკიცების უზრუნველსაყოფად.

მარცვლეულის დამზადების ახალი კანონის თანახმად თითეულ კოლმეურნეობამ უკვე 15 მარტისათვის იცოდა, თუ რაოდენი მარცვლეული ჩააბაროს სახელმწიფოს. სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მარცვლეული იანგარიშება იმის მიხედვით, თუ რას უდრის კოლმეურნეობის ფაქტიური ნათესი 1932 წლის შემოდგომაზე და მარცვლეულის თესვის როგორი გეგმა აქვს მიცემული კოლმეურნეობას 1933 წლის გაზაფხულისათვის. დაუშვათ კოლმეურნეობას შემოდგომის ხორბალი და ქერი დათესილი აქვს 250 ჰექტარზე, 1933 წლის გაზაფხულზე კი სახელმწიფოებრივი გეგმით კოლმეურნეობამ უნდა დათესოს ქერი 65 ჰექტარზე, ხოლო ხორბალი 80 ჰექტარზე. მარცვლეულის დამზადების დროს დასამზადებელი ნორმა გამოიანგარიშება გეგმით გათვალისწინებული მთელი ნათესი ფართობიდან, რაც ჩვენი მაგალითის მიხედვით შეადგენს სულ 395 ჰექტარს.

ახალი კანონი წინასწარ აწესებს თითეულ ჰექტარიდან სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მარცვლეულის ნორმას. საქართველოში საშუალოდ დაწესებულია ერთ ჰექტარზე 3 ფუთამდე. ამრიგად მიუხედავად იმისა დათესავ თუ არ დათესავ გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას, აგრეთვე მიუხედავად იმისა ერთ ჰექტარზე 25 ფუთ მოსავალს მოიწევ თუ 125 ფუთს სახელმწიფოს უნდა ჩააბარო მარცვლეული დაწესებული ნორმის თანახმად (საქართველოში 3 ფუთი საშუალოდ). დღე თითეულმა კოლმეურნეობამ დაგეგმოს ახლა თავისი მოსავალი. გსურს მეტი მარცვლეული შრომა დღეზე—მთლიანად და ვადაზე დათესე შენი საკოლმეურნეო მინდვრები, კარგად დაამუშავე მიწა, მოსპე სარეველა ბალახი, გაანაყოიერე მიწა ნაკელით, ან მინერალური სასუქით, თავის დროზე და უკლებლივ აიღე მოსავალი, გულდასმით გალეწე, არავის მისცე პურის მოპარვის საშუალება, ვალდებულების თანახმად სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მოწოდების და სათესლე ფონდების შეგროვების შემდეგ გაყავი პური კოლმეურნეობაში. შრომა-დღეების მიხედვით, ნუ მისცემ ზარმაცსა და სამუშაოს გამცდენს საშუალებას ხელი მოითბოს პატიოსანი კოლმეურნის ხარჯზე და მიიღებ ისეთ შემოსავალს, როგორის შესახებ ოცნებაც კი არ შეიძლება, ერთპიროვნულ მეურნეობის დროს" (დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის მიმართვიდან).

ამგვარად მარცვლეულის დამზადების ახალი კანონი მიზნათ ისახავს ერთის მხრივ სახელმწიფო დამზადებათა გეგმების მთლიანად და ვადაზე შესრულებას, ხოლო მეორეს მხრივ შრომის ნაყოფიერების გადიდებას კოლმეურნეობაში, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული პირობების გადაჭრით გაუმჯობესებას და ყველა კოლმეურნეთა შეძლებულად გადაქცევას.

მარცვლეულის დამზადების ახალი კანონის საფუძველზე საქართველოს მთელ რიგ კოლმეურნეობებმა ჩაატარეს იმის ზუსტი გამოანგარიშება, თუ რამდენ მარცვლეულს ჩააბარებენ (მიყიდიან), ისინი სახელმწიფოს 1933 წელს, რამდენს გამოყოფენ სათესლე ფონდში და რა დარჩებათ შრომა დღეებზე გასანაწილებლად. სოფ. ხელთუბანის კოლმეურნეობაში

(გორის რაიონი) იანგარიშეს და გამოირკვა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს კოლმეურნეობა თესვის გეგმას შეასრულებს და უზრუნველყოს ერთ ჰექტარზე 50 ფუთი მარცვლეულის მიღებას (ეს ნორმა მინიმალურია გორის პირობებში, განსაკუთრებით სარწყავ ადგილებში) მაშინ თითეული კოლმეურნე ერთ შრომა-დღეზე მიიღებს დაახლოებით 20-22 გირვანქა მარცვლეულს გარდა ხვედრი ფულადი წილისა და სხვა დამხმარე მეურნეობებიდან მიღებული ჭირნახულისა, რომელიც კოლმეურნეობას აქვს. იმავე გორის რაიონის სოფ. ახალდაბის კოლმეურნეობაში გასულ წელს თითო კოლმეურნემ, შრომა-დღეზე მიიღო 4 გირვანქაზე ცოტა მეტი მარცვლეული, წელს კი ისინი თესვის გეგმას თუ დროზე შეასრულებენ და უზრუნველყოფენ ერთ ჰექტარზე სულ ცოტა 45 ფუთ მარცვლეულის მიღებას, თითეულ კოლმეურნეს შრომა-დღეზე გასახაწილებლად შეხვდება 15 გირვანქამდე მარტო მარცვლეული (პური, ქერი, სიმინდი, ლობიო).

პურეულის დამზადების ახალი კანონით დაწესებულ დასამზადებელი ნორმები ისე მცირეა, რომ ყველაზე უფრო სუსტ და ახლად დაარსებულ კოლმეურნეობას ადვილად შეუძლია მისი შესრულება, თუ ადგილი ექნება პატიოსან შრომას. „ხოლო, თუ, რომელიმე კოლმეურნეობა არ მოისურვებს პატიოსნად მუშაობას, არამედ კულაკის დუდუკზე ითამაშებს,—აქ ბევრი სალაპარაკო არაფერია—შეგისრულებია, თუ არ შეგისრულებია თესვის სახელმწიფოებრივი გეგმა—სულ ერთია ვალდებულებას მიიღებ იმ სათესი ფართობის მიხედვით, რომელიც შენთვის სახელმწიფოებრივი გეგმით იქნა დაწესებული".

ამგვარად მარცვლეულის დამზადების ახალი კანონი ადიდებს პატიოსანი კოლმეურნის ძალებს და მიისწრაფის მოსავლიანობის გადიდებისათვის, იგი ძირს უთხრის კულაკური ელემენტების მავნებლობას მიმართულს თესვის გეგმის ჩაშლის და მოსავლიანობის შემცირებისაკენ. ეს დადგენილება აიძულებს ყველა კოლმეურნეობას მტკიცედ მოჰკიდონ ხელი შრომის დისციპლინის გამტკიცებას, საკოლმეურნეო ბრიგადების სწორად მოწყობას, აღრიცხვის მოწესრიგებას, ნამდვილ სანარდო სისტემის დანერგვას, მუშახელის და მთელი საწარმოო საშუალებების მაქსიმალურ დატვირთვით გამოყენებას. ეს დადგენილება სასიკვდილო ლახვარს სცემს ჭურდს, ზარმაცს, წამგლეჯს, ყალთაბანდს, რომელიც მივიდნენ კოლმეურნეობაში იმისათვის, რომ მითვისონ პატიოსანი კოლმეურნეთა ნაშრომი. ყველგან, სადაც კი რიგიანად დაამუშავეს ეს კანონი და შეუდგენ მის მტკიცედ გატარებას, იზრდება კოლმეურნეთა საწარმოო ენტუზიაზმი, კლებულობს და თითქმის ისპობა უმიზეზოდ სამუშაოს გაცდენის შემთხვევები, ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, ისპობა ზარმაცობა და ვადაზე უფრო ადრე სრულდება ყოველგვარი საწარმოო დავალებები.

პარტიამ და ხელისუფლებამ გააკეთეს ყველაფერი იმისათვის, რომ გამტკიცდეს კოლმეურნეობა, გაიზარდოს კოლმეურნეთა შემოსავლიანობა და ადამიანურად იცხოვროს თითეულმა კოლმეურნემ. ახლა თვით კოლ-

მეურნეებისაგან არის დამოკიდებული თავიანთი კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. „მაშასადამე თქვენ გაქვთ ყველაფერი—განუცხადა დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობას ამხ. სტალინმა—იმისათვის, რომ ფართოდ გაშალოთ საკოლმეურნეო მშენებლობა და მიაღწიოთ სრულ განთავისუფლებას ძველ ხავსისაგან, ახლა თქვენის მხრივ საჭიროა მხოლოდ ერთი—იშრომოთ პატიოსნად, გაანაწილოთ საკოლმეურნეო შემოსავალი შრომის მიხედვით, გაუფრთხილდეთ საკოლმეურნეო ქონებას, ტრაქტორებს და მანქანებს, კარგად მოუაროთ ცხენს, შეასრულოთ თქვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დავალებები, განდევნოთ კოლმეურნეობაში შემძვრალი კულაკები და მათი დამქაშები“.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი კოლმეურნეობებს აქვთ ყველაფერი იმისათვის, რომ სამაგალითოდ დააყენონ საკოლმეურნეო წარმოება - ყველაფერი გაკეთდება „თავის თავად“. ასეთ მოსაზრებებს და განწყობილებას, თუ მათ მიეცემა ფართო გასაქანი, შეუძლია მთელი საქმის დაღუპვა. კოლმეურნეობები, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, წარმოადგენენ მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმას. ეს რასაკვირველია კარგია, მაგრამ იგი როდი სწყვეტს საქმეს. მდგომარეობის მთელი სერიოზულობა „მდგომარეობს არა მარტო თვით კოლმეურნეობებში, როგორც ორგანიზაციის სოციალისტურ ფორმაში, არამედ პირველ ყოვლისა იმაში, თუ რა შინაარსი ეძლევა ამ ფორმას. საქმე პირველ ყოვლისა მდგომარეობს იმაში, თუ ვინ სდგას კოლმეურნეობათა სათავეში და ვინ ხელმძღვანელობს მათ“.

ამ მდგომარეობის დანახვა ძნელი არ არის თუ დავაკვირდებით ჩვენი კოლმეურნეობების მუშაობას. განსაკუთრებით თავი იჩინა კოლმეურნეებზე ხელმძღვანელობის შეუფასებლობის მომენტმა სას. სამ. პროდუქტების დამზადებათა მიმდინარეობასთან დაკავშირებით 1932 წელს. ის კოლმეურნეობები, რომელთაც სათავეში ედგენ პატიოსანი კოლმეურნეები, გამოგრძმედილნი პარტიულები, ნამდვილი ბოლშევიკები—ვადამდე ასრულებდნენ დამზადებათა ვალდებულებებს, პირიქით იქ, სადაც კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდნენ კულაკური ელემენტები დამზადებათა კამპანია სამარცხვინოდ ჩაიშალა, სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

რა გამომდინარეობს აქედან? ცხადია აქედან გამომდინარეობს ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მხრივ კოლმეურნეობებზე ცოცხალი, კონკრეტული და სისტემატიური ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერების ამოცანა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ საჭიროა კოლმეურნეობათა გაწმენდა უკეთ მოტმასნილი ელემენტებისაგან, კულაკებისაგან, კონტრრევოლიუციონერებისაგან თეთრგვარდიელთა ნაშთებისაგან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოლმეურნეობებს ხშირად თავს აფარებენ ეს მავნე ელემენტები იმ მიზნით, რომ შიგნიდან ააფეთქონ ის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელს საქმეს სწყვეტს ის, თუ ვის ხელშია კოლმეურნეობების ხელმძღვანელობა. „კოლმეურნეობებს, როგორც მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ

ფორმას, შეუძლიათ გვიჩვენოს სამეურნეო მშენებლობის სასწაულები, თუ მათ სათავეში დგანან ნამდვილი რევოლიუციონერები, ბოლშევიკები, კომუნისტები. და პირიქით, კოლმეურნეობანი განსაზღვრულ პერიოდში შეიძლება გადაიქცნენ ყოველგვარი კონტრრევოლიუციონური მოქმედების საფარად, თუ კოლმეურნეობებში მეთაურებად იქნებიან ესერები და მენშევიკები, პეტლიურელი ოფიცრები და სხვა თეთრგვარდიელები, ყოფილი დენიკინელები და კოლჩაკელები (სტალინი).

იმისათვის, რომ ჩვენი კოლმეურნეობები გადავაქციოთ ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად და საბოლოოდ გავანადგუროთ კულაკობა საჭიროა საკოლმეურნეო აქტივის დარაზმვა, საჭიროა რათა ავღზარდოთ და დავაწინაუროთ ეს აქტივი. ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივაღწევთ საკოლმეურნეო წარმოების გამტკიცებასა და გაუმჯობესებას ისე, თუ თითეულ პარტუჯრედმა არ შექმნა მტკიცე დასაყრდნობი საკოლმეურნეო აქტივის სახით, ისეთ აქტივი, რომელიც დაუზოგავად იბრძვის კულაკის წინაღმდეგ, აუმჯობესებს საკოლმეურნეო წარმოებას, ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, სდევნის ზარმაცებს, ამტკიცებს კოლმეურნეობას: „ბოლშევიკების ძალა, კომუნისტების ძალა—ამბობს ამხ. სტალინი—იმაშია, რომ მათ იციან ჩვენი პარტიის გარშემორტყმა მილიონიანი უპარტიო აქტივით. ჩვენ ბოლშევიკებს არ გვეძნებოდა ის მიღწევები, რომლებიც ეხლა გვაქვს, რომ არ ვიცოდეთ მილიონიანი მუშების და გლეხების ნდობის დაპყრობა პარტიის სასარგებლოდ. რა არის ამისათვის საჭირო? ამისათვის საჭიროა პარტიულები არ გაემიჯნონ უპარტიოებს, რომ პარტიულები არ მოექცნენ თავიანთ ნაჭუჭში, რომ მათ ყოყოჩობა არ დაიწყონ თავისი პარტიულობით, არამედ ყური დაუგდონ უპარტიოების ხმას, რომ ისინი არა მარტო ასწავლიდნენ უპარტიოებს, არამედ სწავლობდნენ მათგან“.

მაგრამ ამისათვის საჭიროა თვით სოფლის პარტიული ორგანიზაციების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება. ის კომუნისტი, რომელიც საკოლმეურნეო მოძრაობის უდიდესი მომავლისა და გამარჯვებაში დარწმუნებული არ არის, თუ მას „განსახორციელებელი ღონისძიებები კარგად არ ესმის, თუ მისი სულის სიღრმეში ეჭვის მატლი ბუდობს,—მაშინ მისი მუშაობა სამომეთხედოთ უნაყოფო იქნება. შეიძლება მან პატიოსნად მოისურვოს დაკისრებული მოვალეობის ძესრულება, დაიწყოს ფუსფუსი, ხმაური, მაგრამ აქედან საქმე არ გამოვა. როცა გონების ბრძანება სანახევროდ შეუსტებულია, მაშინ ხელი კანკალებს, ის თავის სიმტკიცესა და ძალას კარგავს. სწორედ ამიტომ, სასოფლო და სარაიონო პარტორგანიზაციების იდეური შეიარაღება უაღრესი მნიშვნელობის ამოცანაა“ (კაგანოვიჩი).

პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარების საფუძველზე საბჭოთა კავშირმა მოიპოვა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის წარმატებანი. გადაწყვეტილია პროლეტარული რევოლუციის ყველაზე უფრო რთული და ყველაზე უფრო ძნელი ამოცანა—ღარიბი და საშუალო გლეხების მილიონიანი მასები საბოლოოდ მობრუნდნენ სოციალიზმისაკენ. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მიწადმოქმედების ყველაზე უფრო მსხვილ ქვეყნად მთელ

მსოფლიოში. კოლმეურნეობებში გაერთიანებული უღარიბესი გლეხობა უკვე გაუთანასწორდა საშუალო გლეხების დონეს.

ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას უახლოესი ამოცანა—გადავაქციოთ ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად.

დეე ილაყბონ წყალწაღებულ ადამიანებმა მემარჯვენე ოპორტუნისტების ბანაკიდან იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობები არ არიან რენტაბელურნი,—საკოლმეურნეო მოძრაობა გიგანტური ტემპებით ვითარდება, ძლიერდება და მტკიცდება. საკოლმეურნეო მოძრაობაში ჩაბმულ ღარიბი და საშუალო გლეხების შრომის შედეგებმა ნათელყვეს, რომ მათი კულაკური დამონებიდან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ კოლმეურნეობებში გაერთიანებით, სიღატაკის და დაბეჩავების დაძლევა შეიძლება მხოლოდ კოლმეურნეობათა გამტკიცებით. ყოველივე ეს არის პარტიის გენერალური ხაზის უაღრესად სისწორის თვალსაჩინო მაჩვენებელი.

მეორე ხუთწლედის პირველი საგაზაფხულო თესვის კამპანიამ, რომელიც უკვე წარმატებითი გაიშალა, შედეგად უნდა მოგვცეს კოლმეურნეობათა შემდგომი გამტკიცება. საგაზაფხულო თესვის საბრძოლო დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებით ჩვენ მივაღწევთ უდიდეს გამარჯვებებს კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების და სახელმწიფო დამზადებების გეგმების დროზე განაღდების დარგში. მიმდინარე საგაზაფხულო თესვის გეგმის დროზე და მთლიანად შესრულება უდიდესი ნაბიჯი იქნება წინ იმისათვის, რომ ჯერ კიდევ მიმდინარე სამეურნეო წლის ბოლოსათვის გადავაქციოთ შეძლებულებად მოწინავე ჯანსაღი კოლმეურნეობების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

სარედაქციო კოლეგია:
ე. გედია
ნ. კიკნაძე
კ. ოჩაგველიძე
ვ. იმედაძე
მ. ტოროშელიძე
პ. შარია
ნ. ჯინჭარაძე

შეცდომის გასწორება

ჟურნ. „ბოლშევიკი“-ს № 1-2-ში ამხ. ბრომიკერის წერილში მე-84 გვ., ზევიდან მე-18 სტრიქონში გაპარულია კორექტურული შეცდომა; **სწერია:** ... ანდა ყოფილი ნაციონალ-სოციალისტი, **უნდა იყოს:** ... ანდა ყოფილი ნაციონალ-უკლონისტი,...

რედ.

მიიღება ხელისმოწერა
1933 წლისათვის შემდეგ ჟურნალებზე:

„ბოლშევიკი“

ერთი თვით . . 50 კ.
სამი თვით . 1—50 „
ექვსი თვით . 3 მან.
ერთი წლით 6 „
ერთი ცალის გასაყიდი ფასი 50 კაპ.

„პარტმშენებლობა“

ერთი თვით . . 50 კ.
სამი თვით . 1—50 „
ექვსი თვით . 3 მან.
ერთი წლით 6 „
ერთი ცალის გასაყიდი ფასი 50 კაპ.

„დრო შა“

ერთი თვით . . 60 კ.
სამი თვით . 1—80 „
ექვსი თვით . 3—60 „
ერთი წლით 7—20 „
ერთი ცალის გასაყიდი ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ფოსტა-ტელეგრ. ყველა გ-ბში

ბ 838
1933

ფასი 1 მანეთი

ბოლშევიკი

საქართველოს კომ. პარტ. (ბ) ცეკას ყოველთვიური პოლიტიკური-ეკონომიური ორგანო

ბოლშევიკი

აშუქებს სოციალიზმის მშენებლობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით

ბოლშევიკი

არკვევს მიმდინარე პოლიტიკის და ეკონომიკის საკითხებს და ლენინურ განმარტებას იძლევა კ. პ. პოლიტიკაზე და პრაქტიკაზე

ბოლშევიკი

აწარმოებს გადამწყვეტ ბრძოლას ყოველგვარ გადახრების და შერყეობის წინააღმდეგ კომპარტიაში და საერთოდ მუშათა კლასის რიგებში

ბოლშევიკი

იძლევა მასალას საერთაშორისო პოლიტიკის და ეკონომიკის საკითხებზე და წარმოადგენს ლენინურ ბრძოლის იარაღს ყოველგვარი ოპორტუნისტული და რეფორმისტული მიმდინარეობის წინააღმდეგ

ბოლშევიკი

ააშკარავებს სოციალიზმის მშენებლობის ყოველგვარ ნაკლს და იბრძვის პარტიის დირექტივების განსახორციელებისათვის

ბოლშევიკი

ჩვენი ორგანიზაციის ფართო აქტივის ხელმძღვანელი ორგანოა

მიიღება ხელის მოწერა 1933 წლისათვის